

# რე

ჰიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომათა კრებულის  
რეზერატული უცრნალი  
№1



Institute of Hydrometeorology  
Abstracts Journal  
№1



ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის  
კროპლებები

**PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND ECOLOGY**  
**თბილისი—TBILISI—ТБИЛИСИ**

2016

## მთავარი რედაქტორი

თ.ცინცაძე

### სარედაქციო კოლეგია

ნ.ბეგალიშვილი, ბ.ბერიაშვილი (რედაქტორის მოადგილე), გ.ელიზბარაშვილი, გ.მელაძე,

### სარედაქციო საბჭო

ნ.ბეგალიშვილი, ი.გელაძე, ჯ.ვაჩნაძე, ლ.ინკირველი, გ.მელაძე.

### **Editor in Chief**

T.Tsintsadze

### **Editorial Board**

N.Begalishvili, B.Beritashvili (Deputy Ed.-in-Chief), E.Elizbarashvili, G.Meladze.

### **Editorial Council**

N.Buachidze, J.Vachnadze, I.Geladze, L.Inckirveli, M.Meladze.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 100**

**უაკ 626**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 40 წლისთავი/გ.სვანიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.5-18 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

კავკასიაში დანაწილობრივ საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებას საფუძველი დაუდო თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიამ 1844 წელს. აღნიშნული ობსერვატორის ბაზაზე 1953 წელს დაარსდა თბილისის (ამიერკავკასიის) სამეცნიერო-კვლევითი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი - ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. მოცემულია ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები. ნაჩვენებია ის საერთაშორისო პროგრამები ირომლებშიც მონაწილეობას დებულობენ ინსტიტუტის სპეციალისტები.

**უაკ 058**

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პირველი დირექტორის ვლომინაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (დაბადების 80 წლისთავისავის). /გ.სვანიძე, ნ.ბეგალიშვილი, ბ.ბერიტაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.18-23 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

მოცემულია ორგანიზაციორის და ამიერკავკასიის სამეცნიერო კვლევითი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პირველი დირექტორის ვასილ ლომინაძის ცხოვრების და საქმიანობის ძირითადი მონაცემები. გადმოცემულია ვლომინაძის როლი პიდრომეტეოროლოგიური მეცნიერების განვითარებაში ამიერკავკასიასა და საქართველოში. აღნიშნულია მისი როლი საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში საზღვარგარეთის მეცნიერებთან და სპეციალისტებთან.

**მ ე ტ ე თ რ თ ლ თ გ ი ა****უაკ 551**

საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის მოვლენების მონიტორინგის ცენტრალიზებული რადიოლოგიური ქსელის პრაქტიკული რეალიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური დასაბუთება/გ.სვანიძე, ნ.ბერაძე, ნ. ბეგალიშვილი, მ.ბახსოლიანი, ბ. ბერიტაშვილი, თ.სვანიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.24-28 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია რადიოლოგიური ქსელის შექმნი აუცილებლობ პიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის მისაღებად საქართველოში. დასაბუთებულია პრაქტოკული შესაძლებლობა აღნიშნული ქსელის შექმნისა. დამუშავებულია მეოთვები ქსელიდან ინფორმაციის მიღების, სინთეზირების და ანალიზის. შეფასებულია ქსელის ეფექტურობა სხვადასხვა ასპექტებში.

**უაკ 551.506**

ადამიანი-კომპიუტერის "დიალოგი", პერსპექტივები ამინდის პროგნოზის დარგში. /ი.ჩოგოვაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.29-33 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია ადამიანი-კომპიუტერის "დიალოგის" შესახებ კონცეფციის განვითარების გზები. ამინდის პროგნოზის ამოცანის გადაწყვეტილების დროს.

**უაკ 551.58**

ცალკეული მეტეოროლოგების საშუალოვადიანი პროგნოზის სქემების შემუშავება დინამიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით/გ.კორძახია, ს.კუპრაძე, მ.კაპანაძე, ც. სოხაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.34-39 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შემუშავებულია დინამიკურ-სტატისტიკური მიდგომის საფუძვლებზე ექსტრემალური ტემპერატურების, ნალექების დღედამური ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ღრუბლიანობის საშუალოვადიანი (ყოველდღიური, 7 დღემდე) პროგნოზის მოდელები. ცალკეული მეტეოროლოგებისათვის განხილულია და გაანალიზებულია მიღებული შედეგები. ლიტ.4.

**უაკ 551.509**

საპროგნოზო ამოცანებში პერსონის განტოლების რიცხვითი ამოხსნის კომბინირებული მეთოდი/ ბ.მიქაშავიძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.40-44 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შემოთავაზებულია პუასონის განტოლების პიცხვითი ამოხსნის ახალი, კომბინირებული მეთოდი, რომელიც ემყარება გამორიცხვისა და იტერაციის მეთოდების ერთობლივ გამოყენებას. მეთოდი გამოყენებულია გეოპოტენციალის პროგნოზის ამოცანაში. ოცემულია რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგები. ცხრ.2, ლიტ.დას.2

### უაკ 551.524 : 509

საქართველოს ტერიტორიისათვის ტემპერატურისა და სინოტივის მოკლევადიანი პროგნოზის რიცხვითი მოდელი/გ.კორძახია, ს.ტუ-პრაძე, მ.კაპანაძე /ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.45-51 - ქართ; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

სინოტივისა და ტემპერატურის საპროგნოზო მოდელის შესამუშავებლად გამოყენებულია ატ-მოსუაკოს პიდროდინამიკის ძირითადი განტოლებები, რომლებშიც ჩატარებულია ფიზიკურად დასაშვები გამარტივებები. კერძოდ, წევრები, რომლებიც აღწერენ ვერტიკალურ ცვლილებას (უწყვეტობის განტოლების გარდა) არ მიიღებიან მხედველობაში, ისევე როგორც ის წევრები, რომლებიც დაკავშირებული არიან სტერეოგრაფული ცვლილებასთან. ლიტ.დას.4..

### უაკ 551.509

გამოთვლითი არამდგრადობა და გაგლუვება. /ბ.მიქაშავიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.52-58 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია გაგლუვების პროცედურის გამოყენების საკითხი საპროგნოზო დიუაკენციალური განტოლებების რიცხვითი ამოხსნისათვის მიახლოებითი მეთოდების გამოყენებით გამოწვეული არამდგრადობის ჩასახშობად. ნაჩვენებია გაგლუვების შედეგად მეტეორელემენტების ვალების დამახინჯების ხარისხი და შემოთავაზებულია გაგლუვების ჩატარების ოპტიმალური სქემა. ამახვილებულია ყურადღება გაგლუვების პროცედურის კოეფიციენტების ამოცანის რიცხვითი ამოხსნის დროითი ბიჯიდან დამოკიდებულებაზე. ნახ.3.

### უაკ 551.507.362.2

კავკასიის ტერიტორიაზე ღრუბელთა და ნალექთა ველების კლასიფიკაცია და მოკლევადიანი პროგნოზი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მონაცემების გამოყენებით. /გ.გათიაშვილი, ლ.შენგელია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.59-66 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხორციელებულია ამიერკავკასიაზე საღრუბლო სისტემის ტიპიზაცია. მიღებულია საღრუბლო სიტუაციების 9 ტიპი და დამუშავებულია ღრუბელთა ველების ინტენსივობის პროგნოზის მეთოდიკა მაქსიმალური დამაჯერებლობის ფენქციის გამოყენებით. გამოთვლები ჩატარებულია 9 მოდელისათვის, რომლებიც შეესაბამება თ-500 რუკების მიხედვით ჰარერის მასების გადაადგილების გათვალისწინებით მიღებულ ღრუბელთა სისტემის 9 კლასს. გროვასაწვიმარი ღრუბლების ფორმირების ალბათობა შეფასებულია ბაი-ესის ფორმულით. გამოვლენილია სუსტი, ზომიერი და ძლიერი ნალექების ფორმირების კრიტერიუმი. ნახ.3., ცხრ.1.

### უაკ 551.582

ატმოსუაკოს ზონდირების ოპტიკური მეთოდის გამოყენების პერსპექტივები პაერის მასების ტიპების დასახსიათებლად/მ.ბაზაძე, შ. დარჩია, ჯ.ვაჩინაძე, რ.სამუკაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.67-72 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

ატმოსუაკოს პლანეტარულ ფენაში, წვრილმასშტაბიანი ტურბულენტობის პირობებში, ოპტიკური ზონდირების საშუალებით გამოვლენილია პაერის მასების სხვადასხვა ტიპები. ქ.ობ-ჰიპსკის მაღლივ მეტეოროლოგიურ ანდაზე ჩატარებული ატმოსუაკოს ზონდირების მასალები შედარებულია საქართველოში მიწისპირა ფენაში აეროლოგიური კვლევის შედეგსდ მიღებულ სიდიდეებთან. ანხილულია პაერის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი და ვარსკვლავთა ერთობის ამპიტუდებს შორის მიღებული მრუდების ტიპების ნაირსახეობას შორის კავშირი. ნახ.1., ლიტ.დას.7.

### უაკ 551.582

თოვლის საფარისა და ქარბუქის რეჟიმი გოდერძისა და ჯვრის ულელტეხილებზე/ლ. პაპინაშვილი, ე. სუხიშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.73-78-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

თოვლის საფარისა და საშიში ქარბუქის მოვლენის მაჩვენებელთა კომპლექსური სტატისტიკური სტრუქტურის საფუძველზე დადგენილია მათი რეჟიმი გოდერძის და ჯვრის უღელტეხილედზელიტდას.6.

### უაკ 51:7.0212.2:535.23:582.823

ჩაის პლანტაციის რიგების ფორმისა და ექსპოზიციის გავლენა მის რადიაციულ რეჟიმზე /შ.თევზაძე/ჰ.მი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.79-86 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ. დადგენილია ჩაის პლანტაციის ზედაპირის ხებისმიერი წერტილის მზის პირდაპირი სხივებით განათების დაწყების და დასასრულის ვადები, პ;ანტაციის პარამეტრების გათვალისწინებით: რიგის განივევეთი, პლანტაციის ექსპოზიცია, რიგთაშორის მანძილი. ამოვგანილია მცენარეთა რიგის მიერ შთანთქმული ჯამური რადიაციის გასაანგარიშებელი ფორმულა. მიღებული გამოსახულებანი იძლევიან საშუალებას რათა ოპტიმალურად განისაზღვროს პლანტაციის პარამეტრები მისი გაშენების დროს, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ჩაის კულტურის პროდუქტიულობის გაზრდას. ნახ.1, ლიტ.დას.3.

### უაკ 626.8.931.432

დასავლეთ საქართველოს პირბებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის წყალუზრუნველოფის ოპტიმალური საზღვრების დადგენა პილორმეტეოროლოგიური ინფორმაციის საფუძველზე/გ.ჩიკვაძე, ო.შეველიძე/. ჰ.მი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.87-91 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

პილორმეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მასალების საფუძველზე დადგენილია ნიადაგის ტენიანობის, ჯამური აორთქლებისა და ორთქლებადობის რეჟიმები.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის აგებულია წყალმოხმარების მრუდები, რომლებიც აკავშირებენ ჯამური აორთქლების ინტენსივობას ნიადაგში ტენის მარაგთან მოცემული აორთქლებადობის დროს. სხვადასხვა ფაზათა შორისო პერიოდებისათვის მცენარეთა წყალმოხმარების სხვადასხვა შესაძლო შემცირებების დაშვების საფუძველზე განსაზღვრულია ნიადაგში ოპტიმალური ტენიანობის მარაგის დიაპაზონები. ლიტ.დას.4.

### უაკ 551. 576

ურთიერთმოქმედ კონვექციურ ღრუბელთა ანსამბლის რიცხვითი მოდელირება/გ.რობიგაშვილი, ნ.ჯაფარიძე, ნ.ჩახვაშვილი/. ჰ.მი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.92-96 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

არმოდგენილია გროვა ღრუბელთა ანსამბლის თერმოპიდროდინამიკური მოდელი ორთქლი-წყალი-ყინული სისტემაში ფაზური გადასვლების პარამეტრული გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ ღრუბელთა განვითარებას ბიძგს აძლევენ თერმიკები. შედარებით მსხვილი კონვექტური ღრუბლები წარმოქმნებიან თერმიკებისა და შედარებით მცირე ღრუბელთა გაერთიანების ხარჯზე. ნახ.1, ლიტ.დას.5.

### უაკ 551

ღრუბლის ნაწილაკების კოაგულაციის კინეტიკურ განტოლებათა სისტემის ზოგიერთი ანალიზური ამოხსნების შესახებ/ნ.ბეგალიშვილი/ჰ.მი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.97-104 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

კოშის ტიპის სივრცულად ერთგვაროვანი ამოცანისათვის მოცემულია საღრუბლო ნაწილაკების კოაგულაციის კინეტიკურ განტოლებათა სისტემის ზუსტი ანალიზური ამოხსნები დისპერსიულ გარემოში გადამეტცივებული წვეთებისა და ყინულის კრისტალების შემოსვლის წყაროთა არსებობისას.

ამოხსნები მიღებულია სხვადასხვა სახის ნაწილაკთა საწყისი სპექტრისათვის კოაგულაციის მუდმივი კოეფიციენტით. ამოცანის საწყის პირბებზე და წყაროთა პარამეტრებზე დამოკიდებულებით მოცემულია თხევადი და მყარი ნალექების ნაწილაკთა წარმოქმნის ეფექტურობის შეფასება. ნახ.1, ლიტ.დას.2.

### უაკ 551

აეროზოლების ქიმიური შემადგენლობის გავლენის შესწავლა ღრუბლიანობისა და ნალექების სტრუქტურის ფორმირებაზე/გ.გათიაშვილი, ი.პრეიისი/ჰ.მი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.105-111 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შესწავლითი აქტობლების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა გავლენა დრუბლებისა და ნალექების ფორმირებაზე. ლიტერატურულ წყაროთა ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ სხვადასხვა ხსნად აეროზოლურ ნაწილაკებზე წვეთების წარმოქმნა ხდება მხოლოდ არჩეული ნივთიერებისთვის დამახასიათებელი ფარდობითი სინოტივის განსაზღვრული მნიშვნელობებისათვის.

შემოთავაზებულია ჰიგროსკოპულობის კრიტერიუმი, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ნივთიერებათა ხსნარებისათვის ფარ-დობითი ტენიანობის გამოთვლაზე, ევტექტიკის წერტილში ხსნარის პარამეტრებისა და ევტექტიკის ტემპერატურიდან 60<sup>0</sup> ტემპერატურამდე ინტერვალში ნივთიერებათა წყალში ხსნადობის მიხედვით. მიღებული შედეგები გამოყენებულია თხევადი და მყარი ნალექების ფორმირების ასახსნელად. ცხრ.1, ლიტ.დას.13.

### **უაგ 551. 576**

**კონვექციური დრუბლის ოპერატიული რიცხვითი მოდელი/ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ვ.შაქარაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.112-117-ქართ.;რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

განხილულია კონვექციური დრუბლის ერთგანზომილებიანი არასტაციონალური რიცხვითი მოდელი. განტოლებათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს მოდელს, აღწერს დრუბლიანი გარემოს თერმოპიდროდინამიკას მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრებით.

მოდელის გამოცდა ჩატარებულია გროვასაწვიმარი დრუბლების განვითარების დღეებში ატ-მოსუაკოს რადიოზონდირების მონაცემთა საფუძვლებზე და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში რადიოლოკაციური დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით.

მოდელი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნალექთა ხელოვნური რეგულირების ოპერატიულ სამუშაოებში კონვექციური დრუბლებისა და ნალექთა დიაგნოსტიკისათვის. ნახ.1, ლიტ.დას.2.

### **უაგ 551**

**მძლავრი კონვექციის დრუბლებზე ზემოქმედების პიპოთეზის გამოკვლევა არასტაციონალური დერძულად სიმეტრიული რიცხვითი მოდელის საშუალებით/ი.რუხაძე, ნ.ბეგალიშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.118-125 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

მოყვანილია შედეგები რიგი რიცხვითი ექსპერიმენტებისა კონვექციურ დრუბლებში კრისტალიზირებული რეაგენტები შეყვანის მოდელირებაში ნალექთა ხელოვნური გაზრდის მიზნით, დამადსტურებელი ზემოქმედების მიკროფიზიკური პიპოთეზისა.ცხრ.1, ლიტ. დას.7.

### **ჰიდროლოგია**

#### **უაგ 556.06 : 556.166**

**საქართველოს მდინარეთა ჰიდროლოგიური პროგნოზების სრულყოფა/ც.ბასილაშვილი, ლ. სიდოროვა, გ.ცომაის/ ჰმი-ს შრომების კრებული-1996-ტ.100-გვ.126-131-ქართ.;რეზ.: ქართ, რუს., ინგ. მდინარეთა ჩამონადენის საპროგნოზო სრულყოფისათვის გამოყენებულია საპროგნოზო მოდელი, რომელშიც კომპლექსურადაა გათვალისწინებული ჩამონადენის მთავარი მაფორმირებელი ფაქტორები. ინფორმაციული პრედიქტორების შერჩევა მოხდა ობიექტური სტატისტიკური ანალიზის საფუძვლებზე.**

შემუშავებულია საპროგნოზო მეთოდები საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის კვარტალური, დეკადური და თვიური ჩამონადენისა. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანისათვის შემუშავებულია დღე-დამური ხარჯებისა და წყალდიდობისა და წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების პროგნოზები. ლიტ. დას.4.

#### **უაგ 556.53**

**საქართველოს წყლის ობიექტების აღრიცხვის მეცნიერული დასაბუთება და მისი გამოყენების პერსპექტივები/გ.სვანიძე, გ.ცომაია, გ. ფოთოლაშვილი, ლ.სიდოროვა, ც. ბასილაშვილი, ლ.გლინსკაია, ე.საბაძე, ს.სრექსელი, ზ. ფიცხელაური/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.132-137 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

აღნიშვნულია, რომ საქართველოს 32200 მდინარეებიდან 1964 წელს გამოცემულ ცნობარებში ნაჩვენებია მხოლოდ 1009 მდინარე (3%). ასევე ნაჩვენებია, რომ წლიდან წლამდე ქვეყნის ეპონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება იმ მდინარეთა რიცხვი, რომლებთაც აქვთ სამეურნეო მნიშვნელობა და ამის გამო საჭიროა მათი წყლიანობის რეჟიმის ბუნებრივი და ანთროპოგუნული ფაქტორების გავლენის შესწავლა.

მდინარეების ახალი სია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. იგი შეიცავს ინფორმაციას ყველა მდინარეების შესახებ (სიგრძეს და დახრილობას, ჰყალშემკრები აუზის ფართობს და სიმაღლეს, როგორც მდინარის მთელ სიგრძეზე ასევე უბნების მიხედვით, შენაკადების კატეგორიას მთავარი მდინარის მიმართ და სხვა). ცხრ.1, ლიტ. დას.4.

### უაკ 551.578

**პიდროლოგიური გამოკვლევებისა და პროგნოზების ეკონომიკური ეფექტურობა ამიერკავკასიის პირობებში/ლ.სიდოროვა, ლ. გლინსკაია, ვ.ცომაია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.138-142 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

განხილულია წყალსაცავებში შემოსული წყლის წინასწარმეტყველებისათვის გაცემული პიდროლოგიური პროგნოზების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები. მოცემულია სოფლის რენობისათვის (ირიგაცია) გამოყენებული პიდროლოგიური ინფორმაციების, ასევე ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისათვის (გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, ზვავსაწინააღმდეგო გალერიების მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება.

### უაკ 556.333.93

**საქართველოს სამელიორაციო სისტემების პროექტირებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო კომპლექსური წყალდაღანსური გა-მოკვლევები/გ.ჩიკვაიძე, ო.შეელიძე, ი.გელაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.143-147 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

მიწების მორწყვის, დაშრობისა და განმარილიანების მელიორაციული სისტემების წარმატებით პროექტირებასა და ექსპლუატაციის აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს განსაზღვრული სააგრაროშო ელემენტების ცოდნა, რომელთა დადგენა ხდება შესაბამისი სამეცნიერო-ექსპერიმენტაციური წყალდაღანსური გამოკვლევების საფუძველზე. ამის შედეგად მელორიებული მასივებისათვის ხდება წყლის, სითბური და მარილების ბალანსების რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა. ლიტ.დას.4.

### უაკ 551.311.21:627.157

**კატასტროფული წყალქმოვარდნების გავლენა მთის მდინარეების კალაპოტების დინამიკა-ზე/ვ.კუტავაია, ნ.რუხაძე, ბ.ყოჩიაშვილი, გ. ხერხეულიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.145-152 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

განხილულია კატასტროფული წყალმოვარდნების და ღვარცოფების ზეგავლენით გამოწვეული მთის მდინარეებზე კალაპოტური პროცესების და მყარი ჩამონადენის რეჟიმული მახასიათებლების ცვლილებები. შეფასებულია აღნიშნული ცვლილებების შესწავლილობის, მათზე დაკვირვების უზრუნველყოფის არსებული მდგრამარეობა და პიდროტექნიკურ ნაგებობის მდგრადობაზე მათი გავლენის პროგნოზირების შესაძლებლობაზი. დასკვნები და შედეგები დაყრდნობილია საქართველოს მდინარეების რიგ დამასასიათებელ მონაკვეთებზე სპეციალური დაკვირვებების და სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე. ლიტ.დას.4.

### უაკ 555.311.21:627.141.1

**საქართველოში ღვარცოფული მოვლენების მონიტორინგის ამოცანები და შესაძლებლობები/გ.ხერხეულიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.153-157-ქართ.; ქართ, რეზ.: რუს., ინგ. წარმოდგენილია საქართველოში ღვარცოფულ მოვლენებზე დაკვირვებათა საორგანიზაციო სტრუქტურების, ტექნიკური საშუალებების და სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის არესებული მდგრამარეობის შეფასება. განსაზღვრულია ღვარცოფული მონიტორინგის განვითარების ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა: ღვარცოფული საშიშროების სხვადასხვა დროულობით პროგნოზირების უზრუნველსაყოფად; დატბორვის და მოსალოდნელი ზარალის ზონების განსაზღვრისათვის საჭირო ჩამონადენის და კალაპოტური მახასიათებლების და პარამეტრების დასადგენად, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ოპტიმიზაციას ღვარცოფსაშიშ რაიონებში. განიხილება ღვარცოფწარმომქმნელი ნალექების შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობაზი**

### უაკ 551.578.48

**თოვლის ზვავების ჩამოსვლის პროგნოზი პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით/თ.სიმონია, მ.ქარტაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული-1996-ტ.100-გვ.158-161, ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

**წარმოდგენილია თოვლის ზვავების ჩამოსვლის პროგნოზის სტატისტიკური სქემა პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენების საფუძ-**

ველზე. განხილულია სხვადასხვა პრედიქტორები და განხორციელებულია მათგან ყველაზე რეპრეზენტატულის არჩევა. პროგნოზები გამოითვლება ეგზ-ზე შემუშავებულ პროგრამა "ზგა-ვის" მეშვეობით. პროგნოზის საერთო გამართლება 95%-ს შეადგენს. ლიტ.დას.5.

#### **უაპ 557.578.48**

კურორტ ბახმაროს ზვაგსაშიშროება/ლ. ქალდანი, მ.სალუქებაძე/ჰმი-ს შრომების კრებული - 1996-ტ.100-გვ.162-166-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

ზვავწარმომქმნელი ფაქტორების თავისებურებათა, საარქივო ლიტერატურული, ექსპედიციური და კარტოგრაფული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია კურორტ ბახმაროს ზვაგსაშიშროება. კერძოდ, განსაზღვრულია 32 ზვაგშემკრების გავრცელების საზღვარი და მორფომეტრიული მაჩვენებლები, გამოვლენილია რეჟიმი და გამოთვლილია ზვაგების ღინამიკური მასასიათებლები, შედგენილია ზვაგშემკრების გავრცელების მსხვილმაშტაბიანი რუკა. ზვავწარმომქმნელი ფაქტორების (რელიეფი, კლიმატი, მცენარეულობა) თავისებურებათა და ზვაგსაშიშროების გათვალისწინებით შემუშავებულია ზვაგებისავან კურორტ ბახმაროს-დაცვის ზვაგსაწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებების რეკომენდაციები. ლიტ.დას.2.

#### **ე კ თ ლ თ გ ი ა**

#### **უაპ 502.7**

საქართველოს გარემოს დაცვის კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ/გ.გაჩეჩილაძე/ჰმი-ს შრო-მები -1996 - ტ.100 - გვ.167-175 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია საკითხები, დაკავშირებული რესპექტორების ანალი ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებასთან, რომლებიც ეყრდნობიან საზრვარგარეთის განვითარებული ქვეყნების მიღწევათა ანალიზს და ამავე დროს გათვალისწინებულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი. შემოთავაზებულია სახელმწიფო ეკოლოგიური სამსახურის რეორგანიზაციის პროგრამა.

#### **უაპ 551.510.42**

ატმოსფეროს დაბინძურების პროგნოზის სტატისტიკური მეთოდის შესახებ/გ.გუნია, პ.ჯანელიძე, რ.სარალიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.176-180-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

ნაშრომში მოტანილია ავტორების მიერ ქ.ზესტაფონის მაგალითზე შემუშავებული ატმოსფეროს დაბინძურების ფიზიკურსტატისტიკური პროგნოზის მეთოდი. ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზი. ამასთან რეგრესიის განტოლების დადგენა ეყრდნობოდა უმცირეს კვადრატო მეთოდის გამოყენებას, ხოლო ნორმალურ განტოლებათა სისტემა ამოიხსნა პოლეციის მეთოდით. ცხრ.2., ლიტ.დას.4.

#### **უაპ 502.7 : 679**

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის რადიოზო-ტოპური შედგენილობისა და დაჭუჭყიანების კანონზომიერებების შესწავლა/ლ.ინწკირველი, თ.ხმიადაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.181-184 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შესწავლილია საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება ანთროპოგენული წარმოშობის რადიოზოკლიდებით. დადგენილია, რომ: ატმოსფეროს მიწისპირა ფენის გაჭუჭყიანებაში ძირითადი წვლილი შეაქვს იზოტოპებს: cerium-144, ruTenium-106, berilium-7, cezium-137:

აღინიშნება ატმოსფერო მიწისპირა ფენებში რადიოზოკლიდების შემცველობის სეზონური მერყეობა. კერძოდ, აღინიშნება მკვეთრად გამოხატული გაზაფხულისა და შემოდგომის მაქსიმუმები და ზაფხულის მინიმუმები:

ატმოსფეროს მიწისპირა ფენებში რადიოზოკლიდების შედარებით მაღალი კონცენტრაციები აღინიშნება დასავლეთ საქართველოსა და მაღალმთიან რეგიონებში:

ამჟამად საქართველოში (დასავლეთ საქართველოს ჩათვლით) რადიოეკოლოგიური სიტუაცია სტაბილურია და მიაღწია თავის ფონურ მნიშვნელობას, ოდონდ აუცილებელია ჩატარდეს ნიადაგის ზედა ფენებისა და მცენარეული საერთო დეტალური რადიოზოტოპური გამოკვლევა.

#### **უაპ 525.7**

ლოკალური ატმოსფერული პროცესების მათემატიკური მოდელი. /გ.ლაზრიევი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.185-190 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შემოთავაზებულია ლოკალური ატმოსფერული პროცესების მოდელი, რომლებიც ვითარდებიან თერმული და დედამიწის ზედაპირის არაერთგაროვანი თროგრაფიის გავლენით. მოდელს

საფუძვლად უდევს ატმოსფეროს პიდროთერმოდინამიკურ განტოლებათა სისტემების ამოხსნა. მოდელის რიცხვითი რეალიზაციისათვის გამოყენებულია გახლების მეთოდი. ლიტ.დას.1.

### უაკ 502.7 : 551.46

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გაჭუჭყიანების დონის დინამიკის შესწავლა და მასზე მსხვილი სამრეწველო ქალაქების გავლენის შეფასება/გ.გაჩეტილაძე, ლ.შავლიაშვილი, ნ.ბუაჩიძე, გ.ჩაჩიბაია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.191-195 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შესწავლილია შავი ზღვის წყლების გაჭუჭყიანება ნაკორდულუქტებით, ფენოლებით, ქლორორგანული შეამქიმიკატებით, მძიმე ლითონებით ბათუმისა და ბიჭვინთის რაიონებში.

გამოვლილია დასავლეთ საქართველოს მდინარეებით გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ჩამონადენი შავ ზღვაში და მსხვილი სამრეწველო ქალაქების გავლენა შავი ზღვის აუზის მდინარეების ხარისხზე. ლიტ.3

### უაკ 502.7 : 63

თბილისის ნიადაგების ეკოლოგიური მდგომარეობა/ლ.ჩხილაძე, გ.ჭულიჯანაშვილი/. ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.196-200 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

მოცემულია თბილისის ნიადაგებში მძიმე ლითონების შემცველობა და განაწილება, აგრეთვე ტოქსიკურ ნაერთა კონცენტრაციების ცვლულებები. შედგენილია გარემოზე სხვადასხვა გამაჭუჭყიანებელ ნაერთა უარყოფითი ზეგავლენის შემცირების რეკომენდაციები. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ მძიმე ლითონების განაწილება ნიადაგის ფენებში ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებებს, რომლებიც დამოკიდებულია გამორეცხვისა და ბიოლოგიური აკუმულირების პროცესებზე, აგრეთვე ადამიანის საქმიანობაზე. მძიმე ლითონების კონცენტრაციების მაქსიმუმი თბილისისათვის აღინიშნება სამრეწველო ზონებში და საცხოვრებელ მასივებში. შამრეწველო თბილებების ირგვლივ მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანება აღინიშნება რამდენუმებრივის რადიუსით გაჭუჭყიანების წყაროდან. შედგენილია ნიადაგის მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანების რუკები თბილისის სხვადასხვა რაიონებისათვის, რომელთა დახმარებითაც შეიძლება თბილებურად შევაფასოდ ნიადაგში მავნე ნაერთა დაგროვება და განაწილება.

### უაკ 502

ეკოლოგიური სისტემების გენეტიკური მდგრადობა და მათი პროდუქტიულობის თერმოდინამიკური მოდელი/ე.კვაჭანტირაძე/. ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.201-205 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

წარმოდგენილი იქნა რომ, ელემენტარულ სტრუქტურული ეკოლოგიის ერთეულად გენეტიკურად მდგრადი სისტემა, რომელსაც შესაძლებელია მივაკუთვნოთ ბუნებრივტერიტორიალური კომპლექსი (ბტკ).

დამუშავებულია ბტკ-ს პროდუქტიულობისათვის თერმოდინამიკური მოდელი, რომლის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს სწორად იქნეს შეფასებული ბტკ-ს პოტენციალური შესაძლებლობები და გაკეთდეს პროგნოზი ბიომასის მატების ფოტო და აგროცენოზისათვის.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 101**

**უაკ 584.37**

**გახუშტი ბაგრატიონის მიერ აღწერილი საქართველოს პიდროგრაფია/აკად. გ.სვანიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.5-11 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.ლიტ.6.**

**უაკ 551.584.37**

**გახუშტი ბაგრატიონის ცნობები საქართველოს ჰავის შესახებ. /დ. მუმლაძე, ჯ.ვაჩნაძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.12-22 - ქართ; რეზ.: რუს., ინგ.**

**უძველეს ისტორიულ წყაროებშორი ფიქსირებულია პირველი ცნობები საქართველოს ცალკეული რაიონების კლიმატის შესახებ, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია დიდი ქართველი გეოგრაფის და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტალურ ნაშრომს "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". დიდი მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო თავისი ძირითადი გეოგრაფიული ნაშრომის მაღალ დონეზე შესრულება, მოახერხა საქართველოს ჰავის საქმაოდ ზუსტი დახასიათება სენსორული გზით.**

**ნაშრომი ერთგვარი "ხიდია" რომელიც გვაკავშირებს ჩვენი ქვეყნის წარსულ ბუნებასთან. საქართველოს ბუნების, მისი კლიმატის შესწავლა საჭირო და აუცილებელია, რადგან დღეს კიდევ უფრო იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ მსოფლიოს განვითარების ქვეყნების ინტერესი კავკასიისადმი, კერძოდ კი საქართველოსადმი – როგორც ეკონომიკასა და აზიას შორის დამაკავშირებელი უძველესი სახმელეთო გზის მონაკვეთისადმი. ლიტ.დას.4.**

**უაკ 330. 338. 244**

**პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი საბაზრო ეკონომიკის პირობებში/თ.ცინცაძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.23-27 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.**

**წარმოდგენილია საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები. გაკეთებულია ინსტიტუტის სამეცნიერო მოღვაწეობის ანალიზი. შემოთავაზებულია პიდრომეტეოროლოგიური ქსელის მოდერნიზაციის საფუზველზე და ახალი საინინრო კონსტრუქციებით შესრულდეს სამეცნიერო, საექსპედიციო სამუშაოები ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებებისა..ლიტ.1.**

**პიდრომეტეოროლოგიური პროგნოზები და მათი ზზრუნველყოფის საპითხები**

**უაკ 551**

**ზღვა-ატმოსფეროს ერთობლივი პიდროდინამიკური მოდელის ძირითადი სტრუქტურისა და მისი აგების შესაძლო გზების შესახებ. /რ.კორძაძე, დ.დემეტრაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.28-37 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.. ნახ.1., ლიტ.13.**

**უაკ 551.509**

**ამინდის პროგნოზის ამოცანებში რელიეფის გავლენის გათვალისწინების ზოგიერთი თავისებურებანი/ბ.მიქაშვილძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1998-ტ.101- გვ.38-43 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ. შემოთავაზებულია დაზუსტებული გამოსახულებები მთების თავზე ქარის პორიზონტალური მდგრელებისათვის. ანესილულია ბადის ბიჯის შერჩევის საკითხი რელიეფის ფორმის სწორად აღწერისათვის. ყურადღება ექცევა ოროგრაფიული ვერტიკალური სიჩქარეების გათვლის დროს ნაკადის პერპენდიკულარულ სიბრტყეში მთის სიმრუდის გათვალისწინების აუცილებლობას. ნახ.3., ლიტ.2.**

**უაკ 556**

**თბილისისათვის მაქსიმალური ტემპერატურის მოკლევადიანი პროგნოზი/თ.ხელაძე/. ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.44-47 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ..ლიტ.4.**

**უაკ 556.124**

**საქართველოს ტერიტორიაზე საშიში პიდრომეტეოროლოგიური და გლაციოლოგიური მოვლენები და მათგან დაცვის დონისძიებანი/გ.სვანიძე, ვ.ცომაია, ლ.ქალდანი, მ.სალუქაძე, თ.სიმონია, გ.ცომაია, ს.სრესელი/. ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.48-56 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.**

**დახასიათებულია თავსებმა წვიმები, ძლიერი თოვა, თოვლის საფარი, ნამქერები, თოვლის ზვაგები, მყინვართა გამონატანი და წყალმოვარდნები, რომლებიც გახშირდნენ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში და მიაჟენეს საქართველოს ეკონომიკას ერთ მილიონ ლარზე მეტი ზა-**

რალი. მოყვანილია მათი პარამეტრების გაანგარიშებისა და პროგნოზის მეთოდები, რეკომენდაციები მათთან დაკავშირებულ საშიში მოვლენების თავიდან აცილების შესახებ. ლიტ.9.

### უაკ 551.311.21:627.157

**ღვარცოფული საშიშროების ფონური პროგნოზის ზოგიერთი პრობლემები და ელემენტები/გ.ხერხეულიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.57-68 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ. შეფასებულია საქართველოში ღვარცოფული საშიშროების პროგნოზის ძირითადი შემადგენელი ნაწილების თანამედროვე მდგომარეობა; რეტროსპექციის, რომელიც დაკავშირებულია ღვარცოფულ მოვლენებზე და მათ თანმხელებ ფაქტორებზე ინფორმაციის საარქივო ფონდების შექმნასთან; დიაგნოზის, რომელიც დამოკიდებულია ღვარცოფული მოვლენების ფორმირების დინამიკაზე სრულყოფილი მიმღინარე ინფორმაციის ოპერატორული შეკრების შესაძლებლობაზე, ღვარცოფთა პარამეტრების და გავლის შედეგების შეფასებაზე; პროსპექციის, რომელიც დაკავშირებულია ღვარცოფული საშიშროების და მათი გავლის დროში და სივრცეში პროგნოზირებასთან. წინა წლებში გარკვეული წარმატების ფონზე აღინიშნება რეგრუსი დიაგნოზის ნაწილში. მდ.ალაზნის აუზის მონაცემთა ბაზის მაგალითზე აღწერილია ღვარცოფსაშიშროების საპროგნოზო მეთოდების დამუშავებისთვის საჭირო პრედიქტორთა რეპრეზენტაციული არაღვარცოფული კლასის ფორმირების ხერხები. განიხილება საპროგნოზო განტოლებების ყოველმხრივი შეფასების, ძირითად პრედიქტაციებზე მონაცემთა სპექტრალური ანალიზის, პროგნოზის შესაძლო დროულობაზე ცალკეულ პარამეტრთა გავლენის საშუალებები ნას.1., ცხრ.1., ლიტ.დას.13.**

### უაკ 556.124

**თოვლის საფარში ატმოსუაგული ტენის კონდესაციის პიდრომეტეოროლოგიური საფუძლები. /ვ.ცომაია, ნ.ნ.ბეგალიშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული-1998-ტ.101-გვ.69-92-რუს.; რეზ.: ქართ., ინგ.**

დებადური თოვლდებების მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დიდ თოვლიან რაიონებში (ბახმარო, აჩიშხე, გაგრის ქედი, ლებარდე, გუდაური, ჯვრის უდელტეხილი, არაგაცი მაღალმთიანი) სადაც თოვლის საფარის სიმაღლე აღემატება 100 სმ, წყლის მარაგი მასში თვეებისა და მაქსიმალური თოვლდაგროვების დროს აღემატება შესაბამის ნალექთა ჯამს. ეს შეიძლება აიხსნას ატმოსუაგული ტენის კონდესაციით თოვლის საფარში, რაც მტკიცდება ნალექწისა (X) და თოვლის საფარში კონდენსირებული ნამის სიდიდის ( $\Delta W$ ) ჯამისშედარებით ჩამონადენისა (h) და აორთქლების (Z) ჯამთან, ე.ი.  $X+\Delta W=h+Z$  ბალანსის შემოწმებით. შედარების შედეგები აღმოჩნდა სრულიად დამაკმაყოფილებელი.

დადგენილია, რომ ატმოსუაგული თენის კონდესაციის სიდიდე თოვლის საფარში იზრდება მისი სიჩქარე ზრდასთან ერთად და მცირდება შავი ზღვის სანაპიროდან დაშორებით, პაერის მასების ტენიანობის დაცემის გამო ხმელეთის სიღრმეში შეჭრისას.

მოცემულია  $\Delta W$ -ის და Z-ის გამოთვლის მეთოდები და აგრეთვე თოვლის საფარში ატმოსუაგული ტენის კონდესაციის ( $\Delta W$ ) ცვალებადობის თავისებურებანი დროში და სივრცეში.

### უაკ 556.06

**წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯის პროგნოზირება/ც.ბასილაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.93-98 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.**

ეკონომიკური და სოციალური ზარალის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის პროგნოზირება. ამოპანგარიშებულია სხვადასხვა მახასიათებლები მთავარ მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმუმებისა, რომლებიც ფორმირდებიან თოვლის დნობის და წვიმის წყლების მაქსიმუმების თანხვედრის დროს მაის-ივნისში. როგორის შედგენა ხდება მარტში, როცა ცნობილია მონაცემები წინა წლის შემოდგომისა და ზამთრის პერიოდის. მრავალბიჯიანი გაცხრილვის გზით შერჩეულია ოპტიმალური საპროგნოზო მოდელები, მრავალფაქტორიან განტოლებათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია საუკეთესო საპროგნოზო დამოკიდებულებები წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯებისა მდინარეებზე: ენგურზე, რიონზე, ყვირილაზე, ხანისწყალზე, ლიახვზე, ქსანზე, არაგვზე და ალაზანზე. პროგნოზები შეიძლება გაიცეს როგორც ჩვეულებრივი ასევე ალბათური ფორმით. მათი გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას დიდი ეკონომიკური ეფექტი. ცხრ.1., ლიტ. დას.3.

**უაკ 556.166**

საქართველოს მდინარეებზე წყალმოვარდნების პროგნოზირება/ც.ბასილაშვილი/. პმი-ს შრო-მების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.99-108 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

წყალმოვარდნები საქართველოს მდინარეებზე უცაბედად წარმოიქმნებიან და ხშირად დიდი მატერიალური ზარალი მოაქვთ. არსებული შეზღუდული ინფორმაციის პირობებში საპროგნოზოდ შედგენილი იქნა მარტივი სტატისტიკური მრავალფაქტორიანი მოდელი, სადაც ფაქტორების დანაწევრებით ცალკეული პერიოდის მაჩვენებლებად გათვალისწინებულია პიდრომეტროლოგიური ელემენტების დინამიკის გავლენა მდინარეთა საპროგნოზო მაქსიმალურ ხარჯზე. გარკვეული მათემატიკური კრიტერიუმების გამოყენებით შერჩეულ იქნა ოპტიმალური ნაერთი პრედიქტორებისა. საპროგნოზო მოდელის ამოხსნის დროს კი გამოყენებულ იქნა მრავალფაქტორიან განტოლებათა სისტემის პირდაპირი და შებრუნებული გაშლა.

კვლევის შედეგად მიღებულია წყალმოვარდნის მაქსიმალური ხარჯების საპროგნოზო ფორმულები მდინარეებისთვის: ენგურის, რიონის, და ყვირილასათვის. როგნოზები შეიძლება გაიცეს 12 და 24 საათით ადრე წყალმოვარდნის პიგის დადგომამდე. სეთი შეტყობინებით საკმაოდ შემცირდება მატერიალური ზარალი მოსალოდნელი კატასტროფული წყალმოვარდნებისაგან. ცხრ.3., ლიტ.დას.11.

**უაკ 561.582**

მთიან რაიონებში მეტეოროლოგიური ქსელის რაციონალური განლაგების საკითხისათვის/ე.ელიზბარაშვილი, მ. ელიზბარაშვილი/პმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.109-113 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

მეტეოროლოგიური ქსელის რაციონალიზაციის დინოზდოვ-შეპელევსკის მეთოდი განზოგადებულია მთიანი რაიონებისათვის. პუნქტებს შორის ჩვეულებრივი მანძილის ნაცვლად გამოყენებულია ევკლიდიგეს მანძილი, რომელიც ითვალისწინებს როგორც მანძილს, ისე სიმაღლეთა სხვაობას. ჩატარებულია შესაბამისი შეფასებები. ნახ.1., ცხრ.1., ლიტ.დას.6.

**უაკ 551.48:519.2**

საქართველოს მდინარეების ჩამონადენის ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება რისკფაქტორით/ე.საბაძე/პმი-ს შრომების კრებული -1998-ტ.101 - გვ.114-117 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ. ნაშრომში განხილულიამდინარეული ჩამონადენის გაჭუჭყიანების ძირითადი ფაქტორები. რომლის შეფასებისთვისაც გამოყენებულია საიმედობის ოეორია, კერძოდ რისკ-ფაქტორის პრინციპი, რომელიც აპრობირებულია მდინარე მტკერის მაგალითზე. ცხრ.1., ლიტ.დას.3.

**უაკ 551. 576**

კონვექციური დრუბელთა ურთიერთქმედების გამოკვლევა/ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ნ.ჯაფარიძე, თ.რობიტაშვილი, ნ.ჩახვაშვილი/პმი-ს შრო-მები -1998 - ტ.101 - გვ.118-129 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

კონვექციური დრუბელთა სისტემის ორგანზომილებიანი არასტაციონალური თერმოპიდონამიკური მოდელის ბაზაზე გამოკვლეული იქნა დრუბელთა ურთიერთქმედების გავლენა მათ ევოლუციასა და ნალექთა რეჟიმზე. ურთიერთქმედება შესწავლილი იქნა ორი მეზობელი დრუბლის მოდელირებით, რომლებიც ერთმანეთისაგან იმყოფებიან სხვადასხვა მანძილზე და განვითარების სხვადასხვა სტადიაშია. რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დრუბელთა ურთიერთქმედებას აქვს რთული ხასიათი. დრუბელთა ურთიერთქმერწყმის განმსაზღვრელ პარამეტრებს წარმოადგენს: მათ შორის მანძილი, წნევის პორიზონტიალური გრადიენტი და განვითარების სტადია. დრუბელთა გაერთიანების შემდეგ მოსული ნალექი აღემატება იმ ნალექთა ჯამს, რომელსაც გვაძლევს არაურთიერთქმედი დრუბლები.

**უაკ 551.583:338.98**

კლიმატის ცვლილების პრობლემა და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ზოგიერთი საკითხები/თ.გზირიშვილი, ბ.ბერიტაშვილი/პმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.130-141 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.. ნახ.2., ლიტ.დას.13.

კლიმატი, კლიმატის ცვლილება და მისი პავშირი ატმოსფეროს გაჰჰუმიანებასთან

**უაკ 551.582**

კლიმატური ციკლები და ატმოსფეროს ცირკულაციის რეევადობა. /ე.ელიზბარაშვილი, ჯ.ვაჩიძე, თ.ალადაშვილი/პმი-ს შრომების კრებული -1998-ტ.101-გვ.142-149 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

150 წლიან (1840 - 1990) მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა საფუძველზე აგებულია ტემპერატურის და ნალექების ინტეგრალურ-სხვაობითი მრუდები თბილისისათვის. ამოვლენილია კლიმატური ციკლები და ფაზები, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფეროს ცირკულაციის ძირითადი ფორმების რყევადობასთან. ნახ. 1., ცხრ. 2., ლიტ. დას. 9.

### უაგ 551.54

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში სინოტივის ველის კვლევის ზოგიერთი შედეგები. /ნ.ბეგალიშვილი, კ.თავართქილაძე, ნ.ნებიერიძე, მ.ტატიშვილი, ლ.ჭურაშვილი/ კმი-ს შრომების კრებული - 1998- ტ.101 - გვ.150-159 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

მოყვანილია კლიმატის შედეგები, დაკავშირებული 90 მეტეოროლოგურისა და საგუშაგოთა 1906 - 1995 წწ პერიოდის მონაცემების საფუძველზე ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში სინოტივის ველის ემპირიულ-სტატისტიკური მოდელის აგებასთან. მოდელის საშუალებით მიღებულია წყლის ორთქლის დრეკადობისა და ფარდობითი ტენიანობის საშუალოთვიური და საშუალოწლიური მნიშვნელობების განაწილებათა რუკები. საკვლევ ტერიტორიაზე თანაბრად განაწილებული 12 მეტეოროლოგურის მრავალწლიურ მონაცემთა რიგების ანალიზის საფუძველზე გამოთვლილია მათი წრფივი აპროქსიმაციის (ტრენდების) კოეფიციენტები. ამის შედეგად პირველ მიახლოებაში დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე სინოტივის ველის საუკუნეობრივი ცვლილების ტენდენციები. ნახ. 2., ლიტ. დას. 4.

### უაგ 556.510

კავკასიის მაღალმთიანი ზოლის წყალმოვარდნების თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური თავისებურებანი კლიმატის მიმდინარე დათბობის პირობებში /ვ.ცომაია, ლ. სანებლიძე, ს.კენკებაშვილი/ კმი-ს შრომების კრებული - 1998 - ტ.101 - გვ.160-164 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

მოყვანილია კავკასიის მაღალმთიანი ცივი ზონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. აღნიშნულია, რომ 2800-3000 მ სიმაღლეზე მაღლა გახშირდა წვიმები, რომლებიც მოიცავენ ტერიტორიის დიდ ნაწილს, მათ შედეგად ადგილი პონდა კატასტროფულ წყალმოვარდნებს (1952, 1953, 1967, 1984, 1987, 1988, 1989, 1996 და 1997 წლებში) რომლებმაც ქვეყანის ეკონომიკას მიაუქნის 100 მლნ. დოლარზე მეტი ზარალი. ჩატარდა წყლის მაქსიმალური სარჯების და წყალმოვარდნების აქტიურობის კოეფიციენტის (წყლის მაქსიმალური ხარჯის შეფარდება საშუალო მრავალწლიურ წლიურ ჩამონადენის ხორმასთან). მაღალმთიანი ზონის პატარა მდინარეებზე ამ კოეფიციენტებმა მიაღწიეს 200 - 300, რაც 2,3-ჯერ აღემატება, ადრინდელი წლების მნიშვნელობებს. კოეფიციენტი გამოყენებულია კლიმატის დათბობის შესაფასებლად, რომელიც დაიწყო 60 - 70 წლების მოკლევადიანი აცივების შემდეგ და გრძელდება დღესაც.

### უაგ 551.583

სათბურის ეფექტის გამომწვევე გაზების ემისიისა და შტანტების წაყროთა წინასწარი ინგენტარიზაცია საქართველოში/ ბ.ბერიტაშვილი, თ.ბუდაღაშვილი, გ.გუნია, ლ.ინწკირველი, გ.გუგუა, ჯ.ქარჩავა/ კმი-ს შრომების კრებული - 1998 - ტ.101 - გვ.165-173 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიიდან სათბურის ეფექტის მქონე გაზების წყაროთა ინგენტარიზაციის წინასწარი შედეგები. გამოთვლებისათვის გამოყენებულია კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის (IPCC) მიერ შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციები.

ინგენტარიზაცია ჩატარებულია, როგორც სათბურის პირდაპირი ეფექტის მქონე გაზებისათვის ( $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{N}_2\text{O}$ ), ასევე მიკრომინარევებისათვის ( $\text{CONO}_x$ ), რომლებიც სათბურის პირდაპირი ეფექტით არ ხასიათდებიან. მიღებულია საქართველოს ტერიტორიაზე პირველადი მონაცემები 1980, 1985, 1990 წლებისათვის და მოცემულია  $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{N}_2\text{O}$ ,  $\text{CONO}_x$  ემისიებისა და ტყის სისტემების  $\text{CO}_2$ -ის შტანტების მიახლოებითი რაოდენობრივი შეფასებები.

### უაგ 551.510.42

ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის ცვლილების კვლევის ზოგიერთი შედეგები. /გ.გუნია, ზ.სვანიძე, ლ.ქართველიშვილი/ კმი-ს

შრომების კრებული - 1998 - ტ. 101 - გვ. 174-183-ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

გაკეთებულია დასკვნა ატმოსფერში ნახშირორეანგის კონცენტრაციის გამუდმებულ მატების შესახებ, რამაც უკანასკნელ წლებში წინაინდუსტრიალურ პერიოდთან შედარებით 30%-ზე მეტი შეადგინა.

კავკასიის რიგ პუნქტებიდან მიღებული ატმოსფეროს ნალექების ჯამური შემადგენლობის კვლევებით დადგინდა მათი მინერალი-ზაციის 12% მატება. პირველად არის შეფასებული კავკასიის სხვადასხვა რაიონებში ატმოსფერიდან ჩამორეცხილი მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა და საქართველოს რიგ პუნქტებში მოსულ ნალექების მეტალური მიკრომინარევების კონცენტრაციების მნიშვნელობები. მიღებული შედეგები ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის შედეგად ატმოსფეროს ქიმიური სემადგენლობის ფართომასშტაბურ ცვლილებებზე მეტყველებენ. ცხრ.3., ლიტ. დას.11.

### უაკ 586

ჯამური სპექტრული რადიაციის ნაკადის ცვალებადობა ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის მიხედვით/ი.შენგელია/ ჰმი-ს შრომების კრებული-1998-ტ.101-გვ.187-ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

მიღებულია ემპირიული ფორმულა ( $Z = aZ^b$ , ტიპის, გაზომილი სპექტრალური რადიაციის ჯამური ნაკადის ( $Q$ ) --თი დამოკიდებული ზღვის დონიდან ( $Z$ ) სიმაღლის ადგილმდებარეობაზე. კოეფიციენტები ა და ბ გამოთვლილია უმცირეს კვადრატთა მეთოდით. აპროქსიმაციის სიზუსტე 87% შეადგენს. ცხრ.3., ლიტ.დას.4.

### უაკ 551.521

სამხრეთის ორიენტაციის უაკდობებზე ქვეფენილი ზედაპირის მიერ შთანთქმული მზის რადიაციის წლიური მსვლელობის კანონზომიერებები/რ.სამუკაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული - 1998 - ტ. 101 - გვ. 188-196-ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

ცენტრალური კავკასიონისათვის დადგენილია სამხრეთის უაკდობებზე ქვეფენილი ზედაპირის მიერ შტანთქმული მზის რადიაციის კერტიკალური ცვლილებების კანონზომიერებები. გამოყენებულია ექვს აგრომეტეოროლოგიურ სადგურზე მზის პირდაპირ რადიაციაზე დაკვირვების ინფორმაცია 1956 - 1987 წლების პერიოდისათვის. ცხრ.3., ლიტ. დას.2.

**ბამოზენებითი პილომენტეოროლობის საპითხები**

### უაკ 634.8:631.5:7.021.2

ყურძნის კრეფის ოპტიმალური ვადების დადგენისათვის/დ.არველაძე, შ.თევზაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.197-208 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

### უაკ 581.524.44:635.11

აღმოსავლეთ საქართველოს აგროკლიმატური რესურსების შეფასება შაქრის ჭარხლის წარმოების მიზნით/გ.მელაძე, შ.ცერცვაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.1208-218 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

### უაკ 551.586

ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაციის წლიური სფლის კანონზომიერებები უაკდობებზე/ რ.სამუკაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.219-229 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ..

### უაკ 633.8:23.03

სურნელოგან-არომატული სანელებელი კულტურების წარმოება საქართველოს მაღალმთიანი ზონისს პირობებში/გ.მელაძე, მ.თუთარაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.230-233 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ.

### უაკ 631.6

წვეთოვანი მორწყვის სისტემა და მისი აღჭურვილობა/გ.ჩიკვაიძე/ ჰმი-ს შრომების კრებული - 1998 - ტ.101 - გვ.234-244 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ. ლიტ.დას.5.

### უაკ 551.586

ნაგებობების კედლების სითბური რეჟიმის რადიაციული ფაქტორების რაოდენობრივი შეფასება კავკასიის პირობებში/რ. სამუკაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -1998 - ტ.101 - გვ.245-252 - ქართ.; რეზ.: რუს., ინგ. ცხრ.2., ლიტ.დას.8.

### უაკ 631.55:582.823:551.5920.21

დიდი ენერგიის მქონე კოსმოსური ნაწილაკების მცენარეთა პროდუქტიულობაზე გავლენის შესახებ/დ.არველაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული-1998-ტ.101-გვ.253-261-რუს.; რეზ.: ქართ., ინგ. ნახ.3., ლიტ.7.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 102**

**უაკ 551.510. 521.522.571.582.583.584.585**

კლიმატოლოგიის პრობლემები. /თ.ალადაშვილი, ც.დიასამიძე, ე.ელიზბარაშვილი, მ. ელიზ-ბარაშვილი, შ.ელიზბარაშვილი, ჯ.ვაჩნაძე, კ.კაპანაძე, რ.კორდახია, ნ.ნებიერიძე, ი. ოთარაშვილი, ლ.პაპინაშვილი, რ.სამუკაშვილი, ე.სუხიშვილი, ზ.ქარსელაძე, ლ.ყურაშვილი, ი.ჭინჭარაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ. 102, ქართ; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის წინამდებარე შრომების კრებულში წარმოდგენილია 1998-2000 წლებში ინსტიტუტის კლიმატოლოგიის სექტორში ჩატარებული გამოკვლევების ძირითადი შედეგები.

კრებულში შეტანილია სტატიები საქართველოს კლიმატოლოგიის პრობლემების 4 მიმართულებით: ზოგადი კლიმატოლოგიის საკითხები, კლიმატური რესურსები, კლიმატის ცვლილება და მიკროკლიმატი.

კრებული სასარგებლო იქნება მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგიის და გეოგრაფიის სხვა დარგებში მომუშავე მეცნიერ თანამშრომლების, ასპირანტების და პრაქტიკოს სპეციალისტებისთვის.

**უაკ 551.521**

მზის ნათების ხანგრძლივობის რეჟიმული და სტრუქტურული თავისებურებები კავკასიის ტერიტორიაზე/რ.სამუკაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.102-გვ.3-13.-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

კავკასიის ტერიტორიის ჰიდროლოგიის კიბერენერგეტიკული დარაიონების მიზნით მრავალწლიური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგენილია მზის ნათების რეჟიმული და სტრუქტურული თავისებურებები. ცხრ.2,ლიტ. დას.3.

**უაკ 551.581**

საქართველოს ტემპერატურული ველის ფორმირების გეოგრაფიული ფაქტორების შესახებ/მ. ელიზბარაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -2001-ტ.102-გვ.14-22-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

გამოკვლეულია ადგილის სიმაღლის, გეოგრაფიული განედის და გეოგრაფიული გრძედის გავლენა ტემპერატურის ველის ფორმირებაზე. მიღებულია რეგრესიის განტოლებები და შესაბამისი სტრუქტურის პარამეტრები. გამოკვლეულია განხილული ფაქტორების ტემპერატურის ველის ჩამოყალიბებაზე გავლენის ძირითადი კანონზომიერებანი.

**უაკ 551.583**

ატმოსფერული ნალექების ველების აღწერა არაწრფივი რეგრესიული მოდელების გამოყენებით/ ე.ელიზბარაშვილი, შ.ელიზბარაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ.102- გვ.23-32 - ქართ.; ქართ რეზ.: რუს., ინგ.

საქართველოს ტერიტორიის ატმოსფერული ნალექების ველი, როგორც ადგილის სიმაღლის, გეოგრაფიული განედის და გეოგრაფიული გრძედის ფუნქცია აღწერილია არაწრფივი მოდელით. მოდელირების შედეგები კარგ თანხმობაშია ფაქტობრივ მონაცემებთან. მიღებული მოდელების გამოყენებით გამოთვლილია ნალექების გასაშუალოებული სიდიდეები და მოსული წყლის საერთო მოცულობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებისათვის და მთლიანად საქართველოსათვის. ცხრ.4, ილ.3,ლიტ.დას.16.

**უაკ 551.582**

თოვლის საფარისა და საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების (ქარბუქი, ნისლი) რეჟიმი რიკოთისა და მამისონის უღელტეხილებზე/ლ. აპინაშვილი, ე.სუხიშვილი, რ.კორდახია/ ჰმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.102-გვ.33-46-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

თოვლის საფარისა და საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების ქარბუქის და ნისლის კომპლექსური მაჩვენებელთა სტატისტიკური სტრუქტურების საფუძველზე შეფასებულია მათი რეჟიმი რიკოთის და მამისონის უღელტეხილებზე.

თოვლის საფარის მრავალწლიური ცვლილების გამოკვლევათა შედეგად დადგენილია დროებითი ტრენდი და თოვლის საფარის სიმაღლის სივრცობრივ-დროითი ციკლურობა.

უაკ 551.582

**ატმოსფერული ნალექების ინტენსივობა საქართველოს ტერიტორიაზე/ ე. ლიზბარაშვილი, ი. ოთარაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102 - გვ.47-55 - ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

დამუშავებულია ნალექების საშუალო ინტენსივობის ტერიტორიული განაწილების რუკები. გამოყოფილია ინტენსივობის წლიური სელის 4 ტიპი და ჩატარებულია ტერიტორიის შესაბამისი დარაიონება.

გამოვლენილია კავშირები საშუალო ინტენსივობისა და გროვა-წვიმა და ფენა-წვიმა ღრუბლების განმეორადობადს შორის.

უაკ 551.582

**რადიაციულ ბალანსსა და ჯამურ რადიაციას შორის დამოკიდებულებების თავისებურებანი საქართველოს პირობებში/რ.სამუკაშვილი, ც.დიასამიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -2001-ტ.102-გვ.56-64-ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

ქვეფენილი ზედაპირის რადიაციულ ბალანსზე და ჯამურ რადიაციაზე 1956-1991 წლების აქტინომეტრიული დაკვირვებების ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგენილია მათ შორის დამოკიდებულებების გრაფიკული და ანალიზური სახეები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას რადიაციული ბალანსის გამოთვლების მიზნით იმ პუნქტებში, სადაც არ გარდებოდა ბალანსური დაკვირვებები.ცხ.2, ილ.4, ლიტ. დას.3.

უაკ 551.582

**პირდაპირი და გაბნეული რადიაციის კავშირი ატმოსფეროში წყლის ორთქლის შემცველობასთან. /ლ.ყურაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული 2001, ტ.102- გვ.65-71, ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

განხილულია ატმოსფეროს წყლის ორთქლის კავშირი პირდაპირ და გაბნეულ რადიაციასთან ისეთი მეტეოროლოგიური პარამეტრებისა, როგორიცაა ატმოსფეროს ოპტიკური სიმკვრივე, ქვეფენილი ზედაპირის ალბედო და ოზონის სრული შემცველობა.

განხილული მეტეოროლოგიური გამოყენებით მიღებულია განტოლებები რადიაციული ნაკადების სიდიდის გამოსათვლელად.

უაკ 551.521

**ჰელიონერგეტიკული რესურსების განაწილების თავისებურებები კავკასიის ტერიტორიაზე/რ.სამუკაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102- გვ.72-85 - ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

კადასტრული მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე ჩატარებულია კავკასიის ტერიტორიის დარაიონება პიდროენერგეტიკული რესურსების მიხედვით.

უაკ 551.521

**სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ქარის ენერგეტიკული რესურსები/ე.სუხიშვილი, რ.კორძახია/ ჰმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102- გვ.86-100 - ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

ქარის საშუალო სიჩქარის, მისი სტრუქტურული ელემენტების განმეორადობა და ხანგრძლივობის მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია რაიონები, სადაც ქარის ენერგიის გამოყენება რენტაბელური იქნება.

ყველანაირი ტიპის ქარის ენერგეტიკული დანადგარისათვის ენერგიის გამოყენების პერსპექტიულობით გამოირჩევა გოდერძის უდელტეხილი, ცხრა წყარო და ჯავახეთის ცენტრალური ნაწილი (ფარავნის ტბის რაიონი - ფოკა, როდიონოვკა), ხოლო ნელმავალი და ნაწილობრივ ჩქარმავალი ქარის დანადგარების ექსპლუატაციისათვის - ჯავახეთის ზეგნის სამხრეთ ნაწილი (ეფრემოვკა, კარწახი, ნინოწმინდა). განსახილველი ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი, ქარის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით არ, არის რენტაბელური.

უაკ 551.585

**აჭარის საკურორტო კლიმატური დარაიონება/ე.ელიზბარაშვილი, ზ.ქარსელაძე, თ.ალა-დაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.102-გვ.101-106 - ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.**

აჭარის საკურორტო დარაიონების საფუძვლად დაედო საკურორტო კლიმატური რესურსების პოტენციალი, კლიმატის ფორმირების ფაქტორები, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და კლიმატის ძირითადი ელემენტების განაწილებათა კანონზომიერებანი.

გამოყოფილია 5 საქურორტო რაიონი – სანაპიროს, დაბლობის, მთისწინა, დაბალი მთის და საშუალო მთის. წარმოდგენილია თითოეული მათგანის სამკურნალო ფაქტორები.

### უაკ 551.585

**კახეთის რეგიონის კლიმატური რესურსები.** /ი. ჭინჭარაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ.102- გვ.107-111 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

აგროკლიმატური, საკურორტო და ჰელიოენერგეტიკული რესურსების შეფასების საფუძველზე ჩატარებულია კახეთის რეგიონის კლიმატური დარაიონება. დახასიათებულია გამოყოფილი რაიონების კლიმატური რესურსები და შემუშავებულია მათი ეფექტური გამოყენების რეკომენდაციები.

### უაკ 551.583

**ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე.** /ე.ელიზბარაშვილი, ლ. პაპინაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ.102- გვ.112-116 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

შრომაში მოცემულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მრავალწლიური ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე. 1937-1990 წწ. დაკვირვებათა მონაცემების მიხედვით წლის ობილი და ცივი პერიოდისათვის აგებულია ნალექთა ცვლილების სიჩქარის განაწილების რუქები. ილ.3,

### უაკ 551

**თავისუფალი ატმოსფეროს თერმული სტრატიფიკაცია და მისი ცვალებადობა საქართველოში/ჯ.გაჩჩაძე, ლ.კურაშვილი/ ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ.102- გვ.117-126 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.**

განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტის ( $\gamma$ OC/100 მ) განაწილება.

გამოყენებულია რადიოზონდები, თანაბრად განაწილებული დაკვირვების ვადების, თვეების და მოდრუბლულების რეაიმის მიხედვით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მოცემულია ზოგადი დასკვნები. ილ.3, ლიტ. დას.10.

### უაკ 551.583

**ატმოსფერული ნალექების რეგიონალური განსაკუთრებულობანი კლიმატის ცვლილების ფონზე (მდ.არაგვის აუზის მაგალითზე)/ლ.პაპინაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 – ტ.102- გვ.127-138 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.**

განხილულია მდინარე არაგვის ხეობაში ბუნებრივი ფაქტორებით განპირობებული ატმოსფერული ნალექების ცვლილების თავისებურებანი. განსაზღვრულია ატმოსფერული ნალექების ტრენდი და გამოვლენილია ფარული ციკლურობა მათ მრავალწლიურ რიგებში. ცხრ.4,ილ.2,ლიტ. დას.8.

### უაკ 551.583

**საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილების მათემატიკური მოდელირება/შ. ელიზბარაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -2001 – ტ.102-გვ.139-144-ქართ.; რეზ.: ქართ რუს.,ინგ.**

ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილება, როგორც სტოქასტიკური პროცესი აღწერილია მე-3 რიგის პოლინომით. საქართველოს სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში განლაგებული 8 მეტეოროლოგიური სადგურისათვის მიღებულია ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური ცვლილების დამასახიათებელი კოეფიციენტები და განტოლებები. ცხრ.1,ილ.2, ლიტ.დას.3.

### უაკ 551.571 : 51.510.522

**საქართველოს ტერიტორიაზე სინოტივის მიწისპირა ველის ძირითადი მახასიათებლების საუკუნეობრივი ცვლილება/ნ.ნებიერიძე/ჰმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.102-გვ.145-151-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

განხილულია ატმოსფეროს მიწისპირა ვენებში წყლის ორთქლის დრეკადობისა და ფარდობითი ტენიანობის კვლევის შედეგები საქართველოს ტერიტორიაზე 90 მეტეოროდგურისა

და პუნქტის მონაცემთა ბაზაზე 1906-1995 წწ პერიოდისათვის. მოყვანილია წყლის ორთქლის დრეკადობისა და ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური და თვის საშუალო მნიშვნელობების საუკუნეობრივი ცვლილების განაწილების რუქა-სქემა წრფივი ტრენდების მახასიათებლების საფუძველზე. ილ.2,ლიტ. დას.3.

#### უაკ 551.584

წყალსაცავის გარემოს მიკროკლიმატზე გავლენის შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები/რ.სამუკაშვილი, ც.დიასამიძე/ პმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102- გვ.152-159 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

შრომაში მოცემულია წყალსაცავების გარემოს მიკროკლიმატზე გავლენის ლიტერატურაში არსებული მეთოდოლოგიური შეფასების საფუძვლები.ლიტ.დას.3.

#### უაკ 551.584

გარემოს ძირითად კლიმატურ მახასიათებლებზე წყალსაცავების გავლენის ზოგადი თავისებურებები/რ.სა-მუკაშვილი, ც.დიასამიძე/ პმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102-გვ.160-163-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

შრომაში განხილულია პაერის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, ღრუბლიანობაზე და ქარის რეჟიმზე წყალსაცავების გავლენის თვისებრივი მახასიათებლები.ლიტ.დას.3.

#### უაკ 551.582

მდინარე ენგურის წყალსაცავების რაიონში პაერის ტენიანობისა და ნალექების ცვლილებების თავისებურებანი/რ.შამუკაშვილი/ პმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102-გვ.165-173. - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

მდინარე ენგურის წყალსაცავების რაიონში ჩატარებულია პაერის ტენიანობის და ნალექების ვერტიკალური ცვლილებების ანალიზი. გამოყენებულია პაერის ტენიანობაზე და ნალექებზე საკვლევ რაიონში განლაგებული შვიდი მეტეოროლოგიური სადგურის ინფორმაცია 1906-1990 წლების პერიოდისათვის. ცხრ.1,ილ.1,ლიტ.დას.3.

#### უაკ 551.582

მდინარე ენგურის ხეობაში ქარისა და პაერის ტემპერატურის რეჟიმული მახასიათებლები/რ.სამუკაშვილი/პმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.102-გვ.174-182 ქართ.;რეზ.:ქართ, რუს.,ინგ.

შვიდ მეტეოროლოგიურ სადგურზე 1906-1990 წლებში ჩატარებული დაკვირვებების ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მდინარე ენგურის ხეობისათვის დადგენილია პაერის ტემპერატურისა და ქარის ვერტიკალური ცვლილებების კანონზომიერებები. ცხრ.1, ლიტ.დას.3.

#### უაკ 551.582

სტრუქტურული თანაფარდობანი საქართველოს წყალსაცავების ძირითად კლიმატურ მახასიათებლებს შორის/კ.კაპანაძე/პმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.102- გვ.183-188 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

გამოვლენილია სტრუქტურული ურთიერთკავშირები საქართველოს წყალსაცავების ძირითად კლიმატურ მახასიათებლებს შორის - პაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები, აორთქლება. გამოკვლეულია სისტემა წყალი პაერის სითბური რეჟიმი.ცხრ.1,ილ.3,ლიტ.დას.2.

#### უაკ 551.584

ქალაქ თელავის მიკროკლიმატური თავისებურებანი/ე.ელიზბარაშვილი, ი.ჭინჭარაშვილი/. პმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ. 102-გვ.189-193 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

2000 წლის ზაფხულის განმავლობაში ქალაქ თელავის ცენტრალურ ნაწილში ორგანიზებულ 4 დროებით პუნქტში ჩატარებული მეტეოროლოგიური დაკვირვებების საფუძველზე შეფასებულია ქალაქის მიკროკლიმატური პირობები. დამუშავებულია იზოთერმების რუკები. შეადგის საათებში, დიდი სიცხის პირობებში, გამოვლენილია „სითბოს კუნძული“, რომელიც ქალაქის ცენტრს - საკოლმეურნეო ბაზრის და ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 103**

უაგ 26.234.7.

551.58. ქ.

თბილისის კლიმატის მრავალწლიური ცვლილება და ციკლური რყევადობა/თ.ალადაშვილი, ნ.ბეგალიშვილი, ჯ.გაჩნაძე, ნ.ჯანგულაშვილი, რ.კორძახია, ნ.ნებიერიძე, ლ. პაპინაშვილი, რ.სამუქაშვილი, ე.ხუხიშვილი, კ.თავართქილაძე, მ.ელიზბარაშვილი, ე.ელიზბარაშვილი, ი.ჭინჭარაშვილი/. ჰმი-ს შრომების კრებული -2001 - ტ.103 165 გვ. - ქართ.; რეზ.: ქართ რუს., ინგ. ქ.თბილისის პიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის 150-წლიან დაკვირვებათა საფუძველზე (1844-1995წ.). ჩატარებულია კლიმატის მრავალწლიური ცვლილება და ციკლური რყევადობის მრავალმხრივი გამოკვლევა.

განხილულია კლიმატური პირობები გეოლოგიურ წარსულში და უკანასკნელ ათასწლეულში, კლიმატის თანამედროვე ცვლილებები, კლიმატის რეაქცია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების მიმართ, ურბანიზაციისგავლენა კლიმატზე, მომავლის კლიმატის სცენარები. განკუთვნილია კლიმატის ცვლილების დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 104**

**უაკ 268 : 551 : 669**

საქართველოს მცხოვრებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა წინამდებარე კრებულში მოთავსებულია მეტეოროლოგიის (ატმოსფერის ფიზიკა) და ეკოლოგიის (ბუნებრივი გარემოს დაბინძურება) დარგში ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები.

კერძოდ, მოყვანილია კავკასიის რეგიონის რელიეფის პიდროდინამიკური გარსდენის ამოცანის რიცხვითი ამონსნა, განხილულია ამინდის პიდროდინამიკური პროგნოზის სტატისტიკური ინტერპრეტაციის საკითხები, შეფასებულია საქართველოში ნალექთა ანომალიების გრძელვადიანი სინოპტიკური პროგნოზის შესაძლებლობანი. მოყვანილია, აგრეთვე, მრავალუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის განვითარებისა და ნალექთა გაზრდის მიზნით მასზე ზემოქმედების მათემატიკური მოდელირების შედეგები. განხილულია პიგროსკოპულ ნივთიერებათა გამოყენებით ხელოვნური ნისლის სტატილიზაციის ამოცანა, აეროსინოპტიკური და თანამგზავრული ინფორმაციის საფუძველზე ღრუბლობა სისტემების ევოლუციის შესწავლის შედეგები, მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების დამუშავებისა და სარეგიმო-კლიმატური ინფორმაციული ბაზების შექმნის საკითხები.

ბუნებრივი გარემოს დაჭუქყიანების ნაწილში მოყვანილია სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის გაზების ემისიის შესწავლის, აგრეთვე დიდი ქალაქების ნაგავსაყრელებიდან მეთანის ემისიის, სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტის გამონაბოლქობა შეფასების შედეგები. ჩატარებულია დასავლეთ საქართველოს ზედაპირული წყლებისა და შავ ზღვაში მათი ჩამონადენის ძირითადი დამაჭუქყიანებლების შეფასება, აგრეთვე რესაუბლიერის ტერიტორიაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრების შემოგარენში ნიადაგის მძიმე ლითონებით დაბინძურების განსაზღვრა. განხილულია საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაჭუქყიანების მონიტორინგისა და რადიოეკოლოგიური მონიტორინგის საკითხები, ბირთვული აფეთქებებისა და ჩერნობილის კატასტროფის რადიოეკოლოგიურ სიტუაციაზე გავლენის შესწავლის შედეგები.

კრებულის ბოლო ნაწილში მოყვანილია მოგონებები ცნობილ მცხოვრთა – კ.პაპინაშვილის, ი.ბართიშვილისა და ნ.ინწყირველის შესახებ, რომელნიც მრავალი წლის მანძილზე ინსტიტუტის თანამშრომლები იყვნენ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კავკასიაში მეტეოროლოგიის განვითარებაში.

**მეთეოროლოგია (ატმოსფერის ზოზიპა)**

**უაკ 551.509**

ამინდის პიდროდინამიკური პროგნოზების სტატისტიკური ინტერპრეტაციის შესახებ. /დ.დემეტრაშვილი, ს.კუპრაძე, გ.კორძახია, მ.კაპანაძე, ც.სოხაძე, ნ.რობიტაშვილი/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ.104, გვ. 5-12. ქართ; რეზ.: რუს.. ინგ..

მოცემულია პიდროდინამიკური პროგნოზის შედეგების სტატისტიკური ინტერპრეტაციის საფუძველზე ცალკეულ მეტეოროლოგიურ სიდიდეთა მოკლე - და საშუალოვადიანი პროგნოზის სქემების მოკლე მიმოხილვა. გამოთქმულია მოსაზრება საქართველოს ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის ასეთი სქემების შემუშავების მიზანშეწონილობის შესახებ.

**უაკ 551.510**

კავკასიის რეგიონის რელიეფის გარსდენის მათემატიკური მოდელირება ფონური დასავლეთის ქარის შემთხვევაში/ა.სურმავა, ა. კორძაძე/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ..104, გვ. 13-23, ქართ; რეზ.: რუს.. ინგ..

ატმოსფერის პიდროთერმოდინამიკის არაწრფივ არასტაციონარულ განტოლებათა რიცხვითი ინტეგრირების საშუალებით განხორციელებულია კავკასიის რეგიონის დასავლეთის ქარით გარსდენის მათემატიკური მოდელირება. მიღებულია შედეგები, რომლებიც თვისობრივად სწორად ასახავენ მას, რაც დაიკვირვება რეალურად. რაოდენობრივი თვალსაზრისით, მეტეოროლოგიური სიდიდეების გამოთვლილი მნიშვნელობები ახლოსაა სინოპტიკური დაკვირვებებით მიღებულ მნიშვნელობებთან. ილ.4, ლიტ.დას.10.

**უაკ 551.510**

ცირკულაციური პროცესები და ნალექების ანომალიები საქართველოში. /ი.ჩოგოვაძე, მ. მიქაშვილი, მ. ტატიშვილი/პმი-ს შრომების კრებული 2001-ტ.104, გვ.24-32, ქართ; რეზ.: რუს.. ინგ..

მაღალი სტატისტიკური უზრუნველყოფით ნაჩვენებია, რომ ეკრაპის აღმოსავლეთით განვითარებული ფართომასშტაბიანი ანტიციკლონური პროცესები წარმოადგენს ფონურ პირობას ნალექიანი პერიოდების ფორმირებისათვის ამიერკავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ცხრ.2, ილ.2, ლიტ.დას.5.

ეს 551.510.4

მრავალუჯრედიანი გროვა ლრუბლის რიცხვითი მოდელი/ნ.ბეგალიშვილი,გ.რობიტაშვილი,  
თ.რობიტაშვილი, 6. ჯაფარიძე/პმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.104.გვ.33-44, ქართ; რეზ:  
რუს.. ინგ.

მოცემულია ატმოსფერული კონვექციური მოძრაობის ორგანზომილებიანი თერმოჰიდროდინამიკური მოდელი მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზაციით. ატმოსფერული გარევაული თერმული სტრატიფიკაციის შემთხვევაში დაიკვირვება მრავალუჯრედიანი გროვა ღრუბლის განვითარება, რომლისათვისაც დამასხასიათებელია უჯრედების სუსტი ურთიერთქმედება. კერძოდ, მათ შორის თითქმის არ მიმდინარეობს მასისა და ტენის ცვლა, რასაც მოსდევს თვითეული უჯრედის დამოუკიდებელი განვითარება. ამავე დროს მათი რიცხვის ზრდისას ნალექწარმოქმნის ეფექტურობა იზრდება, რადგან იგი დაკავშირებულია ღრუბლის ტენით კვების გაზრდასთან. ცხრ.1, ილ.3, ლიტ.დას.11.

ეს 551.510

კონვექციურ დოზბელზე აქტიური ზემოქმედების რიცხვითი მოდელირება/გ.რობიტაშვილი,  
ნ.ჯაფარიძე, მ.ოდიკაძე, თ.რობიტაშვილი/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ.104, გვ. 45-54,  
ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

კონვექციური ღრუბლის ორგანზომილებიანი თერმოპიდოროდინამიკური მოდელის საფუძველზე, რომელშიც მიკროფიზიკური პროცესები პარამეტრიზებულია, ჩატარებულია ნალექების გაზრდის მიზნით მაკრისტალიზებული რეაგენტით აქტიური ზემოქმედების რიცხვითი ექსპრიმენტები. მიღებულა, რომ ნალექთა შესამჩნევი ზრდა დაკავშირებულია ზემოქმედების დინამიკურ ეფექტთან. კერძოდ, ზემოქმედების შედეგად ღრუბლის გეომეტრული ზომების გადიდება იწვევს მასში შემდინარე ტენის ზრდას, რაც მიზეზია ნალექწარმოქმნის ეფექტურობის გაზრდისა. ილ.3, ლიტ.დას.7.

ကျေး 551.510

ლრუბელში მიმდინარე მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზაცია/თ.რობიტაშვილი,  
მ.გარეჯიშვილი/, ჰი-ს შრომების კრებული - 2001-გ.104,გვ.55-63,ქართ;რუს..ინგ.

მიღებულია კონვექციურ დრუბლებში მიკროფიზიკური პროცესების მახასიათებლების გამოთვლის გასამარტივებლად წვეთების კრისტალიზაციისა და კრისტალების დნობის აღმწერი ტემპერატურაზე დამოკიდებული პარამეტრიზებული განტოლებები. განტოლებები გამოყენებულია დრუბლის ერთ.100- და ორგანზომილებიანი მოდელების რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარებისას. მიღებული შედეგები კარგად თანხვდება დაკვირვების მონაცემებს, რაც საშუალებას იძლევა ეს მოდელები გამოყენებულ იქნას ნალექთა რეგულირების გამოკვლევებში. ლიტ.დას.8.

၅၅၁ 551.585

ხელოვნური ნისლის შექმნის საკითხისათვის/ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ქ. ტატიშვილი, ა.ამირანაშვილი, ვ.ჩიხლაძე/ „კმი-ს შრომების კრებული - 2001 – ტ. 104, გვ. 64-79, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ზოგიერთი სახოფლო-სამუშაონეო ამოცანის გადასაწყვეტად ხელოვნური დაწვიმების, შეამქიმიკატების ხსნარის გაფრქვევის, წაყინვებთან ბრძოლის და სხვა მიზნებისათვის აქტუალურია ხელოვნური ნისლის შექმნის პრობლემა. განხილულია ხელოვნური ნისლის შექმნის და მისი სტაბილური ხების პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. პროექტში გათვალისწინებულია ლაბორატორიული და სავალე გამოკვლევები, დისპერსულ გარემოში ჰიგროსკოპიულ ბირთვების კონდესაციისა და ორთქლების პროცესების მათგატიკური მოდელირება.

ორი მარტივი აორთქლება-კონდესაციის მოდელის გამოყენებით შესრულებულია სუფთა წელის და პიგროსკოპულ ბირთვებზე წარმოქმნილი წვეთების ზომების შეფასებები,

გაფრქვევის მომენტიდან გავლილ მანძილზე, მოძრაობის დროზე, ტემპერატურაზე, ტენიანობაზე და ბირთვების ზომაზე დამოკიდებულებით. ცხრ.1, ლიტ. დას.17.

### უაკ 551.585

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ღრუბელთა სისტემების ევოლუციის შესწავლა თანამდგზავრული ინფორმაციის გამოყენებით. /ლ.შენგელია, ნ. ნოზაძე/, პმი-ს შრომების კრებული – 2001-ტ.104, გვ. 80-91, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

საქართველოს პიდრომეტდეპარტამენტში დაინერგა პოლარულ-ორბიტალური თანამგზავრიდან “NOAA” და გეოსტაციონალური თანამგზავრიდან “ეტერსატ” თანამგზავრული ინფორმაციის მიღების ახალი კომპიუტერული სისტემა.

ღრუბელთა სისტემების ევოლუციის შესასწავლად გამოყენებული იქნა “NOAA” -დან მიღებული მონაცემები და ისინი შედარებული იქნა ნალექებისა და სინოპტიკური სიტუაციების შესახებ შესაბამის მიწისპირა მეტეოროლოგიურ მონაცემებთან.

მოყვანილია ამიერკავკასიაზე ღრუბელთა სისტემების ევოლუციის მაგალითები პაერის მასების აღმოსავლეთის და დასავლეთის შემოჭრების დროს, რომელთაც თან ახდა ძლიერი ნალექები.

ამიერკავკასიაზე ღრუბელთა სისტემების ევოლუციის შესწავლის შედემების განხოგადებით მიღებულია დასკვნები იმის შესახებ, რომ ღრუბელთა სისტემების გადაადგილების მიმართულების გათვალისწინებით შესაძლებელია ღრუბელთა ველების მოკლევადიანი პროგნოზის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანის – ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ძლიერი ნალექების მოსვლის მოკლევადიანი ალბათური პროგნოზის ახლებური გადაწყვეტა.

20 წელზე მეტია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობს კვლევები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ღრუბელთა და ნალექთა ველების, მათი კლასიფიკაციისა და მოკლევადიანი პროგნოზის მეთოდების დამუშავების მიზნით. ამის შედეგად საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდება ღრუბელთა და ნალექთა ველების მონიტორინგის სქემის შემუშავება როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ილ.8, ლიტ. დას.3.

### უაკ 551.585

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (კახეთი) გვალვიანი პერიოდებისათვის დამასასიათებელი აეროსინოპტიკური პროცესების ტიპები/მ.ალექსიშვილი, ლ.შენგელია/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ. 104, გვ. 92-98, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

30-წლიანი აეროსინოპტიკური და მეტეოროლოგიური მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოში გვალვიანი პერიოდისათვის დამასასიათებელი აეროსინოპტიკური პროცესების 3 ტიპი. ცხრ.1, ილ.1, ლიტ.დას.3.

### უაკ 551.510

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სეტყვასაშიშ ღრუბელთა სისტემების შესწავლის მაგალითები თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით/ლ.შენგელია, მ.ალექსიშვილი/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ. 104, გვ. 99-105, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სეტყვასაშიშ ღრუბელთა სისტემების შესწავლამ მიგიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თანამგზავრულ სურათებზე მათ აქვთ ყველაზე დიდი სიკაშკაშე (თეთრი ტონი) და გამოირჩევიან თავიანთი სტრუქტურით იმის მიხედვით, თუ რომელ სინოპტიკურ პროცესს მიეკუთვნებიან:

1.ფრონტალური წარმოშობის ღრუბელთა სისტემებს აქვთ ზოლისებური ან გრიგალისებური სტრუქტურა და უკავიათ დიდი ფართობი (ცივი ფრონტის გავლისას დასავლეთიდან ან ცივი ფრონტის შემოჭრისას აღმოსავლეთიდან);

2.სამხრეთის ტალღასთან დაკავშირებულ სეტყვასაშიშ ღრუბელთა სისტემებს აქვთ დიდი ან საშუალო ზომის თეთრი ლაქის სახე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ჩაზნექილია სამხრეთის მხრიდან;

3.შიდამასიურ პროცესთან დაკავშირებულ სეტყვასაშიშ ღრუბელთა სისტემებს აქვთ მრგვალი ან ოვალური ფორმის პატარა ზომის თეთრი ლაქის სახე. ამ შემთხვევაში ზოლისებური ან გრიგალისებური ფრონტის დიდი ზომის ღრუბელთა სისტემები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არ ფიქსირდება;

4.ოკლუზის პროცესების დროს ან და-დან ოკლუზის ფრონტის გავლის შემთხვევაში თანამგზავრულ სურათებზე ღრუბელთა სისტემების გამოსახულებას აქვს დაშლილი ველის სახე, სადაც მკვეთრად გამოიხატება დიდი სიკაშკაშის მქონე სეტყვასაში უბნები. ცხრ.1, ლიტ. დას.3.

### უაკ 551.509.2

მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემთა მანქანური დამუშავების სისტემები და რეჟიმულ-კლიმატური ინფორმაციული ბაზები/ზ. ცეკვიტინიძე, გ. დარციმელია, მ. ფხაკაძე, ლ. ცეკვიტინიძე/კმი-ს შრომების კრებული-2001 -ტ. 104, გვ. 106-117, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

გაანალიზებულია მეტეოროლოგიური დაკვირვებების საქართველოს სახელმწიფო ქსელის სადგურების და საგუშაგოების რეჟიმული მეტეოროლოგიური მონაცემების მანქანური დამუშავება. განხილულია რეჟიმულ კლიმატურ მონაცემთა ბაზების წარმოდგენისა და მართვის საკითხები..

### ეკოლოგია (გუნდების გარემოს დაბინძურება)

#### უაკ 699.887.5

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორიდან სათბურის გაზების ემისიის ფაქტორის დაზუსტებისათვის/ლ. ბაჩიაშვილი, ბ. ბერიტაშვილი, ლ. ინწკირველი, გ. ქუჭავა/კმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ. 104, გვ. 118-123, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შეფასებულია სათბურის გაზების ემისიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორიდან, მათ შორის როგორც პირდაპირი (CO<sub>2</sub>, N<sub>2</sub>O, CH<sub>4</sub>), ასევე არაპირდაპირი (CO, NO<sub>x</sub>) ეფექტების მქონე აირებისათვის.

მითითებულია CO<sub>2</sub> და CO-ს ემისიების მნიშვნელოვანი წყარო - სასოფლო სამეურნეო ნარჩენების მინდვრული წვა. CO<sub>2</sub>-ის ემისიის წყაროა აგრეთვე ცვლილებები მიწათსარგებლობაში, რის შედეგადაც მიმდინარეობს როგორც მისი ემისია, ასევე აკუმულაცია.

გამოთვლილია CH<sub>4</sub>-ის ემისიის წილი განპირობებული ცხოველთა ნაწილავური უაკმენტაციით და ნაკელის დაგროვებით.

შეფასებულია N<sub>2</sub>O-ის ემისია როგორც მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების, ასევე ცხოველთა სადგომებიდან, უაკმებიდან და აგრარული ნარჩენების წვის შედეგად.

დადგენილია, რომ სოფლის მეურნეობის სექტორს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სათბურის გაზების ემისიების შესახებ.

#### უაკ 551.507.362.2(075)

საქართველოს ტერიტორიაზე რადიოეკოლოგიური მონიტორინგის პრობლემები/ნ. ბერაძე, მ. ნოზაძე, ნ. ნოზაძე/კმი-ს შრომების კრებული - 2001-ტ. 104, გვ. 124-134, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შემოთავაზებულია რადიომეტრული მონიტორინგის ქსელის ოპტიმიზებული სქემა მეტეოროლოგიური ასაექტებისა და ექონომიკური დანასარჯების გათვალისწინებით, რომელიც დანერგილია საქართველოს პიდორმეტრდეპარტამენტში და მოგვცა დადებითი შედეგები: საქართველოს რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული ცენტრი ყოველდღიურად ფლობს ოპერატორულ ინფორმაციას ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ.

დასაბუთებულია საქართველოს რადიაციული უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის მოძრავი სადგურებით აღჭურვისა და საგელე-ექსპედიციური სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა დაჭუჭუყიანების (რის შემთხვევებიც ძალზე გახშირდა) ლოკალური რადიოაქტივური წყაროების გამოვლენის მიზნით.

როგორც ცნობილია, რადიოაქტივობის თვისებებიდან გამომდინარე (დამოკიდებულება დაჭუჭუყიანების ლოკალური წყაროს სიმძლავრესა და ხასიათზე, დაკვირვების პუნქტიდან დაშორების მანძილზე და სხვ.), მისი გამოვლენა შეუძლებელია, თუ ფაქტი სწორედ დაკვირვების პუნქტზე არ ხდება.

#### უაკ 628.322

საქართველოს მდინარეებით ზოგიერთი ქიმიური გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების ჩამონადენი შავ ზღვაში/ნ. ბუაჩიძე, გ. გახელილაძე, მ. ხატიაშვილი, მ. მჭედლიშვილი, ლ. შავლიაშვილი/, კმი-ს შრომების კრებული - 2001 -ტ. 104, გვ. 135-145, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შავი ზღვის გაჭუჭყიანებაში დასავლეთ საქართველოს მდინარეების წვლილის შეფასების მიხნით შესწავლილია ძირითად გამაჭუჭყიანებები ნივთიერებათა ჩამონადენი. ნაჩვენებია, რომ მდ.რიონის წილად მოდის იონებისა და გამაჭუჭყიანებები ნაერთია ჩამონადენის მაქსიმუმი (31%). ამ პროცესებში მნიშვნელოვანია აგრეთვე მდინარეების ენგურისა და ჭორობის წვლილი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გაჭუჭყიანების 60% მოდის ამ მდინარეების წილად, რადგან ამ რეგიონშია განლაგებული ძირითადი სამრეწველო ობიექტები.

გამოთვლილია ქალაქების კომუნალური მეურნეობის ჩამონადენის როლი მდინარეთა გაჭუჭყიანებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი ქალაქებისათვის. გამოთვლილია, აგრეთვე, გამაჭუჭყიანებები ნივთიერებათა რაოდენობები, რომლებიც მდინარეში ხვდებიან წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლების საშუალებით ქალაქებიდან: ქუთაისი, ზესტაფონი, ფოთი. ცხრა, ლიტ-დას2.

### უაკ 551.509.525

**საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური ფაქტორების მონიტორინგის შესახებ/გ.გუნია/, პმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ. 104, გვ. 146-163, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.**

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს რიგი სხვა მთიანი ქვეყნები, ხასიათდება კლიმატის მრავალუაკოვნებით. აქ გამოიყოფა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული კლიმატური რაიონები. მიტომ საქართველოსათვის რეგიონალური კლიმატის შესაძლო ცვლილების კვლევის საკითხებს აქვს აქტუალური პრობლემის ხასიათი, რომელშიც ატმოსფერული სათბურის აირებისა და აეროზოლური მინარევების კონცენტრაციებზე დააკირვების გზით ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის ცვლილების შესწავლას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი.

სტატიაში დასმულია საკითხი მონიტორინგის ახალი სისტემის შექმნის შესახებ, რომელიც ორიენტირებული იქნება ეკოლოგიური მონიტორინგისა და კლიმატის ცვლილების პრობლემის გადასაჭრელად.

ნაშრომში შემუშავებულია აღნიშნული მონიტორინგის კონცეფცია განხილულ ტერიტორიაზე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მრავალუაკოვან ინფორმაციულ სისტემას და გაითვალისწინებს საერთაშორისო ინტერესებსაც.

ანალიზმა მოგვცა საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე გამოგვევლი 7 სადგური. ისინი პასუხობენ საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მოთხოვნებს იმ გლობალური და რეგიონალური სადგურების მიმართ, რომლებიც აკონტროლებენ ატმოსფეროს ქიმიურ შედგენილობას.

### უაკ 262.5 : 628.394

**მეთანის ემისია ქქ. თბილისისა და ბათუმის ნაგავსაყრელებიდან/ლ.ინწკირველი, გ.კუჭავა, ლ.ბაჩიაშვილი/ჟმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.104, გვ.164-173, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.**

გამოთვლილია მეთანის ემისია ქქ. თბილისისა და ბათუმის ნაგავსაყრელებიდან. შემუშავებულია რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია ქალაქების ნაგავსაყრელების განთავსებისა და მათი მართვისათვის.

მოცემულია ქალაქებში მყარი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობები და თანაფარდობა ამ ტიპის ნარჩენებსა და ქალაქების მოსახლეობას შორის. ამ მონაცემთა საფუძველზე გამოთვლილია მეთანის ემისია ქალაქებისათვის თბილისი და ქუთაისი. იგი შეადგენს საქართველოს ტერიტორიიდან ემიტირებული მეთანის დაახლოებით 50%-ს. მაგ. 1997 წელს საქართველოს ტერიტორიიდან მეთანის ემისიამ შეადგინა 49.9 ათასი ტონა, საიდანაც თბილისისა და ქუთაისის ტერიტორიიდან ჯამში ემიტირებული იყო 24 ათასი ტონა, ანუ საერთო ემისიის 48%.

### უაკ 628.322

**დასავლეთ საქართველოს რეგიონში ზედაპირული წყლების ძირითადი გამაჭუჭყიანებლების თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასება/ლ.ინწკირველი, გ.კუჭავა, გ.ჩაჩიბაია, მ.მეფიარიშვილი/ ჟმი-ს შრომების კრებული-2001-ტ.104, გვ.174-179, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.**

შესწავლილია ქქ. ქუთაისისა და ზესტაფონის გავლენა დასავლეთ საქართველოს ზედაპირულ წყლებზე, რომელთა ძირითად გამაჭუჭყიანებლებს წარმოადგენს ამ რეგიონის სამრეწველო ობიექტები. მდ.რიონის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ზედაპირულ წყლებში ხვდება გამაჭუჭყიანებები ნაერთთა ფართო სპექტრი: ტეტრაეთილტყვია, ტოლუოლი, ბუთი-

ლაცეტატი, ციანიდები, მძიმე ლითონები, ნავთობპროდუქტები, აცეტონი და სხვა ორგანული ნაერთები.

დადგენილია, რომ მდ.რიონის წყალში ამონიუმისა და ნიტრატის აზოტის საშუალო წლიური შემცველობა 1.7-ჯერ აჭარბებს ნორმას, ფენოლის – 26.0-ჯერ, ხოლო ნავთობპროდუქტების – 2.4-ჯერ.

ქ.ზესტაფონის ჩამდინარე წყლები დიდი რაოდენობით შეიცავს მთავარ იონებს. განსაზღვულია საეციფიკური იონების: ციანიდების (CN<sup>-</sup>) და როდანიდების (CNS<sup>-</sup>) ჩამონადენი, რომელიც შესაბამისად შეადგენს 22.4 და 67.0 ტ/წ-ში. ცხრ.2, ლიტ. დას.4.

### უაკ 631.416

დასავლეთ საქართველოს მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და მათ შემოგარენში მძიმე ლითონებით ნიადაგების გაჭუჭყიანების განსაზღვრა/ლ.ინწკირველი, გ.კუჭავა, ლჩინიკვაძე/ჰმი-ს შრომების კრებული – 2001-ტ.104, გვ.180-189, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შესწავლილია საქართველოს მსხვილ სამრეწველო ცენტრებში – ქუთაისსა და ზესტაფონში გაჭუჭყიანების დონე 1993–97 წლებში. აჩვენებია, რომ მძიმე ლითონების კონცენტრირება ძირითადად მიმდინარეობს ქალაქების სამრეწველო უბნებისა და მათ მიმდებარე ტერიტორიების ნიადაგების ზედა (0–20 სმ) ფენებში, სადაც მათი კონცენტრაცია ხშირად აჭარბებს შესაბამისი ზდკ-ს მნიშვნელობას.

ასეთ მეტალთა რიცხვს მიუკუთვნებიან: მანგანუმი, ტყვია, ცინკი და სპილენძი, ხოლო მოლიბდენისა და კალის შემცველობა მცირება და შესაბამისად მერკურის დიაპაზონში 7.0 – 11.0, 8.5 – 11.8 მგ/ლ. აღინიშნება მეტალთა შემცველობის ზრდის ტენდენცია. გამონაკლისია სპილენძი, რომლის კონცენტრაცია კლებულობს, როგორც სამრეწველო ცენტრებში ისევე გარეუბნებში. შესწავლილ პერიოდში აღინიშნება ტყვიის შემცველობის ზრდა ქ.ზესტაფონის ნიადაგებში (10-დან – 68.8 მგ/კგ-მდე), რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ტრანსპორტის ნაკადის ზრდასთან როგორც ქალაქებში, ასევე დასავლეთ საქართველოს ტრანსპორტი.

### უაკ 551.362.2

გარემოს რადიოაქტივობის შესაძლო გავლენა კლიმატზე (საქართველოს მაგალით-ზე)/ჰ.ნოზაძე/, ჰმი-ს შრომების კრებული – 2001-ტ.104, გვ. 190-197, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

განხილულია გარემოს რადიოაქტივობის გავლენა კლიმატზე. ამ მიზნით შესწავლილია საქართველოს ტერიტორიის რადიაქტიური დალექტის დინამიკა და შესაბამის პერიოდში ტემპერატურის ცვლილება.

ნაჩვენებია, რომ გარემოს რადიოაქტივობის მრავალწლიური ცვლილებები განაპირობებენ ნალექწარმოქმნის და მზის რადიაციის გაბნევის მექანიზმების ცვლილებებს, გავლენას ახდენენ ატმოსფერული აეროზოლების ბუნებრივი გენეზისის პროცესებზე და ა.შ., რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს კლიმატზე.

მიღებული დამოკიდებულებები საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ საქართველოს კლიმატზე გარემოს რადიოაქტივობის შესაძლო გავლენის შესახებ. ცხრ.2, ლიტ.1, ლიტ.დას.5.

### უაკ 551.507.362.2

ბირთვული აფეთქებებისა და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფის გავლენა საქართველოს რადიოეკოლოგიურ სიტუაციაზე/ჰ.ნოზაძე/ჰმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ. 104, გვ. 198-211, ქართ; რეზ: ქართ.რუს.. ინგ.

პირველად განიხილება საქართველოში რადიოეკოლოგიურ სიტუაციაზე მსოფლიო ბირთვული აფეთქებებისა და ჩერნობილის კატასტროფის გავლენა.

მოყვანილია 1985–90 წლებში საქართველოს რიგ ქალაქებში რადიოაქტიური პროდუქტების საშუალო თვიური დალექტის ამსახველი ცხრილები ( $\text{ბ}^2/\text{მ}^2$ ).

ჩატარებულია შესაბამისი ანალიზი. მოცემულია დასკვნები ცხრ.5, ლიტ.დას.5.

### უაკ 551.509.525

დასავლეთ საქართველოს ანთროპოგენური ზემოქმედების რაიონში სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტის ატმოსფერში გამონაბოლქვთა შეფასება/რ.სარალიძე/, ჰმი-ს შრომების კრებული – 2001 – ტ. 104, გვ. 212-218, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შეფასებულია ბოლო წლებში ატმოსფერული პარას გაჭუჭყიანების მდგომარეობა წარმოებებისა და ავტოტრანსპორტის მიერ გამონაბოლქვების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ქალაქებში: ქუთაისი, ზესტაფონი და ბათუმი. მიღებული შედეგები გვივრებებს, რომ სტატიონალური ობიექტებიდან გამაჭუჭყიანებულ ნივთიერებათა გამონაბოლქვების შემ-

ცირება გამოწვეულია ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისით. ამასთან ერთად ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რიცხობრივი ზრდა და დაბალი ხარისხის ბენზინის გამოყენება შესაბამისად ზრდის ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონეს ქალაქებში.

### **უაკ 551.509.525**

საქართველოს ინტენსიური ანთროპოგენური ზემოქმედების რაიონებში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მონიტორინგის ქსელის მოქმედების შეფასება/რ.სარალიძე, ნ.ოდიკაძე-ლ.ცქიტინიძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ.104, გვ.219-226, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

განხილულია ატმოსფეროს კონტროლისა და გაჭუჭყიანების ქსელის მუშაობა ბოლო 10 – 15 წლის განმავლობაში. მითითებულია, რომ 1974 წლიდან 1990 წლის ჩათვლით აღნიშნული ქსელის მოქმედების არეალი წლამდე ფართოვდებოდა. თუმცა დაწყებული 1992 წლიდან ადინიშნება მისი მუშაობის მოცულობის შემცირება. შემცირდა როგორც მონიტორინგის ქსელში ქალაქების, ასევე გაზომილ ინგრედიენტთა რაოდენობა და მოცულობა, გაუარესდა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხარისხი. მოყვანილია რიგი მოსაზრებებისა, რომელთა მეცნიერული დამუშავება მოგვცემს საშუალებას გავაუმჯობესოთ შექმნილი ნებატიური მდგომარეობა. ცხრ.3, ლიტ. დას.2.

### **უაკ 509.525**

ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირების მძიმე ლითონებისგან გამწმენდი მოწყობილობა/ზ.სვანიძე-გ.გუნია, შ.ობგაიძე, ლ.სვანიძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ. 104, გვ. 227-234, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შექმნილია მძიმე ლითონებისგან ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირების გასაწმენდი მოწყობილობა, რომელიც განთავსდება იმ მილის ბოლოში, რომელიც გამოდის ავტომობილის მაყუჩიდან უშუალოდ გარემოში. მაყუჩიდან გამოსული აირები ხვდებიან ფილტრის კამერაში, საიდანაც ფილტრაციის შემდეგ გადადიან კორპუსში და მძიმე ლითონებისგან 70–80 %-ით გასუფთავებულები გამომავალი კოლექტორის საშუალებით ხვდებიან ატმოსფეროში.

მოყვანილია გამწმენდი კონსტრუქციის აეროდინამიკური გამოთვლები. ადგენილია, რომ გამწმენდი მოწყობილობა პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას მანქანის სიმძლავრეზე.

შექმნილი კონსტრუქციის დანერგვა შეიძლება იყოს ერთ-ერთი დონისძიება ატმოსფეროს მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანების დონის შესამცირებლად. ცხრ.3, ლიტ. დას.2.

### **უაკ 551.631.416**

აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების ანთროპოგენური დაბინძურება/ლ.ჩხილაძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ. 104, გვ. 235-239, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს ყავისუაკ და მდელოს-ყავისუაკ ნიადაგებზე კასპის ცემენტის ქარხნის ნებატიური გავლენა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ზედაპირული წყლების დაჭუჭყიანებას. ნაჩვენებია, რომ ნიადაგების დაცვა ანტროპოგენური ფაქტორებისგან დღეისათვის წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას. ლიტ. დას.3.

### **უაკ 699.887.5**

ზესტაფონის უაკოშენადნობთა ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასება/დ.ჩხილოძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ. 104, გვ. 240-249, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შეფასებულია ზესტაფონის უაკოშენადნობთა ქარხნის გავლენა გარემოზე და განსაზღვრულია მისი წვლილი სათბურის აირების ემისიაში. ცხრ.5, ლიტ.დას.9.

### **უაკ 551.509.525**

მძიმე ლითონების განსაზღვრა კვების პროდუქტებში/ზ.სვანიძე, შ.ოგბაიძე, ლ.სვანიძე, ც.შავლაყაძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2001 - ტ. 104, გვ. 250-254, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შემუშავებულია ხილსა და ბოსტნეულში სპილენის, თუთიის, კალიუმის და ტყვიის რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრის სორბცულ-ატომურ-აბსორბცული მეთოდი. წინასწარი კონცენტრირება ხდება ხელათწარმომქმნელი ბოჭოვანი სორბენტის საშუალებით. მეთოდი გამოყენებულია საქართველოს ზოგიერთი რეგიონის კვების პროდუქტებში მძიმე ლითონების რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრისათვის. ცხრ.3, ლიტ.დას.6.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 105**

**უაკ 630:551.58**

განხილულია აგრომეტეოროლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა და მეთოდები ფერმერული მეურნეობებისათვის. ხაზგასმულია, რომ ფერმერები სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხველების განვითარებისათვის უნდა ითვალისწინებოდნენ ამინდისა და კლიმატის მნიშვნელობას, შედგენილია ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ჯამების უზრუნველყოფის მრუდები, წარმოდგენილია მცენარისათვის დამაზიანებელი - კრიტიკული ტემპერატურების განმეორადობა.

მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითადი ფაზების დადგომისა და მოსვლის აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების შედგენისათვის სათანადო განტოლებები.

**უაკ 634.3:631.165**

ციტრუსოვანი კულტურების გარემო პირობების მიმართ მოწყვლადობის რაოდენობრივი შეფასება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით/დ. არველაძე, რ.არველაძე/ კმი-ს შრომების კრებული-2002-ტ. 105, გვ.17-27, ქართ; რეზ: რუს..ინგ.

აგებულია მრავალწლიანი კულტურების პროდუქტიულობის რაოდენობრივი სქემა. შემუშავებული მოდელი საშუალებას გაძლევს გამოვთვალოდ ცივი და თბილი პერიოდების კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული მოსავალი. მისი საშუალებით შეიძლება შევაფასოთ კლიმატის ცვლილების დადებითი და უარყოფითი ეფექტები. შაქართველოს სუბტროპიკების ცალკეული კუნძრების ზამთრის ჰაერის მინიმალური ტემპერატურების განაწილების კანონის საფუძველზე შეიძლება უშუალოდ მოსავლის დანაკარგების მიხედვით დავაზუსტოთ ციტრუსოვანი კულტურების დარაიონების რუკები. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ოპტიმალური განლაგება საშუალებას მოგვცემს უკეთესად გამოვიყენოთ მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებანი.

**უაკ 582.823:631.165**

მოსავლიანობის კლიმატის მიმართ მოწყვლადობის ეფექტის შეფასება და მისი შერბილების (შესუსტების) სტრატეგია ჩაის კულტურის მაგალითზე/დ. არველაძე, მ.მელაძე/ კმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.28-35, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ჩაის მოსავლის ფორმირების მათემატიკური მოდელის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კლიმატური ფაქტორების მოსალოდნელი ცვლილების ეფექტი. შეცვლილი ტემპერატურების მიხედვით გამოითვლება დეკადური ნალექების ოპტიმალური რაოდენობა და, ამ საფუძველზე, განისაზღვრება მოსავალი, რომელიც მიიღება დამატებითი ნალექების გამოყენების შედეგად.

**უაკ 632.11:635:23.03**

ჰაერის ექსტრემალური ტემპერატურების გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე/გ.მელაძე, ც.ჟორჟიკაშვილი/ კმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.36-42, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის გამოთვლილა  $T_{\text{მა}}=f(T_{\text{ას}})$  კორელაციური დამოკიდებულების გრაფიკები, რომელთა გაანგარიშებები საშუალებას იძლევა დავარეგგულიროთ თესვის ვადები და შევარჩიოთ სათავსი ფართობები გერტიკალური ზონალობის მიხედვით, როგორც ტექნიკური ისე სხვა ერთწლიანი სას. სამ. კულტურებისთვის.

**უაკ 632.11:63**

წაყინვები და მათი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე/გ.მელაძე, ც.ჟორჟიკაშვილი/ კმი-ს შრომების კრებული - 2002-ტ. 105, გვ.43-48, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

გაზაფხულის და შემოდგომის წაყინვების დადგომის თარიღებსა და ადგილის სიმაღლეს შორის დადგენილია მჭიდრო კორელაციური კავშირი. იმიღებულია განტოლებები, რომელთა საფუძველზე გამოანგარიშებულია წაყინვების დადგომის თარიღები გაზაფხულისა და შემოდგომისათვის.

**უაკ 630:551.58+634.18**

საქართველოს სხევადასხევა აგროეკოლოგიურ რეგიონებში აქტინიდიის ზრდა-განვითარების ძირითადი შედეგები/გ.მელაძე, ნ.გუდავაძე, ი.სანიკიძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.49-55, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

მოცემულია საქართველოს სხევადასხევა აგროეკოლოგიურ რეგიონებში განლაგებულ საცდელი გეოგრაფიულ ნაკვეთებზე აგრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა შედეგები. კერძოდ, აქტინიდიის მცენარის ფენოლოგიურ ფაზათა განვითარების ვადები, ბიომეტრიული გაზომვების მიხედვით ნაზარდები, მოსავლის სტრუქტურა და დადგენილია ამ კულტურის წარმოების შესაძლებლობა.

**უაკ 551.524.525**

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურული რე იმი საქართველოში/კ.თავართქილაძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.56-82, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

განაწილების კანონზომიერებანი ზღვის დონიდან დაკვირვების პუნქტის სიმადლის ცვლილების მიხედვით, შესწავლილია კავშირი ნიადაგის ზედაპირისა და მიწისპირა ატმოსფეროს ტემპერატურებს შორის, განსაზღვრულია ნიადაგის ზედაპირის უარყოფითი ტემპერატურების დაწყებისა და დამთავრების უალბათესი თარიღები და შესწავლილია ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ცვლილება კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე.

**უაკ 551.589**

საქართველოს ნიადაგების კლიმატური დარაიონება/ე.ელიზბარაშვილი, ნ.სულხანიშვილი/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.83-87, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ა.შელგინის კლასიფიკაციის საფუძველზე ჩატარებულია საქართველოს ნიადაგების კლიმატური დარაიონება. გამოყოფილია 12 კლიმატური რაიონი.

**უაკ 551.521**

პირდაპირი რადიაციის ველის მოდელირება საქართველოს ტერიტორიისათვის. /ი.შენგულია/ პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ. 88-95, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

საქართველოს ატმოსფეროს მრავალწლიურ საშუალო ოპტიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით მოწმენდილი ცის შემთხვევაში აგებულია პირდაპირი სპექტრული და ინტეგრალური რადიაციის უწყვეტი სივრცულ-დროითი მოდელი.

**უაკ 551.521**

ჯამური რადიაციის ველის მოდელი საქართველოს ტერიტორიისათვის/ი.შენგელია/ პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.96-107, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

საქართველოს მოწმენდილი ცის შემთხვევაში ატმოსფეროს კლიმატური მახასიათებლების მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობებისთვის აგებულია სპექტრულ ჯამური რადიაციის სივრცულ-დროითი მოდელი და პირველი რიგის მიახლოებით შეფასებულია მის ფორმირებაზე პარის მასების გადაადგილების გავლენა.

**უაკ 551.582**

საქართველოში ნალექების განაწილების სტატისტიკური სტრუქტურა/კ.თავართქილაძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.117-137, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

განსაზღვრულია ნალექების განაწილების სტატისტიკური მახასიათებლები და გამოთვლილია ზოგიერთი ახალი კანონზომიერება საქართველოში ნალექების დასახასიათებლად.

ნალექებსა და რიგ მეტეოროლოგიურ ელემენტებს შორის კორელაციური კავშირების დასადგენად, გამოთვლილია კორელაციის კოეფიციენტები.

ნალექების მოსვლის ჰორიზონტალური გავრცელების ზონების დასადგენად (ნალექების ჰორიზონტალური გავრცელების გავრცელების შესწავლილია დაკვირვების ნებისმიერ ორ პუნქტს შორის კორელაციის კოეფიციენტების ცვლილება, პუნქტებს შორის პირდაპირ მანძილთან კავშირში).

ანალიზური სახით განსაზღვრულია ნალექების წლიური ჯამების კავშირი ზღვის დონიდან დაკვირვების პუნქტის სიმაღლესთან.

**უაკ 551.5 : 535.23**

პაერის ტემპერატურის დამოკიდებულება ქვეფენილი ზედაპირის რადიაციულ ბალანსზე/ ც.შორეულიკაშვილი, ნ.ნოზაძე/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - ტ. 105, გვ.108-116, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ჰაერის ტემპერატურა (T) მიწისპირა ფენაში რადიაციული (R) და აღვეჭიური (A) ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება.

T და R-ს შორის კავშირის დასამყარებლად გამოყენებული ტემპერატურისა და რადიაციული ბალანსის 8 - ვადიან დაკვირვებათა მონაცემების საშუალო დღედამური მნიშვნელობები და მათი დღედამური ამპლიტუდები.

### უაკ 551.509

ცალკეულ პუნქტებში ტემპერატურული სტრატიფიკაციის აღდგენა ახლომდებარე აეროლოგიური სადგურების დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე / დ. დემეტრაშვილი, ს. ქაპრაძე, მ. კაპანაძე, ც. სოხაძე /, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - გ. 105, გვ. 138-145, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

შემუშავებულია თბილისში, ბათუმსა და სოხუმში ძირითად იზობარულ ზედაპირებზე ტემპერატურის აღდგენის სტატისტიკური მეთოდი.

### უაკ 551.578.84

მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენა საქართველოს ტერიტორიის ზვავსაშიშროებაზე/ ლ. ქალდანი/ პმი-ს შრომების კრებული - 2002 - გ. 105, გვ. 146-159, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირესა და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობაზე სტაციონარული და ექსპერიციური კვლევის მასალების, ატმოსფერულ ნალექებსა და ჰაერის ტემპერატურაზე დაკვირვების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ზვავსაშიშროების მახასიათებლების დროში ცვლილება კლიმატის ელემენტების ცვლილებით არის გამოწვეული. კლიმატის ცვლილება ზვავსაშიშროების რაოდენობრივ მახასიათებლებს, ზვავების გავრცელების სახდევრებს და ზვავსაშიში ტერიტორიის ფართობს ცვლის, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს ზვავების ჩამოსვლით გამოწვეულ ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის რაოდენობას.

### უაკ 551.578.48

დასახლებული პუნქტების ზვავსაშიშროება საქართველოს ტერიტორიაზე/ ლ. ქალდანი/, პმი-ს შრომების კრებული - 2002 - გ. 105, გვ. 159-163, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

საარქივო და ექსპერიციების დროს მოპოვებული მასალების, ლიტერატურული წყაროების, მოსახლეობისაგან მიღებული ინფორმაციის, კარტომეტრიული სამუშაოებისა და თეორიული გამოთვლების ანალიზის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია 338 ზვავსაშიში დასახლებული პუნქტი. აქედან 69 დასახლებულ პუნქტში ზვავების ჩამოსვლაში ადამიანთა მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია, 81-ში - ნგრევა, ხოლო 58-ში - დაზიანება, დანარჩენი 130 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიშია. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების საერთო რაოდენობის 56% ოთხ - მესტიის (18%), დუშეთის (15%), ხულოს (13%) და ლენტების (10%) რაონებშია თავმოყრილი.

### უაკ 62.501.72-551.58

მსოფლიო გლობალური განვითარება - კლიმატის ცვლილების წყარო/ დ. არგელაძე, ა. ხანთაძე, თ. ზირიშვილი, ბ. ბერიტაშვილი/ პმი-ს შრომების კრებული - 2002 - გ. 105, გვ. 163-179, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

განხილულია მსოფლიო განვითარების გლობალური მოდელები.

ნაჩვენებია, რომ კლიმატის ცვლილების კონკრეტული მოდელი მსოფლიო განვითარების მოდელის სტრუქტურაში თავსდება და ამიტომ, კლიმატის ცვლილების შეფასებისას უსათუოდ უნდა გამოვიდეთ კაცობრიობის გლობალური განვითარების მოდელიდან

### უაკ 62.501.72

საქართველოს მდგრადი განვითარების მათემატიკური მოდელის შესახებ/ ა. ხანთაძე, თ. ზირიშვილი, დ. არგელაძე/ პმი-ს შრომების კრებული - 2002 - გ. 105, გვ. 180-194, ქართ; რეზ: რუს.. ინგ.

ნაშრომში, იმის საჩვენებლად თუ როგორ ხორციელდება კონკრეტულად ქვეყნის მდგრადი განვითარების პროგრამის შედეგენა და მისი მოდელირება, განხილულია მარტივი შემთხვევა: გამოკვლეულია P (მოსახლეობის რაოდენობა) რეგულირებადი ფუნქციის ცვლილების ხასიათი T საპროგნოზო დროის ინტერვალში.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 106**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა წინამდებარე კრებული ეძღვნება აკადემიკოს გივი სვანიძის ხსოვნას. კრებულში მოთავსებულია პიდროლოგიის დარგში მისი სელმძღვანელობით ბოლო წლებში ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები.კერძოდ, დახასიათებულია საქართველოს წყლის რესურსების ძირითადი წყაროების რაოდენობრივი მახასიათებლები, მათი განაწილების თავისებურებაზე, გამოვლენილია წყლის რესურსების მგრძნობიარობა კლიმატის ცვლილების მიმართ. განხილულია არსებული და პერსევერიული ირიგაციული წყალსაცავებით მდინარეთა ჩამონადენის რეგულირების შესაძლებლობები მელიორაციული სამუშაოებისათვის. დამუშავებულია მდინარეთა ჩამონადენის გაუმჯობესებული საპროგნოზო მეთოდიკა სტატისტიკური მონაცემების რიგის გაზრდით. საქართველოს პირობებში განსაზღვრულია თოვლისა და ფირნის ხაზების მდებარეობა და დინამიკა აეროლოგიური მონაცემებისა და დაკვირვებათა მასალების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. გაანგარიშებულია ანთროპოგნური ფაქტორების გავლენა წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდეზე. საიმედოობის თეორიის მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია წყლის ქიმიური შემადგენლობისა და თვისებების რაოდენობრივი მახასიათებლები. მეტეოროლოგიური ველების ობიექტური წარმოდგენის და განაწილებული პარამეტრების გამოყენების საფუძველზე დამუშავებულია ჩამონადენის ფორმირების რიცხვითი მოდელი. გამოთვლილია მყარი და თხევადი ჩამონადენი საქართველოს ძირითადი მდინარეებისათვის. სხვადასხვა ინფორმაციული მონაცემების გამოყენებით დადგენილია ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე. გაანალიზებულია ადგილის სიმაღლის და პაერის ტემპერატურის მიმართ მდინარის აუზში შიდატენდრუნების კოფიციენტის ცვლილების კანონზომიერება. მოცემულია “მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში” შესული ქართველ მკლევართა მიერ შედგენილი გლაციოლოგიური რეკების ანალიზი. კრებული განკუთვნილი ხმელეთის პიდროლოგიის დარგის სპეციალისტებისათვის.

**საქართველოს წყლის რესურსების მოწყვლადობა და ადაპტაციის დონისძიებები. /გ.სვანიძე, ვ.ცომაია, რ.მესხია/. ჰესის შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ. 10-29. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.**

დახასიათებულია საქართველოს წყლის რესურსების ძირითადი წყაროები – მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები და ჭაობები. მოცემულია მათი რაოდენობრივი მახასიათებლები და წყლის რესურსების განაწილების თავისებურებაზე.

გამოვლენილია წყლის რესურსების ცვალებადობის ძირითადი თავისებურებაზე, მათი მოწყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ და დეტერმინისტიკური, კონცეფტუალური და გეოგრაფიულ-ჰიდროლოგიური მოდელების გამოყენების საფუძველზე მოცემულია მდინარეების წყლიანობის პროგნოზი 2010, 2030 და 2075 წლებისთვის.

დადგენილია, რომ 2010 - 2030 წლებისთვის მოსალოდნელია ჩამონადენის ზრდა 4 - 7%-ით 1980 წლითან შედარებით. ასევე აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ადგილი ექნება საშიში პიდროლოგიური მოვლენების გახშირებას. მათი შედეგების შერბილებისათვის რეკომენდებულია რიგი ლონისძიებებისა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის. ილ.2,ცხრ.2,ლიტ.დას.1.

**აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში სარწყავი წყლის დეფიციტის საკითხისათვის. /გ.სვანიძე, გ.ჩიკვაიძე/. ჰესის შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ. 30-38. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.**

მოწყვის განვითარების პერსპექტიულ დონის დასადგენად აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად მდინარეთა აუზებში წაყლუზრუნველყოფისა და წყლმოხმარების მოცულობების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოთვლილია სარწყავი წყლის დეფიციტის მოსალოდნელი მოცულობები. შეფასებულია ამ დეფიციტების შევსების შესაძლებლობები საკვლევ მდინარეთა აუზებში არსებული და საპერსპექტივოდ დასახული ირიგაციული წყლისაცავებით მდინარეთა ჩამონადენის რეგულირების გათვალისწინებით. ლიტ.დას.8

მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზების განახლება ინფორმაციული ქსელის შემცირების პირობებში./ც.ბასილაშვილი, გ.ცომაია/ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.39-50 –ქართ.;რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

სადღეისოდ მკვეთრად შემცირდა ინფორმაციული პიდრომეტეოროლოგიური ქსელი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ადრე შემუშავებული მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზის განახლება.

70-იან წლებში მდ.ყვირილასა და მდ. ხანისწყლის ჩამონადენის პროგნოზები ეფუძნებოდა 10 მეტეოპუნქტების ინფორმაციას. სადღეისოდ პრიგნოზირების მიზნით გამოყენებულ იქნა მეზობელი აუზების 2 მეტეოსადგურის მონაცემი.

სტატიისტიკური მონაცემების რიგის გაზრდამ 20 წლით და უფრო სრულყოფილი საპროგნოზო მეთოდიკის გამოყენებამ უზრუნველყო სამეცნიერო პროგნოზების მიღება.

საქართველოს ზოგირთ მდინარეთა წყალშემკრებზე მიკროკლიმატის და ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილებების შეფასება/ნ.ბეგალიშვილი, კ. თავართქილაძე, ნ.ა.ბეგალიშვილი /ჰმი-ს შრომათა კრებული.–2001. – გ.106. – გვ.52-61 –რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ორი ტიპიური წყალშემკრებისათვის, რომლებიც განლაგებული არიან აცივების (მდ. სუფსა, დასავლეთ საქართველო) და დათბობის (მდ. ხრამი, აღმოსავლეთ საქართველო) რეგიონებში, შესრულებულია ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურების, წყლის ორთქლის დრეკადობის და ფარდობითი ტენიანობის, ნალექებისა და ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილებების რაოდენობრივი შეფასება. მეტეოპარამეტრების და ჩამონადენის ცვლილებათა სიდიდეები განსაზღვრულია წრფივი ტრენდების აგებით, რომლებიც წარმოადგენენ 1906-1995 წწ პერიოდის ემპირული რიგების საშუალოთვიური მახასიათებელთა მრავალწლიური რყევადობის აპროქსიმაციას. აღმოჩენილია, რომ მდ. შუფსას აუზში ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურების დაწევა მიმდინარეობს მუდმივი ატმოფეროს ტენშემცველობისა და ნალექთა შემცირების ფონზე და მას თან არ სდევს ჩამონადენის სიდიდის ცვლილება. მდ.ხრამის აუზში ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურის მატება აღინიშნება ატმოსფეროს ტენშემცველობის, ნალექებისა და ჩამონადენის უცვლელი სიდიდეებისათვის.

საქართველოში თოვლისა და ფირნის ხაზების მდებარეობა და დინამიკა. /რ.გობეჭიშვილი, ნ.ცერცვაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.62-71. –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოში ფირნისა და თოვლის ხაზის დინამიკის თანამედროვე მდგომარეობა დადგენილია სხვადასხვა პერიოდის ტოპოგრაფიული რუკების, აეროკოსმოსური გადაღებების და ევრო-აზიური კონტინენტის აეროლოგიური მონაცემების საშუალებით და ლიტერატურული წყაროების, აგრეთვე 1969 წელს ჩატარებული დაკვირვებების მასალების გამოყენებით. დასავლეთ კავკასიონზე ფირნის ხაზი მდებარეობს 3090 მ-ზე, ხოლო აღმოსავლეთ კავკასიონზე კი 3500 მ-ზე. უკანასკნელ 100 წელიწადში ფირნის ხაზის სიმაღლემ აიწია საშუალოდ 200 მ-ით (2 მ/წელიწადში).

თოვლის ხაზი ( $0^{\circ}\text{C}$  იზოტერმით, ივლისი-აგვისტო) დასავლეთ კავკასიონზე გადის 4100 – 4200 მ-ზე, ცენტრალურ კავკასიონზე 4200 – 4400 და აღმოსავლეთ კავკასიონზე 4400 – 4500 მ-ზე.

თოვლისა და ფირნის ხაზების მდებარეობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მაღლა იწევს, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად კავკასიონის სუბგანედური მიმართულებით არის გამოწვეული. ილ.1,ცხრ.2,ლიტ.გ.დას.14.

მდინარე რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯები რკინიგზის გადაკვეთის უბანზე სადგურ რიონთან. /ვ.ცომაია, თ ცინცაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.72-82. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

დახასიათებულია მდინარის მაქსიმალური ხარჯი და მისი ფორმირების პირობები 1911 - 1992 წლებში მდ.რიონზე სოფ. ალპანასთან და ნამოხვანთან, კაშხლის ზემოთ რიონპესთან და ქ. ქუთაისთან. დაგინდა ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა მაქსიმალური ხარჯის სიდიდეზე. მოცემულია დაკვირვების მასალების სტატისტიკური ანალიზი და გაანგარიშებულია წყალშემკრები აუზისათვის წყლის მაქსიმალური ხარჯი რედუქციის ფორმულით "ტრასეკას" ძირითადი ობიექტისათვის (მდ. ლიონზე მშენებარე რკინიგზის ახალი ხიდი). დამუ-

შავდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის საჭირო მდ. რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯი სხვადასხვა უზრუნველყოფით.

**წყალსაცავებში წყლის ხარისხის განსაზღვრის საიმედობის შეფასება. /დ.კერესელიძე, გ.გრიგოლიძე/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.83-88. –რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წყალსაცავების წყლის შემადგენლობისა და ხარისხის რაოდენობრივი განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა საიმედოობის თეორიის რიგი დებულება. წყლის ხარისხის საიმედოობად მიღებულია მის განმსაზღვრელი ქიმიური კლემენტების ისეთი ალბათური მნიშვნელობა, როდესაც მათი კონცენტრაციები არ აღემატება ზღვულ დასაშვებ მნიშვნელობებს. წყლის ხარისხის საიმედოობა შეფასებული იქნა პარამეტრული მოდელით, რისთვისაც გამოყენებულია შემთხვევითი ფუნქციების ამოვარდნათა თეორია. სამგორის, სიონისა და წალკის წყალსაცავების წყლის ხარისხის ზოგიერთი ელემენტებისათვის დადგენილ იქნა საიმედოობის მახასიათებლები. ცხრ.1.

**1960-1970 წლების მცირეპერიოდიანი აცივების პიდრომეტეოროლოგიური თავისებურებანი კავკასიის გლაციოლოგიურ ზონაში. /გ.ცომაია, მ.ფხაგაძე, ლ.პაპინაშვილი, ი.დანელოვა/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ.106.-გვ.89-95. –ქართ.;რუს.;ქართ., ინგლ., რუს.**

დადგენილია, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ადგილი ჰქონდა კაგბასიის მყინვარების აქტივიზაციას. დაბლა მდებარე მყინვარების უკანდახევის სიჩქარე შენელდა 30-35 მეტრიდან 5-10 მეტრამდე წელიწადში (მდინარეების კოდორის და ენგურის აუზებში). მაღლა მდებარე მყინვარებზე აღინიშნებოდა მათი მყინვარული ენების წინსვლა 30-35 მეტრამდე 10 წლის განმავლობაში (მდინარეების რიონის და ოერგის აუზის მყინვარები), ზოგიერთ მყინვარზე კი კარასტროფული წინსვლა 650 მეტრიდან 1960 წელს მყინვარ მურკარზე (ბაზარდუზის გამყინვარება) - 4630 მეტრამდე 1969 წელს მყინვარ კოლგაზე (ყაზბეგის გამყინვარება).

მყინვარების აქტივიზაცია არის 1955-1965 წლებში ნორმაზე 20-25%-ით მეტი მოსული ატმოსფერული ნალექების შედეგი, რასაც ამტკიცებს თხევადი ჩამონადენის 8-20%-ით შემცირება ნორმასთან შედარებით ძლიერ. გამყინვარების მდინარეებზე (მდინარეები მესტიაჭალა, ნაკრა და სხვ.), რადგან ძლიერ შემცირდა მყინვარების აბლაცია და ისინი დაფარულნი იყვნენ თოვლის საფარით. მყინვარების პიდროლოგიური ეფექტიანობის შემცირებასთან ერთად გაიზარდა მდინარის წყლის მინერალიზაცია. ილ.1,ცხრ.1,ლიტ.დას.14.

**საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზირება პიდროლოგიური ინფორმაციის შეზღუდულობის პირობებში. /ც. ბასილაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.96-107.-ქართ.; რუს.;ქართ., ინგლ., რუს.**

სადღეისოდ საქართველოს მდინარეებზე აღარ მიმდინარობს წყლის ხარჯების გაზომვა, რომელიც წარმოადგენდნენ მთავარ ფაქტორს არსებულ საპროგნოზო დამოკიდებულებებში. ოპერატორი პროგნოზების გაცემის მიზნით შემუშავებულია საპროგნოზო განტოლებები პიდროლოგიური ინფორმაციის გარეშე.

**ოპტიმიზირებული მორწყვის ნორმები ძირითადი კულტურების ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში. /ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაიძე, ო.შველიძე/. პმი-ს შრომათა კრებული.-2001.-ტ.106.- გვ.108-118. –ქართ.; რუს.; ქართ., ინგლ., რუს.**

დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა ძირითადი ს/ს კულტურის ზრდისა და განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის სარწყავი ნორმები. კვლევებმა აჩვენეს, რომ ყველა აღნიშნული კულტურა სავეგებაციო პერიოდის განმავლობაში რამოდენიმე მორწყვას მოითხოვს. დადგენილი სარწყავი ნორმები დამოკიდებულია როგორც თვით ს/ს კულტურაზე, ისე ნიადაგის მექანიკურ შემადგენლობაზე. მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის ნიადაგებისათვის სარწყავი ნორმები მძიმე მექანიკური შემადგენლობის ნიადაგების სარწყავი ნორმების სიდიდეების 70-75% შეადგენს.ცხრ.9,ლიტ.დას.3.

მეტეოროლოგიური ველების ობიექტური წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა მდინარის ჩამონადენის მოდელისათვის, განაწილებული პარამეტრებით./რ.მესხია/ ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.119-122, –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ.,რუს.

ჩამონადენის მოდელში, განაწილებული პარამეტრებით, მეტეოროლოგიური ველის ობიექტური წარმოდგენის რიცხვითი გადაწყვეტა განხორციელებულია რეგულარული ბადის კვანძებში სადგურებიდან მეტეოროლოგიური მნიშვნელობების ინტერპოლაციით და ექსტრაპოლაციით. იღ.2,ლიტ. დას.3.

**განახლებული მონაცემები დასავლეთ საქართველოს მდინარეების მყარ ჩამონადენზე/ლ.ქიტიაშვილი, ლ.სანებლიძე, გ.სტვილია/ ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.123-130. –ქართ.; რეზ.ქართ., ინგლ.,რუს.**

აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს მდინარეები იმყოფებიან რთული ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების უფრო მეტი ზეგავლენის ქვეშ, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეები. შეინიშნება დიდი ცვლილებები კონტინენტურ მეზეზე, ზღვის სანაპირო ხაზის გადარცხვაში, ნატანის აკუმულაციაში, აუზების ტყიანობაში და სხვ. ამ პროცესების მავნე შედეგების შემარბილებელ ღონისძიებათა დასადგენად შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდები მდინარეების ნატანის შესწავლის მიზნით. ჩატარდა მასალების დამუშავება მდინარეების ნატანის შესაფასებლად, გამოთვლილია მყარი და თხევადი ჩამონადენი დაკვირვების დაწყებიდან 1960, 1970, 1975, 1980 და 1990 წლებამდე. ჩატარებულია მათი შედარება გამოთვლილ მასასიათებლებთან, რომლებიც მიღებულია ადრეულ წლებში სხვადასხვა მკვლევარების მიერ. მყარი ჩამონადენის დინამიკამ და შედარებამ გვიჩვნა, რომ შეიმჩნევა ჯამური მყარი ჩამონადენის შემცირება, მაგრამ, ეს შემცირება უმნიშვნელოა და არ აღემატება გაზომვებისა და გაანგარიშების დასაშვებ სიზუსტეს.

**ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე. /ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.131-137. –ქართ.; რეზ.ქართ., ინგლ.,რუს.**

სავალე გამოკვლევების მასალების, ლიტერატურული და საარქივო წერილების, აგრეთვე საშუალომასშებაბიანი და მსხვილმასშებაბიანი რეკების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე საქართველოს ტერიტორიაზე და შედგენილია შესაბამისი რუკა. საქართველოს ზვავსაშიშ ტერიტორიაზე გამოყოფილია რაიონები, სადაც ზვავშემკრებების სიხშირე 1 კმ<sup>2</sup>-ზე არის: 5-ზე ნაკლები, 5-10 და 10-15-ის საზღვრებში, 15-ზე მეტი თითოეულ რაიონს, შესაბამისად, საკვლევი ტერიტორიის 29, 12, 10 და 6% უკავია. იღ.1,ლიტ.დას.9.

**აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის დადგუნდა ძირითად სასოფლო სსამეურნეო კულტურათა ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდი-სათვის. /ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე, გ.ჩიკვაიძე, ო.შველიძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – გ. 106. – გვ.138-146. –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ.,რუს.**

დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა ძირითადი ს/ს კულტურის ქვეშ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ზედა და ქვედა საზღვრები. საქართველოში 19 აგრომეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა ვრცელი მასალის საფუძველზე ამ კულტურებიდან თითოეული მათგანისა და მათი ზრდისა და განვითარების ფაზთაშორისი პერიოდებისათვის აგებულია წყალმოხმარების მრუდები, რომლებიც ურთიერთშორის აკავშირებენ ნიადაგის ზედაპირიდან ჯამურ აორთქლებასა და ნიადაგის ტენიანობას მოცემული აორთქლებადობის დროს.

მიღებული წყალმოხმარების მრუდების ანალიზმა აჩვენა, რომ განხილული კულტურების ქვეშ ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის მაქსიმალური საზღვარი საშუალოდ ნიადაგის ზღვრული ტენიოვადობის 95%-ის ტოლია. რაც შეეხება ნიადაგის ოპტიმალური ტენიანობის ქვედა საზღვარს, იგი თითოეული კულტურისა და მის ფაზთაშორისო პერიოდისათვის სხვადასხვა სიდიდეს უტოლდება და ვეგეტაციის პერიოდში საშუალოდ მაქსიმუმს ზღვრული ტენიოვადობის 70-80%-მდე და მინიმუმს – 60-65%-მდე აღწევს. ლიტ.დას.5.

**საქართველოს მდინარეების ჩამონადენის შეფასება კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პირობებში და გვალვებისა და გაუდაბოების წინააღმდეგ საადაპტაციო ღონისძიებანი.**

/რ.ჭითანავა, გ.სტვილია, მ.ფხაკაძე, ვ.ცომაია/. პმი-ს შრომათა კრებული.-2001. -ტ.106.-გვ.147-159.-ქართ.;რეზ. ქართ., ინგლ.,რუს.

დახასიათებულია მდინარეების ჩამონადენის შემცირების პირობები ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გავლენით. დადგენილია, რომ მდინარეების ჩამონადენის დიდ დანაკარგს ადგილი აქვს მდ. მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ქ.თბილისის ქვემოთ. ამ ტერიტორიაზე, რომელსაც უკავია 3688 კმ<sup>2</sup> ფართობი და მდებარეობს 400 მეტრზე დაბლა, სადაც წლიური ნალექების რაოდენობა 360 მმ-ზე ნაკლებია, ხოლო ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა აღმატება 13-14<sup>0</sup>, და სადაც შენაკადები ვერ აღწევენ თავიანთ შესართავებამდე წყლის დანაკარგის გამო ნიადაგში ჩაქონვაზე და აორთქლებაზე, ვითარდება ნახევრადულაბნების წარმოქმნისა და გაუდაბნების პროცესები.

წყლის დეფიციტის შევსებისათვის, აღნიშნულ და მეზობლად მდებარე რაიონებში 800 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან წარმოებს მდინარეებიდან წყალაღება. მაგრამ, მშრალ პერიოდებში მდინარეების წყალი არ არის საკმარისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, საადაპტაციო ღონისძიებებს ენიჭება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ მიზნისათვის დამუშავებულია მდინარეების წყლიანობის პროგნოზის მეთოდი 2015, 2030 და 2075 წლების დონეებისათვის. მეთოდს საფუძვლად დაედო მდინარეების ჩამონადენის ნორმების დინამიკის შეფასება 1960, 1970, 1975, 1980, 1985 და 1990 წლების დონეებისათვის. ილ.3,ცხრ.1,ლიტ. დას.5.

**მდ. მტკვრის ჩამონადენის კლიმატურ ცვლილებათა მიმართ მგრძნობიარობის შეფასება ემპირიულ-სტატისტიკური მოდელის საფუძველზე.** /ნ.ნ. ბეგალიშვილი, კ.თავართქილაძე, ნ.ა.ბეგალიშვილი/პმი-ს შრომათა კრებული.-2001. -ტ.106.-გვ.160-164. – ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

აგებულია მდ. მტკვრის – პიდროვეთი თბილისი ჩამონადენის სტატისტიკური მოდელი ნალექებთან, ჰაერის ტემპერატურასთან და ატმოსფეროს ტენშემცველობის ელემენტებთან (წყლის ორთქლის დრეკადობა და ფარდობითი ტენიანობა) კავშირში მეტეოსადგურ თბილისის მონაცემების მიხედვით. წარმოდგენილი მოდელის საფუძველზე შეფასებულია ჩამონადენის მგრძნობიარობა კლიმატურ ცვლილებათა მიმართ. კლიმატური მახასიათებლების მოცემული ვარიაციებისათვის განსაზღვრულია ჩამონადენის საუკუნეობრივი ცვლილების შესაძლო სცენარები.

**წყლის ბალანსის სტრუქტურა ლანდშაფტის ტიპების მიხედვით.** /რ.მესხია/. პმი-ს შრომათა კრებული.-2001.-ტ.106.- გვ.165-169.- ქართ.; რეზ. ქართ.,ინგლ., რუს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის მოცემულია წყლის ბალანსის ელემენტების გაანგარიშებები, ლანდშაფტური ტიპების კომპლექსებისა და მათი ვერტიკალური სტრუქტურის გათვალისწინებით. ილ.1, ცხრ.1,ლიტ.დას.5.

**წყლის საცავებში ჩამდინარე წყლების პროგნოზება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში.** /ც.ბასილაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.170-176.-ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

საქართველოს სამი მთავარი წყლისაცავისათვის(ჯვრის, ვარციხის და ჟინვალის) შემუშავებულია მათში ჩამდინარე წყლების გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზები წლის სხვადასხვა პერიოდისათვის: წყალდიდობის საშუალო და მაქსიმალური ხარჯების, სავეგეტაციო პერიოდის, პარტალური, თვიური, დეკადური, დღე-დამური და წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების. ცხრ.3,ლიტ.დას.3.

**საქართველოს გეოლოგიურ წარსულში ჩახერგვებით წარმოშობილი დაგუბებული ტბების გეოგრაფია.** /ს.გორგიჯანიძე/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.177-184.-ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

დახასიათებულია დაგუბებული ტბები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ტექტონიკურ, კლდეების და მყინვარული ჩამონაქცევის, თოვლის ზვავების, მდინარეული ყინულების და მეწყერებით ჩახერგვით პროცესებთან. მოყვანილია მათი გეოგრაფია, დაგუბებული ტბების განაწილების რუსით, მათი ტიპების და წარმოშობის ჩვენებით. ილ.1,ცხრ.1,ლიტ.დას.7.

შიდატენბრუნვის გამოთვლის მეთოდი მდინარეების არაგვის, ქსნის, ლეხურასა და ლიახვის წყალშემკრები აუზების მაგალითზე. /ნ.კოჭლამაზაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.185-193. –ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია ტენბრუნვის კოეფიციენტის გამოთვლის შედეგები 15 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშაგოს მრავალწლიური მონაცემების გამოყენებით. ადგენილია კოეფიციენტების ცვლილების კანონზომიერებანი ადგილის სიმაღლისა და ჰაერის ტემპერატურასთან მიმართებაში. შემოთავაზებულია ემპირიული სტატისტიკური ფორმულები ტენბრუნვის კოეფიციენტების გამოსათვლელად რეგიონის ნებისმიერი ადგილისათვის, რომელთა საფუძველზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ აუზის ტერიტორიაზე „შიდა“ და „გარე“ ნალექების რაოდენობა, შევაფასოთ მათი როლი აუზის ტენბრუნვაში. ილ.4,ცხრ.1,ლიტ.დას.2.

**საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობა.** /ლ.ქალდანი/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.194-203. –ქართ.; რეზ. ქართ.,ინგლ.,რუს.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული მეთოდის გამოყენებით დადგენილია საქართველოს ტერიტორიის ზვავაქტიურობა. გამოყოფილია რაიონები, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა არის: 20%-ზე ნაკლები, 20–40%, 40–60%, 60%-ზე მეტი. ამ რაიონების შესაბამისად საქართველოს მთლიანი ფართობის 28, 12, 8 და 9% უკავიათ.

არაზვავაქტიურია საკვლევი ტერიტორიის 43%, კერძოდ ის ნაწილი, რომლის ზედაპირის დახრილობა 15<sup>0</sup>-ს არ აღემატება.

რაიონები 20%-ზე ნაკლები და 20–40%-ის ზვავაქტიურობით, ძირითადად მოიცავენ დასაცავები საქართველოს დაბალმოთიანი და საშუალომოთიანი ზონების ტყიან ფერდობებს და აღმოსაცავები საქართველოს საშუალომოთიან ზონას. აღნიშნულ რაიონებს განსაკუთრებით დიდი ტერიტორია (21–47%) უკავია მდინარეების ბზიფის, ცენტრის წყლისა და ჭოროხის აუზებში. შემუშალომოთიანი ზონის უტყეო და მეჩეურტყიანი ციცაბო ფერდობები და სუბალპური ზონის ფერდობები უკავია რაიონს, სადაც ტერიტორიის ზვავაქტიურობა არის 40–60%. აღნიშნულ რაიონს უჭირავს მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის, ცენტრის წყლის, არაგვის, ასას, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში მთლიანი ფართობის 15–22%. უტყეო დამრეც, ძირითადად, მაღალმოთიან ზონაში მდებარე ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა აღწევს 70–80%. რაიონი, ტერიტორიის 60–80% ზვავაქტიურობით, მდინარეების თერგის, ასას, არღუნის, პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის აუზებში ფართობის 66%-ს მოიცავს, ხოლო მდ.ენგურის აუზში – 30%-ს. ზემოთ აღნიშნული მდინარეების აუზების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოირჩევა დიდი აბსოლუტური სიმაღლეებით და ფერდობების დახრილობით, რითაც არის გამოწვეული ამ აუზების ტერიტორიის უდიდესი ზვავაქტიურობა.

**საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით.** /ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.204-219. –ქართ.; რეზ. ქართ.,ინგლ.,რუს.

მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლებზე მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიანი დაკვირვების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შესრულებულია საქართველოს ტერიტორიის დარაიონება თოვლიანობის მიხედვით. ამოყოფილია განსაკუთრებით უხვოოვლიანი, საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი რაიონები. თითოეული რაიონისათვის გამოვლენილია აღგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან მყარი ნალექების რაოდენობისა და თოვლის საფარის სიმაღლის დამოკიდებულება და შედგენილია შესაბამისი განტოლებები.

გამოვლენილია თითოეულ რაიონში მყარი ნალექებისა და თოვლის საფარის მახასიათებლების თავისებურებანი. დადგენილია საქართველოს ტერიტორიიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის ცვლილების კანონზომიერება. ცხრ.1,ლიტ.დას.6.

**კავკასიის თოვლ-ყინულოვანი რესურსები.** /ვ.ცომაია, ლ.პაპინაშვილი, ლ.ქალდანი/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 106. – გვ.220-223. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

სტატიაში გაანალიზებულია „მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში“ მოთავსებული, ავტორების მიერ შედგენილი გლაციოლოგიური რეკები.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 107**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის წინამდებარე შრომებში წარმოდგენილია 2001 წლის 16-18 მაისს ჩატარებული ტრადიციული მაისის 48-ე სამეცნიერო სესიის – კონფერენციის „გვალვის და მასთან ბრძოლის პრობლემები“ მასალები. იდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი პროფოლიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. აგრეთვე რიგმა სამთავრობო უწყებებმა – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ, პიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სხვ.

კონფერენციაზე განხილულ იქნა 46 მოხსენება, რომლებიც მიეძღვნა გვალვის და გაუდაბნოების აქტუალურ საკითხებს. კონფერენციის სექციების მუშაობის შესაბამისად, მოცემულ კრებულში შესულია 38 შერჩეული მოხსენების გადამუშავებული ტექსტი შემდეგი თავების მიხედვით:

- ა) გვალვა, მისი გამომწვევი ფაქტორები და ტერიტორიული განაწილება;
- ბ) გვალვის შეფასების კლიმატოლოგიური და აგრომეტეოროლოგიური მეოდები;
- გ) გვალვის მეთოდები და მოდელირება, მისი პიდროლოგიური და ეკოლოგიური შედეგები;
- დ) გვალვასთან ბრძოლის მეთოდები.

კრებული სასარგებლო იქნება მეტეოროლოგიის, აგრომეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, პიდროლოგიის, ეკოლოგიის და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სხვა დარგებში მომუშავე მკვლევარებისთვის, ასპირანტებისა და პრაქტიკოსებიალისტებისთვის.

#### **უაკ 551. 583 338.984**

გლობალური დათბობის ფონზე გაუდაბნოების მოსალოდნელი პროცესი აღმოსავლეთ საქართველოში და მისი შეჯერების ლონისძიებები/ნ.ჩხობაძე, ბ.ლომთაძე, ბ.ცატავა, თ. გზირიშვილი, ბ.ბერიტაშვილი/ჰმი-ს შრომათა კრებული. –2002. –ტ. 107. –გვ. 13-23. –ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია კლიმატის გლობალური ცვლილების IPCC მესამე შეფასების მონაცემები. ამ მონაცემთა და საქართველოს პირველი ეროვნული შეგენობის შედეგების ანალიზის საფუძველზე მიმდინარე საუკუნის ბოლომდე დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის მომატება  $1^{\circ}\text{C}$ -მდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში  $2^{\circ}\text{C}$ -მდე. ამ დათბობის ფონზე გაიზრდება გვალვების ინტენსივობა და სიხშირე აღმოსავლეთ საქართველოში, რამაც ქვემო ქართლსა და გარე კახეთს შეიძლება შეუქმნას ლოკალური გაუდაბნოების საშიშროება.

განხილულია გლობალური დათბობის ნეგატიური ზემოქმედების შერბილებისა და ადაპტაციის ლონისძიებათა სახელმწიფო პროგრამის პროექტის ძირითადი დეტულებები, რომლებიც ითვალისწინებენ წყლის რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაზრდის, სადამკირვებლო ქსელის აღდგენისა და სამეცნიერო გამოკვლევების გაფართოების სამუშაოთა ჩატარებას.

#### **უაკ 551.58**

გვალვა და გაუდაბნოება, მათი გამომწვევი მიზეზები და გეოგრაფია/ე.ელიზბარაშვილი, ნ.სულხანიშვილი, ზ.ჭავჭანიძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული. –2002. –ტ. 107. –გვ. 23-27. –ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია გვალვებისა და გაუდაბნოების პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგრამარებელის მოკლე მიმოხილვა.

#### **უაკ 551**

გვალვა საქართველოში/ლ. აპინაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული. –2002. –ტ. 107. –გვ. 28-33. –ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია გვალვისა და უნალექო პერიოდების სივრცობრივ-დროითი განაწილების ძირითადი შედეგები და გამოვლენილია მათი გენეზისი საქართველოს ორგანიზაციულ პირობებთან კავშირში.

საქართველოში მკაცრი გვალვების დასადგენად ვებგვერდის პერიოდში შედეგენილია ტენის განაწილების რუკა-სქემა, როდესაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობა ≤ 150 მმ.

### უაკ 551.56:564 (41)

გვალვის პრობლემის გეოგრაფიული ასპექტები საქართველოში/დ.მუმლაძე, გ.გაგუა/, პმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107.-გვ. 34-38.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.

XX ს უკანასკნელ ათწლიურში გვალვიანობის სიხშირისა და ხანგრძლივობის გაზრდამ, მაღალი ტემპერატურისა და უარყოფითი ანთროპოგენური პროცესების ფონზე, გამოიწვია მთელი რიგი კაოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამწვევება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. აქ ლანდშაფტები უფრო მოწყვლადია წყლის დეფიციტის მიმართ, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, სადაც ატმოსუაკული ნალექების უქმარისობა რამდენადმე კომპენსირდება ნამით, რომელიც დიდი რაოდენობით გამოიყოფა წლის თბილ, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

გვალვიანობისაგან დაცვა ამ ეტაპზე მხოლოდ მორწყვითად შესაძლებელი, რომელსაც საქართველოში ჯერ კიდევ მე-2 ათასწლეულის დასაწყისში მისდევდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში არ ხებით ირწყვებოდა დაახლოებით 50 ათასი ჰა ნაყოფიერი მიწა, რომლებიც, როგორც მაშინ, ახლაც აქტიურ მორწყვას საჭიროებს.

### უაკ 551. 521.

მზის აქტივობასა და გვალვიანობას შორის შესაძლო კაგშირების შესახებ/რ.შამუკაშვილი,პმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107.-გვ.39-42.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.

განხილულია მზის აქტივობასა და გვალვიანობას შორის შესაძლო კაგშირების თავისებურებები მზის ლაქების რიცხვზე, მათი განლაგების განედებზე და გეომაგნიტური აქტივობის ინდექსზე დამოკიდებულებით. აღსანიშნავია, რომ ამ დამოკიდებულებებს არ გააჩნია უნივერსალური ხასიათი და იცვლებიან დროში და სივრცეში.

### უაკ 551.58

არიდული ლანდშაფტები და ჰავა/ც. ჟორჟიკაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. - 2002.-ტ.107.-გვ.43-49.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია საქართველოს არიდული ლანდშაფტებისათვის დამახასიათებელი ჰავა, გვალვიანობის გამომწვევი კლიმატური ფაქტორები.

პირველად არის გამოკვლეული დასავლეთ საქართველოს გვალვიანობა აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით ინტენსივობის, ხანგრძლივობის და სიხშირის მიხედვით.

### უაკ 551.489.37

გვალვიანი (ცხელი) დღეების ანალიზი აღმოსავლეთ საქართველოში/რ.კორძახია, ჯ.ვაჩნაძე,თ.ალადაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107. -გვ.50-52. -ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

აღმოსავლეთ საქართველოში 20 მეტეოროლოგიური სადგურის 25 წლის მასალის ანალიზის საფუძველზე გამოთვლილია თვითეულ თვეში ცხელი დღეების რაოდენობა. დღე მიჩნეულია ცხელად თუ 13 საათის მონაცემებით ჰაერის ტემპერატურა 25.0°-ზე, ხოლო ფარდობითი სინოტივე 30%-ზე. ეს კრიტერიუმი საშუალებას იძლევა დავალაგოთ წლები ობიექტურად ცხელი დღეების საშუალო რაოდენობის კლების მიხედვით.

### უაკ 551.589.37

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დარაიონება გვალვიანობის ხარისხის მიხედვით/ჯ.ვაჩნაძე,რ.კორძახია, ც. დიასამიძე/, პმი-ს შრომათა კრებული. -2002.-ტ.107. -გვ. 53-56.-ქართ.;რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

19 მეტეოროლოგიური სადგურის მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ გვალვიანი (ცხელი) დღეების საშუალო წლიური რაოდენობის მიხედვით აღმოსავლეთ

საქართველოს ბარი დარაიონებულია გვალვიანობის ხარისხის მიხედვით. კრიტერიუმად აღებულია 13 საათზე პარის ტემპერატურა 25.0<sup>0</sup> და ფარდობითი სინოტივე 30%.

### უაკ 551.513.37

**აღმოსავლეთ საქართველოში გვალვის გამომწვევი სინოპტიკური პროცესების მოკლე ანალიზი/ჯ.გაჩნაძე,ი.ჩოგოვაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.57-60. – ქართ.;რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

განხილულია აღმოსავლეთ საქართველოში გვალვის გამომწვევი სინოპტიკური პროცესების ძირითადი თავისებურება. წლის თბილ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში უნდა არსებობდეს მიწისპირა ანტიციკლონური ბარიული ველი, ამავე დროს მაღლივი თხემის არსებობა და ირანის ტერიტორიაზე მშრალი ტროპიკული პარის მასები.

### უაკ 551.525

**სიმშრალის რადიაციული ინდექსის საუკუნოებრივი სვლა აღმოსავლეთ საქართველოში/რ.სამუკაშვილი,ც.დიასამიძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.61-64. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

თელავის მეტეოროლოგიური სადგურის 1956-1991 წლების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილია სიმშრალის რადიაციული ინდექსის საუკუნოებრივი სვლა აღმოსავლეთ საქართველოში. ინდექს გააჩნია ცვლილების დადგბითი ტენდენცია, რაც განპირობებულია ამ რეგიონში გაუდაბნოების პროცესის მიმდინარეობით.

### უაკ 551.58

**2000 წლის გვალვა აღმოსავლეთ საქართველოში/ლ.ქართველიშვილი, ე.ელიზბარაშვილი,ჯ.დოლიძე,ჯ.გაჩნაძე,ჯ.მდინარაძე/, ჰმი -ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107.-გვ. 65-69.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.**

2000 წლის ყოველი თვე განხილულია გვალვიანობის თვალსაზრისით. გამოყენებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის 10 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები, კერძოდ პარის ტემპერატურის ანომალია და ნალექთა თვიური ჯამის გადახრა ნორმიდან (%). გვალვიანობის ინტენსივობისა და ხანგრძლივობის მიხედვით ამ წელს ანალოგი არ მოეძებნება მთელი გასული საუკუნის მანძილზე.

### უაკ 631.445.5

**გვალვისა და გაუდაბნოების პროცესების შესახწავლად სამხრეთ კავკასიაში სათბურის გაზების კომპლექსური მონიტორინგის შექმნის შესახებ/ნ.ბერაძე, მ.ოდიშარია,დ.კირკიტაძე, გ.კორაძეია/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.70-80.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში დასაბუთებულია ატმოსფერის ქიმიური შემაღებელობის მონიტორინგის აუცილებლობა სამხრეთ კავკასიაში. ანსაკუთრებული უურადღება ეთმობა სათბურის გაზების მონიტორინგს, როგორც ანთროპოგენულ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს თანამედროვე კლიმატის ცვლილებაზე, განსაკუთრებით მის ექსტრემალურ გამოვლინებებზე (გვალვა, გაუდაბნება).

განხილულია კლიმატის მონიტორინგის მეთოდოლოგია და ერთი მეთოდის რეალიზაცია საცდელ, სტაციონალურ დანადგარზე.

### უაკ 551.585

**გვალვის შეფასების კრიტერიუმები ჰიდრომეტეოროლოგიურდაკვირვებათა მონაცემების მიხედვით/თ.თურმანიძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.81-88.- ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

სტატიაში მოცემულია გვალვის როგორც კომპლექსური მოვლენის შეფასება, რომელშიც გარდა ატმოსფერული მახასიათებლებისა, გათვალისწინებულია ნიადაგისა და მცენარის ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლები. წევნის მიერ შემუშავებულ იქნა გვალვის ინტენსივობის მახასიათებლები: 1.მოდიფიცირებული ჰიდროთერმული კოუფიციენტი

$$\sqrt{\frac{\sum P \times 10}{\sum t}}$$
 და 2.ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგის შეფასება ფარდობითი მახასიათებლებით – პროცენტებში ზღვრული ტენტევადობიდან. შემოთავაზებული მეთოდი

საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შევაფასოთ გვალვის უარყოფითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, კერძოდ, მოსავლის დანაკარგებზე.

### უაკ 551.585

გვალვების განვითარების კომპლექსური შეფასებისათვის/დ.არველაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.89-93.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

არსებული აგრომეტეოროლოგიური ლიტერატურიდან გამომდინარე შემოთავაზებულია გვალვების ოპტიმალური მახასიათებლები და მათი ინტენსივობის კატეგორიების მიხედვით კლასიფიკაციის ახალი კრიტერიუმი - გვალვების განვითარების კომპლექსური შეფასების ალგორითმი. გვალვების რაოდენობრივი შეფასების ახალი მეთოდი შემოწმებულია საქართველოს მასალებზე და დამაკმაყოფილებელი შედეგებია მიღებული.

### უაკ 551.585

გვალვიანი რაიონების დანესტიანების რეჟიმის შესწავლა სინოტივის კომპლექსური კოეფიციენტის გათვალისწინებით. /ლ.ქართველიშვილი, პ.ჯანელიძე, გობეჯიშვილი/ ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ. 94-98. -ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია ფორმულა, რომლის მიხედვითაც გამოთვლილია სინოტივის კომპლექსური კოეფიციენტი საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის. მიღებული მონაცემების მოხედვით აგებულია მათი ტერიტორიული განაწილების რუკა-სქემა.

ამ რუკის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს სინოტივის ზონები.

### უაკ 551

გვალვიანობის მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით/ნ.ნოზაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.99-103.- ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია საქართველოს პიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენების მოკლე ისტორია. განხილულია მომავლის პერსაკეტივები და თანამგზავრული მონაცემებით გვალვების კვლევისა და მონიტორინგის შესაძლებლობა.

### უაკ 551.585

გვალვიანი თვეები აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა-ნალექების კომპლექსის მიხედვით/რ.კორძახია, ჯ.გაჩნაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.104-110.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

აღმოსავლეთ საქართველოში განხილულია ანომალურად თბილი და ნალექების დეფიციტიანი თვეები. თვე მიჩნეულია გვალვიანად თუ სრულდება ეს ორივე პირობა ერთდროულად. დადგენილია გვალვიანი თვეების რაოდენობა და მონაცელება წლების და თვეების მიხედვით.

### უაკ 551.585

გვალვიანობის ობიექტური კრიტერიუმების მიმოხილვა დიასამიძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.111-114.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია გვალვიანობის რამდენიმე განმარტება და განხილულია მისი დამახასიათებელი ობიექტური კრიტერიუმები, აღმოსავლეთ საქართველოს 15 მეტეოროლოგიური სადგურის 1960-1989 წლების დაკვირვებათა ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია განხილული პერიოდის შედარებით გვალვიანი თვეები.

### უაკ 626.81(2-4)

საქართველოს წყლის რესურსების სიჭარბისა და დეფიციტის პიდრომეტეოროლოგიური პირობები გვალვის რაიონებში/ ვ. ცომაია, რ.მესხია, ნ.კოჭლამაზაშვილი, ლ.სანებლიძე, თ.ცინცაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.115-121.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მდინარეებიდან წაყლაღების შედეგად ჩამონადენის დამახინჯების კოეფიციენტი, წყლის რესურსების დეფიციტი და სიჭარბის ტერიტორიული განაწილება.

**უაკ 551.484.4**

**საქართველოს გვალვიან რაიონებში მდინარეების ჩამონადენის მოსალოდნელ ცვლილებათა შეფასება/ნ.ნ.ბეგალიშვილი, ვ.ცომაია/ პმი-ს შრომათა კრებული. –2002-ტ.107. –გვ.122-132.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

საქართველოს 18 მდინარისათვის 1951-1965 წლების დაკვირვებათა მასალების გამოყენებით შეფასებულია ჩამონადენის ცვლილება წყალშემკრებზე ტემპერატურის და ნალექთა ცვლილებების პირობებში. მიღებული შედეგები შემოწმებულია დამოუკიდებელი 1981-1985 წლების მასალების საფუძველზე. შეფასების ცდომილება აღმოჩნდა საკმაოდ დაბალი (5-10%). ამიტომ, მოცემული წყალშემკრებისათვის მიღებული მდინარის ჩამონადენისა და ნალექთა ჯამების დამოკიდებულებები ტემპერატურაზე შეიძლება გამოყენებული იქნას მდინარეების წლიური ჩამონადენის საპროგნოზო შეფასებისათვის კლიმატის გლობალური დათბობის გათვალისწინებით. კერძოდ, შესრულებულია ჩამონადენის მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება გვალვიანი პირობების გათვალისწინებით.

**უაკ 551.484.4**

**კლიმატის ცვლილების პირობებში მდინარეული ჩამონადენის ცვლილების შეფასება მათემატიკური მოდელის საფუძველზე. /ნ.ნ.ბეგალიშვილი, ვ.ცომაია, ნ.ა.ბეგალიშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული. – 2001. – ტ. 107. –გვ.133-138. –ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.**

წარმოდგენილია წყალშემკრების კლიმატური პარამეტრების ცვლილებათა მიმართ მდინარის ჩამონადენის მგრძნობიარობის შეფასების მეთოდიკა. მდ.მტკვრის მაგალითზე განსაზღვრულია კლიმატის ცვლილების შედეგად ჩამონადენის მოსალოდნელი ცვლილების სცენარები. კერძოდ, შესრულებულია ჩამონადენის შესაძლო ცვლილების შეფასება გვალვის პირობებში.ლიტ.დას.7.

**უაკ 551.484.4**

**მდინარეთა წყლიანობა სავეგეტაციო პერიოდში და მათი პროგნოზირება მთავარი სარწყავი სისტემების მომსახურებისათვის/ც.ბასილაშვილი, ნ.კარტაშოვა, ნ.კობახიძე/პმი-ს შრომათა კრებული. –2002-ტ.107. –გვ. 139 -146.– ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

**უაკ 556**

**ახალი მიდგომა მინიმალური ჩამონადენის საანგარიშოდ/გ. ბრეგვაძე, გ. გრიგოლია, დ. კერესელიძე/პმი-ს შრომათა კრებული .–2002 -ტ.107.-გვ.147-153.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს**

**უაკ 631.55;632.11;551.509.3**

**მელიორაციული ღონისძიებების ბიოკლიმატური საფუძვლები და მათი სტოხასტური პროგნოზირება/დ.არველაძე/პმი-ს შრომათა კრებული.–2002-ტ.107.-გვ.154-159.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ნალექების მელიორირების საჭიროების ბიოკლიმატური დასაბუთების ერთგანზომილებიანი ამოცანა განხილულია როგორც წრფეზე შემთხვევით მოხეციალე წერტილის გარკვეული ოპტიმალობის ინტერვალში არმოხვედრის ალბათობის განსაზღვრის ამოცანა ანუ როგორც ნალექების საშუალო მრავალწლიური შემთხვევითი მნიშვნელობების სასოფლო-სამურნეო კულტურის მოთხოვნილებების ოპტიმალობის ინტერვალში არმოხვედრის ალბათობის განსაზღვრის ამოცანა.

მოსავლის სავეგეტაციო სეზონის ქვეპერიოდებში მოსული ნალექების რაოდენობაზე დამოკიდებულების მრუდების ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე მელიორირების საჭიროების ალბათური მაჩვენებლების გამოთვლის ალგორითმის გამოყენებით, შემუშავებულია მელიორაციული ღონისძიებების აუცილებლობის სტოხასტური პროგნოზირების მეთოდი.

**უაკ 551.510.42**

**გაუდაბნოების ხელშემწყობი, გარემოს აბიოტური ფაქტორების მონიტორინგის შესახებ/გ.გუნია, ზ.სვანიძე,ნ.ურუშაძე/პმი-ს შრომათა კრებული.–2002-ტ.107.-გვ.160-166.– ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად, გარემოს აბიოტური ფაქტორების გაუდაბნოების ხელშემწყობი ცვლილებების დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკულ საკითხებს ეძღვნება. მასში ნაჩვენებია, რა დიდ როლს ასრულებს ატმოსფერო ნივთიერებათა

გადანაწილებაში ატმოსფერო – დედამიწა – მცენარეულობა – ადამიანისაგან შემდგარ რგოლში.

სპეციალურად შემუშავებული და დაპატიჟებული მეთოდების დახმარებით შეფასებულია ნიადაგზე მოსული მინერალურ ნივთიერებათა და ლითონურ მიკრომინარევთა (Cd, Zn, Cu, Pb) სიდიდეები. მოცემულია აგრეთვე, აღნიშნული ლითონების შემცველობა ქახეთის მხარეში მოსულ ხილსა და ბოსტნეულში.

მიღებული შედეგები ამტკიცებენ ავტორების მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ბიოსუაკოს ეკოლოგიური მდგრადი საქართველოში მიყვანილია უკიდურესად საშიშ ზღვართან, რაც აღნიშნული მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობას იწვევს.

#### უაკ 551.311.21: 647.141.2

**ხანგრძლივი გვალვის შესაძლო გაგლენა ლგარცოფული ჩამონადენის პარამეტრებზე.** /გ. ხერხეულიძე, ი.გელაძე, ნ.რუხაძე/ პმი-ს შრომათა კრებული. – 2002.-ტ.107.-გვ.167-174.-. რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განიხილება დაგარცოფული აუზების შესაძლო რეაქცია სხვადასხვა ხანგრძლიობის გვალვაზე, აერისა და ნიადაგის მაღალი ტემპერატურულის თანმდევით, დაგარცოფული ნაკადების სხვადასხვა სახეობისას და მათი შემდგენლების თხევადი და მყარი გენეზისისას.

ეგეოროლოგიური ელემენტების მონაცემთა ბანკის ლგარცოფულ და არალგარცოფულ კლასთა პარამეტრული დისკრიმინანტების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ძირითადი ლგარცოფულ-რმომქმნელი მეტეოროლოგიური პარამეტრების (ნალექების დღედამური ფენა, ნიადაგის მინიმალური და აერის მაქსიმალური ტემპერატურა) შესამების საშიში არე, რომელიც განსაზღვრავს ლგარცოფთა გავლის რისკს.

#### უაკ. 551.582.

**კლიმატის თანამედროვე ცვლილება და მოსალოდნელი სცენარები საქართველოს გვალვიანი რაიონებისათვის./მ.ლიზბარაშვილი, თ.ალადაშვილი, ნ.სულხანიშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.175-178. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

გამოკვლეულია საქართველოს გვალვიანი რაიონების კლიმატის რეაქცია გლობალურ დათბობაზე. გლობალური კლიმატის ცვლილების ცნობილი სცენარების გათვალისწინებით გამოახგარი შემცველია კლიმატის შესაძლო სცენარები ამ რაიონებისათვის.

#### უაკ. 551.582.

**საქართველოში გვალვიანობის პროცესების გავლენა ნიადაგებიდან სათბურის გაზების ემისიაზე/ლ.** ბაჩიაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.179-185.- ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განიხილულია ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების გავლენა სხვადასხვა ტიპის ნიადაგებში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე. შესწავლილია გვალვიანობის პროცესების გავლენა ნიადაგებიდან სათბურის გაზების ემისიაზე საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგებისათვის. ნაჩვენებია, რომ ეწერი ნიადაგებიდან ნალექების მატების პირობებში გაიზრდება  $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$  და  $\text{N}_2\text{O}$ -ს ემისიები, ხოლო ტემპერატურის მატების პირობებში მხოლოდ  $\text{CH}_4$  და  $\text{CO}_2$ -ის ემისია. დამდაშებული ნიადაგებიდან გვალვის პირობებში მატულობს  $\text{CO}_2$ -ის ემისია, ხოლო შავმიწა ნიადაგები ამავე პირობებში წარმოადგენს  $\text{CO}_2$ -ისა და  $\text{N}_2\text{O}$ -ს გაზრდილი ემისიის წყაროს.

#### უაკ 551.583.1

**გაუდაბნოების ხელშემწყობი პროცესი საქართველოშიდა მისი შეფასების ანალიზური კრიტერიუმი/ კ.თავართქილაძე, გ. მესტიაშვილი, ე.საჯაია, ლ.ბეროშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.186-193.- ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

გაუდაბნოების ხელშემწყობი პროცესების დასახასიათებლად გამოყენებულია ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა და ნალექები. აღნიშნული ელემენტების 40-წლიანი ან მეტი პერიოდის საშუალო თვიურ და თვიური ჯამების მონაცემთა ანომალიებიდან წლის თბილ პერიოდში, ხელშემწყობ პირობებად აღებულია შემთხვევები, როცა მიყოლებით სამი და მეტი თვის მანძილზე ტემპერატურის ანომალიები ყოველთვიურად  $\geq 0.5^{\circ}\text{C}$ , ხოლო იგივე თვეებში ნალექების ანომალიები  $< 0$  მმ. მათი ჯამები აღებულ პერიოდში გაყოფილი წელთა რიცხვზე განსაზღვრავს გაუდაბნოების ხელშემწყობი პროცესის ინგენსიურობას და პირობითად გუწო-

დებო გაუდაბნოების კოეფიციენტს. ამოთვლილია გაუდაბნოების კოეფიციენტის მნიშვნელობები საქართველოს 50-მდე დაკვირვების პუნქტის 1948-1990 წწ. მონაცემებით და განსაზღვრულია გაუდაბნოების ტემპერატურული და ნალექების ალბათობათა განაწილება. ალბათობათა განაწილების ინტეგრირებით შექმნილია გაუდაბნოების ხელშემწყობი პროცესის შეფასების 6-ბალიანი შკალი. აღნიშნული შკალით გამოთვლილია გაუდაბნოების ხელშემწყობი პროცესის ინტენსიურობის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე.

### უაკ 551.578.7

**ატმოსფერული ნალექთა ხელოვნური რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა.**  
/თ.სალუქვაძე, ე.ხელაია/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.-გვ.194-199.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების ექსპერიმენტული და პრაქტიკული სამუშაოები. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ნალექების გადიდების მიზნით ჩატარებული ღრუბლებზე ხელოვნური სამუშაოების ეფექტურობის დონე ცალსახად მიუთითებს ასეთი სამუშაოების რენტაბელობაზე, იქ სადაც კლიმატური პირობების გამო აღინიშნება ბუნებრივი ატმოსფერული ნალექების დეფიციტი.

### უაკ 556

**იორია-არაგვის წყალსამეურნეო კომპლექსური სისტემით გვალვის შედეგების შერბილება/გ. გრიგოლია, ე. საბაძე, გ. ხმალაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.107.-გვ.200-205.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.**

### უაკ 636. 532

**მორწყვითი მელიორაციის როლო გვალვიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.**  
/ნ.მოდებაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107.-გვ.206-211.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.

### უაკ 636 532

კახეთის რეგიონში მოსალოდნელი კატასტროფული გვალვების შედეგების შემცირების გზები არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურების ადგილობრივ უაკმერებთან თანამშრომლობით. /ო.სიჭინავა, პ.ტუღუში, პ.სიჭინავა/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107.-გვ.212-217.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

### უაკ 551

**გვალვიან რაიონებში წვეთოვანი მორწყვის დანერგვა, როგორც წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების და გვალვასთან ბრძოლის ღონისძიება/გ.ჩიკვაძე, ო.მველიძე, ი.გელაძე, ნ.დევდარიანი, ს.კოპაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.- ტ.107.-გვ.218-222.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.**

წვეთოვანი მორწყვის დანერგვის შემთხვევაში, თვითდინებით ზედაპირულ მორწყვასთან შედარებით იმავე ფართობის მორწყვისას დაიხარჯება 3-ჯერ უფრო ნაკლები წყალი (33%-მდე) და სარწყავი წყლის გაონომიამ შეიძლება შეადგინოს თითქმის 67%, ანუ სარწყავი წყლის ბევრად უფრო რაციონალურ ხარჯვას ექნება ადგილი და, ამ შემთხვევაში, წვეთოვანი მორწყვის დანერგვა, სარწყავი წყლის დეფიციტიან მდინარეთა აუზებში გვალვიანობის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს.

### უაკ 631.445.5

**გვალვისაგან დაზარალებული რეგიონებისათვის ახალი თაობის სარწყავი ტექნიკა.**  
/ო.ნანიტაშვილი/ჰმი-ს შრომათა კრებული. -2002.-ტ.107.-გვ.223-229.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში დასაბუთებულია ატმოსფერული ქიმიური შემაღენლობის მონიტორინგის აუცილებლობა სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სათბურის გაზების მონიტორინგს, როგორც ანტროპოგენულ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს თანამედროვე კლიმატის ცვლილებაზე, როგორც მის ექსტრემალურ გამოვლინებებზე (გვალვა, გაუდაბნოება).

განხილულია კლიმატის მონიტორინგის მეთოდოლოგია და ერთი მეთოდის რეალიზაცია საცდელ, სტაციონალურ დანაღვარზე.

უაკ 551.583.338

**საქართველოში გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგის საკითხებისათვის/გ.ქებურია/ჰმი-ს შრომათა კრებული. -2002. -ტ.107.-გვ.230-233.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

უაკ 551.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროეკოლოგიური თავისებურებანი გვალვებთან დაკავშირებით და გვალვების მოქმედებისშერბილების ზოგიერთი ასპექტები/გ.მელაძე, მ.თუთარაშვილი, შ.ცერცვაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002. -ტ.107. -გვ.234-240.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

უაკ 551.576

**აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ღრუბელთა რესურსების სტატისტიკური ანალიზი/ნ. ბეგალაშვილი, ნ.კაპანაძე, ნ. რობიტაშვილი, გ.რობიტაშვილი, ი.რუხაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2002.-ტ.107.- გვ.241-253.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

მეტეოროლოგიური სადგურებისა და თვითმფრინავის დაკვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ნალექების გაზრდის მიზნით აქტიური ზემოქმედებისათვის გარების სხვადასხვა ტიპის ფენისებრ და გროვა-საწვიმარ ღრუბლიან დღეთა საშუალო თვეური რიცხვის სივრცულ-დროითი განაწილება.

განსაზღვრულია ზემოქმედების ჩატარებისათვის ხელსაყრელი პერიოდები და ის რაიონები, რომლებიც უფრო პერსპექტიულია აღნიშნულ სამუშაოთა გასაშლელად.

უაკ 556

**აჭარის მდინარეების მყარი ნატანის ჩამონადენის შიდაწლიური რეჟიმი გლობალური დათბობის ფონზე/ლ.ქიტიაშვილი/ჰმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.107.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის მრომების კრებული  
ტომი № 108**

წინამდებარე კრებული ასახავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში 2002 წლის 15-17 მაისს ჩატარებული სამეცნიერებული კონფერენციის „საქართველოს ბუნებრივი გარემოს ანთოპოგნური დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და მოდელირების პრობლემები“ მასალებს.

იმის გათვალისწინებით, რომ 2003 წელს სრულდება 90 წელი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის ვლომინაძის დაბადებიდან, კრებული ეძღვნება მის ხელვნას. ამ კონტექსტში აღსანიშნავის ის გარემოება, რომ ვლიმონაძემ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში და განსაკუთრებოთ საქართველოში გარემოს დაჭუჭყიანების შესწავლისა და ეკოლოგიური მონიტორინგის სამუშაოთა დაწყების საქმეში. კერძოდ, მისი ინიციატივით გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ინსტიტუტში გაიხსნა საკავშირო მასტერადიტი პირველი რადიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი შგავაშელი. 1971 წელს ეს ლაბორატორია რეორგანიზებულ იქნა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შემსწავლელ განყოფილებად, რომელმაც განვლილ პერიოდში ჩაატარა ეკოლოგიურ გამოკვლევათა ნმიშვნელოვანი ციკლი და მოხაწილეობა მიიღო მთელ რიგ საერთაშორისო პროექტებში.

მოცემულ კრებულში განხილულია ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგის პრობლემასთან დაკავშირებით ატმოსფეროს აეროზოლური დაჭუჭყიანების მონიტორინგის და ოზონის საერთო შემცველობის მონიტორინგის საკითხები. მოყვანილია მონაცემები ატმოსფეროს ანთოპოგნური გაჭუჭყიანების გავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე თბილისის მეტროპოლიტენში ელექტრომაგნიტური დაბინძურების თაობაზე. შესაფეხსებულია ატმოსფერულ ნალექთა მინერალიზაციის გავლენა გარემოს ეკოლოგიურ მდგრამარეობაზე. განხილულია ატმოსფერული ჰაერის სანიტარული მდგრამარეობის მონიტორინგის რიგი აქტუალური საკითხებისა. გაშუქებულია აღნიშნული პრობლემატიკის პიდროლოგიური ასექტებიც, მათ შორის კატასტროფული წყალმოვარდნების დინამიკა, კლიმატის ცვლილებების გავლენა მყინვარული მდინარეების ჩამონადენზე და აჭარის მდინარეების მყარი ნატანის ჩამონადენზე. მოყვანილია მონაცემები დამლაშებული ნიადაგების ქიმიური ცვალებადობის, თბილისში ატმოსფერული ნალექების ქიმიური შემადგენლობის, მდ.მტკვრის ქიმიურ-ეკოლოგიური გამოკვლევის შესახებ.

ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მოდელირებისა და პროგნოზის პრობლემის გარშემო ჩატარებულია კლიმატის დათბობის კონკრეტული მატემატიკური მოდელის რიცხვითი ანალიზი. განხილულია რელიეფით გამოწვეული ტალღური შემთხვევების გავლენა ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაზე, აგრეთვე წყალსაცავებში წყლის ხარისხის პროგნოზირების სეგმენტურ-შრეობრივი მეთოდი. დადგენილია არამიმოქცევადინ მდინარეშიილების გავრცელების დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორებზე. ჩატარებულია პიდროლოგიური პროცესების ტრენდის შეფასება და ანალიზი.

დაჭუჭყიანებისაგან ბუნებრივი გარემოს დაცვის პრობლემებიდან განსაზღვრულია სათბურის გაზების ემისიის შემცირების პოტენციალი საქართველოს ეკონომიკის ცალკეული სექტორებიდან, აგრეთვე დადგენილია თბილისის თბომომარაგების პრიორიტეტული მიმართულებანი გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით. დამუშავებულია ზედაპირული წყლების მძიე ლითონებით გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მემბრანული ტექნოლოგია. შესწავლილია მიკროორგანიზმების მიერ ნავთობპროდუქტების დესტრუქციის დინამიკა შავი ზღვის საქართველოა სექტორის წყლებში. საქართველოში ნალექთა ხელოვნური რეგულირების სამუშაოთა აღდგენის საკითხთან დაკავშირებით შეფასებულია ამ სამუშაოთა თანამედროვე ტექნოლოგიის ჩატარების შემთხვევაში შესაძლო დატვირთვა ბუნებრივ გარემოზე. ფაქტორივ მასალებზე დაყრდნობით მოყვანილია აგრეთვე ატმოსფერულ ჰაერზე გარემოზე დატვირთის გაანგარიშება საქართველოს ინტენსიური ანთოპოგნური ზემოქმედების რაიონებში.

კრებული განკუთვნილია ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანებისა და მეტეოროლოგიისა და პიდროლოგიის მომიჯნავე დარგებში მომუშავე სპეციალისტებისთვის.

**გუნდებრივი ბარემოს დაჭუშიანების მონიტორინგი**

ატმოსფეროსაეროზოლურიდაჭუშიანებისმონიტორინგისაქართველოში ა ამირანაშვილი ვ ამირანაშვილი კ თავართქილაძე ნ ლაულაინენიშვილი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული მდგომარეობის მონიტორინგის ზოგიერთი აქტუალური საკითხებია.მინდორაშვილი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

ინტენსიური ანთროპოგენური ზემოქმედების რაიონებში ატმოსფერული ჰაერის ეკოლოგიური დატვირთვის შეფასება/რ.სარალიძე/ პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

ატმოსფეროს ანთროპოგენური გაჭუშიანების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საქართველოს ზოგიერთი რაიონისათვის/თ. დავითაშვილი, ქ.მირანაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

ოზონის საერთო შემცველობის მონიტორინგი საქართველოში საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები ოზონმეტრიული საღგურების ქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად და მზის მიწისძირა ულტრაიისფერი გამოსხივების გაზომვების ორგანიზაციაშია ამირანაშვილი ა ბრეგვაძე კ თავართქილაძე თ ტოროშელიძე ჯ ხარჩილავა დ მელკონიანი ა კრასოვსკი ს კოლეგი გ დესიატკოვი რ ტარანნიკოვი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ. 108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

მიწისპირა ჰაერში ოზონის კონცენტრაციის ცვალებადობა თბილისისა და სოფლის პირობებში ჯ. ხარჩილავა, ვ. ჩიხლაძე, მ. ხარჩილავა პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

რადონის შემცველობა თბილისის მეტროპოლიტენში ა ამირანაშვილი თ ბლიაძე გ ნიკიფოროვი ა ნოდია ლ ჭელიძე ვ ჩიხლაძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

თბილისის ზოგიერთი დაწესებულების ელექტრომაგნიტური დაბინძურება ა ამირანაშვილი ვ ამირანაშვილი ა ნოდია ვ ჩიხლაძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

დუშეთში ჰაერის ელექტროგამტარებლობის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგები ა ამირანაშვილი ლ კალაიჯევა ა ხუნ უა ჯ ვაჩნაძე. პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

კავკასიის რეგიონში, შავი ზღვის აუზისა და გაუდაბნოების ნიშნების მქონე არეალებში გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციის გავლენის შეფასების ძირითადი პრინციპები გ.გუნია, ი.მებუკე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ. 108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

თბილისის ატმოსფერული ნალექების ქიმიური შედგენილობა და მათზე ანთროპოგენური გავლენის შეფასება ნ.ძებისაშვილი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

გ.მამუკაძე თბილისის წყალმომარაგების ჰიდროეკოლოგიური მდგომარეობის საკითხები პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფისა და მონიტორინგის აქტუალური საკითხები ა.მინდორაშვილი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

დამლაშებული ნიადაგების ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა ანთოპოგენური ზემოქმედების შედეგად დ.შავლიაშვილი, ნ.ტუდუში პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

საქართველოს დასახლებულ ადგილებში ნიადაგების სანიტარიული მდგომარეობის მონიტორინგის ზოგიერთი აქტუალური საკითხები ა.მინდორაშვილი პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

ექსტრემალურ პირობებში უდიდესი დღელამური ნალექების და კატასტროფული წყალ-მოვარდნების დინამიკა კლიმატის ცვლილების ფონზე ვ.ცომაია, რ.მესხია, ს.სრესელი პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

მყინვარული მდინარეების შიდაწლიურ ჩამონადენზე კლიმატის დათბობის გავლენის შედეგები ვ.ცომაია, ლ.სალაყაია,ე.სუხანსკაია პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

აჭარის მდინარეების მყარი ნატანის ჩამონადენის შიდაწლიური რეჟიმი გლობალური დათბობის ფონზე ლ.ქიტიაშვილი პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

დასავლეთ საქართველოში ექსტრემალური ტემპერატურების დროს ნალექებისა და ჩამონადენის რეჟიმი კლიმატის ცვლილების ფონზე ვ.ცომაია, რ.მესხია პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის შიდა წყლების რესურსების ცვლილების ხასიათი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრებში კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით თ.კოპაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

**გუნდგრივი გარემოს დაჭრების მოდელირება და პრობოზი**  
გარემოს დაჭუჭყიანების პიდრომეტეოროლოგიური რისკ-ფაქტორების შეფასება ტოქსიკურ ნაერთა გავრცელების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე ნ.ბეგალიშვილი, ლ.ინწყირველი, გ.ლაზრიევი, გ.რობიტაშვილი, ა.სურმავა, ი.რუხაძე, თ.იმნაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

კლიმატის დათბობის ერთი მათემატიკური მოდელის რიცხვითი ანალიზი ა.ხანთაძე, თ.დავითაშვილი, ხ. შარიქაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

დედამიწის რელიეფით გამოწვეული ტალღური შეშფოთების გავლენა ატმოსფეროს დაჭუჭყიანებაზე ხ.ხვედელიძე, რ.დანელია, თ.შალამბერიძე, ე.თაგვაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

ატმოსფეროს ჰაერის დაჭუჭყიანებაში მინიმალური ტემპერატურისროლის დადგენა მიწისპირა ფენის თავისებურებების გათვალისწინებით ხ.ხვედელიძე, ი.ალადაშვილი პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

წყალსაცავებში წყლის ხარისხის პროგნოზების სეგმენტურ-შრეობრივი მეთოდი დ.კერესელიძე, თ.ცინცაძე, ნ.ცინცაძე მ.ბლიაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

პიდროლოგიური პროცესების ტრენდის შეფასება და ანალიზი გ.გრიგოლია,ე.საბაძე, ნ.ჩილუნაძე პმი-ს შრომათა კრებული -2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.; რეზ.: ქართ.,ინგლ., რუს.

არამიმოქცევად ზღვიდან მდინარეში მარილების გავრცელების სიგრძის დადგენა კოპერენტულობის გათვალისწინებით ნ.სალუქაძე, ნ.თავართქილაძე, ჯ.გაბეჩავა პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.

### ბუნებრივი ბარემოს დაცვა დაჭუშიანებისაბან

საობურის გაზების ემისიის შემცირების პოტენციალი საქართველოს ენერგეტიკისა და მრეწველობის სექტორებში ბ.ბერიტაშვილი, მ.შვანგირაძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002.-ტ.108.-გვ.254-260.-ართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.

ზედაპირული წყლების მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მემბრანული ტექნოლოგიის დამუშავება ნ. ჩხებიაშვილი, ც. კურცხალია, ე. გვილავა, ქ. შალიკიანი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.

**ცე(II) და მე(III) სორბცია პუმინის მუავებზე ა.ხაიაური, ც.გოლიაძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.**

მუავური დისოციაციის მუდმივების განსაზღვრა პუმინის მუავებში ც.გოლიაძე ა.ხაიაური პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

მიკროორგანიზმების მიერ ნავთობპროდუქტების დესტრუქციის დინამიკის შესწავლა შავი ზღვის საქართველოს რეგიონში მ.მჭედლიშვილი, ნ.ბუაჩიძე, ლ.შავლიაშვილი პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

თბილისის თბომომარაგების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა გარემოს დაცვის ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით ნ. ნასუიდაშვილი, თ. დვალი, თ. ჭავჭანიძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.

საქართველოში ნალექების რეგულირების სამუშაო თააღდეგნის საკითხისათვის ა.ამირანაშვილი, მ.ბახსოლიანი, ნ.ბეგალიშვილი, ნ.ბერაძე, ბ.ბერიტაშვილი, რ.რეხვიაშვილი, თ.ცინცაძე, ნ.რუხაძე პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

მდ. მტკვრის ქიმიურ-ექოლოგიური გამოკვლევა ქ.თბილისის ფარგლებში ნ.ბუაჩიძე, ლ.ინწკირველი, გ.კუჭავა. პმი-ს შრომათა კრებული .-2002. -ტ.108.-გვ.254-260.-ქართ.;რეზ.:ქართ.,ინგლ., რუს.

ISSN1512 - 0902

ISBN 99928-885-1-2

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 109**

**უაკ 551.324.6**

ლექსიკონი/ბ.ბერიტაშვილი/ჰმი-ს შრომათა კრებული. –2004.–ტ.109.–გვ.72 .–ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ლექსიკონი წარმოადგენს კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოყენებული სიტყვებისა და გამოთქმების ქართულ ენაზე განმარტების პირველ მცდელობას. მასში თავმოყრილია 180-მდე ტერმინი, რომლებიც ამჟამად იხმარება როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან მიმართებაში შექმნილ დოკუმენტებში, ასევე ცალკეული პროექტების განხორციელებისას შესრულებულ მასალებში. ექსიკონი გამიზნულია კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებულ დარგებში, და კერძოდ ჰიდრომეტეოროლოგიაში, მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, აგრეთვე აღნიშნული პრობლემით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვისაც.

ISSN1512 - 0902

ISBN 99928-885-5-5

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 110**

**რეცენზენტები:**

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზ. ჭავჭანიძე,  
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი. ჩოგოვაძე

**უაკ 551.58**

განხილულია აჭარის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, კლიმატის ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, კლიმატური რესურსები, კომპლექსური კლიმატური მასასიათებლები და ამინდის საშიში მოვლენები მათ შორის ზვავსაში შროების ძირითადი მასასიათებლები.

განკუთვნილია კლიმატოლოგებისათვის, აგრონომებისათვის და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბუნებრივი რესურსების გამოვლენისა და ათვისების, სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი და მილსადენი ხაზების დაგეგმვის და პროექტირების დარგში.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 111**

წინამდებარე კრებული მოიცავს 2003-2007 წლებში პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ტრადიციული მასის სამეცნიერო სესიებზე წაკითხულ უმეტეს მოხსენებათა ტექსტებს. სტატიები წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:

**პიდროლოგია, მეტეოროლოგია**

კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით განხილულია საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის განსაზღვრის, მათ შორის ატივნარებული ხარჯის გამოვლის და მყინვარული კვების შეფასების მეოდების სრულყოფის შედეგები. მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოში 1921-2000 წლებში დაკვირვებული კატასტროფული წყალმოვარდნების განმეორებათა ანალიზი, შემოთავაზებულია წყალდიდობის ჩამონადენის საპროგნოზო სქემის რამდენიმე ვარიანტი. ეტეოროლოგიური და პიდროლოგიური გრძელვადიანი საპროგნოზო მეთოდების დამუშავების მიზნით: გაანალიზებულია ევროპის კონტინენტზე განვითარებული დიდმასშტაბიანი ცირკულაციური პროცესები; განხილულია ზამორის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის მახასიათებლების კავშირი წყალშემცრებზე დაფიქსირებულ ნალექთა ჯამებთან და ჩამონადენის სიდიდესთან წლების და სეზონების მიხედვით.

**კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია**

მოცემულია ლანდშაფტების კვლევის ახალი მიმართულების – ლანდშაფტების კლიმატოლოგიის განვითარების გზები, ჩატარებულია საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ჰელიოენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით, ჩატარებულია საქართველოში მოსული ატმოსფერული ნალექების გეონიზორმაციული კარტოგრაფირება. აგრეთვე, წარმოდგენილია ორგანული მიწათმოქმედების განვითარების საფუძვლები, შემუშავებულია ჩაის ბუქების ყლორტწარმოქმნის მათებატიკური მოდელი, შედგენილია კახეთის რეგიონის აგროკლიმატური ზონების რეჟები და სხვ.

**ბუნებრივი გარემოს კომპონენტების დაბინძურება**

დადგენილია დარიშხსანის განაწილება მისი სულფიდური მადნების მოპოვება-გადამუშავების რაიონების (ზემო რაჭა) მცენარეულ საკვებ პროდუქტებში, შესწავლილია მეტეოროლოგიური პირობების გავლენა ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის მაღალი დონის დაბინძურების ფორმირებაზე, გამოკვლეულია თბილისში ნალექების მინერალიზაციის ხარისხი, ჩატარებულია თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის გასწვრივ ატმოსფეროს მიწისპირა ფქნაში ტყვიის გაგრცელების მათებატიკური მოდელირება და სხვ.

კრებული განკუთვნილია პიდროლოგიის, მეტეოროლოგიის და ეკოლოგიის სფეროში მომუშავე მეცნიერ თანამშრომლების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის.

**უაკ 551.48**

სითბოსა და ტენიანობის თანაფარდობის გამოყენების თავისებურებანი მდინარეების თხევა-დი ჩამონადენის გაანგარიშებაში. /ვ.ცომაია, დ.კერესევლიძე, ე.სუხანსკაია, ლ.სალაყაია/, ჰმი-ს შრომათა კრებული, 2007-ტ.111-გვ-5-13-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია სითბოსა და ტენიანობის თანაფარდობის გამოყენების შედეგები მდინარეების ჩამონადენის გამოთვლაში. მეთოდი იძლევა საშუალებას გამოვითვალოთ თვიური, სეზონური და წლიური ჩამონადენი, აღვადგინოთ რიგის გამოტოვებული წლები და მივცეთ პროგნოზი ახლო მომავალში ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების ფონზე.

**უაკ 551.571**

სითბოსა და ტენიანობის თანაფარდობის გავლენა მცირე მდინარეების ატივნარებულ ხარჯებზე /ვ.ცომაია, ლ.ქიტიაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული – 2007.ტ.111, გვ.14-19.ქართ.; რეზ.

ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია სითბოსა და ტენიანობის თანაფარდობის გავლენა მდინარეების ატივნარებულ ხარჯებზე (აჭარის მდინარეების მაგალითზე). შემოთავაზებული მეთოდი უზრუნველყოფს სითბოსა და ტენიანობის თანაფარდობის შიდაწლიური განაწილების საფუძველზე თვეების, სეზონებისა და წლიურიატივნარებული ხარჯების მახასიათებლების ერთდროულად გამოთვლა. შედეგები დამაკმაყოფილებელია. აპროქსიმაციის საიმედობის კოეფიციენტი მაღალია, მერყეობს 0.93-0.99-ის ფარგლებში.

მდინარე აჭარისწყლის დრენირების მრუდის პარამეტრები/რ.მესხია/ჰმი-ს შრომათა კრებული-2007.-ტ.111.გვ.23-25,ქართ. რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მდინარე აჭარისწყლის აუზის დრენირების პარამეტრები განსაზღვრულია ი. გინოგრადოვის ფორმულით. ჩამონადენის პიდროგრაფის გენეტიკური დანაწევრებისათვის გამოყენებულია მ. როშის მეთოდის ანალოგიური სქემა.ცხრ. 2., ლიტ. დას.3.

უაკ 551. 482. 215

**საქართველოში მყინვარული ჩამონადენის დინამიკა კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში. /ვ.ცომაია, რ.მესხია /.** პმი –ს შრომათა კრებული –2007 –ტ.111, გვ.26-29, ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

დაკვირვების ქსელის მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს მყინვარული მდინარეების ჩამონადენის ცვლილების კანონზომიერებანი კლიმატის თანამედროვე ცვლილების პირობებში და ექსტრემალურ თბილ და ექსტრემალურ ცივ თვეებში. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საპროგნოზო დამოკიდულებებში. ცხრ. 1., ლიტ. დას.4.

უაპ 556.16.06

**საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის პროგნოზირება არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. /ც.ბასილაშვილი, ქ.მამასახლისი/. პმი-ს შრომათა კრებული. –2007.– ტ.111.–გვ.30-36.–ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

პროგნოზების შედეგება ხდება მარტში, როცა არსებობს მხოლოდ შემოდგომა-ზამთრის პერიოდის მონაცემები. მრავალბიჯიანი გაცხრილვის გზით შეირჩა ოპტიმალური საპროგნოზო მოდელები. მრავალფაქტორიან დამოკიდებულებებითა ანალიზის საფუძველზე დადგენილია წყალდიდობის ჩამონადენის საუკეთესო საპროგნოზო გარიანტები.

მიღებული საპროგნოზო განტოლებები სტატისტიკურად მდგრადია და აქვთ მაღალი სიზუსტე. 5-6 თვის დროულობის გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით მნიშვნელოვნად შემცირდება მეურნეობასა და მიმდებარე გარემოზე წყალდიდობით მიყენებული ზარალი. ცხრ. 1, ლიტ. დას. 3.

უაკ 551.578. 48

**ზვაგსაშიშროების თავისებურებანი და პროგნოზი საქართველოს განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონში. /ლ.ქალდანი, მ. სალუქაძე, თ.სიმონია, მ.ქარტაშვილი, ნ.კობაძიძე, გ.ჯინჯარაძე/, პმი-ს შრომათა კრებული, 2007-ტ.111-გვ.37-42.-ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.**

განხილულია ზვაგწარმომქმნელი ფაქტორები, დადგენილია ზვაგსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების, ზვაგშემქრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მაჩვენებლების თავისებურებანი საქართველოს განსაკუთრებით უხვოვლიან რაიონში. შედგენილია ზვაგსაშიშროების სტატისტიკური პროგნოზი, რომელიც ეფუძნება დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდს, კერძოდ, ეტალონთა მეთოდს. ლიტ.დას. 2.

უაკ 551. 482. 215

**მყინვარების უკანდახევის შედეგად წარმოშობილი დაგუბებული ტბების გეოგრაფია/ს.გორგიჯანიძე, ნ.ცინცაძე/. პმი –ს შრომათა კრებული –2007 –ტ.111., გვ.43-49. ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

თანამედროვე მყინვარების რეჟიმში გაბატონებულია მყინვრების შემცირების, უკანდახევის პროცესები, კავკასიის როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ფერდობებზე, რომელიც ძირითადად დაიწყო 1850 წლიდან “ფერნაუს” სტადოდან.

ინტენსიური დნობის შედეგად წარმოშვა რელიეფის უარყოფითი ფორმები: ცირკები, კარები, ტროგული ხეობები, მორენული ბორცვები და სერები, მათ შორის ჩადაბლებები და სხვ. რელიეფის ამ ფორმებში წარმოშობილი დაგუბებული ტბები უმეტეს შემთხვევაში მყინვარის ენის დაბოლოებებზე არიან მიბჯენილი, ან უშუალოდ მყინვარშია მოთავსებული. ამგვარი ტბების კვლევას საფუძვლი დაედო 1956-64 წლების ტოპოგრაფიული რუკების და ცალკეულ შემთხვევებში აეროფოტოსურათების მასალები. ამ მეთოდით საქართველოში აღირიცხა 16 ტბა, რომლებსაც პირობითად “საშიში ტბები” შეიძლება ვუწოდოთ. შედგენილია მათი მორფომეტრული მახასიათებლები, მოცემულია მათი პარამეტრების კოეფიციენტები, რომლებიც აფიქსირებენ მოცემულ პერიოდში მყინვარების გავრცელების ქვედა საზღვარს. ნახ.1,ცხრ. 1, ლიტ. დას.6.

უაგ 551. 482. 215

**ბაღდათის ოაიონის კატასტროფული ნაზღვლევი წყალმოგარდნები.** /ს.გორგიჯანიძე,  
ნ.ცინცაძე/. პმი -ს შრომათა კრებული -2007 -ტ.111., გვ. 50-54 ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მდ. ხანისწყლის მარცხენა შენაკადის მდ. ქერშავეთს ახასიათებს ნაზღვლევი წყალმო-  
გარდნები. ამგვარ პროცეს ადგილი პქონდა 2003 წლის 28 ივლისს, ბაღდათის რაიონში.  
წყალმოგარდნა გამოწვეული იყო ძლიერი თავსხმა წვიმების შედეგად, რომელთაც გა-  
მოწვეს მდ. ქერშავეთის ჩახერგვა მდინარის ნატანი მასალით. ჩახერგილი უბანი 10ბ  
სისქის იყო. წყლის ძლიერმა ნაკადმა მალევე გაარღვია ჩახერგილი მასა და გაანგრია  
ხიდზე სავალი გზა. ამ დროს წყლის მაქსიმალური ხარჯი 78103/წმ იყო. რომელმაც დიდი  
ზარალი მიაყენა რაიონს, დაანგრია გზები, ხიდები და მშენებარე წყალსაცავი.

უაგ 551.583.15

**წყლის ბალანსის ელემენტების ცვლილება პაერის ტემპერატურის ანომალიების დროს ქვემო  
ქართლში.** /ვ.ცომაია, რ.მესხია/. პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.111,-გვ.55-57-ქართ.; რეზ.  
ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მრავალწლიური წყლის ბალანსის ელემენტების ვარიაციები პაერის  
ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე,  
1931-90 წ.წ. პერიოდის დაკვირვების მონაცემებით. ცხრ. 2., ლიტ.1.

უაგ 556.164.

**ნიადაგის და მცენარეული საფარის მიერ ნალექთა დაკავების ფენის გაანგარიშება  
მდინარის ჩამონადენის მოდელირებისათვის.** /რ. მესხია/. პმი-ს შრომათა კრებული. – 2007.  
ტ.111.-გვ.58-61, – ქართ.: რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში მოცემულია ნალექების ნიადაგში და მცენარეულ ზედაპირზე დღე-დამური  
საწყისი დაკავების საანგარიშო ფორმულები და განსაზღვრულია მათი პარამეტრები  
აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტებისათვის. ცხრ. 1, ლიტ. დას. 4.

უაგ 551.48.482.212.215.7

**მდინარეების ატივნარებულ ნატან ხარჯებზე წყალსატევების გავლენის შეფასება  
ჰიდროგრაფო-ჰიდროლოგიური მეთოდებით და მდ.ჭოროხის პრობლემა /ვ. ცომაია, ზ.  
ცქვიტინიძე, ლ. ქიტიაშვილი, დ. ჩიქოვანი/. პმი-ს შრომათა კრებული, 2007, ... ტ.111.-გვ.62-69.  
ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

დადგენილია, რომ წყალსაცავების 1კვ.კმ ფართობი ამცირებს მის ქვემოთ ნატან ჩამონადენს  
0,075-ჯერ. მისი გამოყენებით მდ. ჭოროხზე ყველა წყალსაცავების ამოქმედების შემდეგ შავი  
ზღვა ვერ მიიღებს 277 კგ/წმ ანუ 8,7 მლნ ტ/წელი რაოდენობის ნაშალ მასლას. მოცემულია  
ადაბტაციის დონისძიებანი.

უაგ. 551.48

**სოფელ დვერგის საცდელი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მასალების განზოგადების  
შედეგები/თ.კოპაძე/პმი-ს შრომათა კრებული 2007.ტ.111,გვ.70-74,ქართ.,რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ხარაგაულის რაიონში ხელსაყრელ პირობებთან ერთად აღგილი აქვს საშიშ ჰიდ-  
რომეტეოროლოგიურ და გლაციოლოგიურ მოვლენებს. დაკვირვების მიზნით პირადი სა-  
ხსრებით გაიხსნა ჰიდროლოგიური საგუშაგო მდ. ყორნებაზე და მეტეოროლოგიური  
საგუშაგო სოფ. დვერგში. შეგროვდა 3 წლის მონაცემები. სისტემატურად მიმდინარეობს მი-  
ღებული მასალების დამუშავება. ამან საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ბუნებრივი  
მოვლენების განვითარების კანონზომიერებანი, რათა გამოვყოთ საშიში უბნები, შევიმუ-  
შავოთ საჭირო ადაპტაციური დონისძიებები და სხვა.

უაგ 556.16

**სამხრეთ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონის მდინარეთა ჩამონადენის დახასიათება.  
/ც.ბასილაშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული -2007. ტ.111,გვ.75-81 ქართ.; რეზ.;ქართ.,ინგ., რუს.**

ბოლო წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მკვეთრად მოიმატა პაერის ტემპერატურაშ  
და შემცირდა ატმოსფერული ნალექების რაოდენობა. მდგრადი განვითარების კონცეფციისა-  
თვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსებს, კერძოდ მათ თანამედროვე  
მდგომარეობას.

ანალიზის ობიექტია მრავალწლიური დაკვირვების რიგების სტატისტიკური მახასიათებლები, მათი სივრცობრივი განაწილების კანონზომიერებები. პირველ რიგში დადგინდა წლის სხვადასხვა პერიოდის მდინარეთა ჩამონადენის ნორმები და მათი შიდაწლიური განაწილება.

მოცემულია ანალიზი მდინარეთა ჩამონადენისა და მისი მაფორმირებელი ფაქტორების სივრცითი განაწილების თავისებურებებისა. ცხრ. 4, ლიტ. 6.

#### უაკ551.48.215.2

**სასაზღვრო მდინარე ალაზნის წყლის რესურსების პროგნოზი ტემპერატურის რეგვადობის გამოყენების ანალიზის საფუძველზე. /ვ.ცომაია, ს.მდივანი/. ჰმი-ს შრომათა კრებული - 2007, - ტ.111, გვ.82-85. რეზ.ქართ.; ინგლ.; რუს.**

1939 - 2005 წწ ტემპერატურისა და წყლის ხარჯის დაკვირვების მასალების ანალიზით დადგენილ იქნა ზამთრის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსების მნიშვნელობები. მის საფუძველზე შედგენილი იქნა (Ni)-ს გამოსათვლელი სამუშაო (ოპერატიული) ცხრილი; ცხრილის გამოყენებამ მოგვცა დადგებითი შედეგი მომდევნო წლის საშუალო წლიური წყლის ხარჯის (Qi+1)-ს გამოთვლისათვის (პროგნოზისათვის). მეთოდის უზრუნველყოფა 85%.

#### უაკ 63:577.4

**ორგანული მიწათმოქმედების განვითარების მსოფლიო პრაქტიკა და მისი თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში./ მ.მელაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2007 .-ტ.111., .-გვ.86-91. ქართ.:რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.**

წარმოდგენილია ორგანული მიწათმოქმედების განვითარების საფუძვლები, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებას, გარემოს დაცვას, პროდუქტიულია და გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტენდენცია.

ამ სისტემის წარმატებით განხორციელებას ძირითადად განაპირობებს კლიმატური და აგრომეტეოროლოგიური პირობები.

განხილულია ორგანული მიწათმოქმედების განვითარების მსოფლიო პრაქტიკა შვეიცარიის და ა.შ.შ-ის მაგალითზე და მისი თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში ამ მიმართულებით.ცხრ.1,ილ.1,ლიტ.დას.5.

#### უაკ 555.509

**2000-2003 წლებში განვითარებული ცირკულაციური პროცესების მკვეთრი მერყეობის შესახებ/ი.ჩოგოვაძე, ბ.მიქაშავიძე/, ჰმი-ს შრომათა კრებული -2007-ტ.111-გვ. 92-95 – ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.**

გაანალიზებულია ევროპის კონტინენტზე დიდმასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების ცვლილებები(2000-2003 წწ), რაც საქართველოს ტერიტორიაზე პაერის ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის მიზეზი გახდა.

#### უაკ 555.510

**პაერის ტემპერატურის მოკლევადიანი პროგნოზი ქ.თბილისისათვის/ი.ჩოგოვაძე, ბ.მიქაშავიძე/, ჰმი-ს შრომათა კრებული -2003-ტ. 111. -გვ.96-100,- ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.**

განხილულია ქ.თბილისის პაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურების როგორც მეთოდური, ასევე ინერციული პროგნოზების შეფასების შედეგები. ასევე, განხილულია მაქსიმალური ტემპერატურების დაზუსტებული პროგნოზების შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოიყენება თანამედროვე საპროგნოზო კომპიუტერული სისტემა (COROBOR-SYSTEMES), შედეგები მაინც სასურველზე დაბალია. შედეგების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია აღნიშნული საპროგნოზო სისტემის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია.

#### უაკ 551.4

**ლანდშაფტების კლიმატოლოგია - ახალი მეცნიერული მიმართულება/მ.ელიზბარაშვილი/ ჰმი-ს შრომათა კრებული-2007-ტ.111 გვ.101-105,ქართ.რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.**

სტატიაში მოცემულია უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების ლაბორატორიაში მიმდინარე სამუშაოების ანალიზი კავკასიის ლანდშაფტების ფორმირების კლიმატური პირობების,

ფუნქციონირების, რესურსების პოტენციალის, რეაქციის, და ტრანსფორმაციის კვლევის დარგში, რამაც საფუძველი დაუდო ლანდშაფტების გეოფიზიკის ახალი მიმართულების – ლანდშაფტების კლიმატოლოგიის განვითარებას. ლიტ.დას.10

### უაკ 551.521

**აღმოსავლეთ საქართველოს ჰელიოენერგეტიკული რესურსების ტერიტორიული განაწილების თავისებურებები.** /რ.სამუკაშვილი, ც.დაისამიძე/ პმი-ს შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.106-111, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ჰელიოენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით. შესაბამის სქემაზე რუკაზე გამოყოფილია 6 ზონა. ჰელიორესურსების მაღალი დონით ხასიათდებიან ივრის ზეგანი, მესხეთ-ჯავახეთის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, კავკასიონის მაღალმთიანი ზონა.

### უაკ 551.582

**ჯამური რადიაციის ცვლილებების თავისებურებები მესხეთ-ჯავახეთის რაიონში მოწმენდილი ცის პირობებში.** /რ.სამუკაშვილი, ც.დაისამიძე/ პმი-ს შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.112-115, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.

მესხეთ-ჯავახეთის რაიონში მშენებარე საკომუნიკაციო სისტემების (ნავთობდადენი, გაზსადენი) მიმდინარე ზონაში განლაგებული 7 პუნქტისათვის დადგენილია ჯამური რადიაციის საშუალო და მაქსიმალური ინტენსივობის ცვლილებების თავისებურებები, ადგილის სიმაღლეზე დამიკიდებულებით მოწმენდილი ცის პირობებში (დაკვირვების ვადა 12სთ. 30წთ.). სიმაღლის ზრდისას ადგილი აქვს ინტენსივობის მატებას.

### უაკ 551.584

**მდინარე ენგურის აუზის და გალის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების თავისებურებები.** /რ.სამუკაშვილი/ პმი-ის შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.116-120, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.

წყალსაცავებიდან აორთქლების სიდიდის შეფასებას გააჩნია დიდი მნიშვნელობა მიმდინარე ტერიტორიაზე პაერის ტენიანობის ფორმირებაში. ჯვრის, ხედონისა და გალის წყალსაცავებისათვის დაღგენილია აორთქლების სიდიდის ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების თავისებურება. ლიტ. დას.1.

### უაკ 551. 582

**მზის სპექტრის ულტრაიისფერი და ახლოინფრაწითელი არების ჰელიოთერაპიაში გამოყენების პერსპექტივები საქართველოს მთიან კურორტებზე** /რ. სამუკაშვილი, ც.დიასამიძე/ პმი-ს შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.121-126, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.

მზის სპექტრს გააჩნია ადამიანის ორგანიზმზე გარკვეული ბიოლოგიური ზემოქმედების უნარი. რომელიც საქართველოს მთიან კურორტებზე კლიმატოერაპიაში რაციონალურად უნდა იყოს გამოყენებული. შაქართველოს 13 მთიანი კურორტისათვის მოცემულია მზის სპექტრის ახლოინფრაწითელი არის საშუალოთვიური ინტენსივობები წელიწადის სეზონის შეა თვეებისათვის მოწმენდილი ცის პირობებში. ცხრ.1, ლიტ. დას. 2.

### უაკ 551.577

**ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფირება.** /შ.ელიზბარაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. -2007-ტ.111-გვ.127-131-, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფირება. მიღებულია ნალექების წლიური ჯამების ტერიტორიული განაწილების რუკა.

### უაკ 551.583.14

**ექსტრემალური ტემპერატურების განმეორადობის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე** /გ.კორძახია, ლ.ქართველიშვილი, ნ.კუტალაძე/ პმი-ს შრომათა კრებული. -2007-ტ. 111, გვ.132-138, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში შესწავლილია ათწლეულებში (მცოცავი ათწლეულებით) ტემპერატურების ექსტრემალური მნიშვნელობების სიხშირეთა და ინტენსიურობის ცვლილება აღმოსავლეთ და

დასავლეთ საქართველოში კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურების ექსტრემალურად დაბალი მნიშვნელობების სიხშირე და ინტენსიურობაც შემცირებულია, ხოლო მაქსიმუმებთან მიმართებაში – იზრდება ან ინტენსიურობა ან სიხშირე. დასავლეთ საქართველოში ტემპერატურების ექსტრემალურად დაბალი მნიშვნელობების სიხშირე და ინტენსიურობაც მცირდება, მაგრამ მაქსიმუმების ზრდა არ დაიკვირვება.

უაკ 551585

**გარემოს მდგომარეობის ოპერატიული მონიტორინგის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში (ერაყის მაგალითზე) /ბერაძე ნ. ნოზაძე მ. ნოზაძე მ/ პმი-ს შრომათა კრებული.-2007- ტ.111 – გვ.139-143, – ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

სტატიაში განხილულია პიდრომეტეოროლოგიური სამსახურის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში. აქცენტი გადატანილია მეტეოროლოგიურ თანამგზავრულ ინფორმაციაზე და თანამგზავრული ტექნოლოგიების განვითარებაზე.

უაკ 551. 583. 14

**ტემპერატურული ანომალიების საუკუნოებრივი სვლა საქართველოს ტერიტორიაზე /ბ.ბერიგაშვილი, რ.მესხია/. პმი-ს შრომათა კრებული – 2007 ტ.111 გვ.144-151, ქართ., რეზ. ქართ. ინგლ. რუს.**

XIX-XX სს. დაკვირვების მასალების საფუძველზე განხილულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში პაერის საშუალო თვიური ტემპერატურის ანომალიების ათწლევებში განმეორადობის ცვლილება წლის განმავლობაში, წლის ციკ (XI-III) და თბილ (IV-X) სეზონებში. დადგენილია დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის დადებითი ანომალიების განმეორადობის უმნიშვნელო კლების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მატების ტენდენციები. შებრუნებული მსვლელობა აქვს უარყოფით ანომალიებს. ეს ირიბად ადასტურებს სხვა ავტორთა მიერ მიღებულ შედეგებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს XXI საუკუნეში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად.

უაკ 581.143

**მრავალწლიანი კულტურების მოსავლის ფორმირების მათემატიკური მოდელირება. /ლ.არველაძე/. პმი-ს შრომათა კრებული. –2007-ტ.111 – გვ.152-159. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შემუშავებულია ჩაის ბუჩქის ყლორტტარმოქმნის ნახევრადემპირიული მათემატიკური მოდელიც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ყლორტების მოსაკრეფად შემოსვლა და ავხსნათ ჩაის მოსავლის ტალღისებური დინამიკის მიზეზი სავეგებაციო პერიოდის განმავლობაში. მოდელი გამოიყენება მოსავლის ამინდის ფაქტორებთან ფორმალური კავშირის წარმოსადგენად. აგებულია ჩაის მოსავლის მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე დამოკიდებულების რეგრესიული მოდელი.

შაქრის ლერწამში შაქრიანობის დინამიკის ანალიზის საფუძველზე აგებულია საფრის განმავლობაში შაქრის შემოსვლის მოდელი, რომელიც, გამოყენების შემთხვევაში, იძლევა დამატებით 250-300 ათას ტონა სუფთა შაქარს ყოველწლიურად.

ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ პროცესის ფიზიკურ-მათემატიკური მხარე და, რაც მთავარია, შევაფასოთ მასში მონაწილე ცალკეული ფაქტორების სრული ეფექტი.

უაკ 630:551.58

**კახეთის რეგიონში ფერმერული მეურნეობების განვითარება აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით. /გ.მელაძე, მ.თუთარაშვილი, მ.მელაძე/. პმი-ს შრომათა კრებული. –2007 - ტ.111,-გვ.160-167. –ქართ.; რეზ. ქართ.; ინგ.; რუს.**

დასაბუთებულია კახეთის რეგიონში ფერმერულ მეურნეობათა წარმატებით განვითარება, აგროკლიმატური რესურსების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ჩატარებულია აგროკლიმატური პირობების შეფასება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფერმერული მეურნეობების მიერ.

მოცემულია პაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ჯამების უზრუნველყოფის მრუდები, ასევე პაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების

განმეორების მრუდი. რომელთა მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს კახეთის ნაბისმიერ რაიონში აღნიშნული მაჩვენებლებით სასოფლო-სამეურნეო ტელტურების უზრუნველყოფა და განმეორება სხვადასხვა სიდიდით, ყოველ ათ და მეტ წალიწადში.

შედგენილია კახეთის რეგიონის აგროკლიმატური ზონების რუკა, სადაც ზონების მიხედვით მითითებულია აგროკულტურების შესაძლო წარმოება ფერმერული მეურნეობებისათვის.

უაკ 551

**პარის ტემპერატურის ექსტრემალური გარიაციები საქართველოში ჰავის ცვლილების ფონზე /კოვართქილაძე/ პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.111.-გვ.168-180.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

დადგენილია მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის ექსტრემალური გადახრების ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე 1906-1995 წლებში. ექსტრემალურ გადახრებად მიჩნეულია ტემპერატურული მასივების ნორმიდან მაქსიმალური გადახრების 1, 2, 3, 5, 10, 15 და 20 %-ის რაოდენობების შესაბამისი ტემპერატურული საზღვრების დასადგენად გამოყენებულია ამ მასივების ალბათობათა სიმკვრივის განაწილების ფუნქცია. მიღებულია, რომ ექსტრემალურ შემთხვევათა რიცხვის ცვლილება საქართველოში ჰავის ცვლილების ფონზე სრულიად განსხვავებულია გადახრების სხვადასხვა %-ული რაოდენობებისთვის.

უაკ 577. 46. 48 : 634. 5

**კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან ეკოლოგიურად სუფთა აქტიური ნახშირის მიღება და მისი გამოყენების პერსპექტივები /თ. ჭავჭავაძე, ნ. ნასყიდაშვილი, გ. მელაძე/ პმი-ს შრომათა კრებული -2007.-ტ.111.-გვ.186.-ქართ.რეზ.ქართ., ინგლ., რუს.**

შესწავლილია კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. დადგენილია, რომ საცდელ დანადგარზე ამ კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკური მახასიათებლები და ადსორბციული სიდიდეები მაქსიმალური აქტივობის დროს უზოლდება ლიტერატურიდან ცნობილ საუკეთესო აქტიური ნახშირების თვისებებს. შესწავლილია კაკლოვანი კულტურების მოსავლიანობის ცვლილების ტენდენცია საქართველოში. ამ კულტურების მეორადი ნედლეული ყოველწლიურად გროვდება შესაბამის გადამამუშავებელი ქარხნების სასაწყობო მეურნეობებში და წარმოადგენს საუკეთესო საწყის ნედლეულს ეკოლოგიურად სუფთა აქტიური ნახშირის წარმოებისათვის. ცხრ.3, ილ.2, ლიტ.დას.4.

უაკ 551.510.42

**ხელოვნური წყალსაცავების ეკო-მეტეოროლოგიური გავლენა მიმდებარე რაიონის მიკროკლიმატზე. /გ.გუნია, ნ.ხუფენია/, პმი-ს შრომათა კრებული -2007-ტ.111 -გვ.187-193, -ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.**

ჩატარებული კვლევები მიუთითებენ ხელოვნური წყალსაცავების გავლენაზე მათ მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე. ამასთან, ნაჩვენებია, რომ ჯვრის წყალსაცავის გავლენა მიმდებარე ტერიტორიის რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოიხატება.

უაკ 551.510.42

**აზატორ „კაფსულა-ალის“ გამოყენება ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის ატომურაბსორბციული განსაზღვრისათვის. /გ.გუნია, ზ.სვანიძე/, პმი-ს შრომათა კრებული -2007-ტ.111,-გვ.194-198,-ქართ.რეზ. ქართ ინგლ. რუს.**

ნაშრომში მოცემულია აზატორ „კაფსულა-ალის“ გაუმჯობესებული კონსტრუქცია, რომელიც ავტორების მიერ გამოიყენება ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრისათვის. აღგნილია ქ. თბილისისა და რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის რაოდენობრივი შემცველობა, რომლის დაჭუქების ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

უაკ 631 416/417

**დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა მელიორაციის შედეგად. /ლ.შავლიაშვილი, გ.ჩიკვაძე, ნ.ტუდუში/. პმი-ს შრომათა კრებული. - 2007. - ტ.111. - გვ.199-204, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

სტატიაში ნაჩვენებია დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისათვის გამოყენებული ღონისძიებები. კერძოდ, აგროტექნიკური, ირიგაციული და ქიმიური მელიორაციებიდან აღსანიშნავია დეფეკტის ზემოქმედებით ნიადაგის ძირითადი თვისებების ცვალებადობა:

- ნიადაგის პროფილში მცირდება ადვილად ხსნადი მარილების რაოდენობა;
- მცირდება შთანთქმული  $\text{Na}$  და  $\text{Mg}$ -ის რაოდენობა, იზრდება შთანთქმული  $\text{Ca}$ -ის რაოდენობა;
- უმჯობესდება სტრუქტურული შედგენილობა, ნიადაგის წყალმართი და ფიზიკური თვისებები.

#### უაკ 550.42;456.19

**დარიშხანის განაწილება საქართველოს მცენარეულ საკვებ პროდუქტებში.** /დ.დუდაშვილი, ნ.ლორია, გ.სუბატაშვილი/ ჰმი-ის შრომათა კრებული-2007-გ.111-გვ.205-208, -ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია დარიშხანის განაწილება მისი სულფიდური მადნების მოპოვება-გადამუშავების რაონების (ზემო რაჭა) მცენარეულ საკვებ პროდუქტებში. შედარების მიზნით გამოკვლეულია საქართველოს სხვა რეგიონებიც. ანთროპოგენური დაჭუჭყიანების ზონის მცენარეულ საკვებ პროდუქტებში დარიშხანის შემცველობა 0,17-2,42 მგ/კგ-ს შეადგენს მშრალ მასაში, რაც საშუალოდ 5-ჯერ ადემატება მის ფონურ შემცველობებს.

#### უაკ 551.510.42

**ქეტეოროლოგიური რეჟიმის გავლენის თავისებურებანი ატმოსფეროს მინარევთა მაღალი კონცენტრაციების განაწილებაზე /გ. გუნია, მ. კაიშაური, რ. სარალიძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2007-გ.111-გვ.209-220,- ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.**

ნაშრომში შესწავლილია რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენა ქ. ზესტაფონის ატმოსფერული ჰაერის მაღალ დაბინძურებაზე. ამასთან, მიღებულია, რომ აღნიშნული ზემოქმედება ჰაერის მაღალი დაბინძურების რაიონებში ვლინდება გაცილებით უპევესად.

მთლიანად, განსახილველი ქალაქის საპარტო აუზის მაღალ დაბინძურებას ხელს უწყობს: ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის მატება, მცირე ტენიანობა, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მცირე სიჩქარეების (2 მ/წმ) ქარები, უღრუბლო ცა, ქარბუქი და ბურუსი.

#### უაკ 551. 510. 41.

**ატმოსფერული ნალექების ქიმიური შედგენილობა და მისი კავშირი სხვადასხვა ფაქტორთან.** /ლ.ინწირველი, ნ. ძებისაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2007-გ.111-გვ.221—226, - ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.

2001-2002 წლებში შესწავლილია ქ. თბილისის ატმოსფერული ნალექების მინერალური დამოკიდებულება მეტეოროლოგიურ, გეოგრაფიულ და ანთროპოგენულ გაქტორებზე. გამოთვლილია ამ სინჯებისათვის ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციისა და მევარიანობას შორის კორელაციური კავშირი. მიღებულია, რომ ქ. თბილისის ატმოსფერული ნალექების მინერალიზაცია 90-იანი წლებიდან ხასიათდება კლების ტენდენციით, რაც აიხსნება წარმოების მასშტაბების შემცირებით.

#### უაკ 551. 510. 41.

**თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალზე საპარტო აუზის ტყვიით გაჭუჭყიანების მეტეოროლოგიური პირობების შესახებ.** /შ. ოგბაიძე, თ. შარაბიძე, ზ. სვანიძე, ნ.ნ. ბეგალიშვილი/ ჰმი-ს შრომათა კრებული -2007-გ.111-გვ.227-235,- ქართ. რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

შესწავლილია თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მიწისპირა ჰაერის ტყვიით დაჭუჭყიანება პროგრამა „ეკოლოგიის“ გამოყენებით. რისთვისაც დადგენილია მსებუქი, სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების მოძრაობის ინტენსიურობა თბილისის გარეუბან „ფონიჭალაში“ და რუსთავის შესახლელთან, ასევე ამ უბნების დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე. დადგენილია, რომ უკანასკნელ წლებში ატმოსფერული ჰაერის ტყვიით დაჭუჭყიანება წინა ათწლეულთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით ერთი რიგით. შემოთვაზებულია რეკომენდაციები გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ავტომაგისტრალის გასწვრივ და მის მახლობლად.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 112**

**რეცენზენტები:**

გეოგრაფიისმეცნიერებათადოქტორი, პროფესორი. ჭავჭანიძე,  
გეოგრაფიისმეცნიერებათაკანდიდატი

ი. ჩოგოვაძე  
**უაკ 551.58**

განხილულია აფხაზეთის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, კლიმატის ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, კლიმატური რესურსები, კომპლექსური კლიმატური მახასიათებლები და ამინდის საშიში მოვლენები.

განკუთვნილია კლიმატოლოგებისათვის, აგრონომებისათვისდასპეციალისტებისათვის, რომლებიც მაღალი უნივერსიტეტის სამოვლენისადათვისების, სამოქალაქოდასამრეწველონა-გებობების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემიდამილსადენისაზებისდაგეგმარუ-ბისდაპროექტირებისდარგში.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 113**

**უაკ 551.58**

განხილულია სამეცნიერო-ზემო სვანეთის კლიმატის ფორმირების ძირითადი ფაქტორები, კლიმატის ელემენტების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებანი, კლიმატური რესურსები, კომპლექსური კლიმატური მახასიათებლები და ამინდის საშიში მოვლენები. განკუთვნილია კლიმატოლოგებისათვის, აგრონომებისათვის და სპეციალისტებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბუნებრივი რესურსების გამოვლენისა და ათვისების, სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი და მილსადენი საზების დაგეგმარების და პროექტირების დარგში.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 114**

წინამდებარე შრომათა კრებულში შესულია სამეცნიერო სტატიები, რომელთა თემატიკა დაკავშირებულია მეტეოროლოგიის (ატმოსფეროს ფიზიკის პრობლემებთან). კრებული მოიცავს 5 თავს. კერძოდ მასში წარმოდგენილია: I. ღრუბლებისა და საღრუბლო პროცესების თეორიული მოდელები. ღრუბლებში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექ-წარმოქმნის მათემატიკური მოდელირება; II. რადიოლოგიკური მეტეოროლოგია. კონვექციური ღრუბლის ემპირიულ-სტატისტიკური მოდელები; III. ღრუბლებზე ზემოქმედებით გამოწვეული ნალექთა დაბინძურება; IV. მეზომასშტაბური და ლოკალური ატმოსფერული პროცესების თეორიული მოდელირება და V. მეტეოროლოგიის სხვადასხვა პრობლემები. თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება.

კრებული მიძღვნილია გამოჩენილი გეოფიზიკოსის ნოდარ ბიბილაშვილის ხსოვნისადმი.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

### **უაკ 551.576**

**ატმოსფეროში ფართომასშტაბიანი კონვერგენციის გავლენა კონვექციურ ღრუბელთა გაერთიანებაზე.** /ნ.ბეგალიშვილი, ვ.მალიძახოვი, გ.რობიტაშვილი, თ.რობიტაშვილი/ ჰმი-ს შრომათა კრებული. -2010.-ტ.114.-გვ.11-18.ქართ.; რეზ. ქართ.; ინგლ.; რუს.

ატმოსფეროში ჰაკადების ფართომასშტაბიანი კონვერგენციის ფონზე შესრულებულია კონვექციურ ღრუბელთა ურთიერთქმედების თავისებურებების გამოკვლევა. დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გამოყენებულია კონვექციურ ღრუბელთა სისტემის ევოლუციის ორგანზომილებიანი თერმოპიდროლინამიკური მოდელი, მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრიზებით. რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე განსაზღვრულია კონვერგენციის არეში კონვექციური უჯრედების დაახლოების და გაერთიანების პირობები, რასაც მოჰყვა მძლავრი მრავალუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის წარმოშობა და ნალექწარმოქმნელი პროცესების ინტენსიფიკაცია.

### **უაკ 551.576**

**კონვექციურ ღრუბლებში ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის გამოკვლევა ოპერატიული თერმოპიდროლინამიკური მოდელის საფუძველზე** /ნ.ბეგალიშვილი, გ.რობიტაშვილი, მ.ტატიშვილი/ თ.რობიტაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული. -2010.-ტ.114 -გვ.19-25. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კონვექციური ღრუბლის ერთგანზომილებიანი ოპერატიული ჰიდროდინამიკური მოდელით შესრუბლებულია ბუნებრივი და ხელოვნური ნალექწარმოქმნის გამოკვლევა ორი რეალური და ერთი ჰიპოთეტიური რადიოზონდის მონაცემების საშუალებით. მიკროფიზიკური პროცესები მოდელში წარმოდგენილია პარამეტრიზებული სანით. ზემოქმედების მოდელირება განხორციელდა მაკრისტალიზებელი რეაგენტის შეტანით ღრუბლის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. დაღინდა, რომ ყოველი ღრუბლისათვის არსებობს მისი განვითარების განსაზღვრული მოქნეტი და რეაგენტის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის ღრუბელში შეტანით ნალექების დამატებითი რაოდენობა მაქსიმალურია. რეაგენტის ეს რაოდენობა დამოკიდებულია ღრუბლის მაქსიმალურ სიმძლავრეზე და დინამიკის თავისებურებებზე. ზემოქმედების შედეგად იცვლება ღრუბლის მიკროფიზიკა, რაც იწვევს დინამიკის ინტენსიფიკაციას. ასეთ პირობებში იზრდება ღრუბლის სიცოცხლის სანგრძლივობა, მისი სიმძლავრე და მოსული ნალექების რაოდენობა.

### **უაკ 551.5**

**ფენა ღრუბლის მოდელირება თერმული "კუნძულის" მუდმივი გათბობისას.** /გ.გელაძე, გ. რობიტაშვილი, ჯ.მდინარაძე, ნ.სხირტლაძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული. -2010.-ტ.114 -გვ.26-31. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ორგანზომილებიანი არასტაციონალური მეზომასშტაბური სასაზღვრო ფენის ფონზე რიცხვითი მეთოდების საშუალებით მოდელირებულია ფენა ღრუბელი სითბური "კუნძული" მუდმივი გათბობისას. მიღებულია თერმოპიდროლინამიკური და ნოტიო ველების სივრცულ-დროითი

განაწილება. რიცხვითი გათვლების შედეგები თვისებრივად დამაკმაყოფილებლად აღწერენ განსახილვებს პროცესს.

### უაკ.551.576

**კონვექციური დრუბლის მარგი ქმედების კოეფიციენტის შეფასება თერმოდინამიკური მოდელის გამოყენებით/ნ. ბეგალიშვილი, გ. რობიტაშვილი, ნ. კაპანაძე, მ.ტატიშვილი/.** პმი-ს შრომათა კრებული. –2010.-ტ.114.-გვ.32-37. –ქართ.; რეზ. ქართ.; ინგ.; რუს.

ემპირიული თერმოდინამიკური მოდელის გამოყენებით განსაზღვრულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული კონვექციური დრუბლების მქა. მიღებული მნიშვნელობების დასაზუსტებლად იგივე კოეფიციენტი გამოოვლილია ნალექთა მოკლევადიანი პროგნოზის მეოთვის საფუძველზე. მქა-ის ორივე მეთოდით მიღებულ მნიშვნელობათა შესადარებლად მის მაქსიმალურ სიდიდესთან რადიოზონდირების მასალების გამოყენებით გამოთვლილი იქნა მქა-ის მაქსიმალური მნიშვნელობები. სხვადასხვა მეთოდით გამოთვლილი მქა მნიშვნელობები იცვლება 17-დან 36%-მდე და საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 30%.

### უაკ 551.576

**ნალექწარმოქმნის ეფექტურობის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი კონვექციური დრუბლის ანალიზური მოდელის გამოყენებით/მ.ტატიშვილი,ნ.ბეგალიშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. –2010.-ტ.114.-გვ.38-43. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში განხილულია კონვექციურ დრებელში თხევადი და მყარი ნალექების ფორმირება კოაგულაციის კინეტიკური მოდელის ანალიზური ამონსნების საშუალებით სხვადასხვა საწყისი პირობების შემთხვევაში სადრუბლო ნაწილაკთა წყაროების გათვალისწინებით. გამოთვლების შედეგები წარმოდგენილია გრაფიკულად. დადგენილია ყინულის კრისტალების საწყისი კონცენტრაციის კრიტიკული მნიშვნელობები სადრუბლო ნაწილაკთა სხვადასხვა სპექტრისათვის. კრიტიკულ მნიშვნელობაზე ნაკლები საწყისი კონცენტრაციების შემთხვევაში აღინიშნება “საშიში” ზომების სეტყვის ნაწილაკების წარმოქმნა და ზრდა, თხევადი ნალექების შემცირება. კრიტიკულზე მეტი კონცენტრაციების შემთხვევაში- “საშიში” ზომების სეტყვის ნაწილაკები მცირდება, შესაბამისად წვიმის რაოდენობა მატულობს.

### უაკ 551.51

**დრუბელ- და ნისლწარმოქმნის მოდელირება ატმოსფეროს მეზომასშტაბურ სასაზღვრო ფენაში /გ.გელაძე, გ.რობიტაშვილი, ნ.სხირტლაძე/. პმი-ს შრომათა კრებული. –2010.-ტ.114.-გვ.44-49. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

რიცხვითი მეთოდების საშუალებით მოდელირებულია ლოკალური ცირკულაცია სითბური “კუნძულის” თავზე პერიოდული გათბობის პირობებში, ფენა დრუბლისა და რადიაციული ნისლის განვითარების სრული ციკლი; გამოკვლეულია ცალკეული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ფარდობითი ტენიანობა, გეოსტროფული ქარი, ატმოსფეროს სტრატიფიკაცია და ფონური ტემპერატურა) გავლენა საკვლევი პროცესის ფორმირებაზე. გამოვლენილია და რაოდენობრივადა შეფასებული პირდაპირი და უკუკაგშირი მეზოსასაზღვრო ფენის თერმოდინამიკისა და დრუბელ- და ნისლწარმოქმნას შორის.

### უაკ 551.5

**დრუბლის მიკროსტრუქტურის მათემატიკური მოდელირების ზოგიერთი თავისებურებანი/მ.ტატიშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. –2010.-ტ.114.-გვ.50-54. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

სადრუბლო წარმონაქმნების მიკროსტრუქტურის თავისებურებანი განხილულია კვანტური დისპერსული ანუ ვან-დერ-ვალსის ძალებით, რომლებიც დამახასიათებელია წყლის ნაწილაკებისთვის. ურთიერთქმედების პოტენციალის გამოსახულებისთვის შემოტანილია კლასტერის ძირითადი და აღზნებული მდგრმარეობების ტალღური ფუნქციები და გაფანტვების მატრიცა, რომელიც აღიწერება ვირტუალური ფოტონით. აღმოჩნდა, რომ ვირტუალური ფოტონური ურთიერთქმედება იწვევს სიმაღლის და სიღრმის მიხედვით კლებად პოტენციურ ორმოქბს და ბარიერებს. იზოლირებული გრძელტალღოვანი კვანტები შეიძლება ის გამოსხივებაა, რომელიც ვლინდება მიკროფიზიკური პროცესებისას.

### უაკ 551.501.8

**ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლის გავლენა მის თავზე განვითარებულ კონვექციურ დრუბლების მაქსიმალურ რადიოლოგიურ ამრეკვლადობის მამრავლის ლო-**

გარითმზე/ რ. დორეული/ჰმი-ს შრომათა კრებული -2010.-ტ.114.-გვ.55-59.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კახეთის რეგიონის მაგალითზე გამოკვლეულია რელიეფის გავლენა კონვექციურ ღრუბლებში მაქსიმალური რადიოლოკაციური ამრეკლადობის მამრავლის ლოგარითმზე. შედგენილია რეგრესიის განტოლება, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეგიონის 5X5კმ<sup>2</sup> ფართობის მქონე მიკროუბნის თავზე განვითარებული ღრუბლისათვის გამოვთვალოთ logZm-ის მნიშვნელობა, თუ გვეცოდინება ამ უბნის რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან. ილ.2, ლიტ. დას. 1.

უაკ 551.501.8.

მთაგორიანი რეგიონის ერთუჯრედიანი კონვექციური ღრუბლის ემპირიული რადიოლოკაციური მოდელი/თ. სალუქაძე, ქ. ხელაია, ა. ბალავაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2010.-ტ.114.-გვ.60-64.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. სტატიაში მოყვანილია ერთუჯრედიანი ღრუბლის ფარმასიათებალი რადიოლოკაციური და სხვა მასასიათებელი პარამეტრების ზღვრუბლი და მოდალური მნიშვნელობები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისათვის. ასეთი ღრუბლების პირველი რადიოექო ოდინიშნება  $\lambda=3,2\text{მ}$  ტალდაზე ზღვის დონიდან 3 – 5კმ.-ის სიმაღლეზე ჩნდება. რაც მაღალია რადიოექოს ჩასახვის სიმაღლე, მით მეტია ალბათობა ასეთი ღრუბლის სეტყვის სტადიამდე განვითარებისა. რადიოექოს ზრდა ვერტიკალური მიმართულებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე პორიზონტალური მიმართულებით. ცხრ.1, ლიტ.დას.7.

უაკ 551.501.8

კონვექციური ღრუბლების ელჭექის აქტივობის კავშირი მათი განვითარების ადგილმდებარეობის რელიეფის საშუალო სიმაღლესთან. /რ.დორეული/. ჰმი-ს შრომათა კრებული-2010.-ტ.114.-გვ.65-68.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კახეთის რეგიონის მაგალითზე გამოკვლეულია რელიეფის გავლენა კონვექციური ღრუბლების ელჭექის აქტივობაზე (დ). შედგენილია რეგრესიის განტოლება, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეგიონის 5X5კმ<sup>2</sup> ფართობის მქონე მიკროუბნის თავზე განვითარებული ღრუბლისათვის გამოვთვალოთ R-ის მნიშვნელობა, თუ გვეცოდინება ამ უბნის რელიეფური ზედაპირის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან. ილ.2, ლიტ. დას. 1.

უაკ 551.509:551.556/047

რადიოლოკაციური მონაცემების გამოყენება პიდროლოგიურ გაანგარიშებებში/თ.ცინცაძე, ო.შველიძე, ნ.ცინცაძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული-2010.-ტ.114.-გვ.69-75.-ქართ., რეზ.:ქართ., ინგლ., რუს.

რადიოლოკაციური სადგურის ინფორმაციაზე დაყრდნობით და გენეტიკური ფორმულის გამოყენებით გაანგარიშებულია მდ.იორის – სოფ.ლელოვანთან, 1985 წლის 25 მაისს ჩატარებული ღრუბელზე აქტიური ზემოქმედების შედეგად მიღებული წვიმის წელის ჩამონადენი

უაკ 550.42;54.064

ატმოსფერულ ნალექებში ტყვიისა და იოდის კონცენტრაციების დამოკიდებულება გროვა საწვიმარ ღრუბლებზე ზემოქმედების დაწყების მომენტიდან გასულ ღროზე/მ.სალუქაძე, თ.სალუქაძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2010.-ტ.114.-გვ.76-79.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. ნაშრომი ეძღვნება გროვა საწვიმარი ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში ზემოქმედების პროდუქტების (Pb და I) კონცენტრაციის დორზი ცვალებადობის შესწავლას. დადგენილია, რომ ზემოქმედების დაწყებიდან 15 წუთში Pb-ის და I-ის კონცენტრაციები 2,5-ჯერ აღემატება მათ შესაბამის მნიშვნელობებს ზემოქმედების დაწყებამდე. კონცენტრაციები თავის ფონურ მნიშვნელობებს აღწევს ზემოქმედების დამთავრებიდან 40-50 წუთის გასვლის შემდეგ. ილ.1, ლიტ.დას.2.

უაკ 550.42;54.064

შიდამასიური განვითარების ერთუჯრედიანი ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში და მიწისპირა აეროზოლებში Pb-ის, I-ისა და Cu-ის შემცველობის დამოკიდებულება ამ ღრუბლებში შეტანილი ტყვიის იოდიდის რაოდენობაზე /მ. სალუქაძე, თ.სალუქაძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული -2010.-ტ.114.-გვ.80-84.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების დროს მათში შეტანილი ტყვიის იოდიდის რაოდენობის გავლენა ამ ღრუბლებიდან მოსულ ნალექებში და მიწისპირა აეროზოლებში ტყვიის, იოდისა და სპილენძის კონცენტრაციებზე. Pb-სა და I-ის კონცენტრაციები ნალექებსა და მიწისპირა აეროზოლებში, როცა ღრუბლებში შეტანილი იყო არა უმტეს 80 კგ ტყვიის იოდიდის აეროზოლი, 2-3-ჯერ აღემატება მათ ფონურ მნიშვნელობას, ხოლო Cu-ის კონცენტრაცია PbI<sub>2</sub>-ის რაოდენობისაგან არ არის დამოკიდებული. იღ. 2., ლიტ. დას. 4.

### უაპ 551.558.21:551.551.32

ჰაერის ფონური ნაკადის მიერ საქართველოს რელიეფის გარსდენის მათემატიკური მოდელი-რების შედეგები/დ. დემეტრაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2010-ტ.114.-გვ.85-91.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია არასტაციონარული სივრცითი ჰიდროსტატიკური მოდელის საფუძველზე ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები საქართველოს ტერიტორიისათვის (ჰორიზონტალური ბიჯით 12 კმ) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფონური ქარების შემთხვევებში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ მოდელი კარგად აღწერს საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული მეტეოროლოგიური პროცესების თავისებურებებს, მათ შორის - ფიონური ქარების წარმოშობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთის ფონური პროცესების დროს.

### უაპ 551.510

მოქბის გავლენა ატმოსფერული პროცესების დინამიკაზე, /ბ.მიქაშავიძე/ჰმი-ს შრომათა კრებული -2010-ტ.114.-გვ.92-98, - ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.

განხილულია საკითხი მთების გავლენის გათვალისწინებისა ქარის სიჩქარის ჰორიზონტალური მდგრენელების გამოსათვლელ გამოსახულებათა დაზუსტების აუცილებლობისა და მართვებულობის შესახებ. მოცემულია სათანადო საპროგნოზო განტოლებათა სისტემა. რელიეფის გავლენის გათვალისწინებით და გაუთვალისწინებლად გათვლილი 80 პროგნოზის შეფასების საშუალო შედეგები და პროგნოზის მაგალითი. ცხრ. 1, იღ. 4, ლიტ. დას. 5.

### უაპ 510.04

ფიონური მოვლენების ზემოქმედების თავისებურებანი კოლხეთის დაბლობის ატმოსფერული ჰაერის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე./გ.გუნია, ზ.ცქვიტინიძე/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2010-ტ.114.-გვ.99-103- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში, პირველად, მკვლევართა ყურადღება მიაყრობილია ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა ფიონური და ბრიზული მოვლენების ზემოქმედება კოლხეთის დაბლობის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონეზე.

ათორების მიერ გაკეთებულია დასკვნა, რომ აღნიშნული მეტეოროლოგიური მოვლენები ხელს უწყობენ მოცემული რეგიონის ჰაერის მაღალ დაბინძურებას.

### უაპ 551.509

ატმოსფეროს ტემპერატურისა და სინოტივის ველის ცვლილების შესწავლა შავი ზღვიდან ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაციისას./ზ. ხვედელიძე. თ დაგითაშვილი, ნ. რამიშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2010-ტ.114.-გვ.104-113.- ქართ.; რეზ. ქართ, ინგლ., რუს.

დედამიწის ერთი რეგიონის ზედაპირიდან, ფიზიკური თვისებებით განხილულ, მეორე ფართზე ჰაერის მასათა ტრანსფორმაციის გამოკვლევა იყო და რჩება აქტუალურ პრობლემად. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც გლობალური დათბობის ფონზე აცივების პროცესები დაიკვირვება. აქტუალურ გამომდინარე, შრომაში შესწავლილი იქნა ატმოსფეროს ტემპერატურისა და სინოტივის ველის ცვლილების ბუნება ზღვიდან ჰაერის მასის ტრანსფორმაციისას დედამიწის “საგები” ზედაპირის მახასიათებელი პარამეტრების სხვადსხვა მნიშვნელობებისათვის. პირველად გათვალისწინებულ იქნა დედამიწის რელიეფის და ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაციის პარამეტრები და შესწავლილია მათი ცვლილება ზღვიდან დაშორების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ შავი ზღვიდან 25 კმ- რადიუსიან ზონაში ჰაერის მასა ინარჩუნებს ზღვის მახასიათებელ პარამეტრების მნიშვნელობებს, ხოლო ტრანსფორმაცია ხდება ძირითადად 50 კმ რადიუსიან ზონაში. შემდეგ მესამე 100 კმ-რადიუსიან ზონაში ჰაერის მასა თითქმის მთლიანად ხასიათდება რეგიონის მახასიათებელი სიღიღეებით. ასეთი დასკვნები პირველად არის მიღებული და კარგად ასახავს ოპერატიულ პრაქტიკაში დაკვირვებულ რეალურ პროცესებს.

**უაპ 551.510**

მეტეოროლოგიური ელემენტებისა და მათი წარმოებულების მნიშვნელობები მოების თაგზე(კავასის მაგალითზე),/ბ.მიქაშავიძე/, ჰმი-ს შრომათა კრებული,-2010-ტ.114,-გვ.114-118.-ქართ., რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

ფაქტიური მონაცემების საფუძველზე, რეგიონალური მასშტაბის პროცესებისათვის გათვალისწინებული ელემენტებისა და მათი წარმოებულების(სხვაობათა ფარდობების) მაქსიმუმთა საშუალო კვადრატული მნიშვნელობები 850, 700 და 500 ჰა დონეებზე და ფენაში 1.5-5.5 კმ., რომელთა საშუალებითაც შეიძლება დავადგინოთ თანაფარდობა საპროგნოზო განტოლებების წევრთა შორის. ცხრ.2, ლიტ.დას.2.

**უაპ 551.558.21:551.551.32**

**ლოკალური ატმოსფერული პროცესების პიდროდინამიკური მოდელირების შესახებ/დ.დემეტრაშვილი/.** ჰმი-ს შრომათა კრებული -2010.-ტ.119-125.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შემოთავაზებულია ლოკალური ატმოსფერული პროცესების არასტაციონარული სივრცითი მოდელის ერთ-ერთი ვარიანტი წყლის ფაზური გადასვლებისა და ღრუბელთა წარმოქმნის პროცესების გათვალისწინებით. მოდელს საფუძვლად უდევს ატმოსფეროს პიდროდინამიკის განტოლებათა სრული სისტემა პიდროსტატიკურ მიახლოებაში. ქვეყნის ზედაპირთან (ზღვა, ხელეთი) დინამიკური და თერმული ურთიერთქმედების გასათვალისწინებლად ატმოსფეროს მიწისპირა (წყლისპირა) ფენაში განიხილება პლანეტარული სასაზღვრო ფენის გამარტივებული ერთგანზომილებიან განტოლებათა სისტემა ნიადაგისა და ზღვის აქტიურ ფენებში სითბოს გადატანის განტოლებებთან ერთად.

**უაპ 556.16.06**

**ცირკულაციური პროცესების დინამიკის თავისებურებები საქართველოში ამინდის ექსტრემალური პირობების განვითარების დროს.** /ბ. ბერიტაშვილი, ნ. კაპანაძე, ი. ჩოგოვაძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული – 2010 – ტ.114. გვ.126-132., ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოში 2008 წლის ექსტრემალურად ცივი იანვრისა და ცხელი აგვისტოს თვეების ცირკულაციური ინდექსების ΔF, Fx , Fy გამოყენებით ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგენილია საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურული ანომალიების ჩამოყალიბების განმაპირობებელი ფართომასშტაბური ცირკულაციის კომპლექსური პირობები, ასევე ამ ანომალიების ტრენდული ხასიათის რაოდენობრივ მნიშვნელობათა კავშირი ცირკულაციის ინდექსების დინამიკასთან.

**უაპ. 6 32155027**

**მთა-ხეობებში მიკროცირკულაციური პროცესების მათემატიკური მოდელირება ოროგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით/ზ. ხვედელიძე, თ. დავითაშვილი, ი.სამხარაძე /.** ჰმი-ს შრომათა კრებული-2010.-ტ.114.-გვ.133-138.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

პიდროთერმოდინამიკური მეთოდების დახმარებით შეისწავლება სუსტი აერო-პიდრო დინებების თავისებურებები მცირე დახრილობის მქონე არხებში. ნაჩვენებია, რომ დინების სიჩქარე და სიმძლავრე უკუპროპორციულია არხის რელიეფის მახასიათებელი სიდიდის კვადრატისა. გრიგალურ დინებათა შემთხვევაში პიდრო-აერო დინებათა წნევა მცირდება ცენტრიდან და შორების მანძილის უცუპროპორციულად. შემოთავაზებული თეორია საშუალებას იძლევა განისაზღვროს დინებათა სიჩქარეები და დამაბინძურებელ ნივთიერებათა გავრცელება მდინარეთა და მთათა შორის ხეობებში.

**უაპ 551.465:551.509**

**ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პიდროთერმოდინამიკური და ზოგიერთი ეკოლოგიური პროცესის მოდელირების ზოგიერთი შედეგები.** /დ.დემეტრაშვილი/. ჰმი-ს შრომათა კრებული-2010.-ტ.114.-გვ.139-146.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მიმოხილულია ავტორის უშუალო მონაწილეობით ბოლო წლებში შემუშავებული შავი ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკისა და შავ ზღვაში მინარევების გავრცელების მათემატიკური მოდელების რეალიზაციის ზოგიერთი შედეგი.

უაგ 551

ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის რეგიონალური ცვლილების თავისებურებანი საქართველოში/კ.თავართქილაძე, ა.ქიქავა, რ.სოლომონიძე, ნ.გოგატიშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული - 2010-ტ.114.-გვ.147-152.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს დაკვირვების 89 პუნქტის 1906-1995 წლების საშუალო თვიურ ტემპერატურათა ცვლილების სიღიღებზე დაყრდნობით, შესწავლილია ტემპერატურული ველის ცვლილების კავშირი ადგილდებარეობის სიმაღლესთან ზღვის დონიდან. მიღებულია, რომ ცვლილება როგორც დათბობის ასევე აცივების ზონაში ინტენსიურად მიმდინარეობს დაკვირვების პუნქტებისთვის, რომლებიც განთავსებულია ზღვის დონიდან 300-1000 მეტრის ფარგლებში. მაქსიმალური და მინიმალური საშუალო თვიური ტემპერატურების ცვლილება მსგავსია რანჟირებული საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების. ხოლო ტემპერატურის შიდაწლიურ ვარიაციათა დისპერსია ცვლილებას არ განიცდის

უაგ 551. 584.

მდინარე ენგურის და გალის წყალსაცავების გავლენა ჰაერის ტემპერატურაზე /რ. სამუქაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული- 2010,ტ.114, გვ.153-158, ქართ., რეზ.-ქართ., ინგლ., რუს.

შეფასებულია ჯვრისა და გალის წყალსაცავების გავლენა მიმდებარე ტერიტორიის ჰაერის ტემპერატურაზე. ჯვრის, მესტიის, ხაიშისა და გალის მეტეოსადგურების მონაცემების ანალიზის საფუძველზე. წყალსაცავებისათვის დადგენილია გამათბობელი და გამაცივებელი პერიოდების ხანგრძლივობა და მათი ინტენსივობა. ცხრ. 1, ლიტ. დას.1.

უაგ 551.50.501.7

შავი ზღვის საქართველოს აკვატორიის ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენების პერსპექტივები. /ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ. ტატიშვილი, ი. მკურნალიძე/. პმი-ს შრომათა კრებული-2010-ტ.114-გვ.159-162. ქართ.; რეზ. ქართ., ინგ., რუს.

დასმულია ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის საიმედო პროგნოსტიკულ მოდელებში გამოსაყენებლად.

უაგ 551. 584.

მდინარე ენგურის და გალის წყალსაცავების გავლენა ქარის სიჩქარის, ჰაერის ტენიანობასა და ნალექების სიღიღებზე /რ. სამუქაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული- 2010, ტ.114, გვ.163-168,ქართ., რეზ.-ქართ., ინგლ., რუს.

მეტეოსადგურების ჯვრის, ხაიშისა და გალის ქარის სიჩქარეს, ჰაერის ტენიანობას და ნალექების სიღიღებს მონაცემების გამოყენებით შეფასებულია ჯვარისა და გალის წყალსაცავების გავლენა ამ მეტეოლოგიურებზე, დადგენილია წყალსაცავების გამაცივებელი (გამათბობელი) პერიოდების ხანგრძლივობა, ინტენსივობა და გავლენის რაონის ზომები. ცხრ. 2, ლიტ. დას.1.

უაგ 551.50.501.7

დისტანციური ზონდირების გამოყენებით საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის კონტურის დადგენა ზღვის ზედაპირის ტემპერატურის თანამგზავრული მონაცემების ხარისხის შეფასებისა და კონტროლისათვის

/ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ. ტატიშვილიძე/. პმი-ს შრომათა კრებული-2010-ტ.114-გვ.1639-173. ქართ.; რეზ. ქართ., ინგ., რუს.

ნაშრომში წარმოდგენილია შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურის თანამგზავრული მონაცემების ხარისხის შეფასებისა და კონტროლის (ხშ/ხკ) მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად ჩატარებული კვლევები, რომელიც ეხება დისტანციური ზონდირების გამოყენებით საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის კონტურის სახის დადგენას.

**პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 115**

წინამდებარე კრებულში შესულია საერთაშორისო კონფერენციაზე “კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, სტიქიური კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში” წაკითხული მოხსენებათა ტექსტები. სტატიები წარმოდგენილია შემდეგი სამეცნიერო მიმართულებებით: კლიმატი, კლიმატის ცვლილება, კლიმატური რესურსები, გეოფიზიკური და პიდრომეტეოროლოგიური კატასტროფები.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოკტორანტებისათვის.

### **უაკ 551.58**

საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ზოგიერთ თავისებურებათა გამოკვლევა მათემატიკური მოდელირებით. /დავითაშვილი ო., ხელი ბერძელიძე ზ., ხანთაძე ა., თავართქილაძე კ., სამხარაძე ი./ ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 7-18.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ამ ნაშრომში შეისწავლება რეგიონალური კლიმატის ცვლილების ზოგიერთი თავისებურებები მათემატიკური მოდელირებით. კერძოთ მათემატიკური მოდელირებით შეისწავლება კლიმატის აცივების ეფექტი დასავლეთ საქართველოში და კლიმატის დათბობა აღმოსავლეთ საქართველოში.

მოცემულია გაუდაბოების თერმოდინამიკური მათემატიკური მოდელი გაუდაობნების პროცესის ხელშემწყობი პროცესების შეფასების მიზნით შესწავლილია მიწის ზედაპირის ტემპერატურისა და ნალექების ურთიერთ კავშირი.

### **უაკ 551.509.2**

რეჟიმულ-კლიმატურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების აქტუალური პრობლემები/ცეკვიტინიძე ზ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 19-26.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია საქართველოს მეტეოროლოგიური სადაკვირვებლო ქსელის სადგურების და საგუშაგოების რეჟიმულ – კლიმატური მონაცემების მანქანური დამუშავების პრობლემები. განხილულია რეჟიმულ – კლიმატურ მონაცემთა ბაზების წარმოდგენისა და მართვის საკითხები.

### **უაკ 551.582**

ტურიზმის კლიმატური ინდექსი თბილისში/ამირანაშვილი ა., მატზარაკისი ა., ქართველიშვილი ლ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 27-30.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში მოცემულია თბილისისათვის ტურიზმის კლიმატური პოტენციალის შეფასება სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად ხმარებული “ტურიზმის კლიმატური ინდექსის” შესაბამისად.

### **უაკ 551.582**

ქ. წყალტუბოს საკურორტო-ტურისტული კომპლექსის კლიმატური, აეროიონიზაციური და რადიოლოგიური მახასიათებლები. /სააკაშვილი ნ., ტაბიძე მ., თარხან მოურავი ი., ხელაშვილი ე., მირანაშვილი ა., კირკიტაძე დ., მელიქაძე გ., ნოდია ა., თარხნიშვილი ა., ჩიხლაძე ვ., ლომინაძე გ., წიქარიშვილი კ., ჭელიძე ლ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 31-40.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ქ. წყალტუბოს და აგრეთვე თეროი მდგიმის, სათაფლის და წყალტუბოს მდგიმის კლიმატური, აერო იონიზაციური და რადიოლოგიური მახასიათებლების კვლევის შედეგები.

### **უაკ 551**

საქართველოს მტკნარი წყლის რესურსული პოტენციალი და მენეჯმენტი. /გელაძე ვ., გელაძე გ., ბოლაშვილი ნ., მაჭავარიანი ნ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.41-45.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრეა, რომელიც გალუტის მნიშვნელოვანი რაოდენობით მოზიდვისა და ბარტერული გაცელების რეალური წყაროა. საქართველოს გათვალისწინებული წყლის რაოდენობა რეგიონებისა და დროის მიხედვით, წყალადების მეთოდი და ადგილი, უნდა განისაზღვროს ცაკლკეული პიდროვეკოსისტემების მდგრადი მდგრადი და წყალსამეურნეო ბალანსების დეტალური ანალიზის შემდეგ.

**უაკ 551.583 – 911.2**

**კავკასიის ბუნებრივი ლანდშაფტების პიდროკლიმატური რესურსები.** /კლიმატურაშვილი მ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 46-50.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კავკასიის ბუნებრივი ლანდშაფტების პიდროკლიმატური რესურსების შეფასების საფუძველზე, გამოვლენილია ლანდშაფტთა ზირითადი ფუნქციები და შედგენილია შესაბამისი რუკა.

**უაკ 551**

**ივრის ზეგანის კლიმატის არიდიზაციის და გაუდაბნოების მიზეზების შესახებ.** /ჯანელიძე ზ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.51-56.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

პალეოგეოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წარსულში ივრის ზეგანის ტყის, ტყე-სტეპისა და სტეპის ლანდშაფტების ანთროპოგენური მოდიფიკაცია დაიწყო ბრინჯაოს ხანის გარიერაჟზე (5-6 ათასი წლის წინ). ამ დროიდან ადამიანის სამეურნეო საქმიანობა გახდა ბუნებრივი ლანდშაფტების მეორადი სტეპებითა და ჯაგეკლიანი ველებით შეცვლის, კლიმატის არიდიზაციისა და ნაწილობრივი გაუდაბნოების პროცესის განვითარების ძირითადი მიზეზი.

**უაკ 551.582**

**ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებები ქ. თბილისში/თავართქილაძე კ.-ამირანაშვილი ა./. ჰმი-ს შრომათა კრებული-2008.-ტ.115.-გვ.57-65.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ორი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოვყანილია ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება თბილისში 2055 წლამდე.

**უაკ 551.58.583**

**საქართველოს თერმული ველის ცვლილება კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე.** /.მუმლაძე დ., ლომიძე ნ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 66-75.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

რთული რელიეფისა და სხვა კლიმატურმქნელი ფაქტორების გამო, საკვლევ პერიოდში (1906-1995) საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მრავალწლიური ცვლილება განსხვავებულია. თუ აღმოსავლეთ საქართველოს თერმული ველის ცვლილება უნისონშია კლიმატის თანამედროვე ცვლილებასთან (რომელსაც გლობალური ათბობა ეწოდება და შეფასებულია  $0.74^{\circ}\text{C}$ -ით) დასავლეთ საქართველოს თერმული რეჟიმი ინარჩუნებს მდგრად წონასწორობას, ანუ უცვლელობას, რასაც საქართველოს 90-მდე მეტეოსადგურის ჰაერის ტემპერატურის მონაცემები ადასტურებს.

**უაკ 551.58.583**

**კლიმატის გამოვლენილი და პროგნოზირებული ცვლილება საქართველოში და მისი გავლენა ეკონომიკასა და ბუნებრივ ეკოსისტემებზე/შვანგირაძე მ., ბერიტაშვილი ბ., კუ-ტალაძე ნ./. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 76-80.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

განხილულია ძირითადი კლიმატური ელემენტების ცვლილება 1955-1970 და 1990-2005 წლების საქართველოს 3 რეგიონში (შავი ზღვის სანაპირო ზონა, ქვემო სვანეთი და დედოფლისწყაროს რაიონი), რომლებიც შერჩეულ იქნა პრიორიტეტულ რეგიონებად გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების მომზადებისას. უახლესი კლიმატური მოდელების საფუძველზე საქართველოს ორივე ნაწილისთვის მოყვანილია 2100 წლისთვის ტემპერატურისა და ნალექთა ცვლილების პროგნოზირებული სიდიდეები. აღნიშნულია გავლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები შერჩეული რეგიონების ეკონომიკასა და ბუნებრივ ეკოსისტემებში.

**უაკ 551.510.42**

მთიანი რეგიონების კლიმატის ცვლილების აღგილობრივი ანთროპოგენური თავი-სებურებები/ცვენიტინიდე ზ., გუნია გ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 81-90.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ბუნებრივი გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილებაზე ანთროპოგენური გავლენის კონტროლის პრაქტიკული საკითხები საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის. ყურადღება გამახვილებულია არსებული მდგომარეობის შეფასებებსა და ატმოსფეროს ხარისხებრივ და რაოდენობრივ მახასიათებელთა მოსალოდნელი ცვლილებების ტენდენციათა გამოვლენის მიმართ.

**უაკ 91 (479.22)+632.118.3**

მთის ბიოგეოცენოზების ანთროპოგენური დაბინძურების სპეციფიკურობა გლობალური დათბობის პირობებში/სალუქვაძე გ., გოგებაშვილი მ., ივანიშვილი ნ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 90-96.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავდა მთის ბიოგეოცენოზების ანთროპოგენური დაბინძურების რეალიზაციის ჩვენებას გლობალური დათბობის პირობებში. ხსენებული პროცესის ფორმირება შეიძლება წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: დაბინძურების ფაქტორი – მცენარეული საფარის ზრდის შესუსტება – დაქვეითებული ადაპტაციის უნარის მქონე ფიტოცენოზი – ბიოგეოცენოზის ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილება – დესტრუქციული პროცესების განვითარება მთიანი რეგიონების კრიტიკულ ლანდშაფტებში.

**უაკ 630:551.58**

კლიმატის გლობალური დათბობის გავლენა აგროკლიმატური ზონების ცვლილებაზე /მელაძე გ., თუთარაშვილი მ., მელაძე მ/პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.97-104.- ქართ.;რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემების ანალიზისა და დამუშავების შედეგად დამყარებულია მაღალი კორელაციური კავშირი ტემპერატურის 10°-ს ზევით გადასვლის თარიღს, აქტიურ ტემპერატურათა ჯამსა და ზღვის დონიდან სიმაღლეს შორის. დაღენილი კავშირების საფუძველზე შედგენილია რეგრესიის განტოლებები, რომელთა მიხედვით განსაზღვრულია აქტიურ ტემპერატურათა ჯამები აგროკლიმატური ზონებისასთვის. გამოყოფილია 5 აგროკლიმატური ზონა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებისათვის.

სცენარის მიხედვით ტემპერატურის 1°-ით მატებისას ციტრუსების, ვაზის, ჩაის, სამარცვლე სიმინდის, საშემოდგომო ხორბლის და სხვა კულტურების გავრცელების ზონამ 100-150 მეტრით აიწია მაღლა, ამჟამად არსებული მათი გავრცელების ზონებთან შედარებით, ხოლო 2°-ით მატებისას 200-300 მეტრით.

**უაკ 551**

კლიმატის ცვლილების ფონზე მდინარის ჩამონადენის და ნალექების ერთობლივი სტატისტიკური ანალიზი. /გრიგოლია გ., ალავერდაშვილი მ., ტრაპაიძე ვ., ბრეგვაძე გ., კიკნაძე დ., ხუთენია ნ., ქოგაია ნ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.105-111.- ქართ.;რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე მეტად აქტუალურია მდინარის ჩამონადენის და მისი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის ნალექების ცვლილების კანონზომიერების ერთობლივი შეფასება წრფივი რეგრესიით და ტრენდით (შემთხვევით სიდიდესა და მის რიგით ხომერს შორის კორელაციის კოეფიციენტით). შეფასებულია მდინარე ვერეს საშუალო ოვიური და სეზონური (III-V, VI-VII, IX-XI, XII-II) ხარჯებისა და ნალექების ტრენდი. შეგაწილებული ცვლილებადობის დადგენისათვის გამოთვლილია ცალკეული ოვიური ჩამონადენის წლიურიდან პროცენტებში წვლილის ტრენდი. ადგენილია აღნიშნული პერიოდების ჩამონადენისა და ნალექების კორელაციური კავშირები.

**უაკ 551.48.215.2**

კლიმატის ცვლილების ფონზე წყლის რესურსების გაანგარიშების გაუმჯობესების შესაძლებლობა ტენდრუნვის პარამეტრების გამოყენების საფუძველზე. /ბეგალიშვილი ნ.ა.,

ცინცაძე თ., ცომაია ვ., ახმედრაბადხანოვი ხ., ქოჭლამაზაშვილი ნ., ქიტიაშვილი ლ., მამედოვი რ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 112-121.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია პიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების შეწყვეტის პირობებში წყლის რესურსების წყაროების (აგმოსფერული ნალექები, მდინარეული ჩამონადენი, მყინვარული აკუმულაცია-აბლაცია) მახასიათებლების გამოთვლის შესაძლებლობა აგმოსფეროს ტენბრუნების პარამეტრების საფუძველზე. შეფასებულია მდინარეთა წყლის რესურსების პარამეტრები თბილი, ცივი და წლიური პერიოდებისათვის. რაასოცირებული და ასოცირებული რიგების შემთხვევაში შედეგები დადებითია, უზრუნველყოფა შეადგენს 80-98%.

### უაკ 551.465.5

**შავი ზღვის ცირკულაციური პროცესების მოდელირება და პროგნოზი.** /კორპაძე ა., დემუტრაშვილი დ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 122-131.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განიხილება შავი ზღვის მთელ აუზსა და ზღვის საქართველოს სექტორში მიმდინარე დინამიკური პროცესების მოდელირების ზოგიერთი შედეგები შავი ზღვის ზოგადი (5კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით) და რეგიონალური (1კმ სივრცითი გარჩევისუნარიანობით) ცირკულაციის ბაროკლინური პროგნოსტიკული მოდელების საფუძველზე, რომლებიც განვითარებულია მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტში.

### უაკ 551.58

**კლიმატური პარამეტრების გათვალისწინება მშენებლობაში/ქართველიშვილი ლ., ცქიტინიძე ზ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 132-141.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

მოცემულ ნაშრომში განსაზღვრულია სხვადასხვა კომპლექსური კლიმატური პარამეტრები და მათი განაწილებათა კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში. მიღებული მონაცემები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტების დაპროექტებისას.

### უაკ 551.501

**სხვადასხვა კონვექციური დრუბლის თბილი სეზონის რადიოლოგაციური მოდელი.** /სალუკაძე თ., ხელაია ე./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 141-149.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რეგიონში რიგი წლების განმავლობაში კონვექციურ დრუბლებზე ჩატარებული რადიოლოგაციური დაკვირვების მონაცემები. ანსილულია მათი შესდაბამისი აეროლოგიური და სინოპტიკური სიტუაციები.

მონაცემების საფუძველზე შემოთავაზებულია ერთუჯრედიანი, მრავალუჯრედიანი და სუპერუჯრედიანი დრუბლების ემპირიული რადიოლოგაციური მოდელები

### უაკ 551.510

**საქართველოს მთიანი რეგიონების მეტეოროლოგიური დაკვირვებების შედეგების ანალიზი ბოლო 15 წლიანი პერიოდისათვის.** /გოგიშვილი ნ., ცქიტინიძე ზ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.150-158.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შერჩეული 9 მთიანი მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვების ბოლო (1991-2005) წლები დამუშავდა სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული პროექტით. მასალა ხელნაწერი წიგნაკების (მწ-1) ფორმატიდან გადაეკანილ იქნა ელექტრონულ ფორმატში, ჩაუტარდა კრიტიკული კონტროლი, რის შედეგად მიღებულ იქნა მეტეოროლოგიური ცხრილები. შედეგების (კონკრეტულად ტემპერატურის) ანალიზიდან მიღებულია დასკვნები, რომ ბოლო წლების ფაქტიური მონაცემებით აღინიშნა ტემპერატურის მატება, დათბობა.

### უაკ 551.510.

**ატმოსფეროს ცირკულაციურ თავისებურებათა გამოვლენა საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის.**/ჩოგოვაძე ი., ცქიტინიძე ზ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 159-167.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ატმოსფერული ცირკულაციური პროცესები, რომლებიც ძირითადად ვითარდებიან ევრაზიის სივრცეში მიმდინარე ფართომასშტაბიან ცირკულაციურ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. დეტალურადად განხილულია ამ ცირკულაციური პროცესებიდან გამოყოფილი 4 ძირითადი ტიპი

უაკ 551.510

მთიანი რეგიონების აგროკლიმატური თავისებურებები/ცხაკაია ჭ., ცქვიტინიძე ზ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 168-176.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მთიანი რეგიონების აგროკლიმატური რესურსების სირცებრივი განაწილების გათვალისწინებით დადგენილია ძირითადი სასოფლოსამეურნეო კულტურების ვერტიკალურ-ოპტიმალური გაადგილების საზღვრები. ვაზის კულტურის რაციონალურად გაადგილების მიზნით ხაზგასმითა ხაჩვენები დღის ტემპერატურის გადამწყვეტი როლის შესახებ. მოცემულია მინიმალური ტემპერატურის ტერიტორიად განაწილების კანონზომიერება რელიეფის ფორმებისა და ადგილის სიმაღლის მიხედვით.

უაკ 37.014

საბუნებისმეტყველო დარგებში სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხის შესახებ. /ჯობავა რ., ლომოური მ., გეონჯიანი ლ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 204-213.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

დედამიწის შემსწავლებელ მეცნიერებებში განათლების ხარისხის აწევის აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა 2008 წლის მისადები გამოცდების შედეგების კვლევა თსუ-ში ჩარიცხული კონტინგენტის მომზადების შეფასების თვალსაზრისით. დასახულ იქნა განათლების დონის აწევის გზები.

უაკ 551.582

ჰაერის ეფექტური ტემპერატურეს გრძელვადიანი ვარიაციები თბილისში. /ამირანაშვილი ა., ქართველიშვილი ლ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 214-219.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია ჰაერის ექვივალენტურ - ეფექტური ტემპერატურის (ჰაერის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობის და ქარის სიჩქარის კომბინაცია) ვარიაციების დაწვრილებითი სტატისტიკური ანალიზი თბილისში 1957 დან 2006 წლამდე პერიოდისათვის.

უაკ 551

წლის დასაწყისის გავლენა მდინარის წლიური ჩამონადენის და ნალექების ურთიერთკავშირზე და ტრენდზე/გრიგოლია გ., აერესელიძე დ., ტრაპაიძე ვ, ბრეგვაძე გ., ცინცაძე ნ./ კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 228-233.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებით ნალექებისა და მდინარის ჩამონადენის ცვალებადობას ძირითადად შეისწავლიან წლიური ინტერვალებში. მასალების სტანდარტული დამუშავება და გამოქვეყნება ხდება კალენდალური წლებით (I/I-დან).

ნაშრომში დადგენილია, რომ წლის სხვავდსხვა დაწყებისას იცვლება წლიური ჩამონადენს და ნალექებს შორის ურთიერთკავშირის და ტრენდის კორელაციის კოეფიციენტი. რეკომენდირებულია წლიური ათვლა გაანგარიშებებში დაიწყოს წყალსამეურნეო წელს (I/IV), როდესაც წლიური სიდიდეების ერთგაროვნება მეტად არის დაცული და წლიურ ნალექებასა და ჩამონადენს შორის კორელაციური კავშირები უდიდესია.

უაკ 551

ატმოსფეროს გამჭვირვალობა აჭარის ზღვის სანაპირო ზონაში/სოლომონიძე რ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 234-241.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

2007-2008 წლებში აჭარის ზღვის სანაპირო ზონაში ჩატარდა 450-მდე კომპლექსური ექსპერიმენტი ატმოსფეროს გამჭვირვალობის შესასწავლად. დადგენილია ტემპერატურის, ტენიანობის და ქარის გავლენა ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე. შესწავლილია ზღვის გავლენა ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე ზღვის სანაპირო ზონაში.

უაკ 550.42;54.064

საქართველოს კახეთის რეგიონის ატმოსფერულ ნალექებში სხვადასხვა ქიმიური ელემენტების კონცენტრაციების დამოკიდებულება საერთო მინერალიზაციაზე. /სუპატაშვილი გ., სალუქვაძე მ., აბესალაშვილი ლ., სალუქვაძე თ., ხელაია ე./. კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 242-245.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რეგიონის ატმოსფერულ ნალექებში ქიმიური ელემენტების – B, P, Br, I, Cu და ბ-ის შემცველობების

კვლევის ზოგიერთი შედეგები. შეაწავლილია ამ ქიმიური ელემენტების კონცენტრაციების დამოკიდებულება ჯამურ მინერალიზაციაზე.

#### უაპ 551.50.501.7

**საქართველოს ტერიტორიაზე პიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების აღრეული შეტყობინებისათვის თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენება/კორძახია გ., შენგელია ლ., თვალი გ., ტატიშვილი მ., მკურნალიძე ი./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 250-260.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში განხილულია საქართველოსათვის კატასტროფების პიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პრევენციისა და/ან შერბილებისათვის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენება. მოვანილია თანამედროვე თანამგზავრების სხვადასხვა მახასიათებლები. განხილულია საქართველოსათვის მნიშვნელოვანი სტიქიური მოვლენები, რომელთა აღრეული გაფრთხილებებისათვის გამოიყენება თანამგზავრული ინფორმაცია.

#### უაპ 551.510.04

**ატმოსფეროს დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაკრომასშტაბური გადატანის მეტეოროლოგიურუ ასპექტების შესახებ მთიანი რეგიონების პირობებში/გუნია გ., ცქიტინიძე ზ., ხოლმაჯანოვი პ., ფათხულაევა ზ./. კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 261-271.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში, კოლხეთის დაბლობისა და ახანგარანის ხეობის (დასავლეთ ტიან-შანი) მაგალითებზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონეზე ფიონური მოვლენების ზემოქმედების კვლევების შედეგებია მოტანილი.

მოცემულია ახანგარანის ხეობის რაიონში NO<sub>x</sub>-ის კონცენტრაციების ველის განაწილების გაანგარიშებები.

ნაჩვენებია, რომ ფიონური პროცესები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ატმოსფეროს დაბინძურების დონეზე მთიანი ქვეყნების პირობებში. მათი გათვალისწინება ატმოსფეროს რეგიონალური დაბინძურების კვლევებისას მნიშვნელოვნად აამაღლებს ბუნებრივი გარემოს მდგრადირების ეკოლოგიური შეფასებების სიზუსტეს.

გაგეთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მეტეოროლოგიური მოვლენა უნდა იყოს აუვანილი რეგიონალური „საშიში მეტეოროლოგიური პირობების“ რანგში, რომლებიც ხელს უწყობენ ატმოსფეროს დაბინძურების გაძლიერებას.

#### უაპ 551.515.1.4

**ექსტრემალური ნალექების მოკლევადიანი რიცხვითი პროგნოზი საქართველოსათვის/კუტალაძე ნ., მეგრელიძე ლ., მიკუჩაძე გ., ჩოგოვაძე ი., დავითაშვილი თ./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 272-278.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

განხორციელებულია გლობალური მოდელის (GFS) ამოხსნის შედეგების გადათვლა შემოსაზღვრული არისათვის ადგილო-ბრივი ფიზიკო-გეოგრაფიული მეზო და მიკრომასშტაბური პარამეტრების გათვალისწინებით, რაც გაუმჯობესებულია ქვეარის ჩადგმის უპარავშირიანი (2-წაყ ნესტინგ) მეოთვით. ამ უპარავნელის გამოყენებით მიღებულია ნალექების პროგნოზული და ფაქტიური ველების კარგი თანხვედრა.

#### უაპ 551.594(063)

**საქართველოში ელჭექის აქტივობის მახასიათებლები/ამირანაშვილი ა., ვარაზანაშვილი ო., ნოდია ა., წერეთელი ნ., მკურნალიძე ი./კმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 279-285.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

აგებულ იქნა წელიწადში ელჭექიანი დღეების საშუალო განმეორებადობის საქართველოს ტერიტორიაზე განაწილების რუკა. განხორციელდა დედამიწაზე ელვების განმუხტვის სიმკვრივის შეფასება ყველა მეტეოროდგურისა და საქართველოს 12 აღმინისტრაციული რეგიონისათვის. შესწავლილ იქნა ელჭექების აქტივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე.

უაკ 502.573

2008 წლის აგვისტოში ბორჯომ-ხარაგაულის ბუნებრივ ნაკრძალში ტყის ხანძრით მიუწებული სავარაუდო ეკოლოგიური შედეგები/ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 286-293.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სავარაუდოთ, ბორჯომ-ხარაგაულის ბუნებრივ ნაკრძალში ტყის ხანძრის შედეგად როგორც ხასანძრალზე, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდება მიკროკლიმატური და ბიოკლიმატური მახასიათებლების ცვლილება. დაზარალებული ზონის გავლენის მასშტაბის შესაფასებლად, ხეებული ტექნოგენური კატასტროფის ხეგატიური შედეგების შესარბილებლად და საჭირო ზომების მისაღებად, აუცილებელია ამ მახასიათებლების დეტალური გამოკვლევა.

უაკ 551.59

საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების სივრცობრივი სტრუქტურა საქართველოს ტერიტორიაზე/ვარაზანაშვილი ო., ელიზბარაშვილი ე./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 294-302.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ისეთი საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები, როგორ-ებიცაა გვალვა, წაყინვა, გრიგალური ქარი, მკვრივი ნისლი და ლიპინული. მოვლენათა ინტენსივობისა და შესაბამისი მოსალოდნელი დაზიანებების გათვალისწინებით შემუშავებული სპეციალური კრიტერიუმები საფუძვლად დაედო IS-სისტემებში ამ მოვლენების სივრცობრივი ველების გამოსახვას.

უაკ 551

საქართველოს ტერიტორიის დარაიონება გვალვის ინტენსივობის შეფასების საფუძველზე/ბეგალიშვილი ნ.ა., ცინცაძე თ., გზირიშვილი მ., არუთინიანი ნ., მახმუდოვ რ/ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 303-307.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული და ნიადაგური გვალვის განვითარების დაგენენის, ასევე გვალვის ინტენსივობის კომპლექსური შეფასების შედეგები, რუსეთის სასოფლო-სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული მეთოდის საფუძველზე. გამოყენებულია 1961-1986 წლების 15 მეტეოსადგურის დაკვირვებათა მონაცემები. შესრულებულია საქართველოს ტერიტორიის კლიმატური დარაიონების სქემატური რუკების აგება, გვალვის ინტენსივობის შეფასების მიხედვით თბილი პერიოდის 4 თვისათვის (მაისი-აგვისტო).

უაკ 556.16.06

საქართველოს მდინარეთა წყალდიდობების მახასიათებლები და კატასტროფების თავიდან აცილების საკითხები/ბასილაშვილი ც./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 308-316.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს მთავარ მდინარეთათვის გაანგარიშებულია სტატისტიკური მახასიათებლები წყალდიდობის პიკებისა, რომლებიც ფორმირდებიან მყისიერად წვიმისა და თოვლის წყლების მაღალი ტალღების თანხვედრის დროს მაის-ივნისში. ისინი წარმოადგენენ საწყის მონაცემებს წყალსამეცნიერო ობიექტების დაპროექტებისა და დაგეგმარებისათვის. მოცემულია დონისძიებათა კომპლექსი არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

უაკ 631.416.143

ნიადაგის მარილიანობის ცვალებადობის მათემატიკური კვლევები. /სურმავა ა., ტუღუში ნ., შავლიაშვილი ლ., ინტერველი ლ., მდივანი ს. /ჰმი-ს შრომათა კრებული -200.-ტ.115.-გვ. 317-325.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნიადაგში წყლისა და გასხნილი მარილის ინფილტრაციის განტოლებების რიცხვითი ინტეგრირების საშუალებით მოდელირდება ბიცობიანი ნიდაგის ზედა ფენის მარილიანობის შემცირების პრაქტიკაში გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდი. ნაჩვენებია, რომ მეთოდი ნიადაგის ფილტრაციის და დიფუზიის კოეფიციენტების გარკვეული მნიშვნელობებისა და 90 დღედამის განმავლობაში სამჯერადი მორწყვის შემთხვევებში იწვევს ნიადაგის ზედა 70 სმ ფენის მარილიანობის შემცირებას.

უაკ 550.42;54.064

ატმოსფერული ნალექების საერთო მინერალიზაციის მიწისპირა პაერის ტემპერატურისაგან დამოკიდებულება მუდმივი ფადობითი ტენიანობის დროს/სალუქვაძე თ., სალუქვაძე მ., ხელაია ე./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 326-329.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია ატმოსფერული ნალექების მინერალიზაციაზე მიწისპირა პაერის ტემპერატურის გავლენა ფარდობითი სინოტივის მუდმივი მნიშვნელობების დროს. სტატისტიკურად უზრუნველყოფილი ექსპერიმენტაციური მასალის ანალიზის საფუზველზე ნაპოვნია, რომ ფარდობითი სინოტივის სამი დიაპაზონისათვის (30-55; 55-75; 75-100) მინერალიზაციის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკს გააჩნია ორ-ორი მაქსიმუმი, რომლებიც ფარდობითი სინოტივის კლებასთან ერთად ინაცვლებენ ტემპერატურის მაღალი მნიშვნელობებისაკენ.

უაკ 521.

შეშფოთებათა წრფივი ტრანზიენტული დინამიკა მუდმივი ვერტიკალური წანაცვლების არაგეოსტროპულ ნაკადებში/ლომინაძე ჯ., ჩაგელიშვილი გ., ავსარქისოვი ვ/. ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 330-343.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია შეშფოთებათა წრფივი დინამიკა შემთუსაზღვრელ არაგეოსტროპულ ზონალურ ნულვანი სიბლანტის ნაკადებში სიჩქარის მუდმივი ვერტიკალური წანაცვლებით როდესაც გარემო უკუმშვადია და სიმკვრივე სტრატიფიცირებულია ვერტიკალური და მერიდიანული მიმართულებებით. ამ დინამიკის განსაკუთრებული თვისებები მჭიდრო კავშირშია წრფივი შეშფოთებათა ევოლუციის აღმწერი თერატორების არაორთოგონალურობასთან წანაცვლებით ნაკადებში. გაანალიზებულია კორიოლისის პარამეტრისა f (დედამიწის ბრუნვა) და ნაკადის წანაცვლების A როლი შეშფოთებათა დინამიკაში (არამდგრადობაში). ეს ორი ფაქტორი იწვევს შეშფოთებათა დინამიკაში ახალი ტიპის ტრანზიენტულ არამდგრადობას მცირე  $Ri < 1$  (როდესაც სრულდება ე.წ. სიმეტრიული არამდგრადობის პირობა). კერძოდ, წრფივი თეორიის ფარგლებში, წანაცვლება და ბრუნვა იწვევს გრიგალური მოდის დროში ევოლუციას. სუფთა გრიგალური (აერიოდული) შეშფოთებებს შეუძლიათ ამოქანონ ძირითადი დინების უნერგია, გაძლიერდნენ ტრანზიენტულად და შემდგომ მოახდინონ ტალღების გენერაცია.

უაკ 521.

რადონის გაგცელება და ფილტვის კიბო დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში/ამირანაშვილი ა., ჭელიძე თ., დვინიანიძე კ., მელიქაძე გ., თოდაძე მ., ტრევარი ი., წერეთელი დ/ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 344-348.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია რადონის განაწილების რაოდენობრივი შეფასება დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. მიღებული მონაცემები მოწმობს, რომ 100-ზე მეტი წელის სინჯში აღინიშნება რადონის მაღალი შემცველობა. ამ უბნებთანაა დაკავშირებული ბინებში  $Rn$  დაგროვების მაღალი მაჩვენებლები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს კორელაციურ კავშირს რადონის კონცენტრაციასა და ფილტვის კიბოს გავრცელებას შორის.

უაკ 521.15

მიწისძვრის ეპზოგენური მაინიცირებელი ფაქტორი/კილაძე რ., კაჭახიძე ნ., რამიშვილი გ., კაჭახიძე მ., კუხიანიძე ე./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 349-353.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

პლანეტების ან პლანეტათა წყვილების ცის თაღზე განსაკუთრებული განაწილება განიხილება, როგორც მიწისძვრათა ტრიგერული ფაქტორი. გამოვლენილია სექტორები, რომლებშიც პლანეტების ან პლანეტათა წყვილების მოხვედრისას მიწისძვრათა მაქსიმალური ან მინიმალური რაოდენობა ხდება

უაკ 550.540

კავსასის მიწისძვრების მასინქრონიზირებული კვაზიპერიოდული ფაქტორების გამოვლენის მეთოდის შესახებ/ლურსმანაშვილი ო., პაატაშვილი ტ., გეონჯიანი ლ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 354-363.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაჩვენებია გარე მასინქრონიზებელი ფაქტორების აღმოჩენის შესაძლებლობა, შემოთავაზებული მიწისძვრების სინქრონიზაციის მექანიზმის საფუძველზე. წარმოდგენილია

ამ გარე ფაქტორების პერიოდულობის დადგენის მეთოდი, რომელიც ეფუძნება მიწისძვრების მოხდენის მომენტების განაწილებების პისტოგრამების ფორმების შესწავლას. გამოვლენილია მიმოქცევების ზემოქმედება კავკასიის რეგიონის მიწისძვრებზე მთვარე-მზის სინოდური თვის პერიოდით.

#### უაკ 550.340

**საწარმოო აფეთქებებით გამოწვეული ცრუ პერიოდულობები კავკასიის მიწისძვრების განმეორებადობაში/ლურსმანაშვილი ო., პაატაშვილი ტ., გეონჯიანი ლ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 364-369.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

კავკასიის მიწისძვრების კატალოგის მონაცემების საფუძველზე ცალსახად ვლინდება სუსტი მიწისძვრების,  $K < 9$ , დღედამური პერიოდულობა, რომელიც აღარ დაიკვირვება უფრო ძლიერ მიწისძვრებში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოვლელი პერიოდულობა დაკაგშირებულია საწარმოო აფეთქებების განხორციელების რეჟიმთან. მიწისძვრების განმეორადობის შესწავლისას აუცილებელია ამ ფაქტის გათვალისწინება.

#### უაკ 521.

**სეისმოჰიდროდინამიკური დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე. /მელიქაძე გ.. ჯიმშელაძე თ., კობზევი გ., კაპანაძე ნ., დოვგალი ნ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 370-375.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

საქართველოს ტერიტორიაზე 1985 წლიდან მიმდინარე რეჟიმული ჰიდროდინამიკური დაკვირვებების დროს დაფიქსირებული იქნა მრავალი ანომალია, რომელთა ბუნების დადგენის მიზნით ჩატარებულმა ანალიზმა დადგინდა, რომ დეფორმაციული დაძაბულობის კრიტიკული მნიშვნელობები, მიწისქვეშა წყლების რეჟიმში, აღინიშნება მასასიათებელი “ფონური” სურათის დარღვევით. დარღვევის პერიოდი დამოკიდებულია მიწისძრის სიმძლავრეზე. ყველაზე დიდი გრადიენტის ზონა ჰიდროგეოდეფორმაციულ” ველში მიუთითებს მომავალი მიწისძვრის კერას.

#### უაკ 521.

**მიწისძრის წინამორბედების სტატისტიკური ანალიზი/პეტროსიანი გ./. პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ.376-383.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილია სომხეთის ტერიტორიაზე 20-მდე მიწისძრის წინამორბედების სტატისტიკური ანალიზი.

#### უაკ 551.491

**მიწისქვეშა წყლების ჰიდროქიმიური რეჟიმის ცვლილება მიწისძვრების მომზადების პროცესში/თოდაძე მ., კაპანაძე ნ., მელიქაძე გ., ღლონტი გ., ჯიმშელაძე თ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 384-388.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

რეჟიმული დაკვირვებების მასალის ანალიზით დადასტურდა სეისმური მოვლენების ზეგავლენა მიწისქვეშა წყლების ჰიდროქიმიურ რეჟიმზე. ჩატარებული ანალიზით შერჩეული იქნა წამყვანი ინფორმაციული კომპონენტები, როგორც ცალკეული უბნებისათვის, ასევე რეგიონებისათვის

#### უაკ 551.58.583

**საქართველოს მთიანი რეგიონების კლიმატური ექსტრემულების გამოთვლის შედეგები/ცეკვიტინიძე ზ., კუტაძე ნ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 389-396.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

საქართველოს მეტოროლოგიური ქსელის 21 სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული იქნა ექსტრემალური კლიმატური ინდექსები, გამოვლინდა მათი მრავალწლიური ტრენდები და დადგინდა მათი სამედოობა. რის საფუძველზეც შეფასდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები, გამოვლინდა ყველაზე მაღალი რისკის რაიონები.

#### უაკ 523.58

**ქ. თბილისში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში მყარი აეროზოლის შემცელობის გამოკვლევა/ჭიათურიშვილი ნ./პმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 407-411.- „, რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილია ქ. თბილისში ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში არსებული მყარი აეროზოლის მასური კონცენტრაციის (თ მგ/კუბ.მ) კვლევის ექსპერიმენტული მონაცემები.

შესწავლით ატმოსფერული მყარი აეროზოლის მასური კონცენტრაციის ალბათობათა სიმკვრივის განაწილება. ჭარმოდგენილია გრაფიკი და გამოთვლილია განაწილების სათანადო მახასიათებლები.

#### უაკ 555.48.215.2

კატასტროფული წყალმოვარდნების წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისა და პროგნოზირების შესაძლებლობა ტენბრუნვის პარამეტრების გამოყენების საფუძველზე დაგვირვების პუნქტების დახურვის პირობებში/გაჩეჩილაძე გ., ცომათა ვ., ქიტიაშვილი ლ., გორგიჯანიძე ს., ბეგალიშვილი ნ.ნ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 412-421.- ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს

ნაშრომში მოცემულია ტენბრუნვის პარამეტრების გამოთვლის მეთოდი. მის საფუძველზე განხილულია უდიდესი 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯების და დღედამური ნალექების გაანგარიშება-პროგნოზირების შესაძლებლობა. შემოწმებამ აჭარის სანაპირო ზოლის მდინარეების აუზებისათვის მოგვცა დადებითი შედეგი – ცდომილება 4-5%-ზე ნაკლებია.

#### უაკ 551.578.7

**საქართველოში სეტყვის დღეთა წლიური რაოდენობის სტატისტიკური მახასიათებლები/ამირანაშვილი ა., ვარაზანაშვილი ო., ნოდია ა., წერეთელი ხ., ხუროძე თ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 422-428.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

აგებულ იქნა სეტყვის რაოდენობის საშუალო წლიური მნიშვნელობების პერიოდულობის საქართველოს ტერიტორიაზე განაწილების რუკა. საქართველოს 12 ადმინისტრაციული რეგიონისათვის განსაზღვრულ იქნა სეტყვის აქტივობის ცვლილების დიაპაზონები. შესწავლით იქნა სეტყვიანი დღეების საშუალო წლიური რიცხვის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე.

#### უაკ 551.58:613.1

**ჰაერის ეფექტური ტემპერატურის და მაგნიტური ქარიშხელების ზეგავლენა ქ. თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე/ამირანაშვილი ა., ამირანაშვილი ვ., ქართველიშვილი ლ., ნოდია ხ., ხუროძე თ./ჰმი-ს შრომათა კრებული -2008.-ტ.115.-გვ. 429-432.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილია ჰაერის ექვივალენტურ - ეფექტური ტემპერატურის (ჰაერის ტემპერატურის, ფარდობითი ტენიანობის და ქარის სიჩქარის კომბინაცია) საშუალო თვიური მნიშვნელობების და მაგნიტური ქარიშხელების თვიური ხანგრძლივობის ქ. თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის გამოკვლევის შედეგები

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 116**

წინამდებარე კრებულში შესულია პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 58-ე მაისის სამეცნიერო სესიაზე მოსმენილი მოხსენებები, მიღვნილი პიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი. შესაბამისი სტატიები მოცემულია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია, პიდროლოგია, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი გარემოს დაბინძურება.

კრებულის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია მოგონებები ინსტიტუტის დგაწლმოსილ თანამშრომლებზე: გრიგოლ ხმალაძე, ირაკლი ხერხეულიძე, ილია კვარაცხელია, ლადო ქალდანი, გიგი რობიტაშვილი, ლუდუშა არველაძე.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

**უაგ 551.58**

პარის ნაკადის საპროგნოზო სქემების ინგარიანტული სიღიდეების შესახებ რელიეფის გაფლენის გათვალისწინებით./ზ. ხვედელიძე, თ. დავითაშვილი, ნ. კუტალაძე, ნ. მეგრელიძე, ი. სამხარაძე/ პმი-ს შრომათა კრებული – 2011 -ტ.116. გვ. 5-8-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი პროგნოზირებისას პიდროლერმოდინამიკის განტოლებების გამოყენების საფუძვლზე შემოთავაზებულია რამდენიმე ინგარიანტული სიღიდე დედამიწის რელიეფის გავლენის გათვალისწინებით. ეს სიღიდეები იძლევიან საშუალებას არამარტო დაზუსტდეს პროგნოზის ხარისხი, არამედ გამოყენებულ იქნას „როგორც რიცხვითი სქემების მდგრადობის კრიტერიუმები. დამტკიცებულია ე.წ. „ნელა ცვლადი“ ატმოსფერული პროცესებისათვის მოყვანილი ინგარიანტების მუდმივობა დასაშვები სიზუსტით. ეს მექანიზმი საშუალებას მოგვცემს რეგიონალური პროცესებისათვის მოვახდინოთ სხვადასხვა ფაქტორების გავლენის პარამეტრიზაცია და კლიმატის წრიული მერყეობის ანალიზი თანამედროვე გლობალური დათბობის ფონზე.

**უაგ 551. 583.**

აღმოსავლეთის ძლიერი ქარები კოლხეთის დაბლობზე, როგორც ციმბირის ანტიციკლონის ამიერკავკასიაზე ზემოქმედების ინდიკატორი /ბერიტაშვილი ბ., კაპანაძე ნ., ჩოგოვაძე ი./ პმი-ს შრომათა კრებული -2011.-ტ.116.-გვ.9-12-რუს. რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

გაანალიზებულია ქ.ქუთაისში დეკემბერი-მარტის თვეებში ძლიერი ქარების (V 20 მ/წმ) საშუალო და მაქსიმალური სიჩქარეებისა და განმეორადობის შემთხვევები 1946-2005 წწ პერიოდში. დადგენილია ბოლო 15-წლიან პერიოდში სიჩქარის მაქსიმუმების საშუალოების კლების ტენდენცია, აგრეთვე ძლიერი ქარების საშუალო მნიშვნელობების შემცირება. აღნიშნული ტენდენცია მკაფიოდ ვლინდება 1970-იანი წლების შემდეგ. ძლიერი ქარით დღეთა განმეორადობაში კანონზომიერება არ დაიკვირვება.

**უაგ 551.51+551.521+551.57**

ღრუბლის რიცხვითი მოდელიმზის რადიაციის დამატებითი მოქნეტების გათვალისწინებით/გ.გელაძე, ნ.ბეგალიშვილი, თ.დავითაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული-2011.-ტ.116.-გვ.12-14-რუს.რეზ.ქართ.,ინგლ.რუს.

დამუშავებულია აწმოსფეროს მეზოსასაზღვრო ფენის ნოტიო პროცესების რიცხვითი მოდელი. გათვალისწინებულია ღრუბლებისა და ნისლის საზღვრებთან არსებული “გამოციების” გავლენა თერმოპიდროლინამიკის, სინოტიფისა და წყლიანობის ველებზე. მოდელი ითვალისწინებს ღრუბლების საკვლევ პროცესზე. განიხილება პირდაპირი და უკუკავშირი ღრუბლის განვითარებასა და ამ “სარდილებს” შორის, ღრუბლის ფორმების ავტომერხევი პროცესების შესაძლო არსებობა.

**უაგ 551.59**

მეცნიერი ნისლები საქართველოს ტერიტორიაზე /ელიზბარაშვილი ე., ვარაზანაშვილი ო., ელიზბარაშვილი მ., ზუბიტაშვილი თ., გორგიშვილი გ., კაიშაური მ./პმი-ს შრომათა კრებული – 2011-ტ.116.გვ.15-16-რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია საქართველოს ტერიტორიაზე მკვრივი ნისლების (ხილვადობა 50 მ-ზე ნაკლუბი) სტატისტიკური სტრუქტურა. შემუშავებულია მკვრივი ნისლების სიგრცობრივი განაწილების რუკა, შესწავლილია მათი ემპირიული განაწილების კანონები და არეალების ზომები.

უაკ. 551.510

**საქართველოს ტერიტორიაზე ძლიერი სეტყვის მოსვლის განმეორადობის თავისებურება/ლ. ქართველიშვილი, რ. მესხია, მტატიშვილი, ი. მკურნალიძე/ პმი-ს შრომათა კრებული – 2011-ტ.116. გვ.17-18-რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ტერიტორიაზე 1966-1991 წწ.-ში მოსული ძლიერი სეტყვის ზომების ( $D > 5$  მმ) სიგრცულ-დროითი განაწილება, რაც წარმოდგენილია შესაბამის ცხრილში და გრაფიკზე. მონაცემები დაჯგუფებულია კლიმატური ზონების მიხედვით. მიღებული შედეგი გასათვალისწინებელია სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების განახლებისას

უაკ. 551. 582

**ტყის მასივებში მზის რადიაციის ტრანსფორმაციის თავისებურებები/რ. სამუკაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული – 2011 – ტ.116. გვ.19-22-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

მთიანი და დაბლობი რაიონების ტყის მასივებისათვის განხილულია და დადგენილია რადიაციის ტრანსფორმაციის თავისებურებები. მზის პირდაპირი რადიაციის გაშვების სიდიდის მზის სიმაღლეზე დამოკიდებულების, აგრეთვე გაბნეული რადიაციის გაშვების სიდიდის გვირგვინის მიჯრილობაზე დამოკიდებულების ანალიზური სახეები.

უაკ. 551, 582.

**ქალაქ მცხეთის ტერიტორიის რადიაციული მახასიათებლების ანალიზი. /რ. სამუკასვილი, ც. დიასამიძე/პმი-ს შრომათა კრებული-2011.ტ.116.გვ.22-25-ქართ.,რეზ..ქართ.,ინგლ.,რუს.**

ქალაქ მცხეთისათვის მოწმენდილი ცის და მოღრუბლეულობის საშუალო პირობებში ინტერპოლაციის მეთოდის გამოყენებით დადგინდა მზის პირდაპირი, გაბნეული და ჯამური რადიაციების ინტენსივობის და ოვიური ჯამების სიდიდეები

უაკ: 630:551.58

**აგრომეტეროლოგიური ფაქტორების გავლენა საშემოდგომო ხორბლის გამოზამთრებასა და მოსაგალზე/მელაძე გ., თუთარაშვილი მ., მელაძე მ/პმი-ს შრომათა კრებული –2011-ტ.116.გვ.26-29-ქართ.,რეზ .ქართ., ინგლ., რუს.**

შედგენილია რეგრესიის განტოლება, რომლის მიხედვით განისაზღვრება (შემოდგომაზე) ტემპერატურის  $15^{\circ}$ -ის ქვევით გადასვლის თარიღის დადგომიდან 10 დღის შემდეგ, ნიადაგის 5 სმ სიღრმეში თესლის ჩათესვის ოპტიმალური ვადა. მოცემულია ზამთრის პერიოდში ნიადაგის 5 სმ სიღრმეში მინიმალური ტემპერატურის განსაზღვრის განტოლება პაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურის და ოვალის საფარის გავლენისას. საშემოდგომო ხორბლის მწარმენებელი რაიონებისათვის რეკომენდებულია მოსავლის განსაზღვრის განტოლება. მოსული ატმოსფერული ნალექები (170-200 მმ და მეტი) იძლევა მყარი მოსავლის გარანტიას.

უაპ 551

**ატმოსფეროს ტემპერატურისა და სინოტივის ველის ცვლილების შესწავლა შავი ზღვიდან ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაციისას./ზ. ხვედელიძე. თ დაგითაშვილი, ნ. რამიშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული -2011.-ტ.116.-გვ.29-33-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

დედამიწის ერთი რეგიონის ზედაპირიდან, ფიზიკური თვისებებით განსხვავებულ, მეორე ფართზე ჰაერის მასათა ტრანსფორმაციის გამოკვლევა იყო და რჩება აქტუალურ პრობლემად. ეს განსაკუთრებით ეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც გლობალური დათბობის ფონზე აცივების პროცესები დაიკვირვება. აქედან გამომდინარე, შრომაში შესწავლილი იქნა ატმოსფეროს ტემპერატურისა და სინოტივის ველის ცვლილების ბუნება ზღვიდან ჰაერის მასის ტრანსფორმაციისას დედამიწის „საგები“ ზედაპირის მახასიათებელი პარამეტრების სხვადსხვა მნიშვნელობებისათვის. პირველად გათვალისწინებულ იქნა დედამიწის რელიეფის და ჰაერის ნაკადის ტრანსფორმაციის პარამეტრები და შესწავლილია მათი ცვლილება ზღვიდან დაშორების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ შავი ზღვიდან 25 კმ- რადიუსიან ზონაში ჰაერის მასა ინარჩუნებს ზღვის მახასიათებელ პარამეტრების მნიშვნელობებს, ხოლო ტრან-

სფორმაცია ხდება ძირითადად 50 კმ რადიუსიან ზონაში. შემდეგ მესამე 100 კმ-რადიუსიან ზონაში პარამეტრების მასა თითქმის მთლიანად ხასიათდება რეგიონის მახასიათებელი სიდიდეებით. ასეთი დასკვნები პირველად არის მიღებული და კარგად ასახავს ოპერატორს პრაქტიკაში დაკვირვებულ რეალურ პროცესებს.

#### უაკ. 551.48.215

გლობალური დათბობის ფონზე მდ. ნატანების დატბორვის ზონების პიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების სტატისტიკური შეფასება/გ.გრიგოლია, დ.კე. რესელიძე, ვ.ტრაპაიძე, გ.ბრეგვაძე, ნ.ცინცაძე, ო.შველიძე/პმი-ს შრომათა კრებული. -2011,-ტ. 116. გვ.34-36-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია მდ.ნატანების დატბორვის ზონების პიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების სტატისტიკური შეფასებები.

#### უაკ. 556.048

მდინარის დატბორვის ზონაში მიმდინარე ეროზიული პროცესების პროგნოზი/ ჟ. მამასახლისი, გ. ლონაძე, ჭ. ფანჩულიძე/პმი-ს შრომათა კრებული. -2011, - ტ. 116. გვ.36-38-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებული თეორიული და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული გრუნტის გარეცხვის დამოკიდებულებების გამოყენებით, მოცემულია მდინარის დატბორვის ზონაში მიმდინარე ეროზიული პროცესების წინასწარი განსაზღვრის პრინციპები, რაც საშუალებას მოგვცემს, რაციონალურად დაიგეგმოს წყალდიდობების, წყალმოვარდნების და მათი თანამები ნებატიური მოვლენების განვითარების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

#### უაკ 556.16

**საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენი.** /ბასილაშვილი ც./პმი-ს შრომათა კრებული.---2011, ტ.116, გვ.39-43-ქართ.; რეზ.; ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი პიდროკვეთისათვის დაზუსტებულია საშუალო წლიური და წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენის ნორმები, ვარიაციის და ასიმეტრიის კოეფიციენტები, აგრეთვე წყალდიდობის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და ხანგრძლივობა.

შეუსწავლელ მდინარეთათვის შედგენილია ემპირიული გამოსახულებები წყალდიდობის ნორმების დასადგენად.

უაკ. 631-402 ჩამონადენის მოცულობის გაანგარიშების ახალი მეთოდიკა ჭარბტენიანი ზონის პიდროკველისათვის. /ჭ. ფანჩულიძე, ჟ. მამასახლისი /პმი-ს შრომათა კრებული. -2011, - ტ. 116. გვ.47-49.; ქართ რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებული კვლევების შედეგად შემოთავაზებულია მდინარის ჩამონადენის გაანგარიშების ფორმულა ჩამონადენის დაწყებიდან მის შეწყვეტამდე, რომლითაც განისაზღვრება წყლის ხარჯი (მოცულობა) t-დორის ნებისმიერი მომენტისათვის როგორც ჩამონადენის მატების, ასევე კლების ფაზისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დამშრობი სისტემების პროექტირებისას.

#### უაკ 551.48.482.215.1

წლის სხვადსხვა პერიოდისათვის მდ. ნატანების ჩამონადენის ტრენდი, ციკლურობა და პერიოდულობა/გ.გრიგოლია, თ.ცინცაძე, ვ. ტრაპაიძე, ნ.ხუფენია, გ.ბრეგვაძე, ო.შველიძე/ პმი-ს შრომათა კრებული - 2011 - ტ.116. გვ.49-51-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მდ.ნატანების ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესწავლისათვის გაანალიზებულია ჩამონადენის ტრენდი, ციკლურობა და პერიოდულობა სხვადასხვა კრიტერიუმებისა და ხერხების გამოყენების შეფასებით.

#### უაკ 556.16.06

**აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დარაიონება მდინარეთა წყალდიდობების ჩამონადენის მიხედვით.** /ბასილაშვილი ც./ პმი-ს შრომათა კრებული - 2011 - ტ.116. გვ.51-54-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიაზე მდინარეთა წყალდიდობების ჩამონადენის მიხედვით გამოყოფილია 10 სხვ.დასხვ. წყლის რეზიმის ტიპის რაიონი. შედგენილია შესაბამისი

რეგა და მოცემულია ცალკეული რაიონისათვის წყალდიდობების პერიოდები, მათი ჩამონადენის წილი (%) წლიური ჩამონადენიდან და უხვწყლიანი თვეები შესაბამისი წილით (%). ამ მონაცემების გამოყენებით მიღებულია მარტივი ფორმულები შეუსწავლელ მდინარეთა წყალდიდობის პერიოდისა და უხვწყლიანი თვის ჩამონადენის მნიშვნელობების გასაანგარიშებლად სხვდასხვ. განზომილებით.

#### უაპ 551.578.48

თოვლის ზვავების მონიტორინგის საფუძვლებისა და მოწყობის რეკომენდაციები. /ლ.ქალდანი, მ.სალუქაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჯარაძე/. პმი-ს შრომათა კრებული.-2011.-ტ.116.-გვ.54-56-ქართ.; რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

დადგენილია, რომ ზვავების მონიტორინგის საფუძველია ზვავწარმომქმნელი ფაქტორებისა და ზვავსაშიშროების იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სწორი და ეფექტური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესამუშავებლად; ხოლო ზვავების მონიტორინგმა კი უნდა უზრუნველყოს ამ მახასიათებლების თავისებურებების გამოვლენა დაკვირვების, აღწერისა და კონტროლის საშუალებით.

#### უაპ 551

ახალქალაქი – კარწახის ახალი რკინიგზის მშენებლობის ტრასაზე თოვლის საფარის თავისებურებანი და მათთან დაკავშირებული სიძნელეების თავიდან აცილების რეკომენდაციები. /ცომაია გ/ პმი-ს შრომათა კრებული – 2011 – ტ.116. გვ.57-62-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს. ახალი რკინიგზის ტრასის 21 კმ-ის სიგრძეზე, რომელიც მდებარეობს 1800-1900 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, შესწავლილია თოვლის საფარისა და მასთან დაკავშირებული ნამქერიანობის, ასევე მათი მაფორმირებული ფაქტორების განაწილების თავისებურებანი. დადგენილია, რომ ტრასა მოქცეულია საშუალოზე ძლიერ კატეგორიის ნამქეროვლდაგროვების ზონაში. გზის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა 11 კმ-ის სიგრძეზე ტყის საფარის გაშენება ფიჭვის ნერგებისაგან, 2 კმ-ს მანძილზე 2 რიგის რკინა-ბეტონის ანუ ხე-ფიცრულის ღობეების დადგმა.

#### უაპ 551

შიდა ქართლის ზოგიერთი მდინარის მყარი ჩამონადენის გაანგარიშება ენერგეტიკული პრინციპის გამოყენებით/გ. ალავერდაშვილი, ნ. ცინცაძე, ნ. კოკაია ნ. ხუფენია/. პმი-ს შრომათა კრებული -2011.-ტ.116.-გვ.66-69-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

1959-1974 წლებში პიდროპროექტის მიერ მდ. არაგვზე წარმოქმდებული დაკვირვების მასალების მიხედვით ს. ჟინვალთან მყარი ჩამონადენი შეადგენს 901,1 ათას ტონას წელიწადში, ამავე პერიოდის მყარი ჩამონადენი მდ. ქსანზე ს. კორინთასთან 168 ათასი ტონის ტოლია.

ენერგეტიკული პრინციპის გამოყენებით გაანგარიშებული მყარი ჩამონადენი მდ. ქსანზე შეადგენს 171 ათას ტონას წელიწადში. ანალოგად გამოყენებული იქნა მდ. არაგვი. ასეთივე სახით გაანგარიშები მოხდა შიდა ქართლის მყარი ნატანის ჩამონადენის მხრივ ნაკლებად შესწავლილ რიგ მდინარეებზე: დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, მეჯუდა, ლეხურა, თეძამი, კავთურა. მიღებული შედეგები საიმედოა და საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ იგი სხვადასხვა პიდროპრექტის ნაგებობების აშენების შემთხვევაში და ასევე იმისათვის, რომ აღნიშული მეთოდი გამოყენებულ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მდინარეთა აუზებისათვისაც.

#### უაპ. 631-402

დაშრობის ოპტიმალური სქემის განსაზღვრის მეთოდი მექანიკური წესით დაშრობის შემთხვევისათვის/ ჯ. ფანჩულიძე, უ. მამასახლიისი/პმი-ს შრომათა კრებული. -2011, - ტ.116.გვ.69-70-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სათანადო საპროექტო, საარქივო და დაკვირვებების შედეგად მიღებული პიდროლოგიური მასალების შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული ანალიზური ფორმულების საშუალებით განისაზღვრება წყალმიმდებიდან შეტბორვის გავრცელების ზონის საზღვრები და გადასატუმბ მაქსიმალურ სარჯზე მარეგულირებელი მოცულობის გავლენა.

მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა შეირჩეს მექანიკური წესით დაშრობის ოპტიმალური სქემა და სატუმბი სადგურის წარმადობის რაციონალური სიდიდე.

უაკ 551.583

კლიმატის ცვლილების პოლიტიკის თავისებურებანი საქართველოში. /ბ. ბერიგაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული -2011-ტ.116.-გვ.71-77-რუს. რეზ. ქართ. ინგნ. რუს.

განხილულია საქართველოში ბოლო 12 წლის მანძილზე კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებული პროექტები, რომლებიც შეეხება როგორც კლიმატის ცვლილების კონკრეტის მიმართ ძირითადი ვალდებულებების შესრულებას, ასევე კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს: ენერგოეფექტურობას, განახლებადი ენერგიების ათვისებას, სუფთა განვითარების მექანიზმის დანერგვას, საადაპტაციო ღონისძიებათა განხორციელებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. ჩამოყალიბებულია ძირითადი პრინციპები საქართველოში კლიმატის ცვლილების პოლიტიკის გასატარებლად.

უაკ: 551.58

მაღალი გარჩევისუნარიანობის ბაზის წერტილებში საშუალო თვიური ტემპერატურისა და ნალექების მონაცემთა მასივის შექმნა საქართველოში კლიმატის გლობალური ცვლილების შეფასებისთვის./ მ.ტატიშვილი, მ.ელიზბარაშვილი/ პმი-ს შრომათა კრებული - 2011 - ტ.116. გვ.78-82-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წინამდებარე შრომაში წარმოდგენილია საქართვლოსთვის ახალი 25X25კმ. ბადური თვიური საშუალო ტემპერატურის და ნალექების მონაცემთა მასივის შექმნა და ვალიდაცია, რომელიც მოიცავს 1936-2008წ. პერიოდს და გაითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიის როულ პირობებს. მონაცემთა მასივი შეიქმნება 1936-2008წ. საშუალო თვიური ტემპერატურის და ნალექებისთვის, ტემპერატურის და ნალექების თვიური ანომალიური ველების დამატებით. ყველა მონაცემი წერტილოვნად შეფასდება და გაივლის სტატისტიკურ ანალიზს ინტერპლაციის შეცდომებისთვის, როგორც გეოგრაფიული მდებარეობის, ელევაციის (სიმაღლის) და წლის დროითი ფუნქცია. გამოყენებული ინტერპოლაციის მეთოდი გაითვალისწინებს სხვადასხვა სივრცეული მასშტაბის შესაძლო ოროგრაფიულ ეფექტებს და რელიეფ-კლიმატის რეგიონალურ და სეზონურ ურთიერთობების ცვლილებებს. ინტერპოლაციის სიზუსტე შემოქმდება ურთიერთ-სანდოობის საშუალებით. ეს გამოვლენს ანომალიური ველების სივრცეული ვარიაციის ნათელ სურათს.

უაკ 551.5

ქარის სიჩქარისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილება კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე (მეტეოსადგურ-ფოთის პორტის მაგალითზე). /მ.კორდახია/. პმი-ს შრომათა კრებული - 2011-ტ.116.-გვ.82-84-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ქარის სიჩქარისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილება ქ. ფოთში დაკვირვების სრული პერიოდისათვის. კლიმატის ცვლილების გავლენის დადგენისათვის დაკვირვების სრული პერიოდი გაიყო ორ ქვეპრიოდად. მათი ერთმანეთთან შედარებით დადგინდა, რომ მეორე ქვეპრიოდში ქარის სიჩქარისა და ჰაერის ტემპერატურის სიდიდე შემცირდა.

უაკ 551/583

ურავის წესის წყალსაცავის შესაძლო გავლენის შეფასება გარემოს კლიმატზე. /რ. სამუკაშვილი/, პმი-ს შრომათა კრებული, 2011, ტ.116, გვ.85-88-ქართ., რეზ., ქართ., ინგ., რუს.

სივრცეულ-სხვაობათა მეთოდის და მ. ტიმოფეევის ფორმულის გამოყენებით შეფასდა ურავის კესის წყალსაცავის შესაძლო გავლენა გარემოს კლიმატურ მახასიათებლებზე (ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ატმოსფერული ნალექები). დადგენილია, რომ ურავის კესის წყალსაცავის აშენების შედეგად გარემოს კლიმატური მახასიათებლების არსებითი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ცხრ. 4, ნახ. 1, ლიტ. დასახ. 6.

უაკ: 551.583

კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებები საქართველოს მოწყვლად რეგიონებში/ბ.ბერიგაშვილი, მ.შვანგირაძე/ პმი-ს შრომათა კრებული - 2011 - ტ.116. გვ.89-93-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მიმართ საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინების ფარგლებში მომზადებული 14 საპროექტო წინადადება, რომელიც მიმართულია კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებლად და სათბურის გაზების ემისიის შესამცირებლად საქართველოს 3 რეგიონში: შავი ზღვის სანაპირო ზონაში, დედოფლისწყაროს რაიონში და ქვემო სვანეთში. აღწერილია

პროექტებში დაგეგმილი საქმიანობა და მოყვანილია პროექტების საორიენტაციო დირექტულება.

უაპ. 6 32155027

ატმოსფეროს დაჭუჭუიანების მათემატიკური მოდელირება ექსტრემალურ შემთხვევებში/ი.სამხარაძე თ. დავითაშვილი, ნ. ზოტიკიშვილი, გ. გელაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული -2011-ტ.116-გვ.93-96-ინგლ. რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

მათემატიკური სტატისტიკური და ემპირული მოდელებით შესწავლილია გარემოს (ლოკალური, რეგიონალური, და გლობალური მასშტაბების) შესაძლო გაბინძურება საქართველოსა და შეა აღმოსავლეთის ტერიტორიებისათვის. წარმოდგენილია რიცხვითი გათვლების შედეგები.

უაპ 556.16.06

შავი ზღვის დაბინძურების ცვლილების ზოგიერთი ასპექტები/გ.გუჭავაძ. არაბიძე, ე.ბაქრაძე, ე.შუბლაძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული – 2011- ტ.116. გვ.96-100-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს. ნაშრომში ნაჩვენებია შავი ზღვის სანაპირო ზოლში 2006-2008 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები. განსაზღვრულ იქნა ძირითადი იონების ( $\text{Na}^+$ ,  $\text{K}^+$ ,  $\text{Mg}^{++}$ ,  $\text{Ca}^{++}$ ,  $\text{SO}_4^{--}$ ,  $\text{Cl}^-$ ,  $\text{HCO}_3^-$ ,  $\text{CO}_3^{--}$ ), ბიოგენური ელემენტების ( $\text{NO}_2^-$ ,  $\text{NO}_3^-$ ,  $\text{NH}_4^+$ ,  $\text{NH}_3$ ,  $\text{PO}_4^{--}$ ) შემცველობები და ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების (pH, ოქმერატურა, მარილიანობა) სიდიდეები. კვლევები ჩატარდა სანაპირო ზოლის 5 წერტილში (ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, სუფსა, ნაგანები), 5 სიღრმეზე (0, 10, 20, 50, 60 მ). გაანალიზდა აღნიშნული ინგრედიენტების ცვლილების დინამიკა 2000 წლიდან და გაპეტდა დასკვნები შავი ზღვის სანაპირო ზოლის საგარაუდო დაბინძურების შესახებ.

უაპ. 6 32155027

ავარიული დაღვრის შედეგად ზღაში ნავთობის გავრცელების ორგანზომილებიანი ამოცანის რიცხვითი მოდელირება/თ. იმნაძე, ნ. ბეგალიშვილი, თ. დავითაშვილი, დ. დემეტრაშვილი/ ჰმი-ს შრომათა კრებული -2011-ტ.116-გვ.100-105-ინგლ. რეზ. ქართ. ინგლ., რუს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია შავ ზღვაში ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების მათემატიკური მოდელი. ზღვაში ავარიული ჩაღვრების მოდელირებისათვის გამოყენებულია სამი სცენარი: პირველი – წრფივი დაღვრა, რომლის ვრცელდება 2,5 მ მანძილზე ბათუმის პორტის მახლობლად; მეორე – 10 კმ-იან ქობულეთი-მახინჯაურის სარკინიგზო მონაკვეთზე, სადაც სატვირთო შემადგენლობა მოძრაობს ფაქტიურად სანაპირო ზოლის გასწვრივ; მესამე სცენარი იმეორებს მეორე სცენარს მდ. სუფსის მახლობლად, სადაც ნავთობი აღწევს მდინარის ნაპირს.

უაპ 631.42/43

დამლაშებულ და ბიცობიან ნიადაგებში ტოქსიკური და არატოქსიკური მარილების შემცველობა. /ლ.შავლიაშვილი, გ.გუჭავა, ლ.ინწკირველი, ნ.ტუღუში/. ჰმი-ს შრომათა კრებული. – 2011. – ტ.116. – გვ. 106-109-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში ნაჩვენებია დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისათვის ქიმიური მელიორანტის-დეფეკტის გამოყენება, რის შედეგადაც უმჯობესდება ნიადაგში მარილთა რეჟიმი და შთანთქმული კათიონების შემცველობა, ბიცობ პორიზონტებში დაბლა იწევს დისპერსიულობის ზღვარი, აქტიურდება მიკრობიოლოგიური და კოლოიდურ-ქიმიური ხასიათის პროცესები. ზემოთ აღნიშნული განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას.

ბიცობიან ნიადაგებში ადვილად ხსნადი მარილების შემცველობის მიხედვით მელიორაციამდე და მელიორაციის შემდეგ გამოანგარიშებული იქნა არატოქსიკური და ტოქსიკური მარილების საორიენტაციო შემცველობა

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული  
ტომი № 117**

წინამდებარე კრებულში შესულია აკადემიკოს გივი სვანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე „პიდრომეტეოროლოგიის აქტუალური პრობლემები“ მოსმენილი მოხსენებები. შესაბამისი სტატიები წარმოდგენილია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით: წყლის რესურსების პროგნოზები და მართვა, საინჟინრო პიდროლოგია; მეტეოროლოგია, კლიმატი და მისი ცვლილება, ამინდის მოდიფიკაცია; ბუნებრივი გარემოს დაბინძურება; პიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პროცესების მოდელირება.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

**წყლის რესურსების პროგნოზები და მართვა, საინჟინრო პიდროლოგია**

**უაკ 551.482.215.3**

კატასტროფული წყალმოვარდნების პროგნოზირება/დ. კერესელიძე, ვ.ტრაპაიძე, გ.ბრეგვაძე, გ.გრიგოლია, გ.დოხნაძე/.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.- ტ.117.-გვ. 14-16.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩვენი პლანეტის მრავალი რეგიონი კატასტროფული წყალმოვარდნების საფრთხეს განიცდს. მრავალრიცხოვანი კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კატასტროფული წყალმოვარდნების პროგნოზირების სხვადასხვა დეტერმინისტული მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პროგნოზის სიზუსტეს, რადგანაც ისინი წყალმოვარდნის პროცესში მონაწილე სხვადასხვა მახასიათებლებს უგულვებელყოფენ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ალბათური მეთოდების გამოყენება, რომელიც საკმაო სიზუსტით გამოსახავენ წყალმოვარდნების ფიზიკურ არსეს. ნაშრომში წყალმოვარდნათა კატასტროფული ხარჯების მახასიათებლების პროგნოზირებისათვის გამოყენებულია შემთხვევითი პროცესის თეორიის მეთოდები, კერძოდ დონეების გადაკვეთის თეორია (ამოვარდნათა თეორია) მისი საშუალებით დადგენილია მაქსიმალური ხარჯების ამოვარდნის საშუალო რიცხვი დროის გარკვეულ შუალედში, ხანგრძლივობა და დროის ინტერვალი წყალდიდობის კატასტროფულ ხარჯებს შორის. ამ მახასიათებლების მისაღებად აუცილებელია შემთხვევითი ფუნქციის ორდინაციის ცვლილების სიჩქარის დისკერსიის ცოდნა. იგი დადგენილია ორი მეთოდით: კორელაციური ფუნქციისა და კოტელნიკოვ-შენონის მეთოდით. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ორივე მეთოდით მიღებულ სიდიდეებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა, ამიტომ კატასტროფულ წყალმოვარდნათა ხარჯების ამოვარდნათა საშუალო რიცხვის და ხანგრძლივობის ანგარიში მიზანშეწონილია კოტელნიკოვ-შენონის უფრო მარტივი მეთოდით.

**უაკ 556.16.06**

წყალდიდობების პროგნოზირება შიდა ქართლის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის. საფრთხოების მასა და მართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, 2011, ტ.117.გვ.16-19 ქართ. რეზ. ქართ. რუს. ინგ.

მოცემულია მდ. დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ქსნის მაქსიმალური ხარჯების დაზუსტებული მახასიათებლები და ალბათური მნიშვნელობები. მიღებულია მათი მრავალწლიური დინამიკის ამსახველი ტრენდები. შედეგებით მათი გრძელვადიანი საპროგნოზო მეთოდიკა. მოსალოდნებლი საშიშროების შემთხვევაში, წყლის სტიქიის შერბილების მიზნით, დასახულია გარკვეულ დონისძიებათა რეკომენდაციები.

**უაკ:551.58.001.57.550.3:504**

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა როგორც წყალდიდობების პრევენციის საფუძველი მდ. მტკვრის აუზში/მამედოვი რ., ისმატოვი თ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.- ტ.117.-გვ. 19-23.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია წყალდიდობების სიხშირე და მიზეზები აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში. წყალდიდობების მართვისათვის მდ. მტკვრის აუზში, კერძოდ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, შემოთავაზებულია წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული მეთოდი. ამასთან ერთად აღინიშნება იურიდიული და ორგანიზაციული ბაზის არარსებობა ამისათვის. წყალდიდობების მართვის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი არის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შეშვეობით მიღებული მონაცემების გამოყენება. შემოთავაზებული მეთოდის წარმატება დამოკიდებულია სათანადო ხელშეკრულებების დადებაზე და ინფორმაციის გაცვლაზე.

სტატიის ბოლოს წარმოდგენილია მდ. მტკვარზე წყალდიდობების და დატბორვების მართვის საინფორმაციო მოდელი.

## უაპ 551

სევანის ტბის ბუნებრივი ჩამონადენის გრძელვადიანი პროგნოზი და მოწყვლადობის შეფასება კლიმასტის ცვლილების გავლენის გათვალისწინებით/გ.ნიკოგოსიანი, გ.მელქონიანი, კაირაპეტიანი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-გ.117.-გვ. 24-27.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში წარმოდგენილია სევანის ტბის თავისუფალი ჩამონადენის გრძელვადიანი პროდნოზის მეთოდიკა ფიზიკურ-სტრუქტური მეთოდით ბუნებრივი ღონიდან 12 და 18 მეტრით ქვემოთ მარკირებისთვის. 5 მოქმედი სევანის აუზის მეტეოროლოგიური სადგურის 1927-2009წ. მასალების გამოყენებით დადგენილია მრავალფაქტორიანი კავშირები თავისუფალ ჩამონადენს, ტემპერატურას და ნალექებს შორის ამ დონეებისათვის. განხილულია პროგნოზის გამართლება მიღებული განტოლებების საშუალებით. კლიმატური სცენარებით შეფასებულია სევანის ტბის თავისუფალი ჩამონადენის მოწყვლადობა ტემპერატურის და ნალექების სხვადასხვა სცენარებით ბაზისის მიმართ.

### უაპ.551.578.46

**თოვლის ზვავები საქართველოში.** /ლ. ქალდანი, მ.სალუქვაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-გ.117.-გვ. 27-29-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მრავალწლიანი დაკვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია ზვავსაშიში ტერიტორიის საზღვრები. განხილულია 2550 ზვავშემკრები, რომლებიც დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტისათვის წარმოადგენენ საშიშროებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 338 დასახლებული პუნქტი ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს.

### უაპ: 551.58.001.57.550.3:504

კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა აზერბაიჯანის პიდრომეტეოროლოგიურ პირობებზე /მაჰმუდოვი რ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-გ.117.-გვ. 30-33.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში ნაჩვენებია კლიმატის ცვლილების ფაქტები დედამიწაზე და გამოკვლეულია კლიმატის ცვლილების შემქმნელი მიზეზები. გაანალიზებულია კლიმატის ცვლილების რეალური შედეგები აზერბაიჯანისათვის და დადგენილია საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდა  $0.8^{\circ}\text{C}$  მრავალწლიურ ნორმასთან შედარებით. ინსტრუმენტული დაკვირვების პერიოდში მაქსიმალური ტემპერატურა აღინიშნებოდა ჯულიაში და ორდუბადში  $+46^{\circ}\text{C}$  (01-02 აგვისტო 2000წ.).

გაანალიზებულია ტემპერატურის მომატება სეზონების მიხედვით მრავალწლიურ ნორმასთან შედარებით (1961-1999 წწ.).

სტატიაში განხილულია ტემპერატურის ცვლილება მაღლობებზე და ნაჩვენებია ტემპერატურის ზრდა განსაკუთრებით 1000მ ზევით მაღლობებზე. აქ ტემპერატურის ზრდაში შეადგინა  $+1.4^{\circ}\text{C}$ . გაანალიზებულია კასპიის ზღვის დონის რეევალობა 1837-2010 წწ. პერიოდში. 2010 წელს კასპიის ზღვის დონემ დაიწია 9 სმ 2009 წელთან შედარებით და შეადგინა -27.5 მ. კლიმატური სცენარების მიხედვით 2016 წლისათვის ზღვის დონე დაიწევს 10-12 სმ 2010 წელთან შედარებით.

2010 წელს იმატა პიდრომეტეოროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ლოკალური პროცესების და ბუნებრივი კატასტროფების დინამიკა. მდ.მტკვრის ქვედა ნაწილში მუდმივმა დატბორვებმა მიაყენეს რესპუბლიკას 500 მლნ დოლარის ზარალი.

შაპ: 551.58

კასპიის ზღვის აზერბაიჯანის აკვატორიაში პაერის ტემპერატურის რეჟიმზე კლიმატის ცვლილების გავლენა/ზ.ალახევრდიევი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 33-35.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია კასპიის ზღვის აზერბაიჯანის აკვატორიაში პაერის ტემპერატურის რეჟიმზე კლიმატის ცვლილების გავლენა.

გამოკვლევების ჩასატარებლად გამოყენებული იქნა 1961-2008 წლების პაერის ტემპერატურაზე დაკვირვებათა მონაცემები. აღნიშნული მონაცემები გაანალიზებულია ტემპერატურების ნორმებთან შედარებით, რომლებიც განსაზღვრულია 1961-1990 წლებში. ამ გამოკვლევების შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. კლიმატის ცვლილების ხანგრძლივობის მანძილზე, რომელიც დაიკვირვება 1991-2008 წლებში კასპიის ზღვის აზერბაიჯანის აკვატორიაში პაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა 0.5 -ით აღემატება ტერიტორიისათვის დამახასიათებელ ტემპერატურას.
2. აზერბაიჯანის აკვატორიის პაერის ტემპერატურის მარება ძირითადად დაიკვირვება გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის სეზონებში.

შაპ 551.501;551.508

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ანალიზი კავკასიონის სამხრეთ ფერდობების მდინარეთა ჩამონადენის ფორმირებაზე /მუსაევა მ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 35-37.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში გაანალიზებულია ფაქტორები, რომელიც ახდენს გავლენას მდინარეების ჩამონადენის ფორმირებაზე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. როგორც იყო აღნიშნული, 1961-2009 წლებით ჩამონადენის მოდულის ცვლილება სიმაღლიდან გამომდინარე გვიჩვენებს ზრდას სიმაღლის ყვლა ინტერვალისათვის. ამ რეგიონში არ არსებობს გარიაციის კოეფიციენტის ცვლილების კანონზომიერება სიმაღლესთან შედარებით.

შაპ 556

ჯვრის წყალსაცავის გავლენა ზოგიერთ მეტეოროლოგიურ ელემენტზე/ვ.გელაძე, ნ.ბოლაშვილი, თ.ყარალაშვილი, ნ.მაჭავარიანი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 38-40.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილ ნაშრომში შეფასებულია ჯვრის წყალსაცავის გავლენა პაერის ტემპერატურაზე, ტენიანობასა და ატმოსფერულ ნალექებზე. მეტეოროლოგიური ელემენტების მნიშვნელობებზე წყალსაცავის ზეგავლენის გამოვლენის მიზნით გამოყენებულია შემთხვევით სიღირდეთა რიგების სტატისტიკური ერთგვაროვნების (არაერთგვაროვნების) შეფასების პარამეტრები (სტიუდენტი, ფიშერი) და არაპარამეტრული (უილკოქსონის) კრიტერიუმები.

შაპ 556.123+627.4(048)

ზღვრული გაჯერების მოდელის პარამეტრების შეფასება მაქსიმალური დგარცოფული ჩამონადენის გაანგარიშების მეთოდებში. /ხერხეულიძე გ. ი./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 40-43.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განიხილება დგარცოფული ნაკადის მყარი შემდგენით ზღვრული გაჯერების კონცენტრის საფუძვლები რომლის დროს ჯერ კიდევ შესაძლებელია მისი მოძრაობა; მოცემულია ზღვრული გაჯერების მოდელის პარამეტრები, რომლებიც გამოიყენება დგარცოფის მახასიათებლების გაანგარიშებაში, და მათი სრულყოფის რეკომენდაციები.

შაპ 551.48.212(479.24)

დგარცოფის კლასიფიკაცია და შეფასება. /ჯ.მამედოვი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 43-46.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ერთნაირი ინტენსიური, ძლიერი წვიმების შედეგად სხვადასხვა სიღიღის მდინარეების აუზებში წარმოიქმნება სხვადასხვა მოცულობის დაზრცოფი. დადგენილია, რომ ძლიერი წვიმების შემთხვევაში მდინარეებზე მაღალმთიან რაიონებში გამოტანის კონუსამდე მიმართულებით, უკანასკნელში შეიქმნება კატასტროფული დაზრცოფი.

#### უაკ 551.49

საქართველოში მდინარეთა მიწისქვეშა ჩამონადენის გამოკვლევა და გრუნტის წყლების მარაგის შეფასება /ნ.ა.ბეგალიშვილი, თ.ცინცაძე, ვ.ცომაია, კ.ლაშაური, ნ.ნ.ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 46-50.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მდინარეთა მიწისქვეშა ჩამონადენისა და გრუნტის წყლების მარაგის შეფასების სქემა, რომელიც დაფუძნებულია ცივი პერიოდის მინიმალური საშუალო თვის ჩამონადენის დაკვირვებულ მონაცემთა გამოყენებაზე. შედარებულია ამ სქემით და პიდროგრაფის დანაწევრებით მიღებული შეფასებები. აღნიშნულია მათი მისაღები თანხვედრა, გათვლების ოპერატორება, შედეგების ობიექტებისა და სამედოობა. გამოკვლეულია ჩამონადენის კავშირი მიწისქვეშა საზრდოობასთან, გრუნტის წყლების დინამიკის, ტერიტორიული განაწილების, ადგილმდებარების სიმაღლეზე დამოკიდებულების თავისებურებანი საქართველოს მდინარეებისთვის.

#### უაკ 551.578.46

მესტიის რაიონის ზვავსაშიშროება. /გ. სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ. 51-53.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია მესტიის რაიონის ზვავსაშიშროება. გამოვლენილია 61 სოფელი რომელსაც ზვავი ემუქრება. ტერიტორიაზე ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით გამოიყო სუსტი, საშუალო და ძლიერი ზვავსაშიში უბნები. წარმოდგენილია პასიური და აქტიური ზვასაწინააღმდეგო ღონისძიებები.

#### უაკ 556.16

წყალდიდობა-წყალმოვარდნების კატასტროფული გამოვლინებები დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე. /ბასილაშვილი ც., ტაბატაძე ჭ., ჯანელიძე მ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 53-56.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე გავლილი წყალდიდობა-წყალმოვარდნები ისტორიული, ინფორმაციული და ლიტერატურული წყაროებისა და აგრეთვე ათეული წლების მანძილზე მიმდინარე სტაციონალური დაკვირვებებისა და ექსპედიციური სამუშაოების ანალიზის საფუძველზე. აღწერილია როგორც თვით მოვლენები, ასევე მათ მიერ გამოწვეული ზარალი.

#### უაკ 551.535.6.574.

სოფელ იყალთოს სასმელი წყლით მომარაგების ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების ღონის/ დიაკონიძე რ.კ., მამასახლიისი უ.გ., თევზაბე თ.კ., ჩახაია გ.გ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 19-26.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს

სტატიში განხილულია კახეთის რეგიონის სოფელ იყალთოს სასმელი წყლით მომარაგების ეკოლოგიური პრობლემის საკითხი და დასკვნების სახით წარმოდგენილია აღნიშნული პრობლემის დარეგულირების ღონისძიებები.

შემოთავაზებულია სასმელი წყლის მარაგის დამატებითი, არსებულის ალტერნატიული ვარიანტები.

#### მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია

##### უაკ 551.46(262.5)+551.501.771

თანამგზავრული მონაცემების გამოყენება შავი ზღვის ოპერატიული რიცხვითი პროგნზირების ტექნოლოგიური ხაზის შესაქმნელად კორდახია გ., შენგალია ლ., თვაური გ., ჭითანავა

რ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011-ტ.117-გვ.59-61. ინგ.: რეზ. ქართ., ინგ., რუს.  
განხილულია თანამგზავრული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრული შავი ზღვის ზედაპირის ტემპერატურული მონაცემების გამოყენების საკითხები შავი ზღვის მდგომარეობის ოპერატორი რიცხვითი პროგნოზირების ტექნოლოგიური ხაზის შექმნისათვის.

### უაპ 551.583

გასული საუკუნის მეორე ნახევარში კლიმატის ცვლილების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე/ბ.ბერიტაშვილი, ნ.კაპანაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117-გვ. 61-63.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურისა და ნალექთა წლიური ჯამების ცვლილება 1955-2005 წწ. პერიოდში საქართველოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაზე მდებარე 8 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით. ცვლილების შესაფასებლად შედარებულია 1955-1970 და 1990-2005 წწ. ქვეპერიოდების საშუალოები. მიღებულია, რომ დასავლეთ საქართველოს კლიმატურ ოლქში გავლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაიზარდა  $0.2-0.4^{\circ}\text{C}$  ფარგლებში და ნაზრდმა საშუალოდ შეადგინა  $0.3^{\circ}\text{C}$ . იგივე საშუალო ნაზრდი გამოვლენილ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ ოლქიც, თუმცა ცალკეულ სადგურებზე მისი მნიშვნელობა იცვლებოდა  $0.0$ -დან  $0.6^{\circ}\text{C}$ - მდე. სამხრეთ საქართველოს კლიმატურ ქვეოლქში ნაზრდმა შეადგინა  $0.2^{\circ}\text{C}$ . იმავე პერიოდებს შორის ნალექთა წლიური ჯამები დასავლეთ საქართველოში გაიზარდა საშუალოდ  $9\%-ით$ , აღმოსავლეთ საქართველოში კი საშუალოდ არ შეცვლილა, მაშინ, როდესაც სამხრეთ საქართველოში აღინიშნა მათი უმნიშვნელო დაკლება  $3\%-ით$ .

### უაპ 551.58.583

ექსტრემალური კლიმატური მოვლენების ცვლილების სამომავლო სცენარები საქართველოს პირობებისათვის/ კუტალაძე ნ., მეგრელიძე ლ., დეკანოზიშვილი ნ., ელიზბარაშვილი მ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117-გვ. 64-66.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომის მიზანია ექსტრემალურ მოვლენებთან დაკავშირებული ტემპერატურისა და ნალექების გრძელვადიანი პროგნოზირება საქართველოს ტერიტორიისათვის რეგიონული კლიმატური მოდელის სიმულაციების საფუძველზე ექსტრემალურ მოვლენათა განმეორებადობის მომავალი პოტენციური ცვლილების შეფასებებზე დაყრდნობით.

მიზნის მისაღწევად ჩატარებული იქნა გლობალური კლიმატური მოდელები/რეგიონული კლიმატური მოდელების შედეგების დეტალური და სისტემატური ურთიერთშედარება და ვარგისიანობის შემოწმება, დაკვირვებებთან შედარებით, განსაკუთრებული ხაზგასმით ექსტრემალურ მოვლენებზე, და მასშტაბების მეთოდების (სტატისტიკური, დინამიკური) საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ექსტრემალურ მოვლენების სცენარების ასაგებად იმ დროითი და სივრცული მასშტაბებით, რომლებიც ყველაზე საჭიროა 2021-2050 წწ. პერიოდისათვის.

ტემპერატურისა და ნალექების დღედამურ დროით რიგებში განისაზღვრა ექსტრემალური მნიშვნელობები ფიქსირებულ ზღურბლოთან მიმართებაში; (როგორიცაა ნალექების რაოდენობა  $>25$ ,  $50$ ,  $90$  მმ-ზე, SU25, TR20, FDO, IDO);

### უაპ 550.385:523.9

მზის აქტივობისა და სახიფათო მეტეოროლოგიურ მოვლენათა (სმმ) ციკლური დინამიკა ჩრდილოეთ კავკასიაში/ფ. ა. ხორგუანი, მ.პ. აგზაგოვა/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117-გვ. 66-68.- რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ურთიერთკავშირი სახიფათო გეოფიზიკურ მოვლენებსა და მზის აქტივობას შორის. საშუალო წლიურ, სეზონურ და დროის მიხედვით განაწილებულ სახიფათო მეტეოროლოგიურ მოვლენათა ციკლურ დინამიკასა და დროის შესაბამის პერიოდებში მზის აქტივობის ცვლილებებთან. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: მზის აქტივობის დროითი W-ს საშუალო თვიური განაწილება საგამოდ სინქრონულია სმმ განაწილებასთან და კორელაციის კოეფიციენტი

0,82-ია, საშუალოდ კი 0,77– ის ტოლია; სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენებით გაჯერებული წლები მზის მაქსიმალური აქტივობით ხასიათდება და პირიქით, მზის დამცხრალი აქტივობის წლებში ამ მოვლენათა ინტენსივობა დაქვეითებულია.

უაპ: 551

**გვალვიანობის დინამიკა საქართველოში გლობალური დათბობის ფონზე/ნ.ა.ბეგალიშვილი, თ.ცინცაძე, ვ.შელია, კ.ლაშაური, ნ.ნ.ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117.-გვ. 68-73.-რუს.; რეზ.ქართ., ინგლ., რუს.**

მოცემულია საქართველოში გვალვის დინამიკის კვლევის შედეგები 1951-2007 წლებში ადრე არსებული და ამჟამად მოქმედი 49 მეტეოროლოგიურის მონაცემთა საფუძველზე სავაგეტაციო ყველა თვეების მიხედვით (მაისი-სექტემბერი). გვალვის ინტენსივობის განსაზღვრა შესრულდებულია რუსეთის სახოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის სამცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული მეთოდიკის დახმარებით. იგი კომპლექსურად იყენებს 3 მეტეოროლოგიურ (ატმოსფერულ) და 2 აგრომეტეოროლოგიურ (ნიადაგის) მაჩვინებლებს. გამოყოფილია ყველაზე გვალვიანი სადგურები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში: თბილისი, გარდაბანი – ქვემო ქართლში; საგარეჯო, შირაქი და დედოფლისწყარო – კახეთში. ამ სადგურების მონაცემთა მიხედვით ძლიერი და ძალიან ძლიერი გვალვა ფიქსირდება ზედიზედ არანაკლებ სამ ვეგეტაციურ თვეებში. ძლიერი გვალვის (კლასი 2) განვითარების მაქსიმალური ალბათობებია: გარდაბანი – 0.46, თბილისი – 0.30, საგარეჯო – 0.21, შირაქი და დედოფლისწყარო – 0.16. ყველა ისინი ფიქსირდება აგვისტოში და სექტემბერში.

გვალვის ინტენსივობის დროითი ცვლილების ამსახველი ტრენდების ანალიზი არ უჩვენებს გლობალური დათბობის გავლენას.

უაპ 517.958:[550.3+551.5]

**ჭექა-ქუხილი ჩრდილოეთ კავკასიაში და მზის აქტივობა/ა.ა. აჯიევა, ფ.ა. ხორგუანი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული - 2011-ტ.117.-გვ. 73-75.- რუს.; რეზ.ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილ მიმოხილვაში საუბარია თანამედროვე გეოფიზიკის ყველაზე აქტუალურ პრობლემათაგან ერთ-ერთზე, რომელიც ცხარე კამათის მიზეზადაც კი იქცა – მზის აქტივობის ზემოქმედებაზე ატმოსფეროს ქვედა ფენების მდგომარეობასა და ამინდზე. განხილულია ჭექა-ქუხილისა და მზის აქტივობათა ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებები ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე 1989–2002 წლებში. დადგენილია კორელაციური და-მოკიდებულებები ჭექა-ქუხილისა და მზის აქტივობათა შორის, რაც ხელმისაწვდომსა ხდის დროის განმავლობაში ჭექა-ქუხილის სიხშირის კანონზომიერებათა ზუსტ პროგნოზს. 5 ილუსტრაცია, ბიბლიოგრაფია – 7 დასახელება.

უაპ 551.582.2

**ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის სხვადასხვა კლიმატურ ზონებში ნალექების რეგიმის ცვლილების ანალიზი/გალავა ა., კეშევა ლ., სტასენკო დ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117.-გვ. 76-79.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

მოცემულია ატმოსფერული ნალექების რეგიმის ცვლილების ანალიზის შედეგები სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მთის წინეთის და ცტეპების ზონებში. ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებულია ოთხი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები: ატმოსფერილ ნალექთა რაოდენობაზე, დღეთა რიცხვი 5 მმ და მეტი ნალექიანობის; დღის მაქსიმალური ნალექი წლის სხვადასხვა სეზონში.

უაპ 630:551.58

**გლობალური დათბობის პირობებში აგროკულტურების გავრცელების ზონების და ორი მოსავლის მიღების სცენარები (2020-2050 წწ.დედოფლისწყაროს მაგალითზე) /გ.მელაძე, მ.მელაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011-ტ.117.-გვ.79-81.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შემუშავებულია დედოფლისწყაროს რაიონისათვის აგროკულტურების გავრცელების ზონებისა და ორი მოსავლის მიღების სცენარები (2020-2050 წწ.) გლობალური დათბობის გათვალის-

წინებით. დადგენილია, რომ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საბაზისოს მიხედვით შეადგენს 3360°, ხოლო მომავლის სცენარით, 2°-ით მატებისას 3930°. აღნიშვნული ტემპერატურათა ჯამი უზრუნველყოფს აგროელტურების ზრდა-განვითარებას, მაღალ პროდუქტიულობას და მეორე მოსავლის მიღებას. საგეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს საშუალოდ 190 დღეს, მომავლის სცენარით 210 დღეს. საბაზისო და მომავლის სცენარის მიხედვით გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები.

უაკ. 551.524

**საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ბუნებრივ-კლიმატური ოქსურსების შეფასება/ლ. ქართველიშვილი, ნ.შავიშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 81-84.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესწავლა აუცილებელია მათი აღორძინების მიზნით.100- ეკონომიკის სხვა დარგების მდგრადი განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი განსაზღვრა ეკონომიკის ისეთი დარგებისათვის, რომელიც მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ. ნაშრომში განხილულია შავი ზღვის სანაპირო ზონის ძირითადი კლიმატური პარამეტრების ცვლილებათა კანონზომიერებანი დროსა და სივრცეში.**

უაკ.582

**თოვლის საფარი შიდა ქართლის ტერიტორიაზე /სამუკაშვილი რ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 84-86.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

გაანალიზებულია თოვლის საფარის რეჟიმული მახასიათებლების ტერიტორიული განაწილების კანონზომიერებები.

უაკ.582

**ქარბუქი შიდა ქართლის ტერიტორიაზე/სამუკაშვილი რ., დიასამიძე ც./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 87-89.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

გამოკლეულია ქარბუქის რეჟიმული მახასიათებლებიდა მათი დამოკიდებულება ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე.

უაკ 551.58:613.1

**რეკრეაციული ზონების ბიოკლიმატური მახასიათებლები – საქართველოს საკურორტო-ტურისტული პოტენციალის მნიშვნელოვანი შემადგენელი/ამირანაშვილი ა., ჩიხლაძე ვ., სააკაშვილი ნ., ტაბიძე მ., თარსან-მოურავი ი./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 89-91.- ინგ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

მოყვანილია საკურორტო-ტურისტული პოტენციალის პასპორტის ძირითადი მაჩვენებლების აღწერილობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოკლიმატურ პარამეტრებს. მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები აღნიშნული პარამეტრების გამოყენებისა საქართველოს ზოგიერთი საკურორტო-ტურისტული რაიონების ბიოკლიმატური პირობების შესაფასებლად (პარეის ექვივალენტური ეფექტური და რადიაციული ექვივალენტური ეფექტური ტემპერატურა თბილისისათვის; ტურიზმის კლიმატური ინდექსი თბილისში, ბათუმში და ანაკლიაში). შეთავაზებულია შემუშავდეს საქართველოს საკურორტო-ტურისტული რესურსების (როგორც ადრე კარგათ ცნობილი, აგრეთვე ნაკლებად ცნობილი და პერსპექტიული) პასპორტიზაციის გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია შეიქმნას სახელმწიფო კომისია სპეციალისტების ფართო წრის მოზიდვით საქართველოს საკურორტო-ტურისტული რესურსების პასპორტიზაციის მეთოდოლოგიის შესაქმნელად უცხოური გამოცდილების და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

უაკ 551.58

**მესეეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსები/კაიშაური მ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ.92-94-ქართ.;რეზ.ქართ.,ნგლ. რუს**

ნაშრომში განსაზღვრულია მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის კურორტების და საკურორტო ადგილების ძირითადი კლიმატური მაჩვნებლები, განხილულია რაიონის საკურორტო ფაქტორები, შევასებულია საკურორტო რესურსები და განსაზღვრულია მათი სამკურნალო ფაქტორები.

### უაკ 615.834:613.1

**საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი – ქალაქ თბილისის რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი ოაზისი.** /ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ., სააკაშვილი ნ., ხატიაშვილი ე., თარხან-მოურავი ი., სიხარულიძე შ., ლაჩაშვილი ნ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117.-გვ. 94-96.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჰავრის ექვივალენტური ცემპტერული ტემპერატურა (ეეტ) წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიოკლიმატურ მახასიათებელს, რომელიც კავშირშია ადამიანების ჯანმრთელობასთან. მოყვანილია წინასწარი კვლევების მონაცემები ეეტ-ის შესახებ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე (2011 წლის ივლისი-აგვისტო).

ბოტანიკური ბაღის და მთავარი ჩანჩქერის ტერიტორიისათვის აგებულია ეეტ-ის განაწილების რუკები. ეეტ-ის განაწილება არაერთგვაროვანია და იცვლება  $24.3^{\circ}$ -დან  $26.8^{\circ}$ -დე (გრადაცია “თბილა”, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელი პირობა). ქალაქის სხვა უბნებში (გეოფიზიკის ინსტიტუტი და კუს ტბის ტერიტორია) ეეტ-ის მნიშვნელობა აღემატებოდა  $27^{\circ}$  (გრადაცია “ცხელა”, ადამიანის ჯანმრთელობისათვის არახელსაყრელი პირობა). განსაკუთრებით ხელსაყრელი თერმული პირობები შეინიშნება მთავარი ჩანჩქერის მახლობლად და თამარის ხიდის ქვემოთ მდინარე წავკისის მიდამოებში.

შემდგომში მიზანშეწონილია ჩატარდეს ეეტ-ის უფრო დეტალური კარტირებისაბა. ეს საშუალებას მოგვცემს დასვენებისათვის, რეაბილიტაციისათვის და ადამიანების მკურნალობისათვის განისაზღვროს სპეციალური ზონები ბაღის სხვა სასარგებლო თვისებებთან ერთობლიობაში (იონოთერაპია, ფიტოტერაპია, აეროტერაპია და სხვა).

### უაკ 551

**ატმოსფერული კატასტროფები და მათი გამომწვევი მიზეზების ამონსნა ატმოსფეროში ფარული ენერგიის არსებობის დაშვებით/გ.ბერია/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117.-გვ. 96-100.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ციკლონი, ტორნადო, ელჭექი, სეტეჭა, წყალდიდობა ატმოსფეროს სტიქიონის წარმონაჭმები ყოველწლიურად გადმოდიან შეტევაზე და ანადგურებენ ქალაქებს, ფლოტილიებს, მოსავალს. ზარალი იზომება ასეულობით მილიარდ დოლარებში, დაღუპულთა რაოდენობა მილიონობით ადამიანს აღწევს. თანამედროვე ცივილიზაცია ამჟამადაც ისევე უძლეურია მათ წინაშე, როგორი უმწეო ის იყო წარსულ საუკუნეებში. ამგვარი მდგომარეობის ორი მიზეზი არსებობს: პირველი – ენერგეტიკული სისუსტე და მეორე – ინფორმაციის დეფიციტი. მიუხედავად შთამბეჭდავი პროგრესისა თანამედროვე ცივილიზაციას არ ჰყოფის ენერგია, რომ გაუმკლავდეს სტიქიის შემოტევას. თანამედროვე მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ ამონსნა სტიური კატასტროფების გამომწვევი მექანიზმების შინაგანი ბუნება.

ამ სტატიის მიზანია სწორედ სტიქიონის საიდუმლოებას ფარდა ახადოს, გახსნას მისი იდუმალი მექანიზმების ბუნება და ამით მისცეს ადამიანს შესაძლებლობა დირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს სტიქიის შემოტევას. იდეის არსი შემდეგია: ატმოსფეროში არსებობს ფარული ენერგია, რომელიც გარკვეულ პირობებში იწყებს ურთიერთმოქმედებას გარემოსთან, სითბოს ქაოსური ენერგია გადაჰყავს ორგანიზებულ ძალად და შედეგად იწყება კატასტროფები. ფარული ენერგიის ბუნება სავსებით შეცნობადია. დაბრკოლებას ჰქმის მხოლოდ წარსული საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებული მცდარი, დოგმად გადაქცეული ზოგიერთი პოსტულატი.

### უაკ 551.509.6

**მეტეოროლოგიურ პროცესებზე (მძლავრ კონვექციურ დრუბლებზე) აქტიური ზემოქმედების შესახებ/კალოვი ხ. მ., კალოვი რ. ხ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011-ტ.117.-გვ. 100-102.-რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

გამოკვლეულია იოდოვანი ვერცხლის ტიპის მაკრისტალიზებელი რეაგენტით ჭექა-ქუხილისა და სეტყვის დრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდი. წარმოდგენილია სეტყვის დრუბლებისა და მათ მიღამოთა პარამეტრების განსაზღვრის ნაცურული ექსპერიმენტების შედეგები, რაც რადიოლოგიაციური მეთოდითა განხორციელებული პასიური რადიოლოგიაციური ამრეკლავებითა და პოლარიზაციული ბადის (პოლარიმეტრის) საშუალებით. შემუშავებულია რეკომენდაციები ჭექა-ქუხილისა და სეტყვის ზეუჯრედოვან დრუბლებში მაკრისტალიზებელი რეაგენტის შეტანის ადგილისა და რეაგენტის დოზირების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ბიბლიოგრაფია – 5 დასახელება.

### უაგ52.37.731

**სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გაუმჯობესებული მეთოდის თაობაზე/მ. პ. ვატიაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 102-104.- ქართ.; რუს. ქართ., ინგლ., რუს.**

შემუშავებულია სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გაუმჯობესებული მეთოდი. შემოთავაზებული მეთოდის შესამოწმებლად სტავროპოლის მხარეში დაცული ტერიტორიის დამოუკიდებელ მასალაზე 2006-7 წლებში ჩატარებული ექსპერიმენტით დადგინდა, რომ შესაძლებელია:

ა) ზემოქმედების მეორე კატეგორიის განთესვადი თბიექტების რიცხობრივი შემცირება განთესვის დაზუსტებული კრიტერიუმის საფუძველზე;

ბ) ზემოქმედების მესამე და მეოთხე კატეგორიის თბიექტებიდან სეტყვის აღკვეთა ნალექების ფორმირების ზონაში სროლის ინტენსივობის გადიდებით;

გ) ზემოქმედების მესამე და მეოთხე კატეგორიის თბიექტებიდან სეტყვის აღკვეთა უდრუბლო და დრუბლიან ატმოსფეროში რეაგენტების წინასწარი განთესვით ტერიტორიაზე მათი შემოჭრის მხრიდან.

სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გაუმჯობესებული მეთოდი დანერგილია სტავროლის მხარის გასამხედროებულ სამსახურში. ამ მეთოდიკით სეტყვასაწინააღმდეგო დაცვის საშუალო წლიური ფიზიკური და ეკონომიკური ეფექტურობა შესაბამისად 93,5% და 668 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო რენტაბელობაა 1:12ბიბლიოგრაფია - 13.

### უაგ 551.578.7

**სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების ზოგიერთი შედეგის შეფასება/ხუჩუნავი ბ.. ტაშილოვა ა., ტეუნივა ნ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 104-107.- რუს.;რუს.ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში მოცემულია სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების ფიზიკური ეფექტურობის განსაზღვრის შედეგები, რომლებიც გამოთვლილია რეგრესის განტოლების საფუძველზე - სეტყვის მახასიათებლის ატმოსფეროს პარამეტრებთან კავშირით სეტყვის დღეებში, სეტყვიანობის სიხშირის გათვალისწინებით დაცულ და საკონტროლო ტერიტორიებზე. მოყვანილია რეგრესის განტოლებების ცლებები, რომლებიც შეფასებულია ურთიერთშედარების მეთოდით.

### უაგ 551.501

**კავშირი საქართველოს კახეთის რეგიონის თბილი სეზონის ფრონტალური კონვექციური დრუბლების მაქსიმალურ რადიოლოგიაციურ ამრეკლადობასა და მათგან მოსული ატმოსფერული ნალექების საშუალო ინტენსივობას შორის/თ.სალუქვაძე, ე.ხელაია, მ. სალუქვაძე, ნ.კაპანაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ.108-109.-ინგლ.;რუს.ქართ.,ინგლ., რუს**

გაანალიზებულია საქართველოს კახეთის რეგიონის თბილი სეზონის ფრონტალური კონვექციური დრუბლების მაქსიმალური რადიოლოგიაციური ამრეკლადობის (Z) და ამ დრუბლებიდან მოსული ნალექების საშუალო ინტენსივობის (I) შესახებ მონაცემები. სტატისტიკური ამონაკრების მოცულობამ შეადგინა 460 შემთხვევა. ნაპოვნია Z - I დამოკიდებულების ემპირიული განტოლება. აპროქსიმაციის საიმედობის მაჩვენებელი 0.59-ის ტოლია, ხოლო ნდობის ალბათობა 0.93-ს უდრის.

მიგვაჩნია, რომ მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას მოცემულ რეგიონში პიდრომეტეოროლოგიური პროცესების მონიტორინგისთვის.

უაკ 52.37.731

ატმოსფერული ნალექების ხელოვნური ზრდის მეთოდიკა მსუბუქმრავიანი თვითმფრინავების გამოყენებით./მ.ვატიაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ. 109-111.-რუს.;რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ღრუბლებსა და ღრუბელთა სისტემებიდან (ღფს) ნალექების ხელოვნური ზრდის მეთოდიკა მსუბუქმრავიანი „ან-2“ თვითმფრინავის გამოყენებით. ამ მეთოდიკას ღრუბელთა სისტემებში ყინულწარმომქმნელი და პიგროსკოპული რეაგენტების დინამიკური და მიკროფიზიკური განთვესვის პიპოთეზები უდევს საფუძვლად. ეს რეაგენტები „ან-12“-დან განივრქევა ღრუბლებისა და ღრუბელთა სისტემების, ან მათ ქვემოთ მდებარე თბილი არეების აღმავალ ნაკადებში. მეთოდიკა ექსპერიმეტულადაა შემოწმებული სტავროპოლის მხარის ტენიან, ნახევრადმშრალ და გვალვიან რაიონებში და მას ნალექების ხელოვნური ზრდისათვის დამხმარე საშუალებად იყენებენ. სტავროპოლის მხარეში ამ მეთოდიკით განხორციელებული სამუშაოს ფიზიკური და ეკონომიკური ეფექტურობა შესაბამისად 67% და 95,2 მილიონი რუბლია .

უაკ: 551.524.3

კრისტალოპიდრატების და თუთიის ოქსიდის ნანომილების ყინულწარმომქმნელი თვისებების გამოკვლევა/ხეზუნაევა ბ., სტეპანოვა ს., ხეზუნაევა ა., პონაეტოვი ე./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ.112-113.რუს.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს

წარმოდგენილია KJ,CaCl,C6H8O7 კრისტალპიდრატების და თუთიის ოქსიდის ნანომილების ყინულწარმომქმნელი თვისებების კვლევის აპარატურა და მეთოდიკა.

დადგენილია, რომ ყინულწარმოქმნის ტემპერატურული ზღვარი კრისტალპიდრატებისათვის მდებარეობს -2 - -30C-ის ინტერვალში. KI-ის კრისტალპიდრატის ყინულწარმოქმნის ბირთვის კუთრი გამოსავლიანობა -3 - -50C შეადგენს 1013 ნაწილაკს გრამ-რეგანტზე, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს ამჟამად გამოყენებულ რეაგენტთა ნაწილაკების გამოსავლიანობას. ნაჩვენებია, რომ თუთიის ოქსიდის ნანომილები ხასიათდებიან არც თუ ცუდი ყინულწარმომქმნელი თვისებებით

უაკ 631.4

საქართველოს ნიადაგები და მათი დაცვის პრობლემები/ ურუშაძე თ., ურუშაძე თ., ხომასურიძე დ/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 114-115.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოკლედ არის დახასიათებული საქართველოს ძირითადი ნიადაგები და მათთან დაკავშირებული დაცვის პრობლემები - ეროზია და დაბინძურება მდგრადი რადიონუკლიდებით.100-Sr90, Cs137.

უაკ: 631.42, 631.459, 551.5

საქართველოს მიწის რესურსების დეგრადაცია თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე/ შავლიაშვილი ლ.უ., კორძახია გ.ი., ელიზბარაშვილი ე.შ., კუჭავა გ.პ., ტუღუში ნ.კ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 115-118.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს

ნაშრომში განხილულია კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად დამლაშება ზრდა (სიღნადის რაიონი), ნიადაგის წყლისმიერი ეროზია (ლენგენის რაიონი) და ქარისმიერი ეროზით გამოწვეული გაუდაბნოება (დედოფლისწყაროს რაიონი). მოვანილია საქართველოს მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და განვითარების ხელშემწყობი საადაპტაციო დონისძიებები, რათა განხორციელდეს მიწის დეგრადაციის შემცირება, მოსახლეობის სოციალურ მდგრადრების გაუმჯობესება და სიღარიბის დაძლევა.

უაკ: 551.5

ბუნებრივი გარემოს ეკო-მეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზის საიმედობისა და ერთგვაროვნების ძირითადი საკითხების შესახებ/გუნია გ, სვანიძე ზ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-გვ.118-121.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ლიმატის ცვლილებისა და გარემოს ტექნოგენური დატვირთვის პრობლემები, სადღეისოდ, არა მარტო სამეცნიერო, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებიცაა. აღნიშნული მოვლენების დინამიკაში დაშვებული შეცდომები მსხვილი ეკონომიკური კატასტროფების მომგანია.

მოცემული საკითხების კვლევა, როგორი ინსტრუმენტული დაკვირვებების წარმოებას და მონაცემთა ანალიზს მოითხოვს. ხოლო საჭირო ინფორმაციის დამუშავების მთავარ ამოცანას ხანგრძლივი პერიოდის კლიმატოლოგიურად ერთგაროვანი დაკვირვებათა მონაცემების რიგის საშუალო მაჩვენებლების მიღება წარმოაგენს.

ზემოაღნიშნული საკითხების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, ავტორების მიერ რიგი მუთოდური მიღგომაა დამუშავებული, მათ შორის:

- კლიმატის ცვლილებისა და გარემოს ეკოლოგიური ფაქტორების მონიტორინგის სისტემის კონცეფცია;
- მონიტორინგის მონაცემთა რიგის საიმედობის შეფასების ძირითადი პრინციპები;
- ინტეგრალური მასასიათებლის გამოსათვლელი ფორმულებია მოცემული, რომლებსაც შემთხვევითი რხევებისკენ ნაკლები მიღრეკილება გააჩნიათ და საინფორმაციო მასალის არაერთგაროვნების გამორიცხვის საშუალებას იძლევიან.

მათი დახმარებით მიღებული შედეგები მაღალი საიმედობით ხასიათდებიან.

#### უაკ 551. 4

**აზერბაიჯანის გარემოს გარემომცველი სამყაროს გაჯანსაღების მდგომარეობის შესახებ/გურბანოვი თ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 122-125.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

აზერბაიჯანი განთავსებულია ორი კონტინენტის საზღვარზე, რაც განაპირობებს მის აქტიურ მონაწილეობას გლობალურ და რეგიონალურ ეკოლოგიურ პირობებებში. ქვეყანა შეუერთდა გარემოს დაცვის 18 საერთაშორისო კონვენციას. ძლიერ ანტოპოგენულ დატვირთვას განიცდის მდ.მტკვარი, რომლის ეკოლოგიურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველო და სომხეთი. ანტოპოგენულმა დატვირთვამ გამოიწვია კასპიის აკვატორიის აზერბაიჯანის სექტორის ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. გარემოს გაჯანსაღების მიზნით აუცილებელია მოვიზიდოთ სამეცნიერო დისციპლინების ფართო წრე, და აქ წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს გეოგრაფიას.

#### უაპ: 314.479.22

**დედამიწის მოსახლეობა როგორც გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დეტერმინანტი /გ. მელაძე, ნ. ელიზბარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 125-128.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

მსოფლიო მოსახლეობის მატების ტემპის ცვლილება და განაწილება, ფართო ზეგავლენას ახდენს გარემომცველი გარემოს მდგომარეობაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე. უკანასკნელი 70 წლის მანძილზე დედამიწის მოსახლეობა გასამაგდა, ხოლო მოთხოვნილება წყალზე ექვსჯერ გაიზარდა. მტკნარი წყლის არსებული მარაგის მოხმარება მსოფლიოში 54%-ს შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე, წყალზე არსებული მოთხოვნილების დონის შენარჩუნების პირობებში, 2025 წლისათვის მხოლოდ მოსახლეობის მატების ხარჯზე გამოყენებულ იქნება მტკნარი წყლის არსებული მარაგის 70%. ანთოპოგენული ზემოქმედების შედეგად, ძლიერ და საშუალო ეროზიას განიცდის სამოვრებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაახლოებით 2 მილიარდი ჰა ფართობის ნიადაგი. მოსახლეობის მატებისა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენით შესაძლებელია რესურსების უკმარისობის გამოწვევა, რაც უპირველეს ყოვლისა ეკოლოგიურად მგრძნობიარე მონაკვეთების ექსპლუატაციას გამოიწვევს.

მსოფლიო რეგიონებში გარემომცველ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების განსასაზღვრავად გამოყენებულია „ეკოლოგიური კვალის“ მაჩვენებელი.

#### უაკ: 552.482.14

**მდ. მტკნარის აუზის წყლების ხარისხის განსაზღვრა ინტეგრალური ჰიდროქიმიური მაჩვენებლების გამოყენებით/ლ.ინწკირველი, ნ.ბუაჩიძე, მ.არაბიძე, გ.კუჭავა, ე.ბაქრაძე, ნ.დგალიშვი-**

ლი, მ.ტაბატაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ.128-131.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საერთაშორისო პიდრომეტიურ პრაქტიკაში მიღებული შეფასების მეთოდის გამოყენებით და საკვლევი რეგიონებისათვის დამახასიათებელ შერჩეულ ინდიკატორებზე დაყრდნობით დახასიათებულია მდ. მტკვრის აუზის წყლების ეკოლოგიური მდგომარეობა. დადგენილია ის პრიორიტეტული ინდიკატორები, რომლებიც დიდი მიახლოებით ახასიათებენ სენტული მდინარეების აუზის წყლების ხარისხს და შეიძლება გამოვიყენოთ მათვის კლასიფიკაციის მინიჭებისათვის. ინდენტიფიცირებულია მდ. მტკვრის “დაბინძურებული” და “მცირედ დაბინძურებული” შენაკადები. ნაჩვენებია, რომ მათი დაბინძურების ხარისხი გარკვეულწილად დამოკიდებულია წლის სეზონურობაზე.

### უაპ 551.482.215.75

მდინარე მაშავერას სარწყავი წყლების გავლენა ბოლნისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე/ბ.კალანდაძე, ვ.ტრაპაიძე, გ.ბრეგვაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 131-133.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ბოლნისის რაიონი საქართველოს უმნიშვნელოვანების სასოფლო-სამეურნეო რეგიონია. აქ კარგადაა განვითარებული სარწყავი სისტემა და მდ. კაზრეთულას და მაშავერას წყლით ხდება სავარგულების მორწყვა. ორივე მდინარე განიცდის ძლიერ ტექნოგენურ დატვირთვას და პიდროქსელის დაბინძურებას როგორც პირდაპირი შედეგი მოჰყვება ნიადაგის დაბინძურება მაღნის ელემენტებით. სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში ჩატარებული კვკვების შედეგად დადგინდა რომ იმის მიხედვით თუ რა სიხშირითა და რა რაოდენობით ხდებოდა ნიადაგის მორწყვა მასში სპილენძის, თუთიის და კადმიუმის შემცველობაც განსხვავებულია და ყველა შემთხვევაში აჭარბებენ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. ისინი უმთავრეს შემთხვევაში სხნად ფორმაში არიან და მიგრაციის დიდი უნარი გააჩნიათ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია იმ კომპლექსური დონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება ეკოლოგიურად სუფთა მიწათმოქმედებაზე გადასვლით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

### უაპ. 551.510.42

მძიმე მეტალების შემცველობა ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის ზედაპირულ წყლებში/მ. ელიზბარაშვილი, დ. კეკელიძე, გ. ცოტაძე, ბ. კვირკველია, ნ. ვაშაყმაძე, ნ. კეკელიძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 133-136.-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში გამოყენებულია მძიმე მეტალების Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co კონცენტრაციის განსაზღვრული მნიშვნელობები ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის ზღვის და საკურორტო ზონასთან ახლო მდებარე მდინარეების, სუფსის და ნატანების წყალში. ზედაპირული წყლების მონიტორინგი შესრულდა, 2008-2009 წლებში შემდეგ მეტალებზე: Cu, Mo, Pb, Zn, Mn, Ni, Co, Ag, Cr, Cd პროექტის „ურეკი-შეკვეთილის საკურორტო ზონის კომპლექსური ეკოლოგიური და მიკროკლიმატური გამოკვლევა“ ფარგლებში. მიღებული შედეგების საფუძველზე შესწავლილია წყალში გახსნილი მძიმე მეტალების კონცენტრაციის ცვლილებების დინამიკა საკონტროლო პუნქტების და დროის მიხედვით. მიღებული ექსპრიმენტული შედეგები შედარებულია ლიტერატურულ მონაცემებთან და შესრულებულია შესაბამისი დასკვნები.

### უაპ 551.5

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსული წვიმების ეკოლოგიური შედგენილობის კვლევის შედეგები/ბაირამოვი შ., დადაშოვა ფ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 136-138.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატია ეძღვნება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსული წვიმის წყლების ქიმიური შედგენილობის კვლევას, მათით მუავიანობის განსაზღვრის მიზნით.

დადგენილია, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მოსული წვიმები მნიშვნელოვნად ჭურვიანდებიან ისეთი ძლიერი მუავების ნაშთებით, როგორიცაა სულფატი- და ნიტრატ-იონე-

ბი. გარკვეულ ფაქტორებზე დამოკიდებულების მიხედვით წვიმის წყლებში შესწავლილი იონების შემცველობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

უაკ 661.92. 656.13

**თბილისის ატმოსფერულ ჰაერში ავტოტრანსპორტის მავნე გამონაბოლქვის ემისია და მისი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე/ნ. ნასყიდაშვილი, ნ. ვაშაყაძე, დ. შავლაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 138-139.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ავტოტრანსპორტის მოძრაობის მაღალი ინტენსიობა, ბენზინის დაბალი ხარისხი, ავტოპარკის ცუდი ტექნიკური მდგომარეობა და ცუდი საგზაო საფარი იწვევენ გამონაბოლქვი აირების ყველა ინგრედიენტის გადაჭარბებას ზღვრულად დაშვებულ კონცენტრაციებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბენზოლის, აზოტის ოქსიდებისა და ტყვიის მაღალი კონცენტრაციები. ქალაქის ეკოლოგიურმა ზონირებამ, რომელიც ჩატარდა 2002-2003 წლებში, თბილისის დაჭუჭყიანების რუკის შედგენის და იმ რაიონების გამოყოფის საშუალება მოგვცა, რომელიც მეტადაა დაჭუჭყიანებული. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 11% ცხოვრობს მიმდე ეკოლოგიურ პირობებში, კერძოდ, ამ რაიონებში აზოტის ოქსიდის კონცენტრაცია 2-ჯერ, ბენზოლის – 6-ჯერ, მტკრისა 14-ჯერ და ტყვიისა 2-ჯერ აღემატება ნორმას.

უაკ: 632-151

**ქ. თბილისში სამარშრუტო ტაქსების ქსელიდან ემიტირებილი სათბურის გაზების რაოდენბრივი მაჩვენებლი/ბეგლარაშვილი ნ./აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ.140-141.-ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს ნაჩვენებია ქ.თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განაწილებისა და მისი გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. განსილულია სამარშრუტო ტაქსების ქსელის განვითარებისა და ფუნქციონირების ეტაპები. შეფასებულია ქ.თბილისში სამარშრუტო ტაქსების ქსელიდან ემიტირებილი სათბურის გაზების რაოდენბრივი მაჩვენებლი.**

უაკ 551.551.14

**შემოსაზღვრული არის მქონე ამინდის რიცხვითი მოდელების სირთულეები საქართველოში ჰაერის ცივი მასების აღმოსავლეთის შემოჭრის სიმულირებისას. /მეგრელიძე ლ., კუტალაძე ნ., ჩოგოვაძე ი., დეგანოზიშვილი ნ., ქოქოსაძე ე./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ.142-145.-ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ., რუს**

ნაშრომის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ცივი მასების შემოჭრებისას შემოსაზღვრული არის მქონე ამინდის რიცხვითი მოდელების მიერ ამინდის ზუსტი მოკლევადიანი პროგნოზირების შესაძებლობების შეფასება, რაც ჩვენს შემთხვევაში განხორციელდა მეზომასშტაბზე რიცხვითი მოდელის WRF ARW საშუალებით 2009 წლის 5 ნოემბერს საქართველოში განვითარებული სინოპტიკური სიტუაციის მაგალითზე.

მოდელის მიერ მოვლენის სიმულირებისას გამოვლენილი იქნა რიგი სირთულეებისა. ზოგადად პროცესი აღმოჩნდა რეალურთან მიახლოებული, თუმცა ასეთი მოვლენების რაოდენობრივი მახასითებლები (ნალექების რაოდენობა, ჰაერის ტემპერატურა და სხვ) საჭიროებს დამატებით მოდელის რეგულირებას და სტატისტიკურ დაკალიბრებას.

უაკ: 511.509:511.551

**ატმოსფეროში მძლავრი შეშფოთებების გავრცელების შესწავლა მათემატიკური მოდელირებით/ზ. ხვედელიძე, თ. დავითაშვილი, ი.სამხარაძე/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ. 145-148.-ქართ.;რეზ.ქართ.,ინგლ., რუს.**

დიდი სიმძლავრის მქონე მოვლენების მოქმედებით, დროის მცირე მონაკვეში, წარმოქმნილი ჰაერის ნაკადის სივრცესა და დროში გავრცელების შესწავლას უდიდესი თეორიული და განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი ასეთი მოვლენები ხანმოკლე დროის განმავლობაში ვრცელდება შედარებით მცირე ტერიტორიაზე, მაგრამ შედეგი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საინტერესოა პროცესების ადგექციური გავრცელება მთა-გორიან ტერიტორიაზე. მცირე სიმაღლის ბურცობებიც კი სწრაფად ანედებს ნაკადის მოძრაობის სიჩქარეს და ხშირად უცვლის მას მიმათულებას და აბრუნებს საწინააღმ

დეგო მხარესაც კი. სწორედ ასეთი რეგიონალური თავისებურება ახასიათებს საქართველოს ცალქულ რაიონებს, მათ შორის ცხინვალის და საჩხერის რაიონის ტერიტორიას, სადაც 2008 წლის აგვისტოში წარმოებდა საომარი მოქმედება. ამ დროს რეგიონზე განვითარდა სწორედ ისეთი პირობები, რომლის თეორიული დასაბუთება მოყვანილია ამ სტატიაში.

უაკ. 551.524

საქართველოს ტერიტორიისათვის 1936-2008 წლების პერიოდისათვის პაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების 25-კილომეტრიანი ბადურ მონაცემთა მასივების შექმნის მეთოდოლოგია/ელიზბარაშვილი ე., ტატიშვილი მ., ელიზბარაშვილი შ., ელიზბარაშვილი მ., მესხია რ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 148-150.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს ჩამოყალიბებულია საქართველოს ტერიტორიისათვის 1936-2008 წლების პერიოდისათვის პაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების 25-კილომეტრიანი ბადური მონაცემთა მასივების შექმნის მეთოდოლოგია.

უაკ 533.539

კონვექციურ ღრუბელთა მაკრო- და მიკროსტრუქტურული მახასიათებლების ფორმირების რიცხვითი მოდელირება პროცესების ურთიერთქმედების გათვალისწინებით /აშაბოკოვი ბ., შაპოვალოვი ვ. /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 150-153.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს განხილულია კონვექციური ღრუბლების მატემატიკური მოდელირების ზოგიერთი პრობლემები. მოყვანილია სამგანზომილებიანი არასტაციონარული მოდელი თერმოპილოდონამიკის, მიკროფიზიკის და ელექტრობის პროცესების დეტალური გათვალისწინებით და მის რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმი. მოყვანილია კონვექციური ღრუბლების ჩამოყალიბების და განვითარების გაანგარიშების შედეგები სხვადასხვა პირობებში

უაკ: 551.576

სეტყვის ზრდის დაბორატორიული მოდელირების ზოგიერთი შედეგი/ხუჩუნაევი ბ., ხუჩუნაევი ა. /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 153-155.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს

მოყვანილია სეტყვის ზრდის საწყისი სტადიის დაბორატორიული მოდელირების შედეგები აეროდინამიურ მილში. აეროდინამიური მილი იქნა განთავსებული საღრუბლო კამერაში, სადაც იყო შექმნილი სეტყვის ზრდის პირობები. აეროდინამიკური მილი კონსტრუირებული იქნა ისეთ ნაირად, რომ სეტყვის ნაწილაკები იზრდებოდნენ თავისუფალ ვარდნაში. გამოკვლეულია ტემპერატურის, წელიანობის და კრისტალების კონცენტრაციის გავლენა სეტყვის ზრდის სიჩქარეზე.

მიღებულია, რომ კრისტალების კონცენტრაციის ცვლილება 107 მ-3-დან 108 მ-3-მდე ტემპერატურის დიაპოზონში  $-6 \div -8$  0C იწვევს ზრდის სიჩქარის მატებას საშუალოდ 7%-ით. ტემპერატურის ზრდა  $-6 \div -8$  0C-დან  $-4 \div -6$  0C-მდე იწვევს სეტყვის ნაწილაკების ზრდის სიჩქარის მატებას 27%-ით. სეტყვის ზრდის სიჩქარის მნიშვნელოვანი მატება ხდება აეროდინამიკურ მილში პაერის ნაკადის წინვლით-ბრუნვითი მოძრაობის დროს. წინასაწარი ექსპერიმენტები გვიჩვენებენ, რომ პაერის ნაკადის 3-4 მ/წ სიჩქარით ბრუნბის, ტემპერატურა  $-3 \div -7$  0C-ის და კრისტალების კონცენტრაციის 107 – 108 მ-3 დროს მიღიმეტრების ზომების მარცვლების ჩამოყალიბება ხდება რამდენიმე წამის განმავლობაში.

უაკ: 551.578

სეტყვის წარმოქმნის მექანიზმის გამოკვლევა საღრუბლო ნაწილაკების იზოტოპური შედგენილობის რიცხვითი მოდელის საფუძველზე/ხუჩუნაევა ს./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 155-158.- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულ ნაშრომში მოყვანილია საღრუბლო ნაწილაკების იზოტოპური შედგენილობის ფორმირების რიცხვითი მოდელის შედეგები. შემოთავაზებულია მოდელის მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის მეთოდი.

კვლევებით მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ შემუშავებული მიღგომა გამოიყენება დრუბლებში იზოტოპური ანალიზის საფუძველზე სეტკვის ჩასახვისა და ზრდის მექანიზმის გამოკვლევისათვის.

#### უაკ: 628.54

მდ. მტკვარში ჩაღვრილი ნაგობის გავრცელების რიცხვითი მოდელირება/ს. მდივანი, ა. სურმავა/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 158-159.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.  
დამუშავებულია მდინარეში ჩაღვრილი დამაბინძურებელი ნივთიერების გადატანის რიცხვითი მოდელი და შესწავლილია მდ. მტკვრის წყლებში ავარიულად ჩაღვრილი ნაგობპროდუქტების გავრცელება.

#### უაკ: 631.416.143

ნიადაგში მარილიანობის ცვლილების რიცხვითი მოდელირება შეტანილი სორბენტის გავლენის გათვალისწინებით/ა. სურმავა, ლ. ინწკირველი, ლ. შავლიაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 160-162.- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნიადაგში წყლისა და გასსნილი მარილების ინფილტრაციისა და შეტანილი სორბენტის - თაბაშირის ნატრიუმის კარბონატთან რეაქციის კინეტიკური განტოლების გამოყენებით მოდელირებულ; ია დამლაშებულ ნიადაგში მარილიანობის ცვლილება. ნაზვენებია, რომ სორბენტის - თაბაშირის შეტანა ხელს უწყობს ნატრიუმის ინტენსიურ შემცირებას ნიადაგის მთელ 5 მ ფენაში.. ნატრიუმის კონცენტრაციის შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიადაგის ზედა 40 სმ ფენაში და თანდაონობით მცირდება ნიადაგის სიღრმეში.

#### უაკ: 511.551:511.543

მაგისტრალურ მილსადენში გაზის არაორდინალური დინების მათემატიკური მოდელირება/თ.დავითაშვილი, ი.სამხარაძე, გუბელიძე გ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 162-165.- ინგლ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს

ამ ნაშრომში განხილულია მათემატიკური მოდელი (ალგორითმი) რომელსაც შეუძლია რთული მაგისტრალური გაზსადენიდან განსაზღვროს ის მარტივი უბანი სადაც ადგილი აქვს გაზის ავარიულ გაუონვას. მოცემული ალგორითმი არ მოითხოვს საწყისი ჰიდრავლიკური პარამეტრების ცოდნას კოველი მარტივი უბნის სათავესა და ბოლოში (ამ ინფორმაციის მოპოვება ძალიან რთულია ტელემეტრიული საინფორმაციო სისტემების გარეშე). ალგორითმი დაფუძნებულია მათემატიკური მოდელზე რომელიც აღწერს გაზის სტაციონარულ დინებას რთულ მაგისტრალურ გაზსადენში, მის ანალიზურ ამოხსნებზე და ზოგიერთ რიცხვითი თვლის შედეცებზე.

ISSN1512 - 0902

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული

Ծանոթ Ն<sup>o</sup> 118

3551.58

განხილულიაგურიისმხარისკლიმატისფორმირებისძირითადიფაქტორები, კლიმატისელ-ემენტებისტერიტორიულიგანაწილებისკანონზომიერებანი, კლიმატურირესურსები, კომპლექსურიკლიმატურიმასასიათებლებიდამინდისსაშიშიმოვლენები. განკუთვნილიაკლიმატოლოგები-სათვის, აგრონომებისათვისდასპეციალისტებისათვის, რომლებიცმუშაობენბუნებრივირესურსებისგამოვლენისადათვისების, სამოქალაქოდასამრეწველონაგებობების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემიდამილსადენისაზებისდაგეგმარებისდაპროექტირებისდარღში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პიდრომეტეოროლოგიის  
ინსტიტუტის შრომების კრებული**  
ტომი 119

ტექნიკურ კონფერენციაზე “პიდრომეტეოროლოგიისა და მკოლობის აძლევალური პრობლემები”განხილულია კავკასიისა და შავი ზღვის აუზის რეგიონებისათვის შემდეგ აქტუალურ საკითხებს:

1. წყლის რესურსები, მათი პროგნოზები და მართვა;
2. გარემოს დაბინძურების გავლენა ბუნებრივ ეკოსისტემებზე, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს ქიმიურ შემადგენლობაზე;
3. კლიმატის ცვლილების ტენდენციები და მათი გავლენა ბუნებრივ ეკოსისტემებზე;
4. ატმოსფერული პროცესების მათემატიკური მოდელირება;
5. სამშენებლო კლიმატოლოგია, საინჟინრო ჰიდროლოგია;
6. კავკასიონის მყინვართა გამოკვლევა თანამგზავრული მონაცემებით;
7. განახლებადი ენერგორესურსები საქართველოს ტერიტორიაზე;
8. საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენები სამხრეთ კავკასიაში;
9. სამეცნიერო თანამშრომლობა.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

### უაკ 551.558.21:551.511.32

ოროგრაფიულად შეშფოთებული პაერის დინების რიცხვითი მოდელირება ტროპოსფეროში ფონური დიდმასშტაბიანი პროცესების არასტაციონარულობის პირობებში/ დ.დემეტრაშვილი, თ.დავითაშვილი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.14-16-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

3-განზომილებიანი ჰიდროსტატიკური რიცხვითი მოდელის საფუძველზე გამოკვლეულია პაერის მეზომასშტაბური დინების სტრუქტურა ტროპოსფეროში ფონური შეუშფოთებელი დინების არასტაციონარულობის პირობებში მოდელური განმხოლოებული მთისა და კავკასიის რეალური რელიეფის შემთხვევაში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ შეუშფოთებელი დინების არასტაციონარულობას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს პაერის დინების სტრუქტურა მთიანი რელიეფის ზემოთ.

### უაკ 551.509

ზოგიერთი ლოკალურ-„ფენომენური“ ატმოსფერული მოვლენის შესწავლა ჰიდროთერმოდინამიკური მიღღომით/ ხვედელიძე ზ., დავითაშვილი თ., სამხარაძე ი./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.17-21-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

დედამიწის ატმოსფეროში, ხშირად დაიკვირვება, მცირე ტერიტორიაზე განვითარებული არაპერიოდული არაორდინალური ატმოსფერული პროცესები. ამ პროცესებს თან ხდევს მატერიალური ზარალი და ადამიანის სხვადასხვა ბუნების აღმავალი დინებები და ლოკალურ რეგიონზე თითქმის მუდმივად არსებული გეოფიზიკური „ფენომენები“. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი „ფენომენები“ დავით გარეჯის ტაფობზე და სურამის პლატოზე დაიკვირვება. სტატიაში ჰიდროთერმოდინამიკის კანონების საფუძველზე მოყვანილია აღნიშვნული მოვლენების ახსნა. დღემდე ასეთი მიღღომა და გაკეთებული დასპენსიი ცნობილი არ არის. კერძოდ დამტკიცებულ იქნა, რომ ქარის გრიგალურ ველში წნევა იზრდება რელიეფის სიმაღლის პროპორციულად და იმ კუთხის ზრდით, რომელსაც ნაკადის ბრუნვის დერძი ადგენს ვერტიკალურ მიმართულებასთან . მიღებულია, რომ ქარის სიჩქარის გრიგალის ვერტიკალური მდგენელი სიმაღლის მიხედვით იზრდება ექსპოტენციალურად. ასეთი დამოკიდებულებით აისხება მითითებული მოვლენების თავისებურებანი. მიღებულ შედეგებს აქვთ, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

უაკ: 551.59

საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილების ტენდენციები/ე.ელიზბარაშვილი, მ.ტატიშვილი, მ.ელიზბარაშვილი, რ.მესხია, შ.ელიზბარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.29-32-რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს 87 მეტეოროლოგიური სადგურის 1936–2011 წლების დაკვირვებათა მონაცემებით გამოკვლეულია პაროს ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ცვლილების ტენდენციები. შედგენილია კლიმატის ამ ელემენტების ცვლილების სიჩქარის სივრცობრივი სტრუქტურის გეოინფორმაციული რუკები

უაკ: 551.501.8

კლიმატი და მისი ცვალებადობის გამოწვევი მიზეზები/მ.ტატიშვილი, ნ.ბოლაშვილი, ი.მკურნალიძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.38-42-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კლიმატის ცვლილების მიზეზებს იკვლევენ ორი მიმართულებით: ბუნებრივი და ანთროპოგენული. ორივე მიმართულებით მრავალი კალება ტარდება. ბევრი მეცნიერი-კლიმატოლოგი დარწმუნებულია, რომ ამჟამინდელი კლიმატის ცვლილება პირდაპირ დაკავშირებულია მზის აქტივობის ცვლილების დროითი მასშტაბი მოიცავს 27 დღიდან 11, 22, 80, 180 და მეტ წლებს. მას შემდეგ რაც თანამგზავრული დაკვირვებებით დადგინდა, რომ მზის მუდმივა ცვალებადია, შეიქმნა ფენომენოლოგიური რეგრესიული მოდელები მზის რადიაციის ცვლილების შეფასებისთვის გასულ ათწლეულებში და საუკუნეებში. მათი შედეგებიდან ცხადი ხდება, რომ მზის წვლილობა შედარებით სათბური გაზების როლი გადაფასებულია კლიმატის ცვლილებაში. ხოლო მრავალი მეცნიერის აზრით მზე შედის აქტივობის შემცირების ფაზაში რაც მომავალი 30° განმავლობაში გამოიწვევს გლობალურ აცივებას.

უაკ 551.577

ნალექთა რეჟიმული მონაცემებით ექსტრემალურად უხვი ნალექების რისკის შეფასება. /ნ.ბუგალიშვილი, ბ.ბერიტაშვილი, თ.ცინცაძე, ნ.ნ.ბეგალიშვილი, ს.მდივანი, ნ.ცინცაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.48-51-რუს.; რეზ.ქართ.,ინგლ., რუს.

ცალკეული თვეების ნალექთა რეჟიმული მონაცემების საფუძველზე შეფასებულია ექსტრემალურად უხვი დღედამური ნალექების მოსვლის ალბათობა შავი ზღვის საქართველოს მიმდებარე რეგიონის მაგალითზე. ნალექთა გამითვლილი სიდიდეები და მათთან დაკავშირებული რისკები შედარებულია უხვ ნალექებზე დაკვირვების ფაქტობრივ მონაცემებთან.

უაკ 0505.01

ატმოსფერული ნალექების რეჟიმი იმერეთში კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე/ მიქაურაძე დ., კაბაზირიძე მ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.52-55-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ატმოსფერული ნალექები პაროს ტემპერატურასთან ერთად კლიმატის ცვლილების შესახებდად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. საქართველოს რელიეფის სირთულე, სხვა ფაქტორებთან ერთად, მას კიდევ უფრო მრავალგანზომილებად ხსნიათს აძლევს, უახლეს კვლევებზე დაყრდნობით [3.4]. ნაშრომში შეფასებულია ატმოსფერული ნალექების განაწილების ხასიათი იმერეთის რეგიონში გლობალური დათბობის ფონზე.

უაკ 551.521; 631.67; 662.997

გარე კახეთის ტერიტორიაზე მზის ჯამური რადიაციის ვერტიკალური განაწილების შეფასება/ბერიტაშვილი ბ., კაპანაძე ნ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.60-63-ქართ.; რეზ.ქართ.,ინგლ., რუს.

გარე კახეთის ტერიტორიაზე წყალსაქანი სადგურის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით ჰელიოენერგეტიკული სადგურის განთავსების ადგილმდებარეობის შესარჩევად განხილულია ორი ვარიანტი: საქანი სადგურიდან ახლოს აღაზნის ველზე ზღვის დონიდან 200-300 მ სიმაღლეზე და საქანი სადგურიდან დაახლოებით 10-12 კმ დაშორებით შირაქის ველის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 600-700 მ სიმაღლეზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ადრე არსებული აქტინომეტრული სადგურების მონაცემთა გამოყენებით შეფასებულია მზის ჯამური რადიაციის სიმაღლის მიხედვით ცვლილების კანონ-

ზომიერება მეტეოროლოგიური პარამეტრების შესაბამისი ცვლილების გათვალისწინებით. მიღებულია, რომ წყლის ორთქლის დრეკადობის შემცირებასთან კავშირში შირაქის ველზე მზის ჯამური რადიაციის საშუალო წლიური მნიშვნელობა, საორიენტაციოდ, 7%-ით აღემატება რადიაციის წლიურ ჯამს ალაზნის ველზე.

### უაკ 551.582

ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილების სტატისტიკური შეფასება თბილისში და სანკტ-პეტერბურგში 2056 წლამდე / ამირანაშვილი ა., ქართველიშვილი ლ., ტროფიმენკო ლ., ხუროძე თ/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.64-68- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობების სტატისტიკური სტრუქტურა თბილისში და სანკტ-პეტერბურგში 1907-2006 წწ. კერძოდ მიღებულია, რომ ავტოკორელაცია დაკვირვებათა რიგებში სანკტ-პეტერბურგისათვის უფრო მაღალია, ვიდრე თბილისისათვის. ჰერიოდულობის პიკები თბილისისათვის ყოველ მე-20 და მე-5 წელზე მოდის, სანკტ-პეტერბურგისათვის – მე-14 და მე-8 წელზე. დათბობის პროცესი სანკტ-პეტერბურგში უფრო ინტენსიურია, ვიდრე თბილისში. ჩატარებულია ჰაერის ტემპერატურის მოსალოდნელი ცვლილებების სტატისტიკური პროგნოზირება ამავე ქალაქებისათვის 2056 წლამდე სამი მეთოდის გამოყენებით (წრფივი პროგნოზირება, პროგნოზირება გლობური ფუნქციებით დაკვირვებათა რიგში ორი ჰერიოდულობის გათვალისწინებით, წრფივი პროგნოზირება კროი ჰერიოდულობის გათვალისწინებით).

### უაკ: 551.58

ტემპერატურული რეჟიმის სეზონური წანაცვლება/კ.თავართქილაძე, დ.მუმლაძე, ნ.ლომიძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.74-80-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ტემპერატურული რეჟიმის დროში წანაცვლება როგორც მეტეოროლოგიურმა, ასევე ასტრონომიულმა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს. მეტეოროლოგიურ ფაქტორში ძირითადად იგულისხმება ჰავის გლობალური, ხანგრძლივი ცვლილება. რაც შესება ასტრონომიულ ფაქტორს, იგი ცალსახად გამომდინარებს იმ ფაქტიდან, რომ ღღედამის ხანგრძლიობა 24 საათიდან განსხვავებულია. ამ განსხვავებამ გამოიწვია, ის რომ ჩვენი წელთაღრიცხვით 46 წელს შემოღებული კალენდრის აღრიცხვიანობამ 1582 წელს 11 დღით წინ გადმოინაცვლა, ხოლო შემდგომში შესწორება დაზუსტდა და მას კიდევ 3 დღე დაემატა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგეს ტემპერატურული ველის სეზონურობის დროში წანაცვლების განსაზღვრის შესაძლებლობა საქართველოს ტემპერატურულ ველზე 100 წლიანი დაკვირვების მასალით.

თანამედროვე მეთოდებით შესრულებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ტემპერატურული რეჟიმის სეზონურმა წანაცვლებამ შეადგინა დაახლოებით 8-10 დღე.

### უაკ 551. 521

იმერეთის ტერიტორიის ჰელიოენერგეტიკული რესურსები. /რ.დ სამუკაშვილი., ც.ო. დიასამიძე /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.81-82; ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია პიდრომეტეოროლოგიური რესურსების განაწილების კანონმდებლები.

### უაკ: 551.59

საქართველოს რეგიონალური და ლოკალური კლიმატური ცვლილებების გამოკვლევა მაღალი რეზოლუციის ბადური მონაცემების მიხედვით/ე.ელიზბარაშვილი, მ.ტატიშვილი, მ.ელიზბარაშვილი, შ.ელიზბარაშვილი, რ.მესხია, ლ.შაგლიაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.83-86-რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების 25 კმ გარჩევადობის ბადური მონაცემთა მასივების საფუძველზე 1936–2011 წლების პერიოდისათვის გამოკვლეულია საქართველოს რეგიონალური და ლოკალური კლიმატური ცვლილებები.

### უაკ: 551.502.4

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აგროკლიმატური პოტენციალის შეფასება /მელაძე მ.გ., მელაძე გ.გ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.-87-90 ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შეფასებულია აგროკლიმატური რესურსები და მათი ეფექტურად გამოყენება აგროკულტურების მაღალი პროდუქტიულობისათვის. მრავალწლიური მეტეოროლოგიური დაკვირვებულის მაჩვენებლების მიხედვით, სავეგეტაციო პერიოდისათვის (IV-X) გამოთვლილია აგრომეტეოროლოგიური მახასიათებლები (ძეტიურ ტემპერატურათა ჯამი  $>10$ , ატმოსფერული ნალექების ჯამი (მმ), ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (%)), ჰაერის ტენიანობის დუფიციტი (მბ), უყინველი პერიოდის ხანგრძლივობა, ჰიდროთერმული კოეფიციენტი). შედგენილია ჰაერის აქტიურ ტემპერატურათა ჯამებით უზრუნველყოფის ცხრილი. განხილულია აგროკულტურებისათვის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური მოვლენები. დადგენილია გაბატონებული ქარების მიმართულებები, ქარსაფარი ზოლების გაშენების მიზნით. გამოყოფილია აგროკლიმატური ზონები შესაბამისი აგროკულტურების გავრცელებისათვის.

#### უაკ: 551.501.8

**საქართველოს სამშენებლო დარაიონება კომპლექსური კლიმატური მახასიათებლების მიხედვით/ლ.** ქართველი შვილი, ი. მკურნალიძე, ლ. მეგრელიძე, ნ. შავიშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-გ.119.-გვ.91-96-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე აუცილებელი გახდა ახალი სამშენებლო კლიმატური ნორმების გაანგარიშება. ახალი ნორმების დადგენა აუცილებელია იმიტომ, რომ ყოველ 10 წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტული კლიმატური ნორმების განახლება. ამასთან დაკავშირებით მმო-ს კლიმატის XII კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სამშენებლო კლიმატური ნორმები უნდა განისაზღვროს ცალკეული რეგიონების მიხედვით. გარდა ამისა აუცილებელია განისაზღვროს საუკიალიზირებული კლიმატური მახასიათებლები, რომლებიც უნდა გათვალისწინებული იქნეს შენობების თბორექნიკური მახასიათებლების განსაზღვრისას.

ნაშრომში დადგენილია კლიმატის სხვადასხვა კომპლექსური (ტემპერატურა – სინოტივე, ტემპერატურე – ქარი, ქარი - წვიმა) მახასიათებლების განაწილების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე. გარდა ამისა ნაშრომში გაანგარიშებულია ელვის მოხვედრის ალბათობა შენობებში, რომლებსაც არ გააჩნია მეხდამცავი მოწყობილობები. კვლევის შედეგები წარმოდგენილია შესაბამის ცხრილებში.

#### უაკ: 551.583

**გლობალური დათბობის გათვალისწინებით საშემოდგომო ხორბლის კულტურის გავრცელება/მელაძე გ.გ., მელაძე მ.გ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-გ.119.-გვ.97-100-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

განხილულია კლიმატის გლობალური ცვლილების ასაექტები. შემუშავებულია სცენარები ჰაერის ტემპერატურის 1 და 2 -ის მატებით (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსათვის, შესაბამისად). მოცემულია საშემოდგომო ხორბლის ტემპერატურათა ჯამით ( $>10$ ) უზრუნველყოფის მომავლის (2020-2049წ) საპროგნოზო რეგრესიის განტოლება.

აქტიურ ტემპერატურათა ( $>10$ ) ჯამების განსაზღვრისათვის სცენარით, ტემპერატურის 1 და 2 -ის მატებით შედგენილია რეგრესიის განტოლებები, რომელთა მიხედვით გამოყოფილია (რუკაზე) საშემოდგომო ხორბლის გავრცელების ზონა.

არსებული (ფაქტური) ტემპერატურების 1 და 2 -ის მატებით აქტიურ ტემპერატურათა ჯამები საშუალო იზრდება 220-250 და 440-480 -ით შესაბამისად. დასავლეთ საქართველოში საშემოდგომო ხორბლი ტემპერატურის 1-ით მატებისას ვრცელდება 1450-1650 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აღმოსავლეთ საქართველოში 2 -ით მატებისას 1750-1800 მ სიმაღლემდე.

#### უაკ 551.510.42

**სუბმიკრონული აეროზოლები თბილისის ატმოსფეროში / ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ნიკიფოროვი გ. ჭავაძე ა. /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -გ. 119. -გვ.101-105- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წარმოდგენილია მონაცემები თბილისის ჰაერის მიწისპირა ვენაში 2010-2011 წწ. 0.1 მკმ-ზე მეტი ზომის სუბმიკრონული აეროზოლების თვლადი კოცენტრაციის შესახებ. გაზომვები წარმოებდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერის ტერიტორიაზე ხელსაწყო ფან-ის გამოყენებით რეგისტრაციის იმულებულ ყოველდღიურად ოთხჯერ დღეში (9, 12, 15, 17-18 სთ.). შესწავლილია ატმოსფეროში აეროზოლების კონცენტრაციის თვიური და დღიური

სვლა. აგებულია აეროზოლების კონცენტრაციის განაწილების ფუნქცია წლის სხვადასხვა სეზონისათვის.

### უაკ 546.214:551.51

მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვალებადობის თავისებურებები თბილისში 1984-2012 წწ. / ხარჩილავა ჯ., ჩიხლაძე ვ., ჩოჩიშვილი ქ., ჩხაიძე გ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.106-109- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის (მოკ) საშუალო წლიური, ნახევარწლიური და თვიური მნიშვნელობების ცვალებადობის სტატისტიკური სტრუქტურა თბილისში 1984-2012 წწ. გამოყოფილია მოკ-ის საშუალო წლიური და ნახევარწლიური მნიშვნელობების დროით რიგების ტრენდები (მეოთხე რიგის პოლინომები) და შემთხვევითი მდგრენელები. ჩატარებულია დროის აღნიშნულ პერიოდში მოკ-ის საშუალო წლიური და ნახევარწლიური მნიშვნელობების ცვლილების ყოველწლიური სიჩქარის ანალიზი. შესწავლილია მოკ-ის საშუალო თვიური მნიშვნელობების ცვალებადობის თავისებურებები შვიდწლიანი პერიოდებისათვის.

### უაკ 551.594(061.6)

ქალაქ თბილისის პაერის მიწისპირა ფენაში მსუბუქი იონების კონცენტრაციის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი 2010-2011 წწ. / ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ნიკოლოვოვი გ., ჭანკვეტაძე ა/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.110-114. - რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია მონაცემები თბილისის პაერის მიწისპირა ფენაში 2010-2011 წწ. მსუბუქი იონების ჯამური კონცენტრაციის შესახებ. გაზომვები წარმოებდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროგამერის ტერიტორიაზე გერდიენის ტიპის ხელსაწყოს გამოყენებით ყოველდღიურად ოთხჯერ დღეში (9, 12, 15, 17-18 სთ.). შესწავლილია ატმოსფეროში მსუბუქი იონების კონცენტრაციის თვიური და დღიური სვლა. აგებულია მსუბუქი იონების კონცენტრაციის განაწილების ფუნქცია წლის სხვადასხვა სეზონისათვის.

### უაკ 551. 521.

წაყინვების ზოგიერთი თავისებურებები კახეთის რეგიონში/ვაჩნაძე ჯ. ი., დიასამიძე ც.ო./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. ტ.119 .გვ.115-119, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში მოკლედ განხილულია გვიან გაზაფხულზე და ადრე შემოდგომით პაერში წაყინვების გამომწვევი სინოპტიკური პროცესები. გამოთვლილია წაყინვიან დღეთა რიცხვის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები თვეების მიხედვით. დადგენილია ადვექციური, რადიაციული და ადვექციურ რადიაციული წაყინვების განმეორებადობა სამი სადგურის მონაცემების მაგალითზე. შესწავლილია წაყინვების ინტენსივობის და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობის ძირითადი მახასიათებლები. მოცემულია წაყინვებისაგან მცენარეთა დაცვის ძირითადი რეკომენდაციები.

### უაკ 551. 521

ნისლი იმერეთის ტერიტორიაზე. დ. სამუკაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2013, ტ.-119, გვ.123-126, ქართ.; რეზ. ქართ.; ინგლ.; რუს. გამოკვლეულია ნისლის რეჟიმული მახასიათებლები.

### უაკ 546.214:551.51

აეროსინოპტიკური მდგრმარეობა და მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის ცვალებადობა კახეთში ელჭექ-სეტყვიანობის პროცესების მიმდინარეობისას / ხარჩილავა ჯ., ჩიხლაძე ვ., ქართველიშვილი ლ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.131-135- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის (მოკ) ცვალებადობის ანალიზი რუსპირში დიდ და პატარა ფართობებზე (შესაბამისად სდფ და სპფ) სეტყვიანობის დროს. გამოკლენილია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც სეტყვა არ მოდის ელჭექის პროცესების დროს, დაკვირვების პუნქტის თავზე, სადაც იზომება მოკ, ჭავლური ნაკადი არ დაიკვირვება. სდფ

პროცესების დოკუმენტის მოქმედებია ვიდრე ელექტრონული სეტყვის გარეშე და სპონსორის აღმოსფეროში, თუ ატმოსფეროში წარმოიქმნა ჭავლური ნაკადი და ამავე დოკუმენტის მოქმედების დონეზე ან მასზე ნაკლები, უნდა ველოდოთ სდფ.

### უაკ.551.501

**აღმოსავლეთ საქართველოს წლის თბილი პერიოდის სხვადასხვა ინტენსივობის ატმოსფერული ნალექებისათვის Z-I დამოკიდებულების გამოკვლევა/კაპანაძე ნ., ხელი ა. ე., სალუქაძე მ., სალუქაძე თ. / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.142-144.-ქართ.; რეზ.ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში განხილულია ატმოსფერული ნალექების რადიოლოგიურ ამრეკვლადობასა (d) და მათ ინტენსივობას (I) შორის კავშირი. Z-I დამოკიდებულება გამოკვლეულია ნალექების ინტენსივობის მთელი დიაპაზონისთვის, როგორც წრფივი, ისე არაწრფივი აპროქსიმაციის შემთხვევაში. ნაჩვენებია, რომ არაწრფივი შემთხვევისთვის საიმედობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება და პრაქტიკული გამოყენებისთვისაც შესაბამისი განტოლება უფრო მოსახერხებელია.

### უაკ 551.510:551.577:551.578

**საქართველოში ატმოსფერული პროცესების ხელოვნური რეგულირების სამუშაოთა განახლების საჭიროების შესახებ /ამირანაშვილი ა., ბახსოლიანი მ., ბეგალიშვილი ნ., ბერიტაშვილი ბ., რევიაშვილი რ., ცინცაძე თ., ჭითანავა რ/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.150-158- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ჩატარებულია საშიში პიდრომეტეოროლოგიური პროცესების დინამიკისა და მათთან ბრძოლის მეთოდების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი. ნაჩვენებია ამ პროცესებისაგან მიყენებული ეკონომიკური და ფიზიკური ზარალის მატება საქართველოში და საზღვარგარეთ. აღნიშნულია ქართველი მეცნიერების მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესების კვლევის საქმეში, რომელიც ამჟამადაც მიმდენარეობს. ხაზგასმულია წარსულში ატმოსფერული ნალექების ხელოვნული გაზრდის, სეტყვასთან ბრძოლის, ღრუბლების საელქექო აქტივობის რეგულირების, ზვავების ჩამოსვლის საშიშროების პრევენციის პრაქტიკული სამუშაოების წარმატებები. შემოთავაზებულია აღდგეს ორ ათეულ წელზე მეტი წელის წინ შეწყვეტილი პრაქტიკული სამუშაოები ატმოსფერული პროცესების რეგულირების დარგში, და პირველ რიგში, სეტყვის საწინაამდეგო სამუშაოები კახეთში.

### უაკ 551.510

**გეოფიზიკის და პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების ერთობლივი სამუშაოების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში ატმოსფერული გამოკვლევების დარგში / დლონგი ნ., ცინცაძე თ. / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.159-163- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

ჩატარებულია გეოფიზიკის და პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტების ერთობლივი მრავალწლიანი სამუშაოების ანალიზი საქართველოში ატმოსფერული გამოკვლევების დარგში. აღნიშნულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც მიღებულია ატმოსფეროს დაბინძურების, ატმოსფეროს ელექტრობის, ელექტრობის და სეტყვის პროცესების, კლიმატის ცვლილების, რადიოლოგიური მეტეოროლოგიის, ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების, ბუნებრივი კატასტროფების რისკების, საქართველოს ბიოკლიმატური რესურსების და სხვა კვლევების დროს. გათვალისწინებულია მომავალში აღნიშნული ერთობლივი გამოკვლევების გაგრძელება, აგრეთვე ძალების გაერთიანება ახალი სამეცნიერო და გამოყენებითი ამოცანების გადასაჭრელად (ატმოსფერული პროცესების მოდელირება, კლიმატის მოსალოდნებლი ცვლილებისადმი ადაპტაციისთვის რეკომენდაციების შემუშავება, ატმოსფერულ პროცესებზე აქტიური ზემოქმედება, საქართველოს საკურორტო და ტურისტული ზონების ბიოკლიმატური პასპორტების შექმნა და სხვა).

### უაკ 627.13.215.421

**დასავლეთ საქართველოს მდინარეთა მაქსიმალური ხარჯები, მათი დინამიკა და რეგულირება/ბასილაშვილი ც/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013. -ტ.119. -გვ.164-168.ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წყალდიდობების მრავალწლიურ სტაციონალურ დაკვირვებათა მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით დაზუსტებულია მდინარეთა მაქსიმალური ხარჯების პარამეტრები. მათი დინამიკის ტრენდების მიხედვით გამოვლინდა წყალდიდობების გაძლიერება მყინვარებით მოსაზღვევ მდინარეებზე, სხვა მდინარეებზე კი, იქ სადაც იზრდება აორთქლება და რიგ რაორნებში აღინიშნება ნალექების შემცირება, პირიქით წყალდიდობები მცირდება. ამ პროცესების ნეგატიური ზემოქმედების შერბილებისათვის შედგენილია პრევენციულ დონისძიებათა რეკომენდაციები.

უაკ: 551.578.46

**ზვაგსაშიში და პოტენციურად ზვაგსაშიში რაიონები საქართველოში.** /მ.სალუქვაძე, ნ. კობახიძე, გ.ჯინჭარაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2013. ტ.119, გვ.169-172. ქართ., რეზ. ქართ., ინგლის., რუს.

განხილულია ზვაგშემქრებების მორფომეტრიული და ზვაგების დინამიკური მახასიათებლების დადგენის მეთოდები. მრავალწლიური საგელე კვლევის მასალების საფუძველზე გამოვლენილია 343 ზვაგსაშიში დასახლებული პუნქტი საქართველოში. განსაზღვრულია ზვაგსაშიში და პოტენციურად ზვაგსაშიში რაიონები.

უაკ: 551.311.21:627.141.1

**დგარცოფწარმომქმნელი წყლის ჩამონადენის პარამეტრთა შეფასების პრობლემები და მათი შეფასების გამოცდილება/ ხერხეულიძე გ.ი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული - 2013. - ტ. 119. -გვ.173-177. - რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

არსებული მოდელებისა და მეთოდების განხილვის საფუძველზე ხორციელდება დგარცოფწარმომქმნელი წყლის ჩამონადენის საანგარიშო პარამეტრთა შეფასების შესაძლებლობის გაანალიზება. მოცემულია საანგარიშო მეთოდების შერჩევის რეკომენდაციები, რისკის კრიტერიუმების და საწყისი ინფორმაციის შეძენის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

უაკ 551.495

მდინარეების წყლიანობის პროგნოზირების შესაძლებლობა გრუნტის წყლების მარაგის გამოყენების საფუძველზე /ვ.ცომაია, ლ.ჭარელი, მ.ფხაკაძე, კ.ლაშაური, ნ.ნ. ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე /პმი-ს შრომათა კრებული-2013. - ტ.119, გვ.184-187-ქართ; რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

კავკასიის და მოლდავეთის მდინარეების მაგალითზე მოცემულია მდინარეების მთლიანი ჩამონადენის პროგნოზირების შედეგები გრუნტის წყლის მარაგის გამოყენების საფუძველზე. საპროგნოზო მეთოდის უზრუნველყოფა შეადგენს 83-100%.

უაკ 632.123.627.51

**2005 წლის მასშტაბური წყალდიდობები საქართველოში და კატასტროფების შერბილების გზები.** / ბასილაშვილი ც.ზ., მესხია რ.შ. / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული - 2013. -ტ.119. -გვ.188-192-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია ოპერატიული მასალები 2005 წლის კატასტროფული წყალდიდობებისა საქართველოს მდინარეებზე. განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს წყალდიდობებისა და მათ მიერ გამოწვეული მატერიალური ზარალის მასშტაბები. მიღებულია დონისძიებათა კომპლექსი არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებისათვის.

უაკ 551.50.501.7

**კავკასიონის მყინვარების კვლევა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით/გ.კორძახია, ლ.შენგელია, გ.ოვაური/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.193-196-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

სამუშაოს მიზანია განხილული და შესწავლილ იქნას მყინვარების დნობა, რაც მნიშვნელოვან ეკოლოგიურ საფრთხეებს მოიცავს განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, კლიმატის დაკავშირებით მყინვარების გრძელვადიანი მონიტორინგის მიზანია: პროცესების დადგენა, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარებისა და კლიმატის ურთიერთობებისთვის; კლიმატისა და გარემოს მოსალოდნელი ცვლილება, განპირობებული მყინვარების ცვლილებით; კლიმატის გლობალური და რეგიონალური მოდელების გაღიდავია მყინვარების მონიტორინგის შედეგებით; სენსიტიურობის შესწავლა; კლიმატის ცვლილების სცენარების დაზუსტება და სხვა;

მყინვარების თანამგზავრულ მონიტორინგს აქვს ნათლად გამოხატული პოტენციალი იმისა, რომ ემსახუროს იმ საქმეს, რაც ადრე ტრადიციულად წარმოებდა ექსპედიციური გზით, ან მიწისპირა დაკვირვებებით, როგორც წესი ერთ ან რამდენიმე წერტილში. მაღალი გარჩევადობის დისტანციური ზონდირების სივრცითი მონაცემები საშუალებას იძლევა, რათა გაიზომოს მყინვარის სიგრძის ცვლილება მყინვარის მთლიან ენასთან ერთად. ამ გზით შესაძლებელია მიწისპირა დაკვირვებები შეიგსოს ან მთლიანად შეიცვალოს დისტანციური ზონდირების ინფორმაციით.

### უაკ 551.324/551.583

გამყინვარების საუკუნოვანი დინამიკა კავკასიაში და მყინვართა გაქრობის კლიმატური პროგნოზი გლობალური დათბობის ფონზე/კუმბაია, ნ.ა.ბეგალიშვილი, თ.ცინცაძე, კლაშაური, ნ.ნ.ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013. -ტ.119. -გვ.197-203-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია კავკასიონის ქედის გამყინვარების დინამიკა დაკვირვებათა 1850-1890, 1910-1930, 1960-1965, 1970-1995 და 2002-2005 წლების პერიოდების მონაცემთა მიხედვით. უმეტეს შემთხვევებში დაფიქსირებულია მყინვართა ფართობის შემცირების წრფივი ტრენდები. შევასებულია მყინვართა დეგრადაციის სიჩქარეები. მიღებულია კლიმატური პროგნოზი, რომლის თანახმად მიმდინარე გლობალური დათბობის ინტენსივობის შენარჩუნების პირობებში მოსალოდნელია კავკასიონის ქედის განთავისუფლება მყინვარული საფარისგან 2150-2160 წლებში.

### უაკ 551.50.501.7

კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე/ ლ.შენგელია, გ.თვალი, რ.ჭელიძე, ბ.წიგნაძე, ლ.მელაძე, ნ.ხვედელიძე, ნ.მაწქეპლაძე, გ.ბერაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.204-207-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წინამდებარე პროექტის მიზანი იყო თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალისა და კონტურების განსაზღვრა, და ვიზუალიზაცია.

პროექტში დასმული ამოცანის გადასაჭრელად გამოვიყენეთ თანამგზავრ TERRA-ს სენსორ ASTER-ის რელიეფის ციფრული მოდელი და მყინვარების მონიტორინგის საერთაშორისო პროექტის GLIMS-ის მსოფლიო მყინვარების მონაცემთა ბაზა. მყინვარწვერის მასივის მყინვარების კონტურების დაზუსტება განვახორციელეთ რელიეფის ციფრული მოდელის და მაღალი სივრცითი გარჩევადობის (0.6-1 მ) თანამგზავრული სურათების საფუძველზე.

მყინვარების კონტურების დაზუსტების შემდეგ განვსაზღვრეთ მყინვარების მახასიათებლები და შევადარეთ იგივე პარამეტრებს მყინვარების მსოფლიო კატალოგის ძირითადი ცხრილიდან. მყინვარების მახასიათებლების მნიშვნელობებს შორის სხვაობა კლიმატის ცვლილებას უნდა უკავშირდებოდეს.

### უაკ 551.510.42

საქართველოს ინტენსიური ანთროპოგენური ზემოქმედების ბუნებრივი გარემოს მეტალური მიკრომინარევების მონიტორინგის შესახებ/სვანიძე ზ, გუნია გ, სვანიძე ლ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.213-217-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს საკვლევი რაიონების ბუნებრივ გარემოში მძიმე ტოქსიკური მეტალების დაგროვების კანონზომიერების კომპლექსური კვლევები და მათი ეკოლოგიური მდგრმარეობის გაუმჯობესების მეთოდებისა და რეკომენდაციების დამუშავება წარმოადგენდა.

კვლევის პროცესში მიღებულია შემდეგი შედეგები: საკვლევი რაიონების ზედაპირულ წყლებში და ნიადაგებში დადგენილია რიგი მძიმე მეტალის, მათ შორის, Cu, Cd, Pb, Zn და Fe, Mn, Co, Ni კონცენტრაციების სიდიდეები; შესწავლილია ამ ნივთიერებათა განაწილება საკვლევ ბუნებრივ გარემოში და შეფასებულია მათი ფაქტობრივი მნიშვნელობების შეფარდება საქართველოს ტერიტორიასათვის დადგენილ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან; შესწავლილია მადნების საბადოების ექსპლუატაციისა და გამდიდრების არეალების გავლენის ქვეშ მდებარე რეგიონების ზედაპირულ წყლებში და ნიადაგებში მძიმე მეტალებით დაბინძუ-

რების მიზეზები და სიდიდეები; გამოკვლეულია ატმოსფერული ჰაერის ნაკადით საკვლევი მიკრომინარევების გადატანის პროცესები; საქართველოში მოპოვებული, მოდიფიცირებული და აქტივიზირებული ბუნებრივი სორბენტების გამოყენებით საკვლევი ბუნებრივი გარემოს რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მეთოდები და რეკომენდაციებია დამუშავებული.

#### უაკ 551.510.42

**ატმოსფეროს აეროზოლური დაბინძურების დინამიკა თბილისში და კისლოვოდსკში / ამირანაშვილი ა., თავართქილაძე კ., კირილენკო ა., კორტუნოვა ზ., პოვოლოცკაია ნ., სენიკი ი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.218-221- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შესწავლილია თბილისში ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის და კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების დროითი რიგების სტატისტიკური სტრუქტურა 1941-1990 წწ. აღნიშნულ პარამეტრებს შორის აღინიშნება მაღალი წრფივი კორელაცია (-0.85). ატმოსფეროს დაბინძურების სტატისტიკური სტრუქტურა და დინამიკა (მეოთხე ხარისხის პოლინომები) ორივე ქალაქში ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-ნი წლების შემდეგ რეგულარული აქტინომეტრული დაკვირვებები აღარ წარმოებს, მომავალში შესაძლებელია ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის მნიშვნელობების აღდგენა თბილისში კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების მიხედვით ბოლო 20 წლის განმავლობაში.

#### უაკ 656.13

**ქალაქ თბილისის ატმოსფერულ ჰაერზე ავტოტრანსპორტის ნაკადის გავლენის ეკოლოგიური ასექტი/ნ.ვაშაყმაძე, ნ.ნასყიდაშვილი, დ.შავლაძე, ნ.ბეგლარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119. გვ.222-225- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შესწავლილია თბილისის ატმოსფერულ ჰაერზე ავტოტრანსპორტის გავლენა მოსახლეობის სიმჭიდრვის, ავტოტრანსპორტის ნაკადის მოხმარებული ბენზინის რაოდენობის და ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. ჩატარებელი კალევების საფუძველზე დადგენილია კორელაციური კავშირი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და ავტოტრანსპორტის ნაკადის ინტენსივობასთან.

#### უაკ 581.

**სოჭის ფორმაციებში ატმოსფერული ნახშირბადის ( $\text{C-CO}_2$ ) მარაგების დადგენა (ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის მაგალითზე)/ნაკაძე ე., ვაჩნაძე გ., წერეთელი გ., ტიგინაშვილი ზ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.226-229-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

დედამიწაზე გლობალური დათბობის გაძლიერების საშიშროებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მეცნიერთა ფურადღება ტყის, როგორც ნახშირბადის შთანთქმისა და დეპონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვუარისა და მისი როლისა ნახშირბადის გლობალურ ციკლში.

ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის სოჭნარებში (ფართობით 3526 ჩ) ტყის მიწისზედა და მიწისქვეშა ბიომასა შეადგენს 1233.19 ათას ტონას, სადაც კონცენტრირებულია 617.06 ათასი ტონა ნახშირბადი. ბიომასა და ნახშირბადის მარაგი ერთ ჰექტარზე სოჭნარებში შეადგენს შესაბამისად 349.7 გ/ჩ და 175.0 გ/ჩ.

რეგიონში არსებული სოჭის ტყის მასივების მიერ ატმოსფეროდან შთანთქმულია და ნახშირბადის სახით მათ ბიომასაში კონცენტრირებულია 2262.8 ათასი ტონა ნახშირორჟანგი ( $\text{CO}_2$ ).

#### უაკ 504

**ქ. თბილისის დახურული და მოქმედი ნაგავსაყრელრებიდან მეთანის ემისიის განსაზღრა და გამოყოფილი მეთანის პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი/ნ.დვალიშვილი, ნ.ნასყიდაშვილი, მ.შვანგირაძე, ნ.გაშაყმაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.230-234-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შესწავლილია გლდანის და იალურჯას დახურული ნაგავსაყრელებიდან ატმოსფეროში ემიტირებული მეთანის რაოდენობის დინამიკა 2000-2012 წწ. გამოთვლილია ნორიოს თანამედროვე ტექნოლოგიით მოწყობილი ნაგავსაყრელიდან მეთანის ემისია. შეფასებულია ნაგავსაყრელის აირის ენერგეტიკაში გამოყენების პერსპექტივები.

უაკ: 552.482.14

საქართველოს ძირითადი ტრანსასაზღვრო მდინარეების ეკობიოქიმიური მდგომარეობა და მათი კლასიფიკაცია/ნ.პუაჩიძე, ლ.ინწკირველი, გ.კუჭავა, ე.ბაქრაძე, ნ.ბეგლარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. - 2013.-ტ.119. გვ.238-243- ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია მდ. მტკვრის, ოორის, ალაზნისა და ხრამის მიკრობიოლოგიური და პიდრომეტიური შეფასებები. ანალიზები ინგრედიენტებზე ჩატარებულია როგორც ხსნად ფორმაში ასევე ფსკერულ ნალექებში და ტივიზივა ნატანში. დადგენილია ზოგიერთი დამაბინძურებელი კომპონენტის შემცველობის მატების დინამიკა მდინარეების დინების მიმართულებით. მინიჭებულია თითოეულ მდინარისთვის შესაბამისი კლასიფიკაცია პიდრომეტიური ინდექსების გამოყენებით.

#### უაკ 543.3:628.19

საქართველოს ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ანთროპოგენული დატვირთვის შეფასება/ს.მდივანი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.244-246-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია მდ. მტკვრის ანთროპოგენული დატვირთვა სოფ. ხერთვისიდან წითელ ხიდამდე. გამოკვლეულია მდინარის ხსნადი, ატივნარქული და ფსკერული ნალექების ფაზაში ზოგიერთი მძიმე ლითონის აგრეთვე ბიოგენური ნაერობის განაწილება. შეფასებულია წყლის ხარისხი ძირითადი ფიზიკო – ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით. დადგენილია, რომ მდ. მტკვრის წყლის ხარისხი მცირედ უარესდება დინების მიმართულებით.

#### უაკ:504.4.054, 504.453

ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ძირითადი შენაკადების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობის შეფასება. /მ. ტაბატაძე, ნ. დვალიშვილი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, -2013.ტ.119-გვ.247-250-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია მდ. მტკვრის 5 შენაკადების (ვერე, დიდმისწყალი, წავკისისწყალი, გლდანისხევი და ლოჭინი) ძირითადი პიდრომეტიური პარამეტრები. გამოთვლილია თითოეული მდინარის წყლის დაბინძურების კოეფიციენტები. შეფასებულია ქ. თბილისის მცირე მდინარეების ტექნოგენური დატვირთვის ხარისხი.

#### უაკ 502.631.574

მდ. ყოროლისწყლის დაბინძურების წყაროების შესწავლა/ვარშალომიქ ჯ.ზ.,მუმლაძე ნ.გ., მუმლაძე ქ.მ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.251-253-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხოვანი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად საქართველოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით სიმდიდრისა, დღეს ბევრი ქალაქი განიცდის ხარისხიანი სასმელი წყლის ნაკლებობას. მდ. ყოროლისწყალი მნიშვნელოვანია, როგორც ქბათუმის სასმელი წყლით მომარაგების, ასევე შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩადინების თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია აღნიშნული მდინარის დაბინძურების სხვადასხვა წყაროები მისი ზედა წელიდან ზღვასთან შეერთებამდე.

#### უაკ 631.4-631.42-551.583

ალაზნის ველის დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შედგენილობა კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე/ლ.შავლიაშვილი, ნ.ქარდავა, ბ.კირტავა, ნ.ხარხელი, ს.ქუბრიაშვილი, გ.როგაგა/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული,-2013.ტ.119, გვ.259-263.ქართ.; რეზიუმე: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ალაზნის ველის (სოფ.ქველი ანაგა) დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შედგენილობა. გამოკვლეულია გრუნტის და კოლექტორულ-დრენაჟული წყლების გავლენა ამ ნიადაგების ქიმიური შედგენილობის ცვალებადობაზე.

უაკ. 551.535.6.574

მტკნარი წყლების, განსაკუთრებით სასმელი წყლის ხარისხის დაცვა ზოგიერთი მავნე ფაქტორებისაგან/ დიაკონიდე რ., მამასახლისი ქ., სუპატაშვილი თ., ლოროტექიფანიძე ფ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. ტ.119. გვ.264-268, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში წარმოდგენილია მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს წყლის რესურსების რაოდენობრივი მახასიათებლების შეფასება. განხილულია მტკნარი წყლების, კერძოდ სასმელი წყლის რესურსების დაბინძურების რისკი სასაფლაოზე დაკრძალული გვამების გახრწის შედეგად გამოყოფილი მომწამლავი ნივთიერებებით, ე.წ. ბიოგენური დიამინებით (კადავერინი, პუდონიკინი, სპერმიდინი, სპერმინი), რომლებიც სასმელ წყალში შესაძლებელია აღმოჩნდეს მიწისქვეშა წყლების ფილტრაციის შედეგად. წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. შეფასებულია თბილისის ზღვის წყლის ზოგიერთი დამაბინძურებელი ფაქტორები.

უაკ. 631.4

ყომრალი ნიადაგების ზოგიერთი მაჩვენებლის ცვლა მთავარი სარგებლობის ჭრის გავლენით აჭარის წიფლნარებში/ურუშაძე თ.თ., ურუშაძე თ.თ., ქვრივიშვილი თ.ო., კახაძე რ.გ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.278-281-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია მთავარი სარგებლობის ჭრის გავლენა აჭარის წიფლის ტყის ნიადაგის ძირითად ფიზიკურ და წყლიერ თვისებებზე. საკვლევი ობიექტები განლაგებული იყო წიფლნარების გავრცელების შეზა (N-N 1-4) და ზედა სარტყელში (N-N 5-8). გამოკვლეული ნიადაგები ხასიათდება მმიმე თიხნარი, მსუბუქი თიხა და საშუალო თიხა მექანიკური შედგენილობით. ნიადაგების სტრუქტურული მდგომარეობის განსაზღვრა მიუთითებს, რომ რაიმე არსებითი განსხვავება ჭრაგავლილ და ჭრაგაუვლელ სანიმუშო ფართობებზე განვითარებულ ნიადაგებს შორის არ შეიმჩნევა. ეს ფაქტი მეტყველებს აჭარის წიფლნარების ტყის ყომრალი ნიადაგების მაღალ პოტენციურ მდგრადობაზე.

უაკ. 631.4

ზემო იმერეთის ძლიერ ეროზირებულ ყომრალ ნიადაგების თავისებურებანი/თხელიდე ა. თ., ხომასურიძე დ.რ., ნიკოლეიშვილი ნ.თ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰამი-ის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.282-284-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია ზემო იმერეთის ძლიერ ეროზირებული ყომრალი ნიადაგების თავისებურებანი, შეფასებულია მათი ნაყოფიერება. აგრეთვე მოცემულია წყლისმიერი ეროზით ნიადაგებში ჰუმუსის და საკვები ელემენტების დანაკარგების მაჩვენებლები. ზემო იმერეთში ძლიერ ეროზირებული ყომრალი ნიადაგები გავრცელებულია 10-15 -ზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეროზიული პროცესების განვითარებას. ჩატარებულმა აკლეავებმა გვიჩვენა, რომ ძლიერ ეროზირებული ყომრალი ნიადაგები გამოიჩევა საკმაოდ დაბალი პოტენციური და ეფექტური ნაყოფიერებით, კერძოდ, მათში მცირეა ჰუმუსის, საერთო აზოტისა და ფოსფორის შემცველობა. ეს ნიადაგები მხოლოდ საერთო კალიუმს შეიცავს საშუალო რაოდენობით. ამ ნიადაგებზე ეროზიული პროცესების განვითარებას ხელი შეუწყო 2009 წლის მაისისა და 2010 წლის ივლის-აგვისტოს გვალვების შემდეგ მოსულმა ძლიერმა ნალექებმა. გვალვებმა გამოიწვია ნიადაგის ძლიერი გამოშრობა, ხოლო შემდგომში მოსულმა წვიმებმა განაპირობა დიდი რაოდენობით ნიადაგის და მასში არსებული საკები ელემენტების გადარეცხვა. საბოლოო ჯამში გადარეცხვის მაჩვენებლები 2009-2010 წლებში იყო 4-5-ჯერ მეტი ჩვეულებრივ მიღებულ პარამეტრებთან შედარებით. ყოველივე ამის შედეგად, ნიადაგის გადაირუცხვამ მიაღწია 132,2 ტ, რის გამოც ყომრალი ნიადაგების ჰუმუსოვანი და მიმდებარე პორიზონტი 20-25 სმ-მდე მთლიანად იყო გატანილი ნაკვეთიდან და დარჩენილია ქვედა დაბალი ნაყოფიერების მქონე პორიზონტები. ეს პორიზონტები ასევე ყოველწლიურად განიცდიან გადარეცხვას. ნიადაგთან ერთად იკარგება ჰუმუსი, აზოტი, ფოსფორი და კალიუმის დიდი რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმჯობესია ეროზირებული ნაკვეთების დამუშავების დროებით შეჩერება.

უაკ. 628.143.394

ალაზნის ველის დამლაშებულ ნიადაგებზე არსებული ხელოვნური წყალსაცავის ქიმიური შედგენილობა/შავლიაშვილი ლ.უ., კორძახია გ.ი., კუჭავა გ.პ., ბუაჩიძე ნ.ს., ბაქრაძე ე.მ., თა-

ლაკვაძე გ.ვ/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.119,გვ.285-289,-2013. ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ძველი ანაგის ხელოვნურ წყალსაცავზე დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგებისა და გრუნტის წყლების ზეგავლენა, რაც მკვეთრად აისახება მის ქიმიურ შედგენილობაზე, კერძოდ, მის მინერალიზაციასა და არის რეაქციაზე. გამოვლენილია ზოგიერთი ინგრედიენტის მაღალი შემცველობა თევზსამეურნეო წყალსარგებლობის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე.

უაკ:- 574(075.8)+57(075.8)

ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრები რადიაციისა და ტემპერატურული ზემოქმედების ექსტრემალური რეჟიმის პირობებში /მ. გოგებაშვილი, ნ. ივანიშვილი, ე. სალუქვაძე /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.290-293-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩერნობილისა და ფუკუსიმას ატომურ სადგურებზე განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს ტექნოგენური ავარიების შედეგების პროგნოზირების სერიოზული პრობლემები სხვადასხვა ბიოგეოცენოზებთან მიმართებაში. ამასთანავე, რადიაციული უფექტების რეალიზაციის პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით, დღეს არსებული პროგნოზირების მოდელი საჭიროებს მუდმივ მოდიფიკაციას. უკანასკნელ წლებში ასეთ მამოდიფიცირებელ ფაქტორად უფრო ხშირად მოიახრება ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმი. ეს განპირობებულია გლობალური კლიმატური ცვლილებებით და აქედან გამომდინარე, გარემო პირობების ტემპერატურულ ცვლილებებზე ფიტოცენოზების საპასუხო რეაქციების თავისებურებების დეტალური კვლევის აუცილებლობით. ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეული იქნა მაღალი ტემპერატურის პირობებში მზარდი, დასხივებული მცენარეების დაცვითი მექანიზმების ეფექტები. ნაჩვენებია, რომ დასხივებული მცენარეები ხასიათდებიან ნიადაგის წყლის რესუსების ეკონომიკური მოხმარებით; თუმცა ექსტრემალური ტემპერატურული ზემოქმედებისას ტრანსპორტაციის დონის შემცირება მცენარეული ორგანიზმის ზედაპირის ეფექტური დაცვის საშუალებას არ იძლევა და ფიტოცენოზების ცალკეული კომპონენტების დეგრადაციას იწვევს. ნაშრომში აგრეთვე განხილულია სხვადასხვა ტიპის ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების ცვლილებების საკითხი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სუკცესიური პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობები.

უაკ. 551.58

სამხრეთ საქართველოს ტყის რესურსები/კაიშაური მ/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.294-298-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტყის ფონდის რესურსებული პოტენციალი, განსაზღვრულია მისი შეფასება და ანთროპოგენური დატვირთვები, მოცემულია რეკომენდაციები.

უაკ 51.001.57 :502.7

კავკასიის რეგიონის შესაძლო დაბინძურების რიცხვითი მოდელირება სომხეთის ატომური ელექტროსადგურიდან 13II პიპოთეტური ამოფრქვევის შემთხვევაში/სურმავა ა.. ინწყირველი ლ.., გიგაური ნ., გიორგაძე ს., კვინიკაძე გ.,მელია ა./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013.-ტ.119.-გვ.299-302.-ქართ.; რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.

კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარების რეგიონალური რიცხვითი მოდელისა და მინარევის გავრცელების განტოლების გამოყენებით შესწავლილია სომხეთის ატომური ელექტროსადგურიდან ატმოსფეროში პიპოთეტური შესაძლო ავარიის შედეგად ამოფრქვეული რადიაქტიური ელემენტის 13II-ის გავრცელება ფონური სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების შემთხვევაში. გათვალისწინებულია რადიაქტიური დაშლისა და აეროზოლის დალექციის პროცესები. განხილულია მხოლოდ 10 მკმ დიამეტრის რადიოაქტიური ნუკლიდის გავრცელება.

გამოთვლებით ნაჩვენებია, რომ დაახლოებით 48 საათია საჭირო იმისათვის, რომ რადიაციური დრუტელი გადაევლოს სამხრეთ კავკასიას და გავრცელდეს ჩრდილოეთ კავკასიაში. რადიოაქტიური ნივთიერება ძირითადად იღებება სამხრეთ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ,

ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ქარების შემთხვევებში, შესაბამისად. დიდი რაოდენობით დალექვის ზონის სიგრძე დაახლოებით 750 კმ-ის ტოლია სამხრეთ აღმოსავლეთის ფონური ქარის დროს, და - 350 კმ-ის სხვა შემთხვევებში. ამ ზონის სიგანე დაახლოებით 150 კმ-ს უდრის. მიღებულია, რომ როდესაც 10 მკმ ზომის აეროზოლის ამონაფრქვევის კონცენტრაცია ამონაფრქვევ ჭავლში 6 სთ-ის განმავლობაში 100 პ.ე./მ-ის ტოლია, მაშინ დალექილი რადიაქტიური ნივთიერების ზედაპირული სიმკვრივე მაქსიმალური დალექვის ზონაში მცირდება 360 -დან 1 პ.ე./მ-დან.

#### უაკ.: 551.5.001.57

ეკოლოგიურად აქტუალური ზოგიერთი მეზომეტეოროლოგიური პროცესის რიცხვითი მოდელირება. /გელაძე გ., ბეგალიშვილი ნ. ა. ბეგალიშვილი ნ. ნ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.303-309-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

დასმულია და ამონსნილია რიცხვითი მეთოდების საშუალებით ატმოსფეროს მეზომეტეოროლოგიური სასაზღვრო ფენის (ამსფ) 2-განზომილებიანი (ხ-ზ ვერტიკალურ სიბრტყეში) არასტაციონარული ამოცანა. მასში გათვალისწინებულია ეკოლოგიურად მეტად აქტუალური ისეთი პროცესები, როგორიცაა ღრუბლისა და ნისლის განვითარების სრული ციკლი და აეროზოლის გავრცელება ამსფ-ის თერმოპიდროდინამიკის ფონზე.

მოდელირებულია რიგი ანომალიური მეტეოროლოგიური ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის ერთდროული არსებობა; ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის გართიანებული ვერტიკალური კომპლექსი;

დღე-ღამურად “უწვევები” ღრუბლიანობა; ნოტიო პროცესების ანსამბლი, კერძოდ, ერთდროულად იმიტირებულია ჯერ სამი ღრუბელი და ნისლი, რომელიც შემდგომ ტრანსფორმირდება 4 ღრუბლად.

ახლებურადა გვაქვს გააზრებული პორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის როლი ტროპიკული ციკლონისა და ტორნადოს ჩამოყალიბებასა და ნოტიო პროცესების ურთიერთგრანსფორმაციაში. შესწავლილია რიგი მეტეოროლოგიური გავლენა აეროზოლის გავრცელებაზე.

გარდა ამისა, კომპიუტერული რეალიზაციის სტადიაზეა მიყვანილი ისეთი ამოცანები, როგორიცაა ამსფ-ის “მეორადი” დაბინძურება (უკვე დალექილი აეროზოლის ატაცება და განმეორებითი გადატანა); ღრუბლისა და ნისლის საზღვრებზე არსებული “გამოციების” გათვალისწინება; ღრუბლის ჩრდილის გავლენა ამსფ-ის პროცესებზე; ქვეფენილის რთული ტემპერატურული არაერთგვაროვნების გათვალისწინება.

#### უაკ.: 551.510.42

საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის თანამედროვე ეკოლოგიური ასპექტები/ სვანიძე ზ. გუნია გ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.310-315- რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს ბუნებრივი გარემო, რომელიც რთული ოროგრაფიითა და კლიმატური პირობების ნაირსახეობით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით ხასიათდება, დაცვისა და ანთროპოგენური ზემოქმედების მონიტორინგის საკითხების დამუშავების მიმართ დიდ ყურადღებას მოითხოვს. კერძოდ, გარემოს ცალკეული კომპონენტების ეკოლოგიური მდგრმარეობის ხარისხობროვი და რაოდენობრივი მახსინათებელი პარამეტრების შეფასებასა და მათი მოსალოდნელი ცვლილებების ტენდენციების გამოვლენას. ეს კი, საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და განხორციელდეს გარემოზე მავნე ზეგავლენის აცილების პრევენციული ღონისძიებები.

საქართველოს ტერიტორიის ეკოლოგიური მდგრმარეობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაკმაყოფილდეს საერთაშორისო ვალდებულებებითა და ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რაც მნიშვნელოვანი გარანტია საყოველთაოდ მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების გასაზრებლად ცხოვრებაში.

“მდგრადი განვითარება” არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველ

ყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებით აღიარებულ შემდეგ პრინციპთა უცილობელ დაცვას:

- ადამიანებს აქთ უფლება ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან ჰარმონიულობის პირობებში;

- განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი

- იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- მდგრადი განვითარების მიღწევისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მისგან მოწყვეტით;

- მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა სიღარიბის აღმოფხვრა.

ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენაშ და მთავრობაშ უნდა ითანამშრომლონ ამ მიზნით.

უაკ: 314.581.5

